

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ვერა ბარდაველიძე

**აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული
საფოგადოებრივ-საკულტო კვლავი**

ტომი II₂

თ უ შ ე თ ი



„მეცნიერება“
თბილისი 1985

63.5(2 Γ)+85.11(2 Γ)
902.7(47.922)+72(47.922)(09)2
ბ 264

„აღმოსავლეთ საქართველოს შთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების“ II₂ ტომში მოთავსებულია თუშეთის მასალა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში მოცემულია თუშეთის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების აღწერილობა. აღწერილობასთან ერთად ავტორი ცდილობს დაადგინოს ძეგლების კონსტრუქციული თავისებურებები და გაარკვიოს მათი სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულება. მეორე ნაწილში ასახულია ძეგლების ფოტოები და არქიტექტურული ანაზომები.

რ ე ლ ა კ ტ ო რ ე ბ ი: ბ. ჩიტანია, შ. მრიაშვილი, ნ. მანისურაძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულ პუბლიკაციას იმ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებისას, რომლებიც მიკვლეულია და ფიქსირებული პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ, ხანგრძლივი საექსპედიციო მუშაობის შედეგად თუშეთში (1931, 1949, 1957, 1965, 1966 წწ.). ეს მასალები ინახება პროფ. ვ. ბარდაველიძის პირად არქივში, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორში.

აღნიშნული მასალებიდან, უპირველეს ყოვლისა, ამოიკრება და თუშეთის თემების მიხედვით დალაგდა საკულტო ძეგლების აღწერილობები, ხოლო შემდეგ ტექსტი შეივსო და გამდიდრდა თითოეული თემისა და სოფლის გვარების, დღეობების, სახატო, სათემო მიწისმფლობელობის, და მიწითსარგებლობის, მეკოდეობის და სხვა საკითხებზე არსებული მასალებით.

ტექსტს აქვს შესავალი, რომელიც წარმოადგენს ვ. ბარდაველიძის მიერ დაწერილი მთა-თუშეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მუშაობის ანგარიშის შემოკლებულ ვარიანტს. მასში მოცემულია თუშეთის და, საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების კონსტრუქციული თავისებურებების და სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულებიან დადგენის ცდა. შესავალში ავტორისეული სტილი დაცულია ხელუხლებლად. ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ტაბულათა სია ქართულ და რუსულ ენებზე და საკულტო ძეგლების არქიტექტურული ანაზომები და ფოტოები.

შესავალი*

მთა-თუშეთში რელიგიური გადმონაშთები უფრო მეტად შებღალული სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე ხევსურეთსა და ფშავეში. მთა-თუშეთში ჭვარ-ხატის ნაგებობათა კომპლექსები იშვიათ შემთხვევაშია მთლიანად შემონახული. მეტ წილად ჩვენ აქ ვხვდებით მხოლოდ საკულტო კოშკებს — კ ვ რ ი ვ ს, ს ა - ს ა ნ თ ლ ე ს, ს ა დ რ ო შ ე კ ო შ კ ე ბ ს (თუშური ტერმინოლოგიით მ ი ლ ი - ო ნ ა ე ბ ს), რომლებიც ხატის სახელს ატარებენ, ან ერთ-ორს თუ მეტ ქვას, რომლებიც აგრეთვე ხატად იხსენიება. მაგალითად, მხოლოდ და მხოლოდ მილიონაის ნაგებობით არის წარმოდგენილი: საგინ-წყაროს ხატი ფარსმაში, კარატის ჭვარი დართლოში, ჩილოში, დანოში და დიკლოში, ქავთარის ხატი (ანუ საჯარე) ჩილოში, იახსრის ჭვარი ჭემოში, გმირ კოპალას ხატი იმავე ჭემოში, სანების ხატი (ანუ ჭვარი) დიკლოში, შენაქოსა და თმალოში, ლაშარის ხატი კვლავ შენაქოში, ხახმატის ჭვარი შენაქოში, ქუმელაურთაში, დანოში, დიკლოში, წმ. ნინოს ხატი ფარსმაში, მარიამ წმინდის ხატი გირევეში, ნაერის ხატი შენაქოში, მადლოს ხატი კონთიოში, შაფურთის ხატი ქუმელაურთაში, კეხის ჭვარი ხახაბუში, ქავთარ ხაგირის ხატი ჩილოში, ხახა-ხევსურთ სალოცავი კვავლოში, წიეთეს ხატი გირევეში, ბიჭენის ხატი დიკლოში, თურსიენის ხატი კონთიოში და სხვა მრავალი.

ზოგჯერ ხატად მთა-თუშეთში ციხე-კოშკი ითვლება, როგორც, მაგალითად, ფარსმასა და ჰელოში. ფარსმაში სოფლის აღმოსავლეთის მხარეს ერთიმეორის მიყოლებით ჩამწყკრივებულია სამი ციხე. ამათგან სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულ ციხეს წმ. თევდორეს ხატი ეწოდება, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ციხე ე. წ. წმ. გიორგის ხატია და ამ ორ ციხე-ხატს შუა მოთავსებულ მესამე ციხეს დედა-მარიამ ღვთისმშობლის ხატს უწოდებენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთა-თუშეთში ციხე-კოშკები, მათი სახურავის კონსტრუქციის

* შესავალი წარმოდგენს ვ. ბარდაველიძის მიერ დაწერილი მთა-თუშეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მუშაობის ანგარიშის შემოკლებულ ვარიანტს (ანგარიში იხანება ვ. ბარდაველიძის პირად არქივში, რომელიც დაცულია ეთნოგრაფიის სექტორის განყოფილებაში). აღნიშნული ექსპედიციები შედგა 1965—66 წლებში. მასში მონაწილეობდნენ: „ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან: სპ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. ჩიტაია, უფრ. მეცნ. თანამშრ. ვ. ბარდაველიძე (ხელმძღვანელი) და ნ. ბრეგაძე; უმცრ. მეცნ. თანამშრ. გ. ჭავჭავიძე (ხელმძღვანელის მოადგილე), მ. ხაზარაძე; უფროსი ლაბორანტები: მ. კანდელაკი, ე. ერიაშვილი, ნ. მაისურაძე, დ. გიორგაძე; არქიტექტორები: გ. ზამთარაძე, მ. კაკაბაძე, კ. წულაია; ტოპოგრაფი ნ. კადაშვილი და ფოტოგრაფი ლ. საფრაზიანი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: უფროსი ლაბორანტი ი. რ. სურგულაძე, ასპირანტი თ. ცაგარეიშვილი, პრაქტიკანტი ნ. მინდაძე და ლ. თოდუა; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან ანტარელოგიური კაბინეტის გამგე მ. ხუციშვილი, ასპირანტი მ. გუგუტიშვილი; თბილისის სამხატვრო აკადემიიდან მხატვრები: მ. ბერძენიშვილი, რ. განჩილაძე და რ. ცუხიშვილი. უფროსი ლაბორანტი ლ. მირიანაშვილი, არქიტექტორები: ვ. გიგაშვილი და თ. ბოპორიშვილი“ (ვ. ბარდაველიძის ანგარიშიდან, გვ. 2).

მიხედვით ორგვარია: ერთია ცალფერდა სახურავიანი და მეორე მრავალპირა-
სიან-სიპერდებიანი. ფარსმის სამივე ციხე-ხატი ცალფერდა სახურავიანია.
საყურადღებოა, რომ ციხეები ხატის რელიქვიებისა და ინვენტარის სამალავის
ფუნქციასაც ასრულებენ. ფარსმის წმ. გიორგის ციხეში ინახება ორი დროშა,
ერთი ძალიან დიდია, მეორე — შედარებით პატარა. დროშები გაწყობილია
უამრავი საწირებით (საკადრისებით). იგივე ვითარება დამოწმებულია ჰელოს
ციხე-ხატის მიმართ, როგორც ამაში ქვემოთ, ამ უკანასკნელის აღწერილობის
დროს დავრწმუნდებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის, რომ ზოგ შემთხვევაში ციხესთან
ერთად სხვა შენობებიც არის წარმოდგენილი. მაგალითად, ფარსმის ხატებიდან
წმ. თევდორეს ხატი და დედა-მარიამ ღვთისმშობლის ხატი მხოლოდ ციხით
არიან წარმოდგენილი, მაგრამ წმ. გიორგის ხატი რამდენიმე ნაგებობის კომ-
პლექსს მოიცავს. ციხეს დასავლეთიდან მოშენებული აქვს ყორის დაბალი
კედლები, რომლებიც ციხის კედელთან ერთად სწორკუთხედ შენობას მოხა-
ზავენ სამხრეთის მხარეს დატანებული განიერი კარის ღიობით და დასავლეთის
კედლის გასწვრივ ბრტყელი ფიქალი ქვის მერხით. ციხის ჩრდილოეთის კე-
დელთან აგებულია ამჟამად ნახევრად დანგრეული ყორის სასანთლე თუ საღ-
როშე მილიონაი, ხოლო ციხის აღმოსავლეთის ყორის მცირე შენობა შიგნიდან
მრგვალი ფორმისაა: მისი დანიშნულება და სახელწოდება ჩვენთვის გაურკვე-
ველი დარჩა. ჩამოთვლილ ნაგებობათა კომპლექსი ციხესთან ერთად მოქცე-
ულია ყორის ბურჯებიან გალავანში, რომელსაც ალაყაფის კარის შეისრულ-
თავიანი ღიობი მიქცეული აქვს სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, სოფლსაკენ.

მეორე მაგალითი სოფელ დანოს აშტო მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის
ხატია. აქ ჩვენ დავამოწმებთ თავმორღვეული ციხე, ყორის მცირე გალავანი.
რომელშიაც ჩაშენებულია საღროშე და სასანთლე მილიონაები, და ე. წ. დრო-
შის სამალავი დარბაზი. ესაა ძალზე შვეული ფერდობის შუა წელზე ბუნებ-
რივი ეხი, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან ყორითაა შემოვლებული. აქ, ამ
ძნელად მისადგომ სამალავ დარბაზში, მოთავსებულია გაწყობილი დროშა და
ხატის თას-განძი.

მესამე მაგალითი ჰელოს სათემო სალოცავია, ივანე ნათლისმცემლის ხატო,
რომლის აღწერილობა მომყავს ექსპედიციის წევრის ყ. ერიაშვილის ჩანაწე-
რის მიხედვით: „ჰელოდან დასავლეთით, სოფლის თავზე, მთის მწვერვალზე
არის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც სანახევროდ ჩაქცეულია გალავნითაა
შემოზღუდული. თვითონ ნაგებობიდანაც მხოლოდ ერთი კოშკია შემორჩენი-
ლი, დანარჩენი ჩაქცეულია ისე, რომ თავდაპირველი სახის აღდგენა შეუძლე-
ბელია. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელია ივანე ნათლისმცემლის ხატი, მთბრო-
ბელმა მიგვიჩინა სწორედ იმ გადაჩენილ კოშკზე, რომელშიაც მადოლას
დროშებია „დაბანებული“.

ციხესიმაგრის უკან, სამხრეთ-დასავლეთით, მთის კალთებზე სოფელ ბო-
ჰორნას ნასახლარებია. აქვე მოპირდაპირე მთაზე მოჩანს პატარა ოეთრი ზო-
ლი, ეს მაივის (თუ მაგეხის?) წყალია, რომელიც ჩადის ქვემოთ და ერთვის
ხეობას. მთაზე მაგეხის ციხეა.

„ახლა შაბათს დროშას ნათე გამოიტანს, ჯერ აქ ილოცებს, აქ დაჰკლავენ
საკლავს, მერე წაიღებს მადოლში, იქ წავლენ პურის საქმელად. იქ წილსა
ყრიან, თუ მომავალ წელს ვინ უნდა იყოს ნათე; სადამოს დაბრუნდებიან და
ისევ აქ დაასვენებენ. ივანე ნათლისმცემლის სამსახურის წილში (ამჟამად) მხო-
ლოდ სამი სოფელი — გირევი, ჭონთიო და დაქიურთა — დგება და ისინი

იხდიან ნათლისმცემლის ხატის დღეობას“, — გადმოგვცემს მთხრობელი. ჰელოს მთავარი სალოცავი ივანე ნათლისმცემელი იყო.

ამავე სალოცავთან დაკავშირებულია უ. ერიაშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემა: „ჰელოში დღეს მეტად ავი სალოცავია. ის სათემო სალოცავად ითვლებოდა და მთელი პირიქითი დღესასწაულობდა. იმას ივანე ნათლისმცემელი ჰქვია. ივანე ნათლისმცემელი კახეთიდან გამოქცეულიყო ღორისა და ქათმისაგან შეწუხებული. ახლა აღენის ნათლისმცემელი რომ არის, ის ქალია, ხოლო ჰელოს ნათლისმცემელი ძმაა. ივანე ნათლისმცემელი წინავე ხალხში გამოცხადებით დადიოდა. ჰელოს მალა დღეს ერთი გახეთქილი კლდეა, სადაც ღამის თენება იცოდნენ. ჰელოს გვერდზე ყოფილა სოფელი ბოკორნა, სადაც 140-მდე კომლი ცხოვრობდა. ამ სოფელში ყოფილა ერთი არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი, რომელსაც თურმე შეუყვარდა ივანე ნათლისმცემელი. ერთ დროს, როდესაც დღესასწაული იყო და ყველა სოფლის თავში იყო ასულა ღანის სათევად, ეს ქალი სოფელშივე დარჩენილა და დღესასწაულზე არ წასულა. ივანე ნათლისმცემელს გაუგია ეს ამბავი და მისულა იმ ქალთან. უკითხავს მიზეზი დღეობაში წაუსვლლობისა და ქალს შემდეგი პასუხი გაუცია: „მე არ წაველ რბიტომ, რომ ამალამ შენ ჩემთან უნდა დარჩე და ღამე გაათენო“. ივანე ნათლისმცემელი სასტიკად განრისხებულა, მთელი სოფლისათვის ზორცელა გადაუღვია, თავისი თავი კი თითონვე მოუჭრია. ახლა რომ მეტად ძლიერი უქმია „ნათლისმცემლის თავკვეთა“, იმისი აღსანიშნავია“.

როგორც ვხედავთ, ამ გადმოცემაში არეკლილია ქრისტიანული რელიგიური სიუჟეტი (იხ. მარკოზის სახარება, თავი 6, მუხლი 14—28), რომელიც თავისებურად არის გააზრებული და გადაკეთებული, გადაქართულებული.

ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ ფშავ-ხევსურეთის ხატის ნაგებობათა კომპლექსისაგან განსხვავებით, მთა-თუშეთში ხატის კომპლექსი წარმოდგენილი იყო ციხე-კოშკით და სხვა საკულტო შენობებით. ამ ახალ თუშურ საკულტო ცენტრში მოქცეულია ციხე-კოშკი, აქ იგი წინ არის წამოწყეული, რაც ხევსურულ გადმონაშთებში შედარებით სუსტად აისახება, ხოლო ფშავში სულაც არ მოწმდება.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ მთა-თუშეთში არსად ხატის კომპლექსში საქვაბე არ არის წარმოდგენილი. არამედ იგი სოფელშია აგებული და მას ხატის საპირობისათვის იყენებენ. ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს თუშური საქვაბის კონსტრუქციული თავისებურება: ფშავ-ხევსურეთის საქვაბის, ანუ სალუდესაგან განსხვავებით, ეს ნაგებობა თუშეთში ცალფერდა სასურავიანია, და მისი ფასადის კედელი თითქმის სავსებით ღიაა.

ყოველივე ამასთან ერთად მთა — თუშეთში დგინდება ფშავ-ხევსურეთის მსგავსი ხატის ნაგებობათა კომპლექსიც. ამის მაგალითია მთა-თუშეთის ლაშარის ჯვარი.

მეორე მხრივ, თუშეთის საკულტო ცენტრში ნათლად ჩანს თუშეთის მთავარი ხატები წმ. გიორგის, დედა-ღვთისმშობლისა და ივანე ნათლისმცემლის სახელებით, რომლებსაც აღწერილ ჯვარში მატერიალური ძეგლები — გალავანში დატანებული მილიონები, უკავშირდება და რომელთა ქვეშ აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს ასტრალურ ღვთაებათა ტრიადა მთვარისა, მზექალისა და კვირიას ღვთაებები უნდა იყვნენ ამოფარებული. მაგრამ მარტო ეს არ არის მეცნიერულად საყურადღებო; თუშეთის საღვთისმსახურო ცენტრს კარგად პასუხობს ისეთი საკულტო ცენტრები როგორცაა არაგვის ფშავში ერთად თავმოყრილი ლაშარის წმ. გიორგი, თამარ ღელის ხატი და საკვირაო; ივრის ფშავში — ლაშარის წმ. გიორგი, თამარის ხატი; კახეთში აწყურის თეთრი გი-

ორგი; ხოლო ხევსურეთში — გუდანის წმ. გიორგი და ნახარელა ღვთისმშობლის ჭვარი. ამ საკულტო ცენტრებთან (ხოლო თანამედროვე გადმონაშთებში, ცხადია, მხოლოდ მათ ნაწილთან) დაკავშირებული ერთ-ერთი თვალსაჩინო ატრიბუტია ჭაჭვი ჯალამბარი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, სტრაბონის მიერ ალბანეთის მთვარის სახელობის ტაძრის ჭაჭვის ანალოგიურია.

დაბოლოს, თუშეთში მოპოვებულმა ერთი რიგის მასალამ საინტერესო საკითხი ახსნა ქართული სატაძრო არქიტექტურის ისტორიაში. დაბოლოსა და წაროში შემონახული აკლდამები თავისი წარმოშობით არა მარტო მიცვალებულთა სამუდამო სასუფეველია, არამედ ისინი ამასთანავე შეადგენენ მემორიალურ ტაძრებს, რასაც ადასტურებს ამ აკლდამებში კარის პირდაპირ გაჭრილი გარკვეული მოყვანილობის საკმელი და მის ქვეშ კედლის პირად აგებული ქვის ტრაპეზი. აქედან პოულობს ახსნას მთელი წყება ორიგინალური არქიტექტურული აღნაგობის ძეგლებისა, ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, ისტორიული თანამიმდევრობით ეწყობიან და ამგვარად, შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ განვითარების ჭაჭვს, დაწყებული აკლდამით, ანუ მემორიალური ტაძრით ხევსურეთსა და მის მოსაზღვრე ინგუშეთში შემონახულ ტაძარ-ბელლამდე, შემდეგ ტაძარ-ბელლიდან მიღებული მომდევნო ხანის საზოგადოებრივ-საკულტო დარბაზისა და სხვა სატაძრო-სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობამდე და უკანასკნელად ადრინდელი ხანის ქრისტიანულ სამლოცველომდე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჭვარ-ხატის კომპლექსში ზემო-აღნიშნული ტაძარ-ბელლისა და საზოგადოებრივ-საკულტო დარბაზის შემდეგ¹ საპატიო ადგილი უჭირავს საკულტო კოშკებს.

როგორც ცნობილია, გეგმაში ოთხკუთხედი მოხაზულობის, მთლიანი მასის სახით წარმოდგენილი, სვეტის მსგავსი, ხშირად თახჩიანი საკულტო ნაგებობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და დასავლეთ საქართველოს ქართულ ხალხურ მეტყველებაში ნიშნის სახელით მოიხსენიება, ხევსურეთსა და ფშავში კი ამგვარ საკულტო ნიშებს და საზარე ნაგებობებს კოშკი ჰქვია, თუშეთში კოშკი იხმარება ციხე-კოშკის მნიშვნელობით, ე. ი. ისევე, როგორც ლიტერატურულ ქართულში, ხოლო იმას, რასაც ფშავ-ხევსურების სატაძრო არქიტექტურაში კოშკი ეწოდება, თუშები მილიონის ექაზიან (ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ იხ. თ. უთურგაიძე, ერთი ლათინური სიტყვა ბერძნული ფორმით ქართული ენის თუშურ დიალექტში, „მაცნე“, 4. 1965, გვ. 210). გარდა თუშებისა, სიტყვა მილიონი მთის წვერზე აგებული ყორის სვეტის მნიშვნელობით ჩვენ დავამოწმეთ მთიულეტში ჯერ კიდევ 1945 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის ადგილზე მუშაობის დროს. იმავე მთა-თუშეთში მილიონი ეწოდება სახლის (და აგრეთვე საკულტო დარბაზის) გარკვეულ კონსტრუქციულ ელემენტს (მეორე სახელად, პირველია ქორბელელა), ისე, როგორც ეს აჭარაში იყო დამოწმებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1933 წელს.

თუშების საკულტო მილიონის თავი ისევე, როგორც ფშავ-ხევსურების საკულტო კოშკებისა, არის ან ბანივით სწორი, პორიზონტალური, ზემოდან ბრტყელი თხელი ქვით დაფარებული, ანდა იმავე ქვის ფილების საშუალებით დაკბულ-პირამიდული თუ დაკრბულ-ორფერდა მოყვანილობისა. ფშავსა და

¹ სატაძრო-სამეურნეო ნაგებობანი (საუნჯე, სალუდე ანუ საქვაბე, საკოდე, მარანი, საკუ-ლუხე) და ტაძრის მსახურთა და სატაძრო მეურნეობაში ჩაბმული პერსონალის საცხოვრებლები (საბერო, სადასახლისო, სახელოსნო, საბეკურო, სადასტურო) თავისი ზოგადი ფორმითა და მთავარი კონსტრუქციული ნაწილებით დარბაზს იმეორებენ.

ხევსურეთში ჩვენ დავაფიქსირეთ ორ, სამ, ოთხ, ხუთ და მეტი რაოდენობის იარუსიანი სიპერდებიან-სანაწვეთებიანი კოშკები საკულტო და საფლავისა. ანალოგიურ საკულტო მილიონაებს და საფლავის ძეგლებს მთა-თუშეთშიც შევხვდით. ამ კოშკების თუ მილიონაების, საფლავის ძეგლებისა და აგრეთვე ძალი აკლდამების მრავალიარუსიანი სიპერდებიან-სანაწვეთებიან თავსა და სახრავს ერთი შეხედვით თითქოს არავითარი სხვა, თუ არა წმინდა დეკორატიული მნიშვნელობა არ უჩანს.

მაგრამ შეიძლება, ძველი აღმოსავლეთის ზიკურატებთან შორეული მსგავსების საფუძველზე, დავუშვათ, რომ საქართველოს მთიანეთის ნაირი ვარიანტებითა და ფუნქციებით წარმოდგენილი საკულტო კოშკები თავისი მრავალ-იარუსიანი სიპერდებიან-სანაწვეთებიანი სახურავითა თუ თავშემკულობით მოხატავდა წარმოდგენას ცისა და დედამიწის კავშირზე.

ამავე დროს ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ მრავალიარუსიანი სიპერდებიან-სანაწვეთებიანი სახურავი ფშავ-ხევსურეთის საკულტო და საკულტო-სამეურნეო ბელლების ისეთი კონსტრუქციული ნაწილია, რომელიც ამგვარი სახურავის პრაქტიკული ღირებულებით არის შეპირობებული.

ხევსურული სიპერდა, რომელიც ქვის სახურავსა და ქოხს ნაშნავს (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960, გვ. 273, 301), აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის ჩვეულებრივი სამშენებლო მასალის სიპ-ისაგან მიღებული სიტყვაა, ხოლო ფშაური სანაწვეთე წვეთისაგან (ხევს. სანაწვეთო და ნაწვეთი) ნაწარმოები ტერმინია.

ბელლის სახურავის წყობაში, მთელ მის სიმაღლესა და სიგანეზე მწყრივად სიპის ფილებია ცალი ნაპირით ჩატანებული ისე, რომ მათი სიბრტყის დიდი ნაწილი წყობის ვარეთაა დატოვებული და ბელლის სახურავზე, იმის გამო, რომ ეს უქანასკნელი ორფერდა ან პირამიდულია, დაკბულ იარუსებადაა განლაგებული. ასეთი კონსტრუქციის წყალობით, ბელელი დაცულია სისველე-ქიქნოტივისაგან: სახურავზე მოხვედრილი წვიმის წვეთები ოდნავ დამრეცი და დაკბული იარუსებიდან შეუჩერებლად ძირს ეცემა.

თავისთავად ცხადია, რომ სახურავის ასეთი უტილიტარული დანიშნულება არ გამორიცხავს მასთან ერთად ამ სახურავის კონსტრუქციულ თავისებურებაში რელიგიურ-სიმბოლური აზრის განსახიერებას ცისა და დედამიწის კავშირზე და ასეთი თავხურვის მქონე კოშკის ესთეტიკურ ღირებულებასაც.

საზარე კოშკები, რომლებიც ფშავ-ხევსურეთ-თუშეთის ჭვარ-ხატის ნაგებობათა კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ჩვენ მიერ საეკსპედიციო მუშაობის პროცესში მრავლადაა ფიქსირებული, შესრულდა მათი არქიტექტურული გაზომვა, ფოტოგრაფირება და ეთნოგრაფიული შესწავლა, დაზუსტდა მათი ფუნქცია და როლი ქართული ხალხური რელიგიის რიტუალში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საზარეში მოთავსებული ზარი თავისი გახშიანებით მონაწილეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დამოწმებულ საღვთისმსახურო პროცესში, რომელსაც ხევსურებში ყამისწირვა ეწოდება. როგორც დადგენილი გვაქვს, ხევსურული და ფშაური „წირვა“ ჭვარის ბელელში ანუ დარბაზში სრულდებოდა დილითა და საღამოს. ორივე შემთხვევაში „წირვა“ სამი ნაწილისაგან შედგება: ხუცობა (მოიცავს მოხსენებას და პირისქარს), კურთხევანი და სადიდებელთაი. ამათგან პირველი და მესამე წარმართულ რელიგიური შინაარსისაა, ხოლო მეორე ქრისტიანული კურთხევანის ტექსტს იმეორებს ძალზე დამახინჯებულად. წირვის შესრულებას პროცესში, როდესაც სუცესი თუ თავ-ხევისბერი იწყებს ხუცობას, ჭვარის ბე-

ლოსნებიდან ერთ-ერთი ხელოსანი — მეზარე, ანუ ფშაურად მეზარე-ვევის-ბერი დარბაზიდან გარეთ გადის და საზარე კოშკის ანდა დარბაზის კედელზე გარედან ჩამოკიდებულ ზარს რეკავს, ვიდრე ყამის-წირვა თუ ლამისთევა დარბაზში არ დამთავრდება. აქედან ცხადია, რომ საზარე კოშკის ზარის რეკვა დარბაზ-სალამოს წირვის აუცილებელი თანმხლები და ამასთანავე მნიშვნელოვანი შემოწმების ნიშანია.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ვშავ-ხვესურეთ-თუშეთში ფიქსირებული საზარე კოშკების ზარების უძველესი ეგზემპლარები, მათზე მოცემული დათარიღებული წარწერების მიხედვით, XVII საუკუნეს ეკუთვნიან. სხვები კიდევ შემდეგი დროისანი არიან. მათ შორის ქართული ზარების გარდა, რუსული ზარიც ბევრია.

ფშავ-ხვესურეთსა და ნაწილობრივ თუშეთში შესწავლილი საზარე კოშკები ძირითადად ოთხი სახეობისაა. პირველ სახეობას განეკუთვნებიან ის კოშკები, რომლებიც ოთხი წახნაგოვანი სვეტისა და პირამიდული მრავალკუთხედიანი-სანაწეთიანი სახურავისაგან შედგება და რომლებიც შიგნიდან თაღოვანია. აქ იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც შეგვხვდა ცილინდრის ფორმის სვეტებიანი საზარე კოშკი.

პირველ სახეობას მივაკუთვნებთ ხის ოთხ სვეტზე დაყრდნობილ საზარე კოშკებსაც. უეჭველია, ეს უკანასკნელი კოშკები გაჩენილი უნდა იყოს მრგვალი-ცილინდროვანი ფორმის სვეტებიანი საზარე კოშკების მიბაძვით. ბევრ შემთხვევაში და ზარებთან მისასვლელი კიბეების მქონე საზარეები თავისი კონსტრუქციით რამდენადმე უკავშირდებიან ქართულ საქრისტიანო არქიტექტურაში წარმოდგენილ სამრეკლოებს, რომლებიც თარიღებიან არაუადრეს X.IV საუკუნეებისა (გ. ჩუბინაშვილი).

საზარეების მეორე სახეობა, პირველისაგან განსხვავებით, სამსვეტიანი ნაგებობაა. ამ საში სვეტიდან ერთ სვეტად გამოყენებულია, ზოგიერთ შემთხვევაში დარბაზის ან სხვა რომელიმე სახატო შენობის კედელი; სხვა შემთხვევაში ე.წ. „სვეტი“ იმდენად განიერია, რომ არსებითად იგი სვეტი კი არ არის, არამედ საზარე ნაგებობის უკანა კედელს წარმოადგენს, და ბოლოს, საზარე კოშკის სამივე სვეტი ერთი ზომისაა, ერთი მეორესთან შეფარდებით არის ამოყვანილი, დაფარებულია ზემოდან ოთხტერდა სახურავით და ჭერში ზარია ჩამოკიდებული.

მესამე სახეობა დანარჩენი საზარე კოშკებისაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი ორსვეტიანი ნაგებობაა, რომლის შიგნით ზარია მოთავსებული.

რაც შეეხება საზარე კოშკების მეოთხე სახეობას იგი ერთსვეტიანია, რომელიც ან ქვის ყორეა, ან კიდევ ხის სვეტი. სვეტად აყვანილ ყორეში ცალი წვერით დატანებულია მოგრძო ფიქალა თუ რაკის ქვა ან ძელის ნაჭერი ისე, რომ მეორე წვერი კედლის გარეთ არის გამოშვებული და ამ შვერილზე ჩამოკიდებულია ზარი. ზოგ შემთხვევაში ყორეში დატანებულია ნიში, რომელშიც ზარი ჰკიდია.

საზარე კოშკების ამ ოთხი სახეობიდან ყველაზე ძველი პირველი სახეობაა. იგი თავისი საერთო აღნაგობისა და კონსტრუქციის მიხედვით ნაგებობათა იმ წყებას განეკუთვნება, რომელიც ჩვენი მფიანეთის ჯვარხატის შენობების კომპლექსში ბელლის ტიპის სახითაა დამოწმებული.

ბელლის მსგავსად, ამ სახის საზარე კოშკი გვეგმაში კვადრატო სახურავით მრავალკუთხედიანი-სიბერდებიანი, ანუ სანაწეთებიანი და შიგნიდან ცრუთაღოვანი. ხოლო რამდენადაც ჯვარ-ხატების ბელელი თავისი გენეზისით ქრისტიანობის წინარე ხანის წარმონაქმნია, საზარე კოშკების პირველი სახეობა კი ამ ბე-

ღელს ემსავსება, მას ბაძავს. იმეორებს საერთო გარეგანი იერიითა და მნიშვნელოვანი კონსტრუქციული მხარეებით (გაბარიტები, მრავალიარუსიან-სიპერდებიანი გადახურვა, თაღოვანება) ამდენად, საზარე კოშკების ეს პირველი სახეობა თავისი თავდაპირველი წარმოშობით უაღრესად ძველი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, ზარი რელიგიურ რიტუალში მორწმუნეთა მიერ აღქმულია როგორც ღვთის მოვლინება, რომელიც ამავე დროს მავნე სულეების განდევნის საშუალებაც არის. ეს საერთო მოვლენა კარგად ჩანს ქართველ მთიელთა რელიგიურ პრაქტიკაში თუნდაც იმ ატრიბუტებიდანაც, საჯვარხატო დროშებს რომ ახლავს ზანზალაკების სახით. ხუცეს-ხევისბერ-მედროშაენი დროშის ზარაკებს აუღრიალებენ ყველა შემთხვევაში, როდესაც კი დროშა მონაწილეობს საჯვარხატო რიტუალში, იქნება ეს წყალში დამხვრჩალ თუ ზვავში მოყოლილ და დაღუპულ მთიელთა სულის დახსნის წესების შესრულება, განათვლა, დაჭურვება, დაფიცება, დღეობებში, კერძოდ, ზაფხულის ხანგრძლივ დღეობებში, როდესაც იმართება ჯვარიონ-ხატიონთა ღამისთევის პროცესები თუ სხვ.

ზარების გამოყენება ძველი, ქრისტიანობის წინარე რელიგიების მიერ კარგადაა ცნობილი და ამიტომ საამისო ანალოგების მოტანას მე აქ არ შევეუდგები, ეს შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქრისტიანულ რელიგიაში ზარების რიტუალური გამოყენება მომდინარეობს ძველი აღმოსავლეთის რელიგიებიდან და მისი ფესვები ამ რელიგიებშია მიკვლეული.

მას შემდეგ, რაც ხუცობა-სადიდებელთაის ტექსტები სამეცნიერო ხმარებაში შევიდა, მათმა შესწავლამ სხვა მონაცემებთან ერთად, მთიელთა წარსული სოციალური ურთიერთობის გაგებაში ღრმა ცვლილებები შეიტანა და დადგინდა იქნა წარმართული ხანის რელიგიის პანთეონის რაობა და ავიხება, ბუნებრივად დაისვა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა მატერიალური ბაზა ჰქონდა ამ რელიგიას. არსებითად ამით იყო გამოწვეული ფართო მასშტაბით იმ მუშაობის წამოწყება და გაშლა, რომელიც ქართველ მთიელთა საკულტო ცენტრების შესწავლას გულისხმობდა.

ამჟამად გაანალიზებული მასალის საფუძველზე დადგინდა შემდეგი.

1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ჯვარ-ხატი ფართო ტერიტორიას მოიცავს; მის შიგნით წარმოდგენილია წმინდა ხეები, ჯვარისა თუ ხატის წყარო, „ნაღვარი“, თუ ღელე, ზოგჯერ მიწიდან ამოშვებული უჩვეულო ფორმის ლოდი და, როგორც წესი, ცოტად თუ ბევრად ვაკე ფართობი, ე. წ. ბორტი (ტეხურეთსა და ფშავეში) ანუ ბუსნო (ფშავეში), სადაც მოთავსებულია ჯვარ-ხატის ნაირგვარი და სხვადასხვა ფუნქციების მატარებელი ნაგებობანი, ჩაყრილია სამნები და სხვ.

მოვიყვან ორიოდ მაგალითს. ხევსურეთში, ლიქოკის ხეობას ჭალაისოფელში მდებარე სათემო სალოცავი იახსრის ჯვარი მოიცავს 6,5 ჰა, რომელიც მოქცეულია ჩვენ მიერ ზუსტად დადგენილ საზღვრებში და შემაგრებულია ამ საზღვრების სახელწოდებებით (მაგ., „სოფელთავია“, „იასართავი“, „ცხენთბაგა“, „ტყეუშობელა“, „იასართავერდი“, „იასართბოლო, „სოფელთავი“, „საკენკეშაის ფეი“).

ჭალაისოფელშივე მდებარეობს მეორე სათემო სალოცავი კარატეს ჯვარი, რომლის ფართობი 4,5 ჰა შეადგენს და რომელიც მოიცავს: წმ. ტყეს და მის უკან კლდის დაფერდებას ვიდრე ამ ქარაფოვანი კლდის მწვერვალებამდე. მრავალსაუკუნოვან ცაცხვას ხეს — ერთადერთს მთელ ლიქოკის ხეობაში; სამნებს ბასხაჯაურთ და ლიქოკელთა ძმობისას, ერთმანეთში ჭალის უთხოვნობისას. და სისხლზე, შურისძიებაზე; ბორტეს, რომელიც 1 700 მეტრზეა ზღვის

დონიდან და რომელზეც გაშენებულია ე. წ. თამარ-მეფის კვრივი და ნაირგვარი ჭვარის ნაგებობანი.

ფშავში ყველაზე მცირე ფართობი 0,75 ჰა —საერთო საფშავლო სალოცავს, ლაშარის ჭვარს უჭირავს, ხოლო ყველაზე ვრცელი — 35 ჰა უცილაურთ თემის სალოცავ კოპალას ხატს, მაგრამ ამ ფართობში ხატის სახნავი მიწებიც შედის.

ერისგანთა და ჭვარიონ-ხატიონთა, ანუ თემისა და ადგილობრივი თეოკრატიული ხელისუფლების ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი საყურადღებო ფაქტი. ჭვარ-ხატებს უჭირავს სოფლის საუკეთესო ადგილები, რომელთა გამოყენება მოსახლეობას სასტიკად ეკრძალებოდა. კიდევ მეტი, მოსახლეობას აღკვეთილი ჰქონდა ჭვარ-ხატის ტერიტორიის სიახლოვეს დასახლება ანდა საყანავების დამუშავება.

ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჭვარ-ხატი ფლობდა, გარდა აღნიშნული ტერიტორიისა, ამ უკანასკნელთან შედარებით ბევრად მეტი ფართობის სამეურნეო ტერიტორიას: საყანავებს, სათიბებსა და საძოვრებს. ფართობის სიდიდე-სიმატარავისა, ნიადაგის ხარისხისა, სათესი მარცვლეულისა, ნიადაგის დამუშავებელთა რაობისა და მიწის ექსპლოატაციის ფორმის მიხედვით ჭვარ-ხატის მთელი სამეურნეო ტერიტორია დანაწილებული იყო შემდეგი სახისა და სახელწოდების ნაკვეთებად: სალუდეები, ხოდაბუნები, სახარნაღობები ანუ ნაყევრალეები, ზედათესლები, საიფქლეები, სადასტუროები, საშულტაოები, სამლევლოები, საკურატეები, სალალები და საბეგროება.

ამ მონაცემებიდან აშკარა უნდა იყოს, თუ რა დიდი ეკონომიკური ბაზა გააჩნდა ჭვარ-ხატებს და რითი იყო შეპირობებული ფშავ-ხევსურეთისა და, უეჭველია, აგრეთვე თუშეთის ძველი სოციალური ურთიერთობანი თემსა და მის თეოკრატიულ მმართველებს შორის.

2. ფშავ-ხევსურეთ-თუშეთის ჭვარ-ხატის ტიპიურ ნაგებობათა კომპლექსი სამი რიგის ნაგებობებითაა წარმოდგენილი: საზოგადოებრივ-საკულტო, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობებით.

საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობაა ფშავსა და თუშეთში დარბაზი და დარბაზის-კარი, ხოლო ხევსურეთში დარბაზისა და დარბაზის-კარის გარდა, ბეღელი და ბეღლის-კარი. საკულტო ნაგებობებს განეკუთვნებიან აგრეთვე ნაირი სახისა და დანიშნულების კოშკები — საზარე, სასანთლე, სადროზე ანუ დროშათ საბძანი, საჯურთუმო, სანათლავი, საკვირაო და სხვ. საღვთისმსახურო ნაგებობათა რიცხვში შედის სამსხვერპლო ე. წ. სასაკლაო ანუ სასაკლავენი სისხლიანი მსხვერპლის შესაწირავად, ფშაური ქედაკვერის საწირი ანუ ქადაკვერის დასაკრელი, ხევსურული საწირი, სამწირვლო, უამსაწირი ტაბლა უსისხლო მსხვერპლის შესაწირავად და ე. წ. საყეენო ანუ საყეინო (ფშავი).

სამეურნეო ნაგებობანია: სალუდე (ფშ.) ანუ საქვაბე (ხევ., თუშ.), საკოდე (ხევ., ფშ.), საფუარი (თუშ.), ბეღელი (ფშ.), საპურე (ფშ.), მარანი (ფშ.), საქვევრე (ხევ.), საკულუხე (ფშ.), საჯარბაკე ანუ საკურატე (ფშ.), კალო (ფშ., ხევ.), კვრივი (ხევ., ფშ.), დარანი (ფშ., ხევ.), საუნჯე (ფშ.) და მისთ.

საცხოვრებელი შენობებია: საბერო (ხევ., ფშ., თუშ.), სადიასახლისო (ხევ.), საკელოსო (ხევ.), სადასტურო (ფშ.), საწოლა (ხევ.) და დროებითი სადგომები — დაფარებული საჯარე (ფშ.) და ლო საჯარეები (ფშ., ხევ., თუშ.).

თუშეთისა და აქა-იქ ხევსურეთის (მაგალითად, ბისო-ხანმატისა და ბაცა-ლიგოს) საკულტო ცენტრის ნაგებობათა კომპლექსში შედიოდა ციხე-კოშკი, რომელსაც ძირითადად, როგორც ჩანს, ჯვარ-ხატისა და მისი ქონების დაცვა ეკისრებოდა.

ჯვარ-ხატის ბორცი ანუ ბუსნო, სადაც თავს იყრის ჩამოთვლილ ნაგებობათა დიდი ნაწილი, ყორის ვალაენით არის შემოვლებული. ფშავში ხატს აქვს მთავარი ვალაენი და შიდა ვალაენები.

მთავარი ვალაენის გარეთ, შესასვლელთან მოთავსებულია ხატის-კარი, ანუ (ჯვარის-კარი), საჯარეები, სამეურნეო ნაგებობანი და მოშორებით ქალე-ბის სადგომი, ე. წ. სასვენი (ფშ.) ანუ საბინაოები (თუშ.).

ხატის-კარის შემადგენელი ელემენტებია: სამსხვერპლო, საკურთხეველი, სასანთლეკოშკი და ამ ნაგებობათა შორის და მათ ირგვლივ წმ. ხეები — იფნი, მუხა, ქორაფი. აქვე დავამოწმეთ, ჯალამბარი-ჯაჭვი, რომელსაც ანალოგები მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთისა და ბარის ტაძრებში.

3. მიუხედავად იმისა, რომ ჯვარ-ხატის კომპლექსში ნაირი დანიშნულების ნაგებობებია წარმოდგენილი, ამ ნაგებობებს რიგი საერთო ნიშნები ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა, მათთვის საერთოა სამშენებლო მასალა-ფიქალი ქვის გამოყენება და ის, რომ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ისინი ნაგები არიან საძირკვლის გარეშე.

ამას მოსდევს ის, რომ ფშაური და თუშური ხატის კომპლექსში ყველა შენობა ერთმალისაა. ასევე ერთმალისაა ფშაური ბეღელიც, ოღონდ მასში ჩაშენებულია ორ- ან სამთვლიანი ხის ამბარი ცალ-ცალკე თესლისა და ზამთარ-ზაფხულის დღეობებისათვის ქერის შესანახავად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ამბრის ჩაშენების ნაცვლად, ბეღელი გაყოფილია ყორით ორ თვალად.

სხვაგვარი ვითარება დასტურდება ხევსურული ჯვარის შენობების მიმართ, აქ ერთმალისაა შენობის გარდა, მრავალმალისა ნაგებობებიც მოიპოვება. სახელობრ. ორ- და სამმალისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარ-ხატის ნაგებობებს სავსებით ჩამოყალიბებული გადახურვა ახასიათებთ. ფშავის საკულტო ცენტრების ნაგებობათა სპეციფიკას შეადგენს ის, რომ მათი სახურავი ორ- და ოთხფერდაა. ოთხფერდა გადახურვით გამოირჩევა ფშაური ბეღელი და ზოგიერთი კოშკი, ხოლო ორფერდა გადახურვა აქვს ყველა დანარჩენ საკულტო, სამეურნეო და საცხოვრებელ შენობებს.

ხევსურეთში საკულტო ცენტრების ნაგებობათა გადახურვა ძირითადად სამი სახისაა: ბანიანი, ორფერდასახურავიანი, სადაც შიდა მოცულობა იმეორებს გადახურვის კონტურს და ორფერდასახურავიანი შიგნით ბრტყელი ქერით. იშვიათად გვხვდება თუნუქის სახურავი. ნაგებობაში, რომელსაც ორფერდა გადახურვის ჭერიანი სახეობა ახასიათებს, ჭერით გამიჯნულ ზემო სართულს ჭერო ეწოდება. აქ დარბაზის ჭერო ჯვარის ხელოსანთა დროებით საცხოვრებელს, ე. წ. სახელოსნოს წარმოადგენს. ხევსურეთში სახელოსნო ქეროსაგან დამოუკიდებელი ნაგებობის სახითაც გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ხევსურული ჯვარის ნაგებობათა კომპლექსში დარბაზი მუდამ ორფერდასახურავიანია. რაც შეეხება ბანიანი სახის გადახურვას, იგი უმთავრესად სამეურნეო დანიშნულების შენობებზე (საქებაზე) გვხვდება. აქვე შევნიშნავთ, რომ მთათუშეთში ჯვარის შენობებს მეტწილად ცალფერდა სახურავი აქვთ.

ამგვარად, ძეგლები, რომლებიც ღრმა ტრადიციის ზეგავლენით შედარებით გვიან ხანებში შენდებოდა, თავისი ფორმითა და კონსტრუქციული ელემენტებით ყველანი, გარდა კოშკებისა, ერთი ტიპისანი იყვნენ: გეგმაში მოგრძო სწორკუთხედი მოხაზულობის ორფერდა სახურავით. თუნდაც მარტო ამ უკანასკნელზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ორფერდა სახურავი, რომელიც ასე სრულყოფილად გამოიყურება ჩვენს მთიანეთში, ისტორიის სიღრმიდან უნდა მომდინარეობდეს. ამგვარი სახურავი კარგადაა ცნობილი მცხეთას ძეგლებიდან (II საუკუნის მავზოლეუმი ვაგზალთან, I—III სს. არმაზისხევის სარკოფაგები), მაგრამ მთელი შენობა, ვიშორებ, გეგმაში სწორკუთხედი მოყვანილობის ორფერდა გადახურვით ძველი ტრადიციის მატარებელი ჩანს, რომელიც ადგილზე ჩვენ მიერ ფიქსირებულ სატაძრო ცენტრებში არსებულ სატაძრო არქიტექტურულ ფორმებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების არქიტექტურული ძეგლებიდან ყველაზე ძველი ძეგლები, რომლებმაც ჩვენ ღრმადე მოაღწიეს, ბელებია. ეს ბელები თავისი დანიშნულებით, ფორმითა და კონსტრუქციით ორი ტიპისაა: ხევსურეთში შემონახული ბეღელი-ტაძარი და ფშავში დაცული ბეღელი თავისი პირდაპირი სამეურნეო მნიშვნელობითა და დანიშნულებით.

ბეღელი-ტაძარი გეგმაში მოგრძო სწორკუთხედი მოყვანილობისაა, აქვს ოთხფერდა მრავალაარუსიანი სიპერდებიანი სახურავი და ამოყვანილი შეისრული ფორმის შინაგანი გადახურვა; ზოგ შემთხვევაში იგი გაყოფილია ორთვალად, რომელთაგან ერთი, უფრო დიდი მოცულობისა საკუთრივ ბეღელია, ტაძარი, დარბაზი, მეორე კი საყოფია.

მეორე ტიპის ბეღელი წარმოადგენს სამეურნეო მნიშვნელობის ნაგებობას გეგმაში კვადრატის მოხაზულობისა, ოთხფერდა მრავალაარუსიანი სანაწვთიანი სახურავით და ქვაში გამოყვანილი გვირგვინიანი თუ ცრუთალოჯანი შინაგანი გადახურვით. შესწავლა-დაკვირვებებით გამოაშკარავდა გვირგვინის გადახურვის ორი სისტემა — პარალელური და კუთხოვანი წყობა.

ამ ტიპის ბეღელი თავისი გადახურვის წყობით გლეხის დარბაზის გვირგვინიან გადახურვასთან პოულობს ანალოგს. ამავე დროს მას, ბეღელის ამ ტიპს ანალოგები უჩანს ძველ აღმოსავლეთში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ძეგლებთან, რომლებიც თარიღდებიან IV—III—II საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

დაბოლოს, გაირკვა, რომ ხევსურული ტიპის ბეღელი-ტაძარი უნდა წარმოშობადეს მთა-თუშეთში დამოწმებული კონსტრუქციის აკლამებიდან, რომლებიც მიცვალებულთა სასუფეველ ტაძრებს წარმოადგენენ.

4. ზემოთ თქვენი ყურადღება შევაჩერე იმაზე, რომ მთიანეთში უძველესი სალოცავები, წარმართული ხანიდან მომდინარე მოგრძო სწორკუთხედი ბეღლებისა და აკლამების სახით იყო წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა, რომ მთური დარბაზები, იგივე სალოცავები ორფერდა-სახურავიანია და ნაგებობათა ერთნეფიან ბაზილიკურ ტიპს განეკუთვნებიან. არანაკლებ საყურადღებოა, რომ უძველესი ქრისტიანული ტაძრები, რომლებიც მთიანეთში მოიპოვება ერთნეფიანი ბაზილიკური გეგმისა და ადრეული ქრისტიანული ხანისა უნდა იყოს. ამასთან ერთად მოვიგონოთ, რომ საქართველოს მთაში ქრისტიანული ეკლესიები უმთავრესად უგუმბათოა (მაგალითად, სენეთში). ამ მონაცემების საფუძველზე ისმება კითხვა — ადრეული ქრისტიანული ხანის „ბაზილიკური“ ეკლესიები ხომ არ არის ადგილობრივ აღმოცენებული

ლი ნაგებობათა ტიპი, რომელიც თავის შიგნით ითავსებდა როგორც ფუნქციებს წირვა-ლოცვისას, ისევე აკლდამისას.

ამჟამად ამით ვამთავრებ ძირითადი დებულებების აღნუსხვას და ვიძლევი შემაჯამებელ დასკვნას.

ექსპედიციების მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მასალა ანალოგიურია, ერთი მხრივ, იმ ძეგლებთან, რომლებიც ინგუშეთშია დამოწმებული, მეორე მხრივ, ანალოგიურია იმ სატაძრო მეურნეობისა და ღვთისმსახურთა ინსტიტუტთან, რომლებიც აღნუსხულია იბერიისა და ალბანიის სტრაბონისეულ აღწერილობაში, ხოლო მესამე მხრივ, პარალელებს პოულობს ძველი აღმოსავლეთის სათანადო ძეგლებსა და ინსტიტუტებში.

თ უ შ ე თ ი

I. თუშეთის ცენტრალური ხატი

ლაშარის ჭვარი, სოფ. ჩილო

თუშეთის მთავარი საკულტო ცენტრი, ლაშარის ჭვარი სოფელ ჩილოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, მისგან 2 კილომეტრის სიშორეზე, ჭვარის ნაგებობათა უდიდესი ნაწილი — ჭვარის-ქარი, სასანთლე მილიონაი, სადროშაე, საკურთხეველი, სამსხვერპლო — „სასაკლაო“, საზარე, დარბაზი, დარბაზის-ქარი და კოშკებიანი გალავანი — გაშენებულია მაღალ გორაზე, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან მიუვალია.

ამ გორის დასავლეთით ლაშარის ჭვარის ტყით შეფენილი მეორე გორაა. ჭვარის ტყიდან ჩრდილო-დასავლეთით იმავე გორაზე ე. წ. „საბინაო“ ადგილებია. მათგან მარცხნივ, დასავლეთის მხარეს და პირდაპირ, ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილოეთით გაშლილია მთის კალთის ფართო არე, რომელიც ლაშარობა დღეს საჭირითოს წარმოადგენს. იქვე ვაკეზე საჯარეა.

მთის კალთას ჩრდილო-დასავლეთიდან კლდე ემიჯნება, ამ კლდეზე საბერო არის აგებული. კლდიდან სამხრეთით, ზემოაღნიშნულ ორ გორას შორის ჩაწოლილია ტაფობი, სადაც ამჟამად თავმონგრეული პატარა მილიონა დგას. აქაურ ხატიონთაგან მიღებული ცნობით, ეს მილიონაი კლდიდან გადმოვარდნილი და იქვე დაღუპული თუშის მოსაგონარია. ლაშარის ჭვარის სამსხვერპლო-„სასაკლაოსთან“; რომელიც ხელოვნურად დევაკებული და სიპით მოკირწყლულია, მთის მკვეთრი დაქანება იწყება. მისი სიმაღლე 30—40 მეტრს შეადგენს და ტაფობამდე აღწევს. ხელოსანი ლაშარის სახელზე ზვარაკებს სასაკლაოზე შეწირავს, შულტა მათ იქვე დაკლავს და დააგორებს. დაკლულ-დაგორებული ზვარაკები ტაფობს რომ ჩააღწევენ, იქ მათი გატყავება ხდება. უწინდელ დროში ეს ტყავები ჯილდოდ ურიგდებოდათ ლაშარობას ცხენების ჯირითში გამარჯვებულებს.

ჩილოდან ლაშარში ორი გზა მიედინება. როცა მგზავრი ჩილოს გაცილდება, პირველად ლაშარის ჭვარის ყანას შეხვდება, მას გვერდზე გაუჯლის და ამის შემდეგ გზა ორად იყრება.

ადგილობრივ მთხრობელთა თქმით, ეს ჭვარის ყანა, ანუ სახნაური 2 ჰა მაინც იქნება; იგი საშულტაოა. ამ ყანის შულტა მარტო ჩილოელი იყო და ახლაც ასეა. ლაშარობას წელიწადში ორი შულტა ემსახურება. ჭვარის ყანასთან პატარა მილიონაა, ქისტებისა და ლეკების მიერ დახოცილი თუშების მოსაგონარი. აქ საკლავს ხოცავენ ხოლმე მტრებთან ბრძოლაში დახოცილთა მოსაგონებლად და თავისი სულისათვის.

აღნიშნული ორი გზიდან ერთი ხეობაში შედის, მეორე მაღალ მთაზე ადის. ძველი წესით პირველი გზა კაცებისაა, მეორე — ქალებისა. კაცების გზა

მოკლეა, იგი ზეობას დაყვება და იქიდან პირდაპირ ტაფობში შედის, ე. ი. ჯვარის ტერიტორიაში ექცევა. სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების გამო ქალებს ამ გზით სიარული არ შეეძლოთ — მათ, როგორც უწმინდურ არსებებს, ჯვარ-ხატის მიწაზე ფეხის დადგმაც კი ეკრძალებოდათ. ისინი მეორე გზით მალა აღიოდნენ გორის მოფარებით, შემდეგ სწორად გადადიოდნენ ზემო-აღნიშნულ საბინაო ადგილებში და იქ ლაშარის ჯვარიდან მოშორებით ბინადებოდნენ ლამის სათევად და ლაშარობის სხვა წესების შესასრულებლად.

საბინაოები დაშორებულია საჯარედანაც. ძველად ქალს, როგორც უწმინდურს, არც საჯარეში მიესვლებოდა. ლაშარობის ძველი წესით საბინაოში ლამეს ათევდნენ მარტო ქალები, ვინაიდან მამაკაცებს იქ ლამით არც მისვლა შეეძლოთ და არც ლამისთევა.

საბინაო ხელოვნურად დავაკებული ადგილია. ჩილოში მცხოვრებ თითოეულ საგვარეულოს ლაშარის ჯვარში თავისი საბინაო ჰქონდა. დანარჩენი სოფლების მცხოვრებლები კი აქ თითოეული ცალკე თავისი საერთო-სასოფლო საბინაოთი სარგებლობდა.

დაეუბრუნდეთ ლაშარის ჯვარის მთავარ ნაგებობებს. ლაშარის ჯვარის-კარი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კლდის თავზე. ჯვარის-კარის მისასვლელთან, პირდაპირ სალ კლდეზე აღმართულია სასანთლე-მილიონაი — ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, გეგმაში სწორკუთხი, სვეტივით კვრივი და მაღალი, ზემო ნაწილისაკენ ოდნავ დავიწროებული შენობა, რომელსაც ორი შუკუმა აქვს — ერთი სამკუთხა მოყვანილობისა დასავლეთის ფასადის ქვედა ნაწილში დატანებული, მეორე სწორკუთხა ფორმისა სამხრეთის ფასადის ზედა ნაწილში. სასანთლე მილიონას ამკობს პირამიდული — ხუთიარუსიან-სანაწეთიანი თავი¹, რომლის ზედა სანაწეთზე მთის ბროლის ნაქერი („ხინჭრიკვა“) და

¹ როგორც ცნობილია, გეგმაში სწორკუთხა, სვეტივით კვრივი და მომაღლო, ხშირად თახჩიანი საკულტო ნაგებობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და დასავლეთ საქართველოს ქართულ ხალხურ მეტყველებაში „ნიშის“ სახელით მოიხსენიება. ზეესურეთსა და ფშავეში კი ამგვარ საკულტო ნიშებსა და საზარე ნაგებობას „კოშკი“ ჰქვია. თუშეთში „კოშკი“ იხმარება ციხე-კოშკის მნიშვნელობით, ე. ი. ისევე, როგორც ლიტერატურულ ქართულში. ხოლო იმას, რასაც ფშავე-ხევსურების სტაძრო არქიტექტურაში „კოშკი“ ეწოდება, თუშები „მილიონაი“-ს ეძახიან (ამ უკანასკნელის შესახებ იხ. თ. უთურგაიძე. ერთი ლათინური სიტყვა ბერძნული ფორმით ქართული ენის თუშურ დიალექტში, „მაცნე“, 4, 1965, გვ. 210). გარდა თუშებისა, სიტყვა „მილიონაი“ მთის წვერზე აგებული ყოფილი სვეტის მნიშვნელობით ჩვენ დავამოწმეთ მთიულეთში ჯერ კიდევ 1945 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის ადგილზე მუშაობის დროს. იმავე მთა-თუშეთში „მილიონაი“ ეწოდება სახლის (და აგრეთვე საკულტო დარბაზის) გარკვეულ კონსტრუქციულ ელემენტს (იხ. ქვემოთ, ლაშარის ჯვარის დარბაზის აღწერილობა), ისე, როგორც ეს აქარაში იყო დამოწმებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1933 წელს.

თუშების საკულტო მილიონაის თავი ისევე, როგორც ფშავე-ხევსურების საკულტო კოშკისა ან არის ბანივით სწორი, პორიზონტალური, ზეწოდან ბრტყელი, თხელი ქვით დაფარული, ანდა იმავე ქვის ფილების საშუალებით დაკბულ-პირამიდული მოყვანილობისაა. ფშავესა და ხევსურეთში ჩვენ დავამოწმეთ ორ-სამ-ოთხ- და ხუთიარუსიანი სიპერდებიანი პირამიდული კოშკები საკულტო და საფლავისა. ანალოგიურ საკულტო მილიონაებსა და საფლავის ძეგლებს მთა-თუშეთშიც შევხვდით. ამ კოშკების თუ მილიონაებისა და საფლავის ძეგლების მრავალ-იარუსიანსიპერდებიან (სანაწეთებიან) თავს ერთი შეხედვით თითქოს არავითარი სხვა, თუ არა წმინდა დეკორატიული მნიშვნელობისა არ უჩანს.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ დაბეჭითებით ვაცით, რომ მრავალიარუსიან სიპერდებიან-სანაწეთებიანი სახურავი ფშავე-ხევსურეთის საკულტო და საკულტო-სამეურნეო ბეღლების ისეთი კონსტრუქციული ნაწილია, რომელიც ამგვარი სახურავის პრაქტიკული ღირებულებით არის შეპირობებული.

ხევსურული სიპერდა, რომელიც ქვის სახურავსა და ქოხს ნიშნავს (ალ. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960, გვ. 273, 281). აღმო-

ორმის რქები აწყვია. ამავე სალ კლდეზე. მილიონას დასავლეთის ფასადის წინ მოწყობილია საკურთხეველი, — ლაშარობას აქ თაფლის სანთლები ენთო, რიტუალური კვერისა და ყველის ნაჭრები ელაგა, ს ა ზ ე და შ ე (არაყიანი) ბოთლები იდგა.

საკურთხეველის გვერდით სამსხვერპლოა, ე. წ. „ს ა ს ა კ ლ ა ო“ — პატარა, სიბით დაგებული ვაკე ადგილი, სადაც ლაშარის სახელზე კურატებსა და ცხვრებს მსხვერპლად სწირავენ და აქედან ფერდობზე აგორებენ. წელს ლაშარობაზე სასაკლაო ზვარაკების სისხლით იყო შეღებილი (ტაბ. 1).

სასანთლე მილიონას და დარბაზს შუა პატარა ადგილია, რომელსაც „ს ა დ რ ო შ ე“ ეწოდება. ხელოსანი ლაშარობას დროშას „გამოაბანებს“ და სადროშეში დაამაგრებს ხოლმე.

სასანთლე მილიონას სამხრეთიდან მიდგმული აქვს დარბაზი (ტაბ. 2) — გეგმაში სწორკუთხა ნაგებობა, ფიქალი ქვით მშრალად ამოყვანილი, ოღონდ გარედან ადგილ-ადგილ ლამით შეღესილი კედლებით და სიბებით გადახურული ორფერდა სახურავით. დარბაზის დასავლეთის კედელში დატანებულია სამკუთხა მოყვანილობის პატარა შუკუმა და გარედან იმავე კედელში ცალი ნაპირით ჩადგმულია სიბის მოგრძო თარო. შენობის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა. აქ კედელი ქვისა და ხის მასალისაგან არის ნაგები, — ფიქალი ქვისაგან მშრალად ამოყვანილია კედლის გვერდითი და ქვედა ნაწილები. შუაში, ერთმანეთის პარალელურად, სიგანეზე გადებულია წყვილი დირე და ამ დირეებს შორის ვერტიკალურად ჩაწყობილია ცულით ნათალი ფიცრები, რომელთა მწკრივისაგან შექმნილია გრძელი ოთხკუთხედი, ამ უკანასკნელს მარჯვენა მხრიდან ხისავე კარი ემიჯნება.

დარბაზის მთავარი ფასადის კედლის ზედა დირეზე, შუა ადგილას აგებულია ხის მილიონაი — შორისა და ცულით ნათალი სქელი ფაცრის კუნძების ოთხსართულიანი წყობა, რომელშიც პირველი სართული დირესთან და სართულებთან ერთიმეორესთან შებრუნებით არიან განლაგებულნი: დირეზე გადებულია წყვილი შორის კუნძი, შემდეგი ორი სართული წყვილ-წყვილი ფიცრის კუნძებისაგან არის აყვანილი, ხოლო თავში, მეოთხე სართულად ისევ შორის კუნძი დევს. მილიონას კესის ხიდი („ვიდი“) ემყარება, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე გადებულია თითო-თითო გვერდის ხიდი („ვიდი“). კესის ხიდი და გვერდის ხიდები განლაგებული არიან სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით და თავისი გრძელი ნაპირებით ჩრდილოეთისა და სამხრეთს კედლების გარეთ გადაიან. კესის ხიდზე გაწყობილია ნათალი ფიცრის კაეები, რომლებიც კესის ხიდში ხის ჩხირებითაა ჩასმული. კაეებზე სიპები

სავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის ჩვეულებრივ სამშენებლო მასალის — სიპ-ისაგან მიღებული სიტყვაა, ხოლო ფშაური სანაწეთე (ხეცს. სანაწეთო და ნაწეთი) წვეთ-ისაგან ნაწარმოები ტერმინია. ბედლის სახურავის წყობაში, მთელ მის სიმაღლესა და სიგანეზე მწყრივად სიბის ფილეზია ცალი ნაპირით ჩატანებული ისე, რომ მათი სიბრტყის დიდი ნაწილი წყობის გარედა დატოვებული და ბედლის სახურავზე — იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ორფერდა ან ოთხფერდაა, — დაკიბულ იარუსებადაა განლაგებული. ასეთი კონსტრუქციის წყალობით ბედელი დაცულია სისველე-სინოტივისაგან: სახურავზე მოხვედრილი წვიმის წვეთები ოდნავ დაშრები და დაკიბულ-პირამიდული იარუსებიდან შეუჩერებლად ძირს ეცემა.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ ამ სახურავის უტილიტარული დირებულება არ გამორიცხავს, ან დირებულებასთან ერთად, სახურავის ესთეტიკურ მნიშვნელობას. ასევე საფიქრებელია, რომ საკულტო ნიშებისა და მატურების დეკორატიული სახის თავი რამდენადმე პრაქტიკული მნიშვნელობისაც იყო.

ერთი სიტყვით, ამ ძეგლებში უტილიტარული, რელიგიურ-სიმბოლური და ესთეტიკური დირებულება პარამონიულად შერწყმული ჩანს.

აწყვია ისე, რომ ორფერდა სახურავიც თავისი ნაპირებით გამოსულია კედლების გარეთ.

დარბაზის შიგნით აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ლამითაა შელესილი. ჩრდილოეთის კედელი ფიქალი ქვისაგან მშრალად არის აყვანილი დაკიბული სამი იარუსის სახით. ზედა, შედარებით უფრო ვიწრო იარუსი ე. წ. „მარიამ წმიდას სასანთლეთა“. შუათანა, უფრო განიერი — თაროა და ქვედა იარუსი გრძელ სკამს წარმოადგენს.

ლაშარობას მარიამ წმიდის სასანთლეზე ენთო სანთლები და ეწყო ხმიადები, ალუმინის ჯამი და თასი, საზედაზე ბოთლი და ხისფეხიანი თასი, რომელზეც შემდეგი ამოკაწრული წარწერა ამოვიკითხეთ: „მაინსენიეთ ლეკანიიჩოს შვილი 1907 წ. გიო წვერაიძე შენდობა უბრძანეთ მიცვალებულთა“ — თაროზე ეწყო ჯიხვის თასები, ალუმინის ჯამები, ყანწის მოყვანილობის ალუმინისავე თასი, ხის თასი, არაყიანი ბოთლი, სამაროლე ტაგანი ანუ კროჭი ზედ პურებითა და ყველის კოკრებით და კროჭის გვერდით უმი ცხერისბეჭით. ქვემო იარუსზე (სკამზე) ელაგა ტაგანა სასანთლე შანდლოთ, ხონჩა პურებითა და ხორციით, ხურჯინი სანოვაგით სავსე და რეზინის სათბური („გრელკა“) შიგ ღვინის ნარჩენით. მარიამ წმიდის სასანთლის გვერდით კედელში გამაგრებულია ორი წყვილი ჯიხვის რქა. უფრო დიდი ზომის ჯიხვის რქები სამხრეთის კედლის ზემო ნაწილს ამკობს (ტაბ. 6).

სამხრეთის კედელთან დგას დაჭრელებული ხის მერხი („მევი“) (ტაბ. 3), რომელსაც უჭირავს ამ კედლის მთელი განის სივრცე კუთხიდან ვიდრე კარამდე. მერხის წინ, დარბაზის ცენტრში მოთავსებულია ხის დაჭრელებული სავარძელი, ხელოსნის ანუ დეკანოზის „საბრძანი“ (ტაბ. 7); მერხი და სავარძელი ულურსმოდ არის ნაყეთები.

აღმოსავლეთის კედელთან სიბებით მშრალად ნაგები გრძელი სკამია, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში სამი დროშის ტარია მიყუდებულა და იქვე: ხის ყუთი დგას.

დარბაზის იატაკი „ზღვაა“ (ხევსური იტყოდა „გამაზღულა“), ე. ი. მოკირწყლულია ბრტყელი ფიქალი ქვებით.

ამ შენობის მთავარი ფასადის წინ დარბაზის კარია. დარბაზის კარი ხელოვნურად არის შექმნილი; — ესაა კლდის დაქანებიდან საკმაოდ მაღალზე — დარბაზის იატაკის პირამდე ამოშენებული ყორის მოგრძო ბაქანი; იგი ზემოდან დატარებულია დარბაზის კედლის გარეთ გამოსული ორფერდა სახურავის წინა ნაწილით.

ზემოხსენებული ლაშარის კვარის-კარი — დასავლეთიდან ძალზე შვეული კლდის კიდითა და აღმოსავლეთიდან ერთმანეთზე მიშენებული სასანთლე მილიონათი და დარბაზის კედლით შეზღუდული — მეტად ვიწრო ზოლად მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამხრეთის ნაწილში იქ, სადაც ჯვარის-კარი დარბაზის-კარის დასავლეთის არეს ეყრება, ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები საზარეა — გეგმაში სწორკუთხა ორ საპირისპირო მხრიდან სვეტებად აყვანილი, თავში თაღად შეკრული და ზემოდან დაფარებული ორფერდა სახურავით, რომელზეც როგორც ჩანს, ადრე იარუსიან-სანაწეთიანი ყოფილა. საზარეში სვეტებს შორის გადებულ ძელზე ლაშარობას ორი სპილენძის ზარი ეკიდა, იქვე კედლის პირად ორიოდე თეთრი ფერის საწირი (საკადრისებო) ფრიალებდა და სახურავის წვერი დამშვენებული იყო ხინჭრიკვით და ვაცის, ჯიხვის, ყოჩებისა და ირმის რქებით. დღეობის და-

სასრულს ხელოსანმა ზარები, საწირები² და რქები გალავნის შუათანა კომ-
კის ძირში ე. წ. „დროშათ საბრძანაში“ მოათავსა და ზემოდან სიპე-
ბი წააფარა.

ამავე დროს ხელოსანმა სადროშედან დროშები „ააბრძანა“ და ლაშარის
ჯვარის თას-განძთან ერთად კლდის ეხში გადაიტანა და იქ შეინახა.

დარბაზის კარის წინ კლდის თავისუფალი არე, ჯვარის „ეზოა“ გარ-
შემო ყორის გალავნით შემოვლებული. გალავანში სამი კოშკი, ე. წ. ხატი
არის ჩაშენებული — აღმოსავლეთით მარჯამ ღვთისმშობლის ხატი, სამხრე-
თით, „დროშათ საბრძანის“ ლაშარის ჯვარის და დასავლეთით იოანე ნათლის-
მცემლის ხატი. სამივე კოშკს მრავალი იარუსიან-სანაწეთიანი თავი აქვთ.

აღწერილ შენობათა კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით, კლდის პირად
საბეროა — ფიქალი ქვისაგან მშრალად აყვანილი ნაგებობა, გეგმაში სწორ-
კუთხა, ცალფერდასახურავიანი (ტაბ. 4). სახურავი მრგვალი კვეთის ხის ოთხ
ხიდზე („კიდი“) დევს. ბოლო მესამე და მეოთხე ხიდები დაწყვილებულია.
მთავარი ფასადის მხარეს კედელი კლდეზეა ამოგებული იატაკის პირამდე.
იატაკის პირიდან იგი შუა ნაწილში დაბალ ზოლად არის აგებული ისე, რომ
საბეროს ეს მხარე ღიაა. იატაკი ნაწილობრივ „გამოზღვებულია“. კარი დატანე-
ბულია ჩრდილოეთის კედელში. სამხრეთის კედლის ზემო ნაწილი დაკბუ-
ლია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აქ ეს კედელი ყველაზე მაღალია, ამის
წყალობით სიპის სახურავი დაპრეცია, ცალფერდა. დასავლეთის მხარეს კედ-
ლის კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ამ კედლის გაყოლებაზე ფიქალისა-
გან მშრალად ნაგები მერხია („მევი“). საბეროს სიპის სახურავი დაზიანებუ-
ლია.

ძველ დროში ლაშარის ჯვარის დარბაზში შესვლის უფლება მარტო ხე-
ლოსან-დეკანოზებს ჰქონდათ. დანარჩენი მამროვანი ჯვარის-კარზე მიდიოდ-
ნენ და საჯარეში გროვდებოდნენ. იქ მიჰქონდათ მათ თითოეული კომლისა-
თვის სავალდებულო საკომლო ზედაშეები. თუშებში „საკომლო ზედაშეა“ 3
ცალი სამკუთხა მოყვანილობის პური — „კშიადი“, ერთი ბოთლი არაყი, ყვე-
ლის კოკორა და თაფლის სანთელი კენტი რაოდენობით. თუ ვინმეს სადღე-
ობოდ ლუდი ჰქონდა გამოხდილი, ზედაშესთან ერთად ლუდის „ნათაურა-
საც“ (პირველად ამოღებულს, თავზე მოდგმულს) მიაყოლებდა.

საჯარე, როგორც აღვნიშნეთ, ვაკე ადგილია, რომელიც ლაშარის ჯვა-
რის დარბაზიდან დაახლოებით 200 მეტრის ზევით, დასავლეთის მიმართულე-
ბით მდებარეობს. საჯარეში ჩადგმულია 1 მ სიმაღლისა და ძირთან 0,5 მ სიგა-
ნის ქვა, რომელზეც სასოფლო კოდის ლოცვის დროს სანთლებს ანთებენ
ხოლმე.

ლაშარობის წინა დღეს, 27 ივლისს (ძვ. სტ.) სოფელ ჩილოდან შულ-
ტაებს ჯვარში მოაქვთ სასოფლო ლუდი, მოჰყავთ სასოფლო საკლავი და მედ-
ლეობე მამაკაცებთან ერთად თავს იყრიან ჯვარის-კარზე, სადაც ხელოსნის
დარბაზიდან გამოსვლას ელოდებიან. ხელოსანი აქ ჯერ სასოფლო ლუდს და-
ლოცავს და შემდეგ თავს შეუტრუსავს საკლავს, შულტაკი მას ეელს გამოს-
ქრის და დააგორებს. ამის შემდეგ ხელოსან-დეკანოზი გარკვეული თანრიგის
დაცვით დალოცავს ჩილოელების საკომლო ზედაშეებს, დართლოელების სა-
სოფლო-ქვაბ-საკლავს და, ბოლოს, დანარჩენი მლოცველების ზედაშეებსა და
საკლავებს. თავის საკლავს პატრონი გაატყავებს, ძველად ტყავს ხატში და-

² ხელოსნის თქმით ეს „ნაპრები“ 3—4 წელიწადი თუ გაძლებს. მერე უნდა დაიწვას და
განიადეს, — აღამიანი ამას ვერ მოიხმარს.

ტოვებდა და ძველადაც და ახლაც საკლავის თითო მჭარს სასოფლო საკლავს მიუმატებს.

სასოფლო ლულ-საკლავის დალოცვის შემდეგ ხელოსანი ერთ ვერცხლის თასში, რომელსაც „ბარძიმი“ ეწოდება, ჩილოლების საწირავი ზედაშეებიდან ცოტ-ცოტა არაყს ჩაასხამს და დაილოცება. მხოლოდ ამის შემდეგ ლოცავს ის დანარჩენი სოფლებიდან მოსული სტუმრების ზედაშეებს. დალოცვალ ზედაშეებიდან პატრონებს მართო თითო-თითო ხშიადი უბრუნდებათ.

იმავე საღამოს საჯარეში იხარშება სასოფლო ხორცი და შულტაეზი „სუფრას“ ამზადებენ — თითო „სუფრაზე“ ორ-ორ ხშიადს, ზედ ხორცის ნაჭრებთან და თათლის სანთლებით. ძველად ასეთი „სუფრა“ 80-მდე მზადდებოდა. თითო სუფრას „სამხვეწრით“, ე. ი. ზვარაკით მისული მლოცველიც აკეთებს. საღამოდან ხელოსანი საჯარეში დროშას „მიამბანებს“, შულტაეზი საჯარეს ქვაზე სანთლებს დაანთებენ და ხელოსანი სასოფლო კოდს დალოცავს. ამას მოსდევს „სალაშარო სიმღერა“ ანუ ქორბელელას საგალობელი, რომელსაც შულტაეზი და ახალგაზრდობა სამწყებად მღერიან: ჯერ პირველა სამი დაიწყებს, იმღერებს ქვემომოტანილი ლექსის პირველ სტრიქონს, გაიმეორებს მეორედ და იმის დამთავრებისას თავიდან იწყებს მეორე სამი მწყრივი, ახლა მესამე, შემდეგ კვლავ პირველი წება და ასე სხვა. ქორბელელას ლექსი შემდეგია:

დღესამ დღეობა ვისია, წმიდისი გიორგისია,
წმიდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო,
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო.
ყმათად უმატე გიორგი, თუ გინდა მოსახელენი,
ხალხსად უმატე გიორგი, თუ გინდა კოდნი საესენი,
ცხვარსად უმატე გიორგი, თუ გინდა რქა-ჯანგვიანი.
ქალ წყალზე დაგვიანდება, დაბანას ხელ-პირისასა,
ვაე დარბაზ დაგვიანდება შესმასა ბარძიმისასა,
მთა-მთა მოვალის ქვეთარი, ნაბრალს მოარღვევს მთისასა,
ბარზე მოვალის გიორგი ალთოს მოანჩქლევს წყლისასა.

ამ სიმღერის დამთავრების შემდეგ ხელოსანი დალოცავს „სუფრებს“ და იწყება ქეიფი, რომლის დროსაც თუშები საგმირო ლექსებს მღერიან.

ამავე საღამოს დროშასთან მდგომი ხელოსანი უცხადებს მლოცველებს ლაშარობის წესების დაცვას: აფრთხილებს მათ, რომ არ მოახდინონ ჩხუბა, მკვლელობა, ქურდობა, არ იმრუშონ და ამასთან ერთად უწინ აცხადებდა „საღვთო ზავს“ — მოსისხლეებს დღესასწაულის დამთავრებამდე ეკრძალებოდათ ჯვარში სისხლითი შურისძიება. შემდეგ ხელოსანი ირჩევს ჩილოლებისაგან სამ კაცს ყარაულებად; მათ ევალებათ თვალყური აღევნონ მლოცავთა მოქმედებას ჯვარში. ისინი ყარაულობენ საბინაობებსა. — არავინ ვინმე მამაკაცობაგანი არ გაგვეპაროს ქალებისაკენო. ამათ გარდა ხელოსანი ირჩევს კიდევ სამ კაცს თითოეული ხეობიდან თავდებად — თუ რომელიმე მლოცავი დანაშაულს ჩაიდენს, პასუხი მოეთხოვება დამნაშავესაც და თავდებაც. ამის შემდეგ ხელოსანი აიღებს დროშას და რაც შეიძლება სწრაფად გააქცევს მას დარბაზისაკენ.

მეორე დღეს, შუადღის ხანს ქორბელელას ფერხულს აწყობენ. ქორბელელა თორმეტი კაცისაგან შედგება — ექვსი კაცი გადახვევს ხელებს ერთმანეთს,

3 ამ ხატის სრული სახელია ქვეთარქავიგისა. მთხრობლის ცნობით ის დიდი სალოცავია; ლაშარის შემდეგ ქვეთარქავიგისა იყო. ის უწინ ქვეთარის მთაზე ყოფილა და მას თორმე მაშინ ხულანტელებიც (?) ლოცულობდნენ, შემდეგში ჩილოლებს იქ ჩხუბი მოსვლიათ და ხატი ჩილოსთავზე გადაუტანიათ. ჩილოსთაობა ლაშარობის სწორზე იცაან.

მათ მხრებზე დგება კიდევ ექვსი კაცი ხელბეგადახვეული, წრეში დგება ერთი მომღერალთაგანი და იწყებს სალაშარო სიმღერას, ანუ ქორბელელას საგალობელს (ტაბ. 4). შემდეგ მის სიტყვებს იმეორებენ ჯერ დაბლით მღვთმონი და შემდეგ ზემო მწკრივი. ასე სიმღერით ფერხული მიემართება საჯაროდან ჯვარის კარამდე და იქ იშლება. გზაში ქორბელელა არ უნდა აირიოს, თორემ ამას ლაშარის ჯვარის გაბრაზებას დააბრალებენ. ქორბელელას დასრულების შემდეგ ქეიფი იწყება. ძველად ამ დროს ვინმე მლოცველთაგანი ქადაგად ეკემოდა და ხალხს ლაშარის „ბრძანებებს“ ამცნობდა.

შუადღის შემდეგ ხალხი იწყებს დაშლას. ხელოსანი დარბაზიდან ისვრის ხმიადებს, რომლებსაც იქერენ მლოცველები. ძველად ეს ხმიადები მლოცველებს ლაშარის წყალობად მიაჩნდათ — ლაშარის ჯვარმა ჩვენთვის ვაიმეტაო.

ლაშარში დაკლული ზვარაკის ტყავებზე იმართებოდა ცხენების ჭირითი. ყოველი თემი საჭირითო ადგილზე თავის საუკეთესო მოჭირითე ცხენს გამოიყვანდა და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტყავებიც პირველობდა მიხედვით დარიგდებოდა.

საბინაოების ზევით, მათ მახლობლად ქალები სანთელს ანთებენ მარჯამ წმიდის სახელზე. იქ ამჟამად ნაგებობა არა არის რა (ტაბ. 5).

II. სათემო და სასოფლო ხატები

1. პირიქითის ხეობა

ა) სამცხის თემი

სოფ. ჩილო

ს. ჩილოს სალოცავებია: წმინდა გიორგი ლაშარისა (მისი დღე-სასწაული მოდის აღდგომის მესამე დღეს ზაფხულში — 19—20 ივლისს, შემოდგომაზე — ძვ. სტილით გიორგობის 10-ში), ქავთარჯაგირისა (ჩილოსთავი; მისი დღეობა მოდის ლაშარობის სწორზე), საკოლო (დღესასწაულებენ ლაშარობის წინა დღეს), წმიდა თევდორე (დღეობა — ახალწელს. ხელწმიდობას), კარატის ჯვარი (19 ივლისს, ძვ. სტილით), საჯარე (ქავთარის ნიშის, ლაშარობის წინა დღეს, საღამოთი და დილით), სახატეთანა (ლაშარის ნიში, აღდგომას, როცა ლაშარში ვერ აღიან), თურსიეხი (თიბათვის 15-ში, ძვ. სტილით), მარჯამ წმიდა (მარტის 25-ში, ძვ. სტილით).

გადმოცემით „ჩილოში წინავე შვიდოც კვამლ ყოფილიყო, ცხრაოცი მართო პირტიტელაა თოფის ამღეა ბიქიაა ყოფილიყო. ერთხენ კიცვაის ქორწილში მთვრალ ჩილოელთ გოგორათანით ლეკის მეკოპარი აქისაკ მებრუნ. ლეკის ჯარს ყველა კაცებ დეკოცნეს, დიაცებიდ ბალლებ კი ტყვედ გერეკნეს. ერთია ბალლ კიდენ დამრჩალიყოდ იმისაი გამრავლებულიყო გარეე სოფელი. იმისინას ამოწყვეტილან ქიბიშაურნი, ჯორჯელნი, გორგენი, ქოსაენი, დუყანი, კორხელაურნიდ კიდენ სხეები“.

„ჩილოში იყვის სალაშარო ყანებიდ სამნათეო. სალაშარო ყანებს საშულტაო ყანებიც ექვივნის. სამნათეო ყანებ იყვის 6 ზომა (1,5 ჰექტარი), საშულტაო ყანებ კი 4 ზომა (1 ჰექტარი). ეს ყანებ იყვის საქერეიდ საპურეი“.

„დანარჩენ მიწები კომლებზე იყვის დანაწილებული. იცოდინა მიწის გაყიდვა მარტო სოფლებზეად' შემრეა მეკოდებზე. სათიბებიც გაყოფილ იყვის. მთა საცხვრედ' საძროხე საერთო იყვის. გაყოფილ იყვის ტყეაც. ალოტის თავზე რომ ტყეა, ის თქვენ იყვის, იმის აქისაკითა ჩვენიდ' ქავთარიანთა.

დალეულთ მიწა მებატრონეს ოშიგბოდის. განაყარნი ერთ მამულზე იყვინან. დროდადრო მიწების განაწილება არ იცოდეს, ეს გვიანაი შემდეს. პირველაგოდ რომ მიწების გაყოფა დიწყეს, საგით, რუსომად' მე გაყავთ. იმის წინავ გაყოფა არ იცოდეს — ვისაც რა ხქონდის, ხქონდის, ზოგს ბევრ ხქონდის, ზოგს კიდენ — ცოტა. ჩილოში ყველაზე ბევრ მამული ჩვენ გქონდის. შვიდ კვამლითაა ორ კვამლი კიდენ დავრჩითად' მთელი მამულია ჩვენია იყვის.

იცოდინა მიწის დავირავებაიც. თუ დროზე ვერ გადუკდიდ, მებატრონი მამულს ვერ გახყიდ, სანამ ნათასურს არ ჩაბარებდ. თავის მამულა თავდავ უნდა ჩებარ.

იცოდინა მიწის ღალით გაქირავებაიც. ღალაში სულადივ აძლიან.

ჩილოში გადმოვიდეს ფარეტათ დადაიდ' ბათირიანთ ივანეი. ესენი ქისტებ იყენეს. ბათირიანთ ივანეი დიკლოს გადავიდად' იქ დასახლდ, ფარეტათ დადაიკი აქ დარჩ, ჩვენ მამულზე.

მამულის მიცემა იცოდინა საკარგყმშიაც: როცა დამღევთ სისხლს ვინმე აიღებდა, იმას მამული მისციან. სისხლის ამღები ან სოფელადი უნდ ყოფალიყოდ' ან მეკოდე... ჩილოსგორი ჩილოელთაა ყოფილიყოდ' დართლოთ იდოძეთ პაპისად მიეც, სისხლის აღებაში...“

„საშულტაოიდ' სამნათეო ყანებს ხენვედის მთელი სოფელი. სოფელი წილის ყრით ირჩევდის ორ მნათესად' ორ შულტას. ერთ მნათეიდ' ერთ შულტა ქაზნიაურთ მამითა იყვის, ერთ მნათეიდ' ერთ შულტაი კიდენ მგელიშვილ მამითა.

შულტაებს ევალებოდის ღაშარის დღესასწაულისად ქვაბების შეკიდებაი. დანარჩენ კი მნათების მოვალეობაა იყვის... მნათეები, ხქლევდეს თითო-თითო ვარს. ვორცს სწონიდეს. შულტაებს კი სარიგა მოსდიოდის, ე. ი. წილის ყრითა იყვის თუ ვის უნდ დეკლ საკლავი.

მნათეები ირჩევდეს მაქალათებს ორ კაცსად' ორ დიაცს. მაქალათების მოვალეობა იყვის ქვაბების შეკიდებაიდ' სოფლის დახვედრა. მნათეებთავ ამირჩიან ერთი მესაფუჯრეი.

სამნათეოიდ' საშულტაო ყანები ყველაი არ ვნიან, ზოგ აყამირიან. თივა მნათეებად' შულტაები თიბიან.

ღაშარს წინავ ტყე არ ხქონდის. ახლ რომ ტყეი, წინავ არ იყვის. რაიც მოშენდ, იმის უკვენ იქით შეშა მარტო ღამისთევის დროს მაქვის. ცხვა დროს იქ შეშის მოჭრა არ შიძლებოდის.

დალეულნი ვშირად თავის სიცოცხლეშიავ სწირავდეს ხატს მამულს. ღაშარის ძირში ერთ დიდ ყანა იყვის, ეს გუდანთით ოჩონათაი ყოფილიყოდ' იმათ ღაშარისად შეწირა“⁴.

სოფელი ძირითადად იყოფოდა ორ „მამად“, მგელიშვილებად და ქაზნიაურებად. თითოეული „მამა“ იყოფოდა გვარებად, გვარები კი — ქვეგვარებად. მაგ. მგელიშვილთა „მამაში“ შედიოდნენ: მარხვაიძე (ჭიჯვანი, ნაცვალანი, თურქიანი), ქავთარიძე (ხელაანი) და ბექურიძე (თოთაანი); ხოლო ქაზნიაურთ „მამაში“ — ელანიძე (ბოლელაანი, ბეროანი, საგითიანი, ციკქოანი, ნადიანი),

⁴ მთხრ. გიგო თევდორეს ძე ბექურიძე, 93 წლის, 1949 წ., ჩაიწერა შ. ბაკურიძემ.

ომიძე (ვაგუანი), მოლაძე (მოლანნი), აქიმძე (აქიმინი, ლავაზინი, ნებიერანი), ბაკურიძე (ხიონი, შოშიანი), ტალივრიძე (მგელოანი).

გაზაფხულზე, როდესაც ხვნა იწყება, დახლოებით 8 აპრილს, დეკანოზის მეთაურობით მთელი სოფელი ხნავდა „სალაშარო ყანებს“. თესავდა დეკანოზი, ან რომელიმე ხელხვედნიანი კაცი.

„სალაშარო ყანებს“ განაგებდა ლაშარის ჭვარის დეკანოზი, რომელიც ლაშარის ჭვარის ყმების უფროსად ითვლებოდა და მეფის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა“.

ს ა კ ო ლ ო

საკოლო წარმოადგენს მშრალად ნაგებ პატარა ნიშს. სამხრეთით აქვს შუკუმა, სადაც სანთელს ანთებდნენ. თავზე ადევს ორი დიდი ზომის ხინჭრიკვა.

ქ ა ვ თ ა რ ჯ ა გ ი რ ი ს ს ა ლ ო ც ა ე ი

ქავთარჯაგირის სალოცავი ყორის მილიონაა და იგი გარშემო საკმაოდ ვრცელ არეზე ყორის გალავნით არის შემოზღუდული. სამხრეთის მხარეს აქვს მთავარი ფასადი, სადაც შუკუმა აქვს დატანებული. შუკუმაში ჭიხვის თასი დევს. მილიონას თავზე თასი და ორი დიდი ხინჭრიკვა ადევს: ერთი ხინჭრიკვა ვერტიკალურად დევს და კონუსის ფორმისაა, მეორე — მრგვალი. ასეთ ქვას — გვიმარტავენ მთხრობელები — შირიმს ვეძახით (ტუფის ქვას).

აქ იყო სოფლის საანჯრო ადგილი — გვიხსნის მთხრობელი და მიგვითითებს შუაგულ სოფელში მოთავსებულ პატარა დავაკებზე, რომელიც ქავთარჯაგირის სალოცავს ჩრდილოეთიდან აკრავს. „კაცები სხდებოდნენ აწა საქმის გადასაწყვეტად, აქ წყვეტდნენ სოფლის საქმეს“.

ამ საანჯრო ადგილს „ჭვარის ყანა“ ეწოდება. ეგ ხატიც ჭვარის ყანაზეა. ჯელოსანი ჭერ იქ ილოცავდა: „ქავთარჯაგირის სალოცავო“. ამის დღეობა ლაშარის დღეობიდან ან ერთი დღით ადრე იყო, ან ერთი დღით უკან. თუ აღდგომა ადრე იყო, აქაც დღეობა ერთი დღით ადრე იყო, თუ აღდგომა გვიან იყო, მაშინ ერთი დღით — უკან.

ს ა ქ ვ ა ბ ე

იგი შუა სოფელშია, გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედ შენობას ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად ნაგები კედლებით. მას ჰქონდა მთა-თუშეთის საქვაბეებისათვის მახასიათებელი კონსტრუქციისა და ფორმის გადახურვა: მოპირდაპირე მხარეს მაღალ-დაბალი კედლები, მათზე გადებული „ჭიდები“, ჭიდებზე დამაგრებული „ყავრები“ და ყავრებზე გაწყობილი სიპების ცალფერდა, ამ შემთხვევაში ჩრდილოეთის კედლიდან სამხრეთის კედლისაკენ დაქანებული, სახურავი. სამხრეთის კედელში დატანებული იყო კარი, ხოლო შენობის შიგნით ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე აგებული „საქვაბის ყვერფი“ მასში ჩაშენებული წყვილი, საღვინე ქვევრების მსგავსად ძირწოწოლა, სალუდე ქვაბით, ჩვეულებისამებრ სპილენძის ფურცლებისაგან ნაკერი. მთხრობელთა გადმოცემით, სპილენძის ფურცლები კანეთიდან იყო მოტანილი, ქვაბები კი აქ, სოფელში იყო გაკეთებული.

აღმოსავლეთის კედელში დატანებული „შუკუმადან“ ვიდრე ქვაბის პირამდე გადგული იყო ხის ღარი. სადღეობო ლუდის მოსახარშად საქირო წყალს სოფლის ქალები ეზიდებოდნენ საქვაბის კარამდე, ეინაიდან მათ, რო-

გორც „უწმინდურებს“, საქვებში შესვლა არ შეეძლოთ. აქ შულტა და მძს-
დამხმარე პირები მამრობითი სქესისა ამ წყალს ჩამოართმევდნენ და შუკუმ
დან ასხაიდნენ ღარში, საიდანაც იგი ქვებში მიედინებოდა.

დღემდე შემონახული საქვების ყვერფში ჩამჭდარი ერთ-ერთი ქვაბი, -
გილობრივ მოხუცთა განმარტებით, 300—400 ლიტრ ლუღს იტევდა.

ამეამად საქვებდნ მის ნანგრევებსლა ვამოწმებთ. გადარჩენილია შენ.
ბის კედლები კარის ღიობით სამხრეთის მხარეს და შუკუმათი აღმოსავლეთ
კედელში. სახურავი ჩაქცეულია; მისგან შემონახულია თითო-ორი „ჭიდა“
და „ყავრი“ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე, „საქვების ყვერფის“
ნაშთი ჩრდილოეთის კედელზეა, აქ ყვერფში ჩასმული სალუდე ქვაბით. ამ თით-
ქმის თავლია შენობაში ჩაშლილი სახურავის სიპებსა და ხის ნაწილებს შორის
ამოსულია მაღალი ბალახი და ახალგაზრდა ხეები.

ს ა ხ ა ტ ე თ ა ნ ა

„სახატეთანას ვეძახით მალა ვაკეს, კლდეა ერთი, აქედან წითლად რომ
მოსჩანს, იმ კლდეზეა ნიში. ეს ნიში ლაშარის ჭვარის სახელზეა და მის სახა-
ტეთანა ქვია. ჩილოს თავიდან რომ ჩამოვიდოდით მანდ ვლოცულობდით. დე-
კანოზი ჰყვანდა მავასაც“.

კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

კარატის ჯვარი წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ მალალ
კოშკს, ე. წ. მილიონას, რომლის ქვედა ნაწილი უფრო განიერია, ვიდრე ზედა.
ნაგებობა ადრე თავსანაწვთიანი ყოფილა; ამეამად სანაწვთეები დაშლილია და
არეული. მილიონას სამხრეთ ფასადს დატანებული აქვს ორი შუკუმა, ერთი
შედარებით განიერ ნაწილში, მეორე კი — უფრო ვიწრო ნაწილში. აღმოსავ-

5 დღეს სულ სხვა ვითარებაა, ქალები არაიშვიათად შულტას როლში გამოდიან. პრაქტი-
კულად ეს ჩვენ ფარსმაში დაეამოწმეთ: ქალმა შულტამ მოხარშა ლუდი, ის ტრიალებდა საქ-
ვებში (ჩვენთვის საჭირო ახსნა-განმარტებასაც საქვების შესწავლის დროს ის გვაწვდიდა),
ერთი სიტყვით, ათენგენას გადახდის საქმეს, ის ხელმძღვანელობდა, საზოგადოდ უნდა ითქვას,
რომ თანამედროვე თუშური ხალხური დღეობები განსაკუთრებული ყურადღებისა და შესწავ-
ლის ღირსია. ჯერ კიდევ დასადგენია, თუ დღეისათვის თუშებს რა დღეობები შემორჩათ ჯა-
რა სახით ასრულებენ მათ. მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგი რამ ახლაც შეიძლება ითქვას, რა-
თქმა უნდა, „ერთი შეხედვის“ საფუძველზე. ამეამად თუშები თითქოსდა მხოლოდ ერთ-ორ
დღეობას უნდა იხდიდნენ და ისიც უმთავრესად ზაფხულის დღეობებს. ასეთ დღეობად მოჩანს
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უაღრესად პოპულარული ხალხური დღეობა, რომელ-
საც აქ საერთო სახელად ათენგენობა (ე. წ. „ათენგენა“, „ათნიგენა“ და მისთ.) ჰქვია. მაგრამ
ამავე დროს, ვინაიდან მას სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა კუთხისა და სოფლის ხატის სა-
ხელზე იხდიდნენ, ამ დღეობას მრავალი კერძო სახელწოდება ჰქონდა. შეიძლება თამამად
ითქვას, რომ დღეს ათენგენობა თუშეთში რელიგიური ხასიათის დღესასწაული აღარც კია. იგი
უფრო მეტად უძველესი ქართულ-ხალხური ტრადიციით გამტკიცებული მხიარული ხალხური
დღეობაა, რომელსაც როგორც წესი, ქელოსან-ქვეისბერი თუ დეკანოზი ჰყავს; მას აღარც „ნა-
თი“ ჰყავს, ხოლო ე. წ. „შულტა“, ამ ხალხური დღეობის მასპინძელია. მის როლში გამოდის
მორიგეობითი წესით თითქმის ყველა თუშის ოჯახი, როცა მას რიგით თუ წილისყრით „შულ-
ტას“ ფუნქცია დაეკისრება. თუ ამ დროს ამ ოჯახის მამაკაცს მეტად მნიშვნელოვანი საქმეები
ნებას არ აძლევს „შულტაობა“ გასწიოს, ანდა ამ ოჯახს მამაკაცი აღარ ჰყავს, — მის ოჯახის
მანდილოსანი ენაცვლება. ვიმეორებ, დღესასწაულმა როგორც წესი, დაკარგა რელიგიური ხა-
სიათი და ამავე დროს მრავალი სამხიარულო მომენტი სხვა დღეობიდან ათენგენობაში გად-
მოიტანა. ასეთია, მაგალითად, თუშური „წელწლის“ (ახალი წლის) „მაქალათობა“, რომელიც
კარგა ხანია მკიდროდ დაუკავშირდა ათენგენობის დღეობას.

ლეთის ფასადს აქვს ერთი შუკუმა, ამავე მხარეს ჰკიდია წითელი და თეთრი საწერი („მონძის ნაჭრები“).

მთხრობელთა გადმოცემით კარატის ჯვარს დარბაზიც ჰქონია. დარბაზის შემნობა დაფარებული ყოფილა და ისეთი სიმაღლე ჰქონია, რომ კაცი გაიმართებოდა შიგ. აქ სალოცავად ხევსურები მოდიოდნენ.

20
ქი.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა

მარიაწმინდა ეწოდება სოფლის თავზე ამღლებულ პატარა სალ კლდეს, რომლის ძირშიც ღვიის ხეა ამოსული და კლდეზეა შემოხვეული. ხე ამჟამად ნახევრად დამწვარია. ეს ხატი უმთავრესად მოხუცი დედაკაცებისა და ძროხების სალოცავი ყოფილა. მთხრობლის გადმოცემით ასე იტყოდნენ, — ძროხების ხატიო, მაგრამ ასე შესთხოვდნენ: „ნურც ძროხა მამიკედებო, რძე-წველა ცუდად ნუ წამივო“. დეკეული რომ პირველად ხბოს მოიგებდა, აქ უნდა დაეკლათ ცხრა დღისა, რომ ძროხას ან ძუძუ არ გაუფუჭდეს, ან რძე არ გადაელახოს. დალოცვითაც მოხუცი დედაკაცი დალოცავდა ხოლმე.

უ ს ა ხ ე ლ ო ხ ა ტ ი

მკიდროდ განლაგებულ სახლებს შორის პატარა ბორცვია, სადაც ფიქალის ქვევია მიყრილი — შესაძლებელია, მილიონას ნაშალი იყოს. აქვეა ამოსული ბარდების ბუჩქი. აქვე, ერთ-ერთი სახლის კედლის ძირთან, გდია უზარმაზარი ხინჭრიკვა, რომელიც ხატის თავზე უნდა დებულყო. ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს ამ ხატის სახელწოდება, ოღონდ იგონებენ, რომ ქალები აქ ახლოს არ მიდიოდნენ. საფიქრებელია, რომ მილიონას ეს ნანკრევი წმინდა თევდორეს სალოცავის ნაშთი იყო.

ს ა ჯ ა რ ე (ქ ა ვ თ ა რ ი ს ნ ი შ ი)

საჯარე სოფლის ზემოთ, განაპირა ადგილას მდებარეობს: ზედ კლდეზე არის აგებული ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად პატარა მილიონა. მას აქვს პატარა შუკუმა და თავზე ადევს ორი ხინჭრიკვა. შუკუმაში ახლაც აწყვია ხუთი-ოდე წმინდა სანთელი და ქადისა და ყველის ნაჭრები. მილიონას გვერდით წმინდა ღვიის ხეა, რომელზეც ჩამოკიდებულია თეთრი და წითელი საწირები. ამათზე ჩვენი ქალებიო — აღნიშნეს მთხრობელებმა — იტყვიან „მონძის ნაჭრები შეეაბოთ“.

ამ საჯარის, ანუ ქავთარის ნიშის დღეობა დღესაც არის. უწინ ამ დღეობაზე აქვე, მილიონას მაზლობლად, ღამისთევა იცოდნენ. ცეცხლს დაჯანთებით და ღამეს ვათევდითო, — გვითხრეს აქ საზღაფლოდ აღვანიდან ამოსულმა ადგილობრივმა მოსახლეებმა.

ს ო ფ . დ ა რ თ ლ ო

„დართლოში ცხოვრობდნენ ილოიძეები, ჰაბუკაიძეები, ლეკაიძეები, ხვედეგაიძეები, ხვედაგურიძეები, ქიქაიძეები, ელანიძეები და ნაუგურაიძეები. სოფელი გაყოფილ იყვის ზეობნადად ქვეობნად. ჯარიც აგრ იცოდნენ. ძირეულია ილოიძე, დანარჩენები ზოგი მამულზედ არის მოსული (მაგ. ცაძიკიძეები ფარსმიდან, ელანიძეები — ჩილოდან)“⁶.

⁶ მთხრ. იოსებ დავითის ძე ილოიძე, დაბად. 1873 წ. 1949 წ. ჩაწერა შ. ბაკურიძემ. მთხრ. პლატონ ილოიძის (52 წ.) თქმით ს. დართლოში ცხოვრობდნენ აგრეთვე ცაძიკიძეები, ფარულიძეები, ნაჭურიძეები, ბასხაჯურები, 1965 წ.

„ილოიძეები, გადმოცემით, მცხეთიდან, ქართლიდან მოსულან, ძირად ციხისთავები ყოფილან. ესენი უძველესი ხანიდან არიან გადმოსული, როდის გადმოსულან პაპაჩემსაც არ ახსოვდა უკვე. ოთხი ძმა წამოსულა. ვილაც მოუკლავს ერთ ძმას. ერთი ფშაველში დასაბრუნებულა, ეხლა რა გვარები არიან, არ ვიცი; ერთი ხისოში — იმათი აღარავინ დარჩა, უშვილოები იყვნენ; ერთი — ხახაბუში, ბუხაჩაურებად იწერებიან, 3—4 კვამლია, ჩვენი განაყოფი ბიძაშვილები არიან; ერთი აქა, დართლოში და ილოიძეებად დაიწერნენ“⁷.

„სოფელში იყვის საშულტაოიდ⁸ სამნათეო ყანები. სამნათეო ყანები უფრო ბევრ იყვის, 4 ზომი (1 ჰექტარი), საშულტაო ყანაი კი ორიაი ზომაი იყვის. საშულტაოიდ⁸ სამნათეო ყანების მოკვნაში შულტაებსად⁹ მნათეებს სოფელი ეხმარებოდის, სოფელმაც მომკისად⁹ გალენის. თესლი გადადვიანად⁹ დანარჩენისაო ფორებ ამზადიან.

დანარჩენ მიწაი განაწილებულ იყვის კომლეთურად. მიწაი ზოგს ბევრ ზქონდის, ზოგს ცოტაი. გნო ნაუგურაანთა იყვის, მწური — ქიქაანთაი, ჩილოსგორი — ჩვენი. ის ჩვენ პაპას სისხლის ალებაში მისცეს ჩილოელთ. მიწის ყიდვა-გაყიდვა იცოდინან. ცხვა სოფელზედ მიწა არ გაყიდინან, თუ მეკოდელიოდ არ იყვის. დოღშიაც სცოდნიყუ მიწის ჩადგმა, მე კი არ მოგსწრებივარი.

დალეულთ მიწა ბიძაშვილებს რშჩებოდის, თუ გვარში ახალ განაყარ ვინ იყვის, ჭერ იმას მისციან, თუ არავინ იყვის, კიდენ გვარმ გაყვის. ზოგნი ვინაც ილეოდინან, თავის სიცოცხლეშიაც ხატს შესწირიან თავის მამულის ნაწილი.

ახალ განაყართ სოფელმ მამული არ აძლიან, 3—4 კვამლი ერთ მამულზე იყვის. ზოგი უმამულობით შეწუხებული ცხვა სოფელშიაც წავიდის შვილად თავის ნათესავსთან. აგრეე საკუთნოი იყვის სათიბეებიც. საონარო მიწები სულ არ იყვის. იცოდინან მიწის ღალით მიცემა. ღალაში სულადსავ აძლევედევს. დაგირავებაიცი იცოდინან. თუ დროზე გირაო ვერ ჩაბარინან, მიწას მინც ვერ გახყიდდ, ეს მიწაი როცაიოდ იქნებოდ პატრონსავ უნდ ჩებარ.

გაყოფილ იყვის ტყეიცი. თავის ტყეში თუ გინდ მაჭრევედ შეშას ცხვასად, თუ გინდოდ-არ.

საძროხეიდ⁸ საცხერე მთა სასოფლე იყვის, მთის გაჭირავება არ იცოდინან, რადგან ჩვენაც არ გეყოფნიდისად⁹ ცხვათ მთება ვიჭირავიდით“⁸.

დართლოს სალოცავები იყო: ი ა ვ ს ა რ ი (დღეობა მოდიოდა ლაშარობის წინადღეს), ბ ა ტ ო ნ ი შ ა ღ ა ლ ო ე ლ ი (დღეობა — წელწდობას), ვ ა ვ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი (დღეობა — 19 ივნისს ძვ. სტილით), კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი (დღეობა — 19 ივლისს ძვ. სტილით), ს ა დ რ ო შ ა ე თ ა ნ ა (დღეობა — ლაშარობის სწორზე), მ ა რ ი ა მ წ მ ი დ ა.

ი ა ვ ს რ ი ს ბ ა ტ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 1940 მ. სოფელს აღმოსავლეთიდან საზღვრავს დართლომთა, რომელზეც აგებულია იავსრის ხატი. ხატის კომპლექსი მოიცავს: დარბაზს, საბ(რ)ძანისს, სასანთლე კოშკს ანუ სადროშავეს, მილიონას, ტყეს-ფიჭვნარს, ნაწილობრივ არყნარს, ჭვარის ყანებს, საქალებო მხარეს, რომლისკენაც მიდის საქალებო ბილიკი; იგი ეყრება საკაცებო ბილიკს, რომელიც ხატის ნაგებობებს უვლის დასავლეთის მხრიდან.

დარბაზი და საბრძანისი ორთვალად გაყოფილი ერთი მოგრძო შენობის

7 მთხრ. პლატონ ილოიძე, დაბად. 1913 წ., ჩაწერილია 1965 წ.

8 მთხრ. იოსებ დავითის ძე ილოიძე, დაბად. 1873 წ., 1949 წ. ჩაიწერა შ. ბაკურიძემ.

შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ დაკვირვების შემდეგ ნათელი ხდება, რომ საბრძანისი ჩადგმულია დარბაზისა და სადროშე კოშკის შუა ისე, რომ დარბაზის ერთ-ერთი კედელი მას სამხრეთის კედლად აქვს გამოყენებული, ხოლო მისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები თანდათან ვიწროვდება სამხრეთ კედლისაკენ და აქ მას სამხრეთის კედლად აღმართული აქვს სადროშე კედელი. შენობა მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ცალკე დარბაზისა და ცალკე საბრძანისის კედლებზე დაყრდნობილია დიდი ზომის ცაცხვის ჯიშები; მათზე დაწყობილია ყავრები და დაფარულია სიპით; გადახურულია ორფერდად.

დარბაზი მოგრძო შენობაა ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები. ფსადი აღმოსავლეთის მხარეს აქვს, აქვეა დატანებული შესასვლელი. შესასვლელის თავი შეისრული ფორმისაა. შესასვლელის თავზე, ყორეში ორი ჩხირია შედგებული. შიგნით დარბაზი ცარიელია. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედელში დატანებული აქვს შუკუმა.

საბრძანისიც ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები შენობაა. აღმოსავლეთის მხარეს დატანებული აქვს ძალიან პატარა და ვიწრო შესასვლელი. შესასვლელს აფარებული აქვს სიპი. აქ დაბრძანებულია დროშა მრავალი თეთრი და ერთი ჭრელი საწირით, ერთი დიდი და ერთიც პატარა ზომის ზარით. საბრძანისშე ვნახეთ: სალუდე კასრი (თუ კოდი?), რვალის თუნგი, რომელსაც ყელზე შემდეგი წარწერა აქვს:

I სტრიქონი — „1957 წელს,

II სტრიქონი — შეწირულია წინა იუკურიძისგან იაკსარში“;

თუნუქის ყუთი, რომელშიაც აწყვიტა: „კრუშკა“ წარწერით:

I სტრიქონი — „შემოვსწირე ჩემს სადიდებლად

II სტრიქონი — მე ლევან იორამისძე .

III სტრიქონი — თათარაიძემ

IV სტრიქონი — 4/VI 111 62 წ.“.

ამავე ყუთში დევს სანთლის ნაწილი და საწირი (თეთრი ძონძის ნაჭრები), ალუმინის ქვაბი სახურავით და მუცელზე წარწერით:

I სტრიქონი — „შეწირულია

II სტრიქონი — კოსტა

III სტრიქონი — ნაჭაურიძესაგან“.

თასი ხისა, ტუჩიანი, აგრეთვე ხის კასრი მუცელზე წარწერით: „1955 წ. შემეწ. ილოძიო“.

სადროშე კოშკი უშუალოდ საბ(რ)ძანისზეა მიდგმული. იგი ნაწილობრივ ქვაკირითაა ნაგები. თავზე ექვსსანაწეთიანი ოთხფერდა სახურავი აქვს. ზემოდან ადევს ხინჭრიკვა და მრავალი შეწირული ჭიხვის რქა. აღმოსავლეთის მხარეს აქვს შუკუმა, რომელშიაც ნანთები სანთლებია დარჩენილი.

სადროშე კოშკის წინ აღმოსავლეთისაკენ დგას ნაგლეჯი ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები მილიონა, რომელსაც თავზე ადევს გარეული ვაცის (ნიაშორის) რქები.

იაკსრის ხატის დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, მთის აყოლებით დევს ფიქალის მოზრდილი, შუაზე მრგვალად ამოღარული ლოდი, საიდანაც თუშური ფერხული — ქორბელეა დაებმის ხოლმე. ლოდს ამოღარულ ადგილზე დაფარებული აქვს მრგვალი ქვა და ზემოდან ადევს ძელი.

ძველი აკლდამები სოფელ დართლოში

ხიდს გაღმა, დართლომთის ფერდზე, სამხრეთის მხარეს სოფლის სასაფლაოა. ამ სასაფლაოს ზემო ნაწილში ერთმანეთის გვერდით აღმართულია ორი ძველი აკლდამა.

შედარებით პატარა აკლდამა მართკუთხედი ფორმის შენობაა, ფიქალით ამოყვანილი მასიური კედლებით, ფიქალისავე შეისრული ფორმის ჭერით. შენობა ნაგებია მშრალად, შიგნიდან კი ლამ-კირით არის შელესილი. გადახურვა სანაწვთიანია. შესასვლელი დატანებული აქვს დასავლეთის მხარეს. შესასვლელი დაბალია, შერჩენილი აქვს ხის დირე და კარის ნაწილი ცალმხრივ რთული გეომეტრიული ჩუქურთმით შემკული. გარედან, ფასადის მხრიდან, კარსზემოთ, შუა ცენტრში დატანებული აქვს ბრტყელი რიყის ქვა, ხოლო მარჯვენა მხარეს კედლიდან გამოშვერილია რიყისვე პატარა ქვა. გარე ნაწილი სამკუთხედად მოჩანს. აღმოსავლეთის მხარეს აკლდამას დატანებული აქვს მშენებრივი ხელობით ნაკეთები სარკმელი, რომლის წინ. შენობის შიგნიდან, კედელზე მიდგმულია ფიქალისაგან აყვანილი პატარა ვიწრო საკურთხევლის მსგავსი ნაგებობა. სამხრეთის კედელში, დაბლა გაჭრილია მეორე სარკმელი.

სამხრეთის კედელზე მიშენებულია სასანთლის მსგავსი ნაგებობა შეისრული ფორმის ნიშით; ნაგებია ლამითა და ფიქალით.

ამ აკლდამისაგან ჩრდილოეთით მდებარეობს უფრო მოდიდო აკლდამა, სახეებით მსგავსი პირველი აკლდამისა. ეს შენობაც მშრალადაა ნაგები ფიქალის ქვისგან და შიგნით შელესილია ლამ-კირით. აქვს რვასანაწვთიანი ორღერდა სახურავი. ფასადი აქაც დასავლეთის მხარესაა და დატანებული აქვს ასევე დაბალი შესასვლელი. შესასვლელის თავი აგრეთვე შეისრული ფორმისაა და აქაც ხის დირე აქვს. ფასადის ცენტრში მოთავსებულია რიყის ქვა ზედ ოთხკუთხედი, ჩარჩოში ჩასმული სხივოსანი რკალით. აკლდამას აქვს კედელში ცერად შეჭრილი მრგვალი სარკმელი, შეისრული ჭერი და საკურთხეველი. საკურთხეველი აღმოსავლეთის კედლის ძირიდან არის აგებული ვიწრო სწორკუთხედი სვეტისა და ამ სვეტის თავზე დამაგრებული ბრტყელი სიბის სახით, რომელიც სიმადლით სარკმელს უსწორდება. გარედან აკლდამის აღმოსავლეთი ნაწილი ნაწილობრივ ჩამონგრეულია.

ამ აკლდამის მიწური იატაკის ნახევარ მეტრამდე გათხრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი სახეა ადამიანთა ძვლებით. აკლდამები შიგნით გამოთხარეს სოფელ დართლოს ახალგაზრდებმა (ლეკაიძე გიორგი ფორეს ძე, დაბ. 1939 წ., მარხვაიძე მელიტონ პაულეს ძე, დაბ. 1937 წ.). ლეგენდის თანახმად (მთხ. ილოიძე პლატონ ერასტის ძე, დაბად. 1913 წ.), აკლდამები გამოყენებული იყო ჭირიანობის დროს. ყველა დაავადებული თავისი ფეხით მოდიოდა აქ, ჯდებოდა ქვის „მეჯზე“ და ელოდებოდა სიკვდილს. ერთს მეორე ცვლიდა და ა. შ. გათხრის დროს ადამიანთა ძვლები თოთქოსდა ფენებად იყო დალაგებული და ყოველი ფენა მეორისგან ფიქალი ქვით გამოყოფილი.

წინასწარი ვარაუდები: ა) ორივე აკლდამა გვაგონებს ხევსურულ ბელესს, ოღონდ შთაბეჭდილებას ახდენს გარდამავალი ნაგებობისას ხევსურული ბელლიდან ქრისტიანულ ეკლესიაზე, ბ) ისემა საკითხი — ბაზილიკური ეკლესია თავისი კონსტრუქციით ხომ არ არის ნასესხები ძველი ქრისტიანობამდელი აკლდამებიდან, გ) ჭერის აღმოსავლეთის ნაწილი აყვანილია ოთხკუთხედა გვირგვინის ცალი გვერდის მსგავსად; გარდამავალი ფორმაა გვირგვინიდან შეისრულში.

სოფლის უხუცესი მამაკაცების საბჭო ადგილია, სადაც უმთავრესად სათემო სადავო საქმეები ირჩეოდა; მთელი პირიქითი ხეობის სასამართლო „საფრინდაო“ იყო. ამჟამად საფრინდაოდან შერჩენილია მხოლოდ ორი ქვა ვერტიკალურად ჩარჭობილი მიწაში, მათ გვერდით ყრია მიწაში ღრმად ჩაფლული სხვა ქვებიც. ვერტიკალურად ჩარჭობილი ქვები (ორი) აშკარად გამოსახული სკამებია. ყოფილა აქ სულ ცამეტი (13) სავარძელი წინათ. მე-13 ყველაზე უხუცესს ეკუთვნოდა. მთხრობელ პლატონ იდოიძის თქმით „დანარჩენი 12 სკამი 12 მოსამართლეს ეკუთვნოდა. ბოლოზე მოდამნაშავე იჯდა. აქეთ კიდევ მოჩივრის ქვა იყო, ეხლა აღარ არის“. მოსამართლენი ასწლიანი მოხუცები იყვნენ. საფრინდაოზე ირჩეოდა ყველა საქმე, „ამ ხეობის საქმე მანდა სწყდებოდა. სამციხეს ეძახდნენ ამ ჩვენ სამ სოფელს და გირევის, ფარსმის, ჭონთიოს საქმეებიც ირჩეოდა. თუ რამ საქმე იქნებოდა გადასაწყვეტი, სამტრო თუ სხვა რამ, აქ ირჩეოდა. აღმა და სამციხე ყველა აქ მოდიოდა, აქა სხდებოდა (სამეურნეო საქმეები?) — სუყველა აქა წყდებოდა (ჩილო საკუთრივ თავის საქმეს ხომ თითონ არჩევდა?) — ეგ უბრალო საქმეებს, სასოფლოს. მე კიდევ ეგრე მახსოვს, რომ ჩაღმის საქმეებიც აქ ირჩეოდა“ (შდრ. გ. ჩიტაიას წერილში „აღათი“ — ქართული ენციკლოპედია, გვ. 235.—237 — ასახული ცნობები თუშეთში სასამართლოს შესახებ და სურათი „საფრინდაო“).

ბ ა ტ ო ნ ი მ ა ლ ა ლ ო ე ლ ი ს ხ ა ტ ი

1890 მ-ზე ზღვის დონიდან, სოფელ დართლოდან ჩრდილოეთით, დაახლოებით, 150 მ დაშორებით, მთაზე აგებულია მაღალოელის ხატი. მაღალოელის ხატის დარბაზი ნაგებია მშრალად ფიქალის ქვისაგან. სამხრეთის კედელი მაღალია, ხოლო ჩრდილოეთისა უფრო დაბალი. ვადახურულია სიპით ცალფერდა სახურავით. შესასვლელი დატანებული აქვს აღმოსავლეთით.

დ ღ ე ო ბ ა მ ა ლ ა ლ ო ე ლ ი ს ხ ა ტ შ ი

მაღალოელის ხატი სოფელ დართლოდან ჩრდილოეთით მდებარეობს, სოფლის თავზე, დახლოებით 150 მ დაშორებით. დღეს ამ ხატში დღეობაა, მაღალოვლობა. ეს დღეობა წელიწადში ერთხელ მოდის.

ხატის დარბაზის აღმოსავლეთითა და სამხრეთით სიბები ჩაწყობილია. სწორედ ამ სიბების მიერ შექმნილ კუთხეში გამოიტანეს ხატის დროშა და დამაგარეს პირით აღმოსავლეთისაკენ. დროშის გამოტანამდე ძველი შულტას მიერ ხატის დარბაზში შენახული არყიანი ბოთლი გამოიტანეს, სამაგიეროდ ახალი ბოთლი შეაესეს და ხატის დარბაზში შეინახეს მომავალი დღეობისათვის. იქვე ლურჯ სუფრაზე (თავშალზე) დაწყობილია ხმიადები (სამკუთხი ფორმის პატარა პურები), სულ 9 ხმიადი. დღეს აქ ხატს სამი კაცი ემსახურება, თითო კაცზე სამ-სამი ხმიადი უნდა მოდიოდეს. იქვე დგას ლუდით საცხე სპილენძის ქვაბი, საიდანაც ლუდი კოდში გადმოიღეს. ანთეს თითო კაცზე სამი სანთელი, სულ ცხრა. დააკრეს სამი სანთელი სიბებზე, ერთი არაყიან ბოთლზე, რამდენიმე — ლუდიან ქვაბზე. შულტამ პლატონ იდოიძემ მოიყვანა ჭედლია, ანთებულ სანთლით შეუტარეს მატყელი თავზე და დაილოცა სასმისით ხელში:

„ღმერთო დიდებულო, ცა-ქვეყნის დამაარსებულო, საქართველოს გამჩენელო, ბატონო მაღალოელო, შენ მოუმართე ხელი შულტას, კაცსა, საქონელ-

სა...“ თან რეკავენ ზარებს. შემდეგ შულტამ დაკლა ჰედილა. დაკლული გადა-
აგორეს ფერდობზე.

ამ დალოცვის შემდეგ იწყეს მოსვლა მლოცველებმა. „წყალობა მოგცესთ
ყველასა“ — ამ სიტყვებით ხვდებიან მოსულებს დამხედურნი.

მოვიდა შალიკო ბასხაჯაური, თან მოიტანა 3 ხმიადი, სანთელი და არაყი.
შულტამ ასწია სასმისი და დალოცა: „ღმერთო ძლიერო, ბატონო მაღალოელო, შენ
შენ შეეწიე ბასხაჯაურ შალიკოსა“ — თქვა და დალია.

ბილიკზე ქალების ჯგუფი გამოჩნდა. მიუახლოვდნენ თუ არა ხატის კარს,
იქვე შეჩერდნენ ქალების საჯარესა და ხატის კარის საზღვარზე, ჩაიმუხლეს
და დაიწყეს იქიდან ხატისაკენ ყურება, თავ-თავისი სანთელზედაჲმე კი შვი-
ლებს, შვილიშვილებსა და ქმრებს გამოატანეს. შულტა საქმიანად ფუსფუსებს:
სსნის თავშალში გამოკრულ სანთელ-ზედაშეს, ხმიადებს, ლოცავს ნაწილს
იტოვებს, ნაწილს უკან აბრუნებს იმავე შვილების, შვილიშვილებისა და ქმრე-
ბის ხელით, თან წყალობას ატანს: „ღაღო იაცსარო, ბატონო მაღალოელო, შენ
შეეწიე ზედაშეს მომტანსა, დალოცე, უმრავლე ცხვარ-ძროხა... წყალობდეს,
წყალობდეს, წყალობდეს“ — იმეორებენ და ისევ ზარების რეკვა. ასე გრძელ-
დება საღამომდე, ბინდის ჩამოწოლამდე.

ბინდისას კი დიდი სამზადისი დაიწყო შულტა პლატონ იდოიძის ეზოში.
აქ თავი მოიყარა მთელმა სოფელმა, კაცმა და ქალმა, ახალგაზრდობამ. უზარ-
მაზარი კოცონის შუქზე ახალგაზრდობამ ტაშ-ფანდური გამართა. აივნის ქვე-
მთ, კოცონთან ვაკეზე დააწყვეს იმდენი პური, რამდენი მამაკაციცაა სოფელ-
ში. პურებზე ხორცის ნაჭრები ჩამოარიგეს. იქვე დგას ორი დიდი კოდით ლუ-
დი. თითო პურზე თითო სანთელი დაამკრეს და აანთეს. სანთლები აკაიფდა
ლუდიან კოდებზე და სასმისებზეც. შულტამ დაილოცა ისეთივე სიტყვებით,
როგორც ზემოთ, ხატში. ასეთივე სიტყვებით დაილოცენ მამაკაცები. ლხინი
განახლდა.

ამავე დროს სოფლის განაპირას ე. წ. „ხატისკართან“ დედებმა ერთად შე-
აქუჩეს სოფელში იმ წელს შემომატებული ყველა ბავშვი და „ხატისკარს გაიყ-
ვანეს“.

მთელი დამე არ შეწყვეტილა ლხინი სოფელში.

კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დავაკებაზე, დართლოს ზევის გაღ-
მა, ტუფის ქვის მსგავსი ლოდია, რომელსაც გარშემო შემოწყობილი აქვს
ზოგი მცირე, ზოგი დიდი ზომის ქვა; ამათგან ორი ხინჭრიკვა. ესაა კარატეს
ჯვარი. „როცა სოფელში ხევსურობას ხევსურეთის ჯვარიონნი გამოდიოდა, პირ-
ველად დართლოს ხანმატის ჯვარში მოდიოდა, იქ დაილოცებოდნენ, შემდეგ
კი გადმოდიოდნენ ამ კარატეს ჯვარში და აქ დღეობის წესის შესრულების შემ-
დეგ გადადიოდნენ ვეშაგურში — ესაც სალოცავი მილიონაა დართლოს სა-
ზამთრო ბოსლების ზემოთ“.

ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

სოფლის ბოლოს, ეკლესიის წინ დავაკებულ ადგილზე ხანმატის ჯვარის —
მილიონას ნანგრევია (ნაყარი ფიქალი ქვები). მის წინ, ამავე დავაკებაზე, ალაზ-
ნის მახლობლად, საფრინდოა.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა

სოფლის თავზე, ჩრდილოეთით არის უზარმაზარი სიბებით მშრალად ნაგები, უკვე თითქმის სრულიად დანგრეული ნაგებობა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედელი სანახევროდაა შემორჩენილი, მაგრამ ხავსითა და მცენარეებითაა დაფარული. სავარაუდოა, რომ შესასვლელი შენობას სამხრეთით ჰქონდა. აღმოსავლეთის მხარე სრულიად ჩაქცეულია და ზედ მაკატის ხის ბუჩქია ამოსული. სავარაუდებელი შესასვლელის წინ სიბებია დაწყობილი კიბის საფეხურების მსგავსად. მარიამწმინდაში ხბოებს სწირავდნენ.

თ ა ს ე ბ ი ს ს ა მ ა ლ ა ვ ი

თასების სამალავი წარმოადგენს ყორით ნაგებ ორმოს, რომელშიაც ჩადგმულია კოდი თასებით. კოდი ხისაა, საშუალო ზომის. შიგ აწყვია 12 ჩიხვის თასი, უკვე საკმაოდ დაძველებული. აგრეთვე სამი ხას თასი. კოდს წარწერა აქვს: „1931 წ. ილიოძე ფ. შმოწირა“. ერთი ჩიხვის თასს დაკრული აქვს ფული 1850 წლისა. აქვე ინახება საშუალო სიდიდის ზარა.

თასების სამალავის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე ნაბიჯზე შემორჩენილია რაღაც ნაგებობის დასავლეთი კედელი. კედელში შუკუშაა დატანებული. მთხრობელმა რეზო ცაძიკიძემ გვითხრა, რომ აქ წმინდა გიორგის ხატის დარბაზი უნდა ყოფილიყო. თასების სამალავს და სავარაუდებელ დარბაზის შენობას შორის უამრავი სიბი ყრია, ჩანაქცევი. თასების სამალავის სამხრეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით არის სასანთლე, ყორით მშრალად ნაგები; სამხრეთის მხარეს აქვს შუკუშა, თავზე ადევს ერთი ხინჭრიკვა. სასანთლე ჩრდილოეთის მხრიდან კლდეზეა მიდგმული.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვებე სოფლის შუა უბანში („შუუბანში“) მდებარეობს (ტაბ. 8). შენობა ნაგებია ფიქალი ქვისაგან, მშრალად. მთ. ფასადი დასავლეთის მხარეს აქვს. მთხრობლის თქმით საქვების შესავლის წინ ადგილს, საქვების კარი ეწოდება. შენობა გადახურულია ცალფერდად: სახურავი დაქანებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მთხრობლის თქმით სახურავის ამკვარ დაფერდებას თუშებიც ცალფერდას უწოდებენ. შენობას ჰერის გასამაგრებელი ხუთი ჯიდი აქვს. ჯიდეები კედლის თავებზე აწყვია. ჯიდეებზე დაწყობილია გრძელი ყავრები. ყავრები დაფარებულია სიპით.

საქვების იატაკი მიწურია, დატკეპნილი. მთხრობლის თქმით, „როდესაც იატაკი სიპით არ არის დაგებულ, ბანს ვეტყვით, როდესაც სიპითაა — ზღვა ეწოდება“.

შენობის შიგნით აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ არის ყორით მშრალად აგებული კერა შიგ ჩასმული ორი სალუდე ქვებით, რომლებიც ჭაჭვებითაა ჩამობმული ჯიდეზე. ეს ჯიდი ჩასმული და გამაგრებულია კედლებში. დიდი ზომის სალუდე ქვაბი 70 თუნგამდე ტევადობისაა.

საქვების ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გამართულია სვის მოსახარში კერა.

შენობის სამხრეთის კედელთან დგას დარკოს⁹ ჩასაწერი ნავი, ფიკვის მთლიანი ხისაგან გათლილი. ნავის ზემოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კე-

⁹ მოხარული ლუდი რომ ჩამოდის და იწურება, ეს არის დარკო, ხოლო სვეში გადალუდებულს, ზისწვენო ეწოდება.

დელზე გადებულია ჯიდი (მორი), ზედ ახვევია 6 ჯარჯი, რომლებზედაც ლუდის გასაწური ხაკები¹⁰ ჩამოებმებოდა. იქვე დევს სამჭირა (პატარა და დიდი), რომლებიც ხაკებს მუცელზე ეჭირებოდა.

საქვაბეში ვნახეთ ლუდის დასალევი ხის თასი, რვალის საკედე, სადაც ლუდს გადაიღებენ ჩასაფუებლად და რომ გადაგრილდება, მერე კოდებში ჩაისხმება.

საქვაბებს კედლებში დატანებული აქვს სამი შუკუმა: დასავლეთის კედელში ორი, ჩრდილოეთისაში — ერთი.

სოფელ დართლოს აღმოსავლეთ მხარეს ჩამოუდის დართლოს ხევი, დასავლეთით კი — წისქვილხევი.

სოფელი სამი უბნისაგან შედგება: „ქვეუბანი“, „შუუბანი“ და „ზეუბანი“; საყდარი ქვეუბანშია, ციხე შეუბანშია, საქვაბეც შუუბანშია.

სოფელ დართლოში თითოეულ უბანს თავისი პურის საცხობი ღომელი აქვს. „ჩავდგებით რიგში — ამბობს მთხრობელი — ვისიც სახელზეც იქნება, იმ დღეს ის გამოაცხობს. ჩემს სახელზეა, მაშ მე უნდა გამოვაცხო დღესა და ა. შ. ყველა უბანს თავ-თავისი ღომელი აქვს, მაგრამ ზოგჯერ ქვეუბნელებიც ამოდიან შუუბანში და შუუბნელებიც აცხობენ ქვეუბანში.

იმ ციხეზე, შუუბანში რომაა, ნადირათ ციხეაო, ვიტყვიო. მეორე ციხე (ზეუბანში) იღონათ ციხეა. იმ მონგრეულ ციხეებზე კი ასე ვიტყვიო: „ხევს გაღმა რომ ციხეებიაო. მაგათაც ექნებოდათ წინათ თავ-თავისი სახელი, საგვარეულო შედიოდა უწინ ციხეში და ამაგრებდა ბრძოლების დროსა.

საქვაბის ზემოთ რომ შენობაა, იმას ქავს ვეტყოდით. ქავი ძველებურია, საზაფხულო სადგომია, სადაც შილებს ქსოვდნენ ხოლმე. ქავს საქსლოსაც ვეძახდით. საქონლის ზამთრის სადგომს ბაშტე ჰქვია.

(ეკლესიის იქით პატარა ნაშალია, საცა ხევსურები მოდიოდნენ, რა ჰქვია მას?) — ხახმატის ჯვარი ჰქვია იმას. გაღმა კიდევ კარატის ჯვარია, მოლობილია კიდევ. ხევსურები ჯერ აქ ხახმატში მოვიდოდნენ, მერე კიდევ კარატში. „ხევსურობას“ ვეტყოდით, მაშინ მოვიდოდნენ, რიცხვი კი არ მახსოვს.

სასაფლაო სოფელ დართლოს საერთო აქვს, გვარებად და უბნებად დაყოფილი არ არის.

(იაცსარში დარბაზი არის?) — დიალ.

(დარბაზს ეტყვიო) — კი.

(კიდევ რა არის) — მილიონას ვეტყვიო, კიდევ ისაა.

(დროშა სად გამოჰქონდათ) — დროშას დარბაზის წინ გამოაბძანებდნენ; რომელ ხატსაც დარბაზი არა ჰქონდა, იმას არც დროშა ჰქონდა“.

სოფ. კვავლო

სოფელი კვავლო საკმაოდ მაღლა მდებარეობს, ზღვის დონიდან 2105 მ-ის სიმაღლეზე და ზემოდან დაჰყურებს სოფ. დართლოს. 1949 წ. სოფელი შედგებოდა 40 კომლისგან. ამავე წლის აღწერილობით აქ ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: თილიძეები, ვაწირიძეები, მიშიძეები და ჭუჭაიძეები. სოფელს დასავლეთის მხარეს აქვს საბოსლო ადგილები და მოსახლეობა ზამთარს იქ ატარებს (ტაბ. 9).

„ჩვენნი გვარი (თილიძენი) ძირად ფშავლები ყოფილან. იქიდან სისხლის აღების გამო გამოქცეულა, — მას ქოჩი ხქვიცნებია. პირველად ფარსმის თავში, სოფ. ვეშარში დასახლებულა; იმას იდიანთ ქალი შეურთავს. ქოჩის შვილი

¹⁰ ხაკი — ლუდის გასაწური ტომარა.

ყოფილა თილი, ხოლო მის შვილს გიორგი რქმევია. ვეშარიდან გვიანლა გად-
მოსახლებულიყვენეს კეველოში.

გაწირიძეებს ძველად იაქსრის თავში უცხოვრიათ. შემდეგ იქიდან კევე-
ლოში დასახლებულიყვენეს. გაწირიანთ ბიძაშვილები ჩილოში ხყვანდეს. დღეს
ჩილოს აღარავენა იმათი გვარისა. ჩილოდან წასული ერთი კვამლი დღეს შენა-
ქოში ცხოვრობს.

მიწიძეები უფრო ძველი მოსახლე ხალხია. ძველად ყველაზე მდიდრები
ისინი ყოფილან. ერთხელ მთელ სოფელს ჰამა გასთავებოცო და მარტო მაგათ
ხქონიყო.

კეველოში იყვის სამნათეო ყანები, როგორც საქერეი, ისე საპურეი. მამუ-
ლი იმდენ იყვის, რაიც ერთი საშუალო მეკომურს ეჭირის, დაახლოებით 1,5
ჰექტრის რაოდენობით. სოფელი მორიგეობით ირჩევდა ერთ კვამლ მნათეს,
რომელიც ჰპატრონობდა ამ სამნათეო ყანებს. სამნათეო ყანები ყველაი არ
ივენებოდის, ნათეი მარტო ნახევარს ხვნავდის. მეორე ნახევარი კი ყამირად
რჩებოდის. თივას მნათე სთიბავდა. ნათეს ყანების მოხვნაში სოფელი ეხმარე-
ბოდა. თესლს სთესავდა ამავე ყანებში მონავლას, გადმობარებულს წინა მნა-
თისაი. სთესავდის რომელიმე ხელხვაიანი, ან თითონ მნათეი. მნათეს სოფე-
ლიე ეხმარებოდის მომკა-გალეწვაშიც. ...ჩვენ ხატებს ტყე არ ხქონდის, არც
სათიბეები, გარდა სამნათეო ყანების ყამირებისაი.

ზაფხულის დღეობებისად სოფელ ირჩევდის შულტებს, რომელნიც ერთ
საშულტაო ყანას ხვნევდესად' იმის ალუდს სწურევდეს წმიდა გიორგის დღე-
ობისად... ჯელოსან იყვის, ის დლოცევა ზაფხულის დღეობებში სასოფლეიდ'
საკეამლო ზედაშეებს¹¹.

„სოფელს გექონდის საძროხეიდ' საცხვრე მთა. საძროხე მთაში ძროხებ
ყვანდიან, ჯააში კი ცხვარი. საძროხე მთის გაქირავება არ იცოდინან. საცხვრე
მთა კი, როცა სოფელს არ შქირდებოდის, გაქირავიან. საბალახეში აღებული
ხან ზაფხულის დღეობებში დაკლიან, ხან კიდეს სასოფლე ქეაბების გაკეთე-
ბაში მისციან.

საჯნაურ მიწაიდ ჩემს მოსწრებაში ერთხელ გაყვეს. თითო ყანა თავის
ბოსლის კარი მეპატრონეებთ ირჩიეს, დანარჩენი კი კვამლზე წილის ყრით გაყ-
ვეს. მიწის საზომი საყენ იყვის. საყენით გაზომიან საბელიდ' იმით ხყოფდეს.
ერთ საყენ ყანაი უდრის ორ ჩარექს. ითესებ ერთ კოდ ქერი, საპურე ყანა-
ში კი 5—6 ლიტრაი. სანამდ მამულეებ გიყოფოდ, მანამდინას ზოგს ბევრ მა-
მულ ხქონდის, ზოგს კიდენ ცოტაი. იცოდინან მამულის გაყიდვაი ჯერ თავის
სოფლელებზე, თუ სოფლელებს არ უნდოდის, მემრ ცხვა სოფლელებზედაც
ყიდინან. ჩვენ საბოსლოების გვერდით ყანები ფარსმანელებისა ყოფილიყუ —
აღბათ ან ნაყიდ ექნებოდა, ან კიდენ დოღში ნარგენი. მიწის ჩადგმა დოღში
იცოდინან. მიწა მით უდგინან, რომ საშვილიშვილო საქმეიაო და მიწის მეპატრო-
ნეთ შეესანდობარი არ დაიკარგებავ. იცოდინან მიწის მიცემა სისხლს აღება-
შიაც. თუ ვინმეს სისხლს აიღებდა, საკარგყმოდ მიწა მისციან.

სათიბეებიც კვამლეურად გაყოფილ იყვის, არ იყვის საონარო მიწები.

იცოდინან მიწის დალით მიცემაი. დალაში სულადით აძლიონ. მიწის დაგი-
რაეება იცოდინან. თუ დროზე ვერ გადუჰალის მეპატრონემ, მიწას ვერ გუ-
ყიდდ, ხოლოთ სანამ მონაცემს არ დუბრუნებდი, მანამდ ძველ პატრონ ვერ
ვერ მოხვნავდის. ახალ განაყრები ერთ მამულზეაე იყენიან, სოფელმ მამული

¹¹ თუშეთში დეკანოზს ჯელოსანი ეწოდება — მთხრ. თაღო გიორგის ძე თალიძე, დაბად.
1891 წ., ჩაწერილია 1949 წ.

არ მისცის. ისინი თავად ყიდულობდნენ მამულს. ზაფხულის ჩასარეველი ერთ მამულზე მყოფთ ერთ ჩასარეველ მეტ არ ჩუქრიან“¹².

კვავლოს აქვს თავისი საკუთარი სალოცავები: წმიდა გიორგი (დღეობა მოდის ლაშარობის მესამე დღეს), სადროშაეთანა (დღეობა — ლაშარობის მეოთხე დღეს), კარატონი (ლაშარობის წინა დღეს, დილით), ჯაკმატიონი (დღეობა — ლაშარობის წინადღეს, საღამოთი), მარხვა საჯსნელთანაი (დღეობა — მარხვის გახსნის დროს).

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვებზე სოფლის შუუბანშია. (საძირკველი აქვს თუ არა შენობას?) — „ეს ძველი წინაპრების ნაშენებია, საძირკველი არა აქვს, მშრალადაა ნაგები ფიქალის ქვით (სიბი ქვა ჩვენებურად). საქვებზე შესასვლელი სამხრეთის მხარეს აქვს. (საქვებზე ზღურბლს რას უწოდებთ?) — „შესავედი ეწოდება საქვების ზღურბლსაც და საერთოდაც (კარის ნაპირზე რომ ყორის წყობაა, იმას რას ეტყვი?) — კარის ჩარჩოს ადგილს. კარის ჩარჩოსთან დატოვებულია ადგილი, ამას საკედურები ეწოდება“.

საქვების აღმოსავლეთის კედელში მთელ მის სიგრძეზე და სახურავიდან ვიდრე კედლის შუა სიმაღლემდე დატოვებულია მარტკუთხედი ფორმის ამოუშენებელი არე პერისათვის. აქვე უნდა მდგარიყო ნავი ლუდის (დარკოს) ჩასაწურად. დასავლეთის კედელში დატანებულია შუკუმა. საქვების იატაკად დატკეპნილი მიწაა — ამას ბანი ეწოდება. საქვების სახურავი ეყრდნობა ორ დიდ ბოძს. ბოძები იატაკიდან ჩასმულია ქვის ლოდებში.

საქვების დასავლეთის კედელი მაღალია, აღმოსავლეთისა დაბალი, გადახურულია ცალფერად. (რას ეძახით ასეთ გადახურვას თუშურად?) — „ერთბირას ვეძახით, ორბირაც არის სახურავი“. სახურავი ოთხ ჯიდს ეყრდნობა. ეილებზე მთელ სიგრძეზე გადებულია ყავრები, ყავრებზე სიბია დალაგებულია. (როგორ უნდა დალაგდეს სიბი? — „ირიბად ერთიმეორეზე, მაგრამ ძალიან დამრეცი არ უნდა იყოს, რომ არ ჩამოცურდეს“.

საქვების სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში გაკეთებულია ქვების ჩასასმელი. ქვების ჩასასმელის კარს საცეცხლე ჰქვია. (ქვაბი ვისი გაკეთებულია?) — „არ ვიცი. წინათ აქ დადიოდნენ მესპილენძეები და მკალავები, უფრო ლეკები. ერთი კახიცი იყო მერვალე ალექსა თელავიდან, ჩვენი სოფელი ქალი ჰყავდა ვეძისხეველი და ჩვენი სიბე იყო“.

საქვებში ორი ქვაბია: ერთი ჩასმულია კერაში, მეორე კი საქვების ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხეში დევს გაუქმებული; შიგ აწყვია სამჭკრები — გასაწური ჯონები. გაუქმებულ ქვაბშივე დევს ხის ძველი თუშური საწლე, ლუდის გასაწური ცხრილი.

კერაში ჩასმულ ქვაბს აქვს სახელური და სახელურზე მოდებულია კაკვი, რომელიც თავისი მხრით დაკავშირებულია ჯაჭვთან, ჯაჭვით კი ჩამოკიდებულია კერაში. ქვაბში ჩადის 60 თუნგი, თუნგში ვედრონახევი ჩაღენილა — ე. ი. ქვაბი სულ 900 ლიტრი ტევადობისა ყოფილა.

ს ა ტ ა ბ ლ ე

ამ ხატს „სატაბლეს“ ვეძახითო, თქვა მთხრობელმა გაწირიძე როსტომმა. სოფლის შუუბანში, საქვების დასავლეთის მხარეს, მომაღლო ადგილას მდებარე

¹² მთხრ. თაღო გიორგის ძე თილიძე, დაბად. 1891 წ., 1949 წ. ჩამწერი შ. ბაკურიძე.

რეობს საშუალო სიდიდის ქვა, რომელსაც თავზე ხინჭრიკვა ადევს. მთხრობ-
ლის გადმოცემით, როცა თასები მიაქვთ, ზემოთ, აქ გამოიტანენ ზედაშეებს და
დალოცავენ მაქალათები. მაქალათები ორი კაცი და ორი ქალია, ხევსურულად
არაინ ჩაცმულები და ან ჩინი დალოცავენ, ან უფროსი კაცები.

ხ ა ხ ა

სოფელ კვავლოდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, სამხრეთის მხარეს,
მომადლო ადგილზე პატარა დავაკებაა. ამ დავაკებას ხალხი ხახას ეძახის. აქ
სიპი ქვისაგან მშრალად ნაგები ყორეა. ყორეს თავზე ადევს ბრტყელი გაბ-
ზარული „ხოხი“ ქვა (სახეხი ქვა). ხოხი ქვის ქვეშ დევს მართკუთხა ფორმის
ასეთივე ჭიშის ქვა.

„სულ პირველად ხევსურები მოდენილან აქა, „ხევსურთ მოას“ ვეძახდით,
მაშინა. ეს ან კარატი იქნება, ან ხახმატიო“, დაბოლოება მთხრობელმა.

ნამდვილად კი ე. წ. ხახა კარატიონის სალოცავია, რადგან იგი წარმოდგე-
ნილია მილიონათი, მაშინ როდესაც ვავმატიონს „აქვს დარბაზი, სადაც ხატის
ქონებას ინახავდეს“.

ჯ ვ ა რ თ შ უ ა ა ნ უ წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი

ჯვართშუა მოთავსებულია სოფლის ზენუბანში, კლდის წვერზე. ამავე
კლდის წვერზე აღმოსავლეთის მხარეს „დროშის შესანახავი დარბაზია“ და მის
ახლოს დროშის გასატანი ადგილი. ეს წმინდა გიორგი უნდა იყოს, რადგან
დღეობა ამისი ლაშარობის მესამე დღესაა, სამშაბათს — ამბობს მთხრობელი.

დროშათ შესანახი დარბაზი ორფერდა სახურავიან, ფიქალით მშრალად
ნაგებ პატარა შენობას წარმოადგენს. მას აღმოსავლეთის კედელში დაბალი შე-
სავალი პქონია, რომელიც ამჟამად ამოყორილია.

„ეხლა, დღეობის დასასრულს ყორის 5 სიპს ამოიღებენ და შიგ ათავსებენ
დროშებს“ — ამბობს მთხრობელი. დროშით შესანახის გარდა კიდევ არის თა-
სების შესანახი ადგილიც. „აგე იქით რომ კლდე მოჩანს, იმის იქითაა — (შო-
რეულ კლდეზე მიუთითებს და განაგრძობს) — იქ ინახავენ შეწირულ ჭიხვის
თასებს და ხის თასებს. (რატომ ინახავენ იქა?) — წესია, ძველიდან შოდის ევ
ჩვეულება. მე ვიყავი მაქალათი გუშინა, ხის ხმალი მეკიდა და, ვინც არ იცეკ-
ვებდა, ფეხებში ვცემდი ყველას. ჩვენ მოვიტანეთ მაქალათებმა იქიდან თასები.
ხუთი ტომარა წავიღეთ და სულ გავავსეთ თასებითა. მერე იმ თასებსა იქ მი-
ვიტანთ, იმის ოჯახში, ვინც ნათეა. იქ სოფელში გვექნება ორი დღე, ნათეების
ოჯახში. მაგალითად, ორშაბათს წამოვიღე ნათეს ოჯახში, სამშაბათს ახალ ნა-
თესთან მივიტანეთ, იქ დავლოცავთ ახალ ნათეს და სამშაბათს ისევ უკან წავი-
ლებთ. იქ გამოქვამულივით არის, სიპებს ვაჭარებთ ზედა“.

დროშების შესანახ დარბაზში არის ორი თეთრი საწირით („ძონძის ნაქრე-
ბით“) გაწყობილი დროშა და ერთიც, მესამე, გაუწყობელი. ნაქრებზე ამოქარ-
გულია შემწირველის სახელი, გვარი, თარიღი, გაფრენილი ფრინველი, ქალი,
სახლი და სხვა. დროშებზე ზარებია შებმული. დარბაზის ერთ კუთხეში დევს
ღეთისმშობლის ხატი.

დარბაზის ჩრდილოეთით კლდეზე არის ყორით ნაგები კედელი და რადაც
სხვა ნაგებობა, რომელსაც ზემოდან ადევს წისქვილის ქვის მსგავსად მომრგვა-
ლებული ფიქალი შუაზე ნახვრეტით დროშის ტარის დასამაგრებლად. იმავე
კედლის დასავლეთის ნაწილში მოწყობილია საკურთხეველი, რომელშიც აწყ-
ვია შეწირული ქადა-კერის ნაწილები, ცხოველთა ძელები, ხშიადის ნაწილები.

მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით კვავლოს მთაზე, 2.220 მეტრზე ზღვის დონიდან. მთის წვერი გარშემო ყორით არის გამაგრებული და დაჯავებული, მის ცენტრში აღმართულია ციხედარბაზის მსგავსი შენობა — გეგმაში სწორკუთხედი, ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად ნაგები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების წყობაში დატანებული თითო-თითო ფიჭვის სქელი მოკრით და შესავლით აღმოსავლეთის კედელში. შენობის სამხრეთის კედელი, რომელიც მისი მთავარი ფსადის შთაბეჭდილებას ტოვებს, შემკულია ამ კედელში შერჭობილი ჯიხვის წყვილი რქით, ჯიხვის რქების და შუბლის მთლიანი გულით და ირმის რქებით. ამავე დროს შენობას თავი მორღვეული აქვს.

მთის წვერის გარშემოვლებულ ყორეში სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანებულია სასანთლე სადროშითურთ — ყორიდან გარეთ წამოწეული ბრტყელა ფიქალით, რომელსაც ცენტრში ნაჩკრეტი აქვს დღეობის დროს დროშის ტარის დასამაგრებლად.

ჯვართანას შენობის დასავლეთით, ყორის გადაღმა აღმართულია ე. წ. „სათრინდაო“ — მოგრძო რიყის ქვა ცალი წვერით მიწაში ჩასმული და გამაგრებული. მთხრობლის განმარტებით, დღეობაში სოფლის ახალგაზრდობა საფრინდაოზე გადახტომით ერთმანეთს სიმსუბუქეში ეჯიბრება ხოლმე.

ჯვართანას ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთის ფერდობის ნაწილი ყორის ვალენით არის გარშემოვლებული. აბრამ თილიძის განმარტებით, ეს ადგილი გაწირიძეების საკუთარი საყანე ადგილი იყო და ისინი ამ საყანეს ამუშავებდნენ მიუხედავად იმისა, რომ იგი ხატის მახლობლად მდებარეობდა. ამაზე ხატი გაწყრა და გაწირიძეები გაწყვიტა ისე, რომ მარტო ერთი და-ძმა ლა არის ეხლა ამ გვარიდან გადაჩენილი.

ს ა დ რ ო შ ა ე თ ა ნ ა ი

ეს ხატი კვავლოდან ჯვართანაზე უფრო შორს, ჩრდილოეთის მიმართულებით მდებარეობს. მთხრობლის აბრამ თილიძის განმარტებით სადროშეთანის ნაგებობა მილიონას წარმოადგენს. მის დღეობაზე, ე. წ. სადროშეთანობას ბალების აქ, „ჯვარის კარზე მიყვანა“ იციან. დედა თავის ბალოს ჯვარის კარზე ვერ მიიყვანს, ეს უნდა ქნას ბალის მამამ ანდა მისმა ნათესავმა, ძმობილმა¹⁴ თუ მეგობარმა კაცმა.

რაც შეეხება პატარძალს, კვავლოში ის ქორწილის მესამე დღეს „წყალზე მიყავთ“, ე. ი. მას წყაროზე ან არხზე გაიყვანენ ხოლმე.

მ ა რ ხ ვ ა ს ა ვ ს ნ ე ლ ა თ ა ნ ა ი

ასე ეწოდება ჯვართანას სამხრეთით, კვავლოს მთის ფერდობზე მდებარე ლოდს, რომლის წინ წვრილ ქეებზე ბრტყელი სიბი არის დაგებული. აბრამ თილიძის ცნობით, ხატის დღეობაზე მოსული ხალხი ამ სიბზე შესაწირავ ქადაკეერებსა, ზედაშეებსა და სანთლებს გააწყობს ხოლმე. მარხვასავსენელათანის

¹³ შესაძლებელია ჯვართანას მეორე სახელი „ქაქმატიონი“ იყოს, ვინაიდან შოთა ბაკურიძის აღწერილობით, კვავლოს სალოცავებიდან, წმ. გიორგის გარდა მხოლოდ ქაქმატიონს აქვს დარბაზი.

¹⁴ მთხრობელმა ძმობილთან მახლობლობა შემდეგი მაგალითით განმარტა: „ღედის ძმის ძმობილს მე ჩემს ღედის ძმას ვეძახი“.

დღეობა გაზაფხულზე, დიდმარხვის შეიდი კვირა რომ გაივლის, მაშინ მოდის. თუშის დედაკაცებს მხოლოდ ამ ხატთან შეეძლოთ ახლო მისულნიყვნენ.

აბრამ გიორგის ძე თილიძის თქმით, თილიძეები ძირად ლეკებია. იქიდან (ლეკეთიდან) არის (თილიძეების წინაპრის) ოჯახი წამოსული, ითუანხალის რაიონიდან, აჩარის ხეობიდან, სოფელ შატოვიდან.

თუშებიდან თილიძე იყო ხევსურებსა და ფშავლებს რომ ებრძოდა.

კ ვ ა ვ ლ ო ს ს ა ს ა ფ ლ ა ო ს მ ა ტ უ რ ე ბ ი

კვავლოს სასაფლაოს მატურები დართლოს ორ ძველ აკლდამას ჩამოგაქა არა მარტო თავისი საერთო იერით, არამედ უკანასკნელთა მსგავსად, თითოეული მათგანი გეგმაში სწორკუთხედი და თავსანაწვთიანი ღეგლია.

მაგრამ სხვა მხრივ ისინი თავისებური არიან. აქ ყველა მატურა კვრივია და შედარებით მცირე ზომისა, მთავარი ფასადით მოქცეულია სამხრეთ-აღმოსავლეთით. სანაწვთები ზოგს აღარ უჩანს, დანგრეულია. ერთ-ერთ შედარებით კარგად შემონახულ მატურას აქვს სამსანაწვთიანი თავი და მთავარი ფასადის ცენტრში თავმოისრული ფორმის შუკუმა. დაბოლოს, ხაზგასმულია ერთი თვალსაჩინო დეტალი, რომლითაც კვავლოს სასაფლაოს მატურა თავსი თავგადახურვით ყველა სხვა ნაგებობის სანაწვთიანის სახურავისაგან გამოირჩევა. ყველა მატურაზე სანაწვთიანი გადახურვის ზედა ფეჭალის ცენტრში გახვრეტილია და ამ ნახვრეტში ცალი წვერით ჩასმულია რიყის მოვრძო ქვა ისე, რომ მატურის თავზე ის ვერტიკალურად აღიმართება.

ერთ-ერთი მატურის შუკუნში შედგმულია სწორკუთხა ფორმის თხელი ზედაპირმოსუფთავებული სიპის ნაქერი, რომელზეც ამოღარულია შემდეგი წარწერა: 1907 წელსა იანვრის 27-სა დღესა

გადავიცვალე მე უგვირგვინო ქალი
სოფიო ბაბოს ასული თილიძე
საფლავსა შიგა მდებარე ვარ მე უღროვით
მიწისა სტუმარ და სოფო ბაბოსა
ასული 16 — წლისა ქალი

სოფ. დანო

სოფ. დანოში 1949 წლის აღწერილობით 50-კომლამდე უცხოვრიათ შემდეგ გვარებს: თავბერიძე, ლუხუშიძე, ხაპრიძე, თათარაიძე, ალხანაიძე, შახაძე, უმარაიძე და ხელიაძე. „ალხანაიანი, შახაიანი უმარაიანი წმიდა კრისტები არიან. სისხლის აღების ნიადაგზე ორი ძმანი — ისაიდ, უმარაიდი ერთივე დაი ფატირა აქ დასახლებულიყვნეს, ბიჭებიც აქვე დაქორწილებულიყვნეს, ღაიც აქვე გეტხვო. უმარაის შვილები უმარაიძედ დაიწერნეს, ისას შვილებს ისანთ ეძახიან, ფატირას შვილებ კი ალხანაიძეებად იწერებიან. თავბერათ ბიძაშვილები ხყვანან ომალოში. აქითები უმამულობის გამო ომალოს გადასახლებულიყვნეს“.

სოფ. დანოდან იყო ლაშარის ჯვრის ცნობილი დეკანოზი ასტორი. გადმოცემით, შუა ზამთარში, მთლად ტიტველი, ერთი პეტრი სიღრმე თოვლში მთამთა წასულიყო ლაშარში. მის საფლავზე წარწერილია: „გარდავიცვალე ჩუა (1901) წელსა, შენდობა მაღირსეთ. ასტორ ლუხუშიაიძე“.

„დანოში იყვის ორ ზომიანი სამნათეო ყანაი (1200 კვ. საყენი), რომელსაც მნათეებ ხენვედეს. მნათეები ორ კვამლი იყვისად წილის ყრით ირჩიიან სოფელმ. მნათეები, თავის ნათეობაი რომ მიშორიან, მემრინას სოფელმ გარეე წილ ყარის, ვინაც წინა წლებში ნათეებად ნამყოფებ იყვინან, იმათ წილს არ

ჩავიდიან. ნათეებს ყანების მოვანაში სოფელ ეხმარებოდის. ერთ კვირაე დღეს ყველან გამოვიდიანად მოვნიან. მოვანაებს ნათეები აჭმიან ჰამაი. თესლი ნათემ გილის, მემრ კი გარევე უკენაე ილის. მომკაშიად გალუწვაშიაც სოფელიე ეხმარებოდის. მოსავალი რამდენიც იყვის, იმდენიე ქება ალუდი უნდა მეწურ. ნათეები თავის მოსავალს არ გილებდეს. ნათეებიე ამზადებდეს ფორსაც. სვეს თავად ნათეები ჩაყრიდეს. ირჩიიან მაქალათები სამ დიაციდ ერთიც კაცე, მესაფუერეი. ისენი სწურევედეს ალუდსად სოფელსაც ისენიე უხვებოდეს. ნათეები ჰკლევდე თითო ძროხას, კორცს იწონებდის. თუ კაი ძროხაი არ იყვის, წონაი ვერ ამოვიდის. ნათეები ერთ ზეონელი იყვისად ერთიც ქეეობნელი. თითო ნათეს სოფლისად ორჯელ უნდა ექმეე პური. მთელ სოფელს მუძახიანად მაქალათები უხვებოდის. ნათეებს ევალებოდის საზამთრო დღეობისად გამასპინძლებაი გიორგობითაი აღდგომამდი. სოფელმ ირჩიის წილის ყრით ორ კვამლი შულტაები. იმათ ევალებოდ კიდენ საწყაროგორი ალუდების მოწურვაი. შულტაები სოფელში მოკრიფიან ფორიც, სვეიც, შეშაიად ალუდ მოსწურიან. შულტაები თავის საკლავს ხკლევდეს დღეობაში. ზაფხულის დღეობები რაიც მოვიდის, იმისად ალუდი სუ შულტაები სწურიან. საშულტაო ყანაი იყვის ერთ ზომაი, იმას შულტაებ ვნევიდის, იმის მოსავალ ყველა დღეობას არ ხყოფნიდისად, მარტო წყაროგორისად სწურიან. დანარჩენ დღეობებისად კი სოფელში მოკრიფიან ფორიცად სვეიც“.

შენიშვნა: შობა და წელწლობა სამნათეო დღეობებია, რომელსაც საგანგებო ხატი არა აქვს. აღდგომიდან გიორგობამდე კი ყველა დღეობა საშულტაოა.

სამნათეო მიწები ყველგანაა, საშულტაო მიწა კი შეიძლება ყველგან არ იყოს. შულტას ზოგან აღდგომას ირჩევდენ, ზოგან — გიორგობას; მნათეს კი ყველგან წელწლობის დასასრულს აირჩევდენ ხოლმე.

„ზედაშეს“ შეადგენდა: 1 ცალი ვშიადი („სამკუთხიანი კვერი“), კვერებზე დადებული ყველის ნაჭერი (300—400 გრამი), ზედვე დაწყობილი სამი წმინდა სანთელი და ერთი ბოთლი არაყი; ერთი იქვე ხატში რჩებოდა. ერთს იქვე ჩამოარიგებდენ და მესამეს შინ წაიღებდენ. სანთლებიდან ერთი ვშიადებს დაეკვროდა, ერთი — ზედაშეს ბოთლზე და მესამე სანთელს სოფელი ერთად დაახვევდა და ერთად მოუკიდებდა სასანთლეშ ან მილიონას შუკუნში.

„სასოფლო ზედაშე“ არის ის ლუდი, რომელიც ხალხში შეგროვილი ფორისაგან არის მოხარშული, აგრეთვე ორ კომლზე მოკრეფილი ორ-ორი „სასუფრე პური“ და სამი სანთელი. ილოცება ერთად. მერე დაივილიან კაცებში და თითო სუფრა რამდენ კაცსაც ერგება, იმდენზე გაანაწილებენ.

„სამთხოროს მოწურვა“. სამთხორო არის საკომლო ლუდი, რომელსაც ოჯახი გამოხდის ამა თუ იმ ხატის სახელზე ამ ხატის დღეობისათვის და მის „ნათურა“-ს წაიღებს ხატში და დეკანოზს დაალოცვინებს; მარტო ამის შემდეგ შეუძლიათ ამ ალუდის დაღევა.

როცა ოჯახს ეს „სამთხორო“ აქვს, მაშინ „ზედაშედ“ მოაქვს მისი „ნათურა“ და საკლავი: ჰედლა. ან მოზეერი („კურატი“). „სამთხორო“ საკლავიდან ხატში რჩება ერთი ბეჭი და ტყავი. მეორე ბეჭს „მხვეწარი“ სასოფლო საკლავების ქვაბში ჩაუტრევს. როცა ის მოიხარშება, თავის ორ პურს გამოიღებს. ზედ ამ ბეჭს დაადებს და სოფლის სუფრებში შეუტრევს. „სამთხორო“ მხვეწარს“ მიაქვს ჭვარში, იქ დაალოცვინებს, იქ დააკვლევინებს და შემდეგ ააქვს და სასოფლო სუფრაში თავის სუფრას შეუტრევს. დანოში „ჭვარს ტყეი არ ხქონდის, არც სათიბეი, შეშაი სოფელში კრიფიან. წყაროგორში კი შულტაებთ წილიან კორცის მოსახარშავად.

წყაროგორის დეკანოზი იყვის ასტორა. იცოდის, რომევე აშტოთაი წყა-

როგორამდე ჯაჭვი იყვისაც გაბმულიოდ' იქით კიდენ ასტორამდე. ასტორა ლაშარის ჯვარის დაქერილ ყოფილიყო. ერთნენ შუა ზამთარს ტიტველია მთა-მთა წასრულიყო ლაშარში. პირველი სოფელს ვერ გაეგო თუ სიდ წავიდად' მემრეაი ლაშართაი მოსრულიყო. ის მეტა წმიდად ინახევედის თავს. არც ცოლ შირთ, რომეთ ლაშარმ ამიკრძალავ. ლაშარობისიდ წყაროგორის ერთ კვირასის წინაც წავიდისად, დარბაზში იყვიო. აგრ იცოდის, ცხადლიც გამომეცხადებოდ, ყველას მიამბობსაც. იმის ნამბობი ჩვენ არ გვიტხრის.

საძროხეიდ' საცხვრე მთა სოფლისა იყვის. თუ სოფელს არ შჳირდებოდის, გაქირავიან. საბალახეში აღებული სოფელსაც ხმარდებოდის.

ჯაროვანი ჰყავდათ საცხვრე მთის დაბლობ ნაწილში.

„დანარჩენი სახნაური მიწაი გაყოფილ იყვის კვამლეურად, ყველას თავთავის ყანები ხქონდის. იცოდინან მიწის გაყიდვაი. მაგრამ ცხვა სოფლელებე არ გაყიდინან. დალეულთ მიწაი ზოგი დოღში ჩუდგიან, ზოგ კიდეც გვარბიდა-შვილს დარშჩის. ახალ განაყრებს მამული არ მისციან. თუ ორ-სამ კვამ-ლი ერთ მამულზე იყვის, იმათ ერთიად ჩასარეველ ჩუ-რიიან დღეობებში. ჩასარეველს შულტაები მამულზე ხკრეფდეს. გაყოფილ იყვის სათიბეიცად' ტყეიც“.

სოფელ დანოს სალოცავები იყო: წმინდა გიორგი წყაროგო-რისა (დღეობა მოდიოდა აღდგომიდან 107 დღეს, კვირა დღეს), კარატია ჯვარი (დღეობა — 14 ივლისს ძვ. სტილით), ჯაჯმატის ჯვარი (დღე-ობა — გიორგობის თვის 10-ში, ძველი სტილით და 15 ივლისს), აშტომი-ქელ-გაბრიელ მთაეარანგელოზი (დღეობა — 22 ივლისს ძვ. სტი-ლით, ოთხშაბათ დღეს), ახალჯვარი დედა მარია მღვთისმშო-ბელი (დღეობა — 15 ივლისს ძვ. სტილით, ერთ დღეს)¹⁵.

წმინდა გიორგი წყაროგორისა

მდებარეობს ზღვის დონიდან 2070 მ-ზე. წმინდა გიორგი წყაროგორისა სოფელ დანოდან კარგა შორს მდებარეობს, სოფლიდან დასავლეთის მხარეს. ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაურკვეველი შენობის ნანგრევებს გარდა, რომელთა რიცხვი შვიდს უდრის, ხატი შედგება საბრძანისა (დარბაზს თუშურად საბრძანი ჰქვია), მილიონასა და მათ გარშემო შემოვლებული ყო-რის გალავნისაგან (ტაბ. 10).

საბრძანი ოთხკუთხა ფორმის ყორით ნაგები შენობაა. ფასადი აქვს სამხრეთით, სადაც მარცხენა კედელთან შესავალია. შესავალი მოპრგვალებუ-ლია კარიბჭესთან. ჩრდილოეთის კედლის შუა ნაწილის გასწვრივ დატანებუ-ლია ოთხთვლიანი თახჩა (შუკუმა). ამ მხარეს და მის პირდაპირ კედლები შუაზე ოდნავ აწვერილია და წვერის თავზე გადებულია ყავრი — ხუთ-ხუთი ყავრი ორივე მხრივ — რომელიც თავის მოპირდაპირე ზოლოებით კედელს ეყრდნობა. აღმოსავლეთის კედელში დატანებულია ფიქალის თარო, ხოლო სამხრეთის კე-დელში ერთი შუკუშია. შენობა გადახურულია სიპებით. კეხისა და ყავრის გა-დახურვა ქმნის ორფერდა სახურავს.

საბრძანის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან აკრავს მილიონა. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის მალალ მკვრივ ნაგებობას, რომელიც ზემო ნაწილში მთავრდება ხუთი სანაწუთით და თავში ცენტრალურ ადგილას აღმარ-თული ფიქალის კონუსის ფორმის ქვით. აქვე, ამავე ფიქალსა და კონუსს შუა დევს ჯიხვის რქები. ჩრდილო-დასავლეთის მხარეს აქვს შუკუმა, რომელშიც

¹⁵ მთხრ. ხართე ალექსის ძე თათარიძე, დაბად. 1888 წ., 1949 წ. ჩაშ. შ. ბაკურიძე.

შეწყობილია დაძველებული ჯიხვის თასები. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს კი აქვს სასანთლე შუკუმა, რომელშიც აწყვია სანთლები. შუკუმის ზემო ნაწილში ფიქალზე წარწერაა, მარცხნიდან მარჯვნივ: „1960 წელს იასონ თათარაიძე“ ამავე ქვაზე მარჯვენა მხარეს 1963 წლის წარწერა ცუდად იკითხება, ხოლო მახლობლად გვერდით ქვაზე, რომელზედაც ეყრდნობა ზემოწარწერიანი ქვა, არის წარწერა:

- I სტრიქონი — „1965
- II სტრიქონი — სვიმო ჯოჭიუ
- III სტრიქონი — ლუზარული“.

ქვედა სანაწეთის ქვეშ მარჯვენა მხარეს გამოშვებულია სიპი, ცენტრში ნახვრეტით, რომელშიც ჩადგმულია ჯიხვის რქა. კედლიდან გამოშვებული ასეთივე ნახვრეტის სიპები დატანებულია ამავე ფასადის მარცხენა ნაპირზე. ქვედა სიპის ნახვრეტში ჯიხვის რქა დევს, ხოლო ზედა სიპის ნახვრეტი სადროშე ტარის სამაგრებელი უნდა იყოს. მსგავსი სიპი ნახვრეტით დატანებულია სამხრეთის კედელში მარცხენა ნაპირას; შუა ადგილას და აქაც ნახვრეტში კვლავ ჯიხვის რქაა ჩასმული.

მილიონას მთავარი ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი უნდა იყოს. რომელსაც წინ ფიქალისაგან ნაგები ზღვა აქვს. ზღვას შუა ფიქალზე წარწერაა, რომლისაგანაც იკითხება შემდეგი ადგილები:

„ვახ . . . პლატო
1948 წ.
მე სანდრო
არშაუ
ლიძე“

ერთ-ერთ სანაწეთზე შუკუმის ზემოთ დევს ჯიხვის რქები, ხოლო შუკუმის ქვედა ფიქალზე წარწერაა:

„1964
ვასილის ძე
ზურიაშვილი
ამირანი“

შემდეგი წარწერაა:

„მეტო შოშიაშვილი მ
წყარო ე
კონდოლიდან გორში“ ც
ხ
მ
ა
რ
ე
„1962 წ.“

იორამ თათარაიძე“; „1958 წ. კოსტაღე შაბალაიძე“; და ა. შ.

ხატის კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ყორის გალავნის ნაწილია, ხოლო სამხრეთის მხარეს ასეთივე გალავნის ნაშალი. მილიონას და საბრძანის ჩრდილოეთის მხრიდან ყორის გალავანი აქვს საკუთარი. მოპირდაპირე მხარეს ყორით გამაგრებული მთის ფერდაა.

ა შ ტ ო - მ ი ქ ე ლ - გ ა ბ რ ი ე ლ მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი

სოფელ დანოდან ჩრდილო-დასავლეთით, მთაზე მდებარეობს აშტო-მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი. იგი წარმოადგენს ყოვლით ნაგებ ნახევრად მომრგვალებულ ნაგებობას, რომელიც მცირე ყორის გალავანს მოგვაგონებს და რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გალავანი აწეულია ოთხკუთხედად სიმაღლეზე და წარმოადგენს მილიონას; მას თავზე ადევს ხინჭრიკვა. მარჯვნივ მისგან, კედლის თავზე განიერი მასიური ქვები დევს, ერთი მომცრო და მეორე მომრგვალებული. შემდეგ კვლავ მარჯვნივ, გალავნის სამხრეთის მხარეს აგებულია სასანთლე ნიში, საკმაოდ დიდი ზომის სასანთლე შუკუპით და ზემოდან დაწყობილი ხინჭრიკვას ქვებით, ვერტიკალურად დადგმული კონუსის ფორმის ვიწრო ფიქალი ქვით. სასანთლის თავს ხინჭრიკვებთან ერთად ამშვენებს ჯიხვის რქები. სასანთლე ნიშის მარცხენა მხარეს გამოშვერილია ბრტყელი ფიქალი, რომელიც შუაში გახვრეტილია დროშის ტარის დასამაგრებლად (ტაბ. 11).

დასავლეთის მხრიდან ამ საკულტო ნაგებობას საზღვრავს თავმორღვეული ციხე. ხატის მხარეს ციხეზე მისი კედლის მთელ სიგანეზე გარედან მიშენებულია ფიქალი ქვის საჭდომები. ამოსასვლელი აშტოს სალოცავში არის ჩრდილოეთის მხრიდან.

აშტო მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს ამავე მთაზე, ოღონდ მის ძალზე შვეული ფერდობის შუა წელზე, მოწყობილი აქვს დროშის სამალავი დარბაზი.

ა შ ტ ო - მ ი ქ ე ლ მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს დ რ ო შ ი ს ს ა მ ა ლ ა ვ ი დ ა რ ბ ა ზ ი

სამალავი კლდეშია გამოქვაბული და აღმოსავლეთის მხარეს ყოვლით არის შემოვლებული. სამალავში ვნახეთ ხის ტაგრუცი, სპილენძის თასები, პატარა არყის სასმელი, ვერცხლის სასმისი. სამალავის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მოთავსებულია დროშა თეთრი და ჰრელი საწირვებით, ზარითა და ორი ზანზალაკით აბმული. სამალავის ყორეს დატანებული აქვს ძალიან დაბალი შესასვლელი. გადმოცემით, ყორე უფრო მაღალი ყოფილა და სათოფურებიც ჰქონია.

ძ ე ლ ი ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვებზე ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან, სახურავი ჩაქცეულია, მაგრამ ემჩნევა, რომ უნდა ყოფილიყო გადახურული ცალფერდად: ჩრდილოეთის კედელი მაღალია, სამხრეთისა — დაბალი, სახურავი დაქანებული იქნებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ნაგებობას შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს.

კერა გამართული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის კედელთან. იქვე გდია სალუდე ქვაბი. აღმოსავლეთის კედელში დატანებული აქვს შუკუპა. ჩრდილოეთის კედელში მოზრდილი შუკუპაა, საიდანაც ალბათ ღარი ჩადიოდა სალუდე ქვაბში.

კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

მოთავსებულია სოფლის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს (ტაბ. 12). კარატის ჯვარი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ევრიუს — მილიონას; აღმოსავლეთის მხარეს აქვს შუკუპა, გვერდებზე ოთხივე კუთხეში დატანებულია სიპი. რომელიც გამოწეულია კედლიდან; თითოეულ სიპს აქვს ნახვრეტი. ალბათ,

დროშის ტარის გასამაგრებლად. ერთ-ერთ ქვაზე წარწერაა: „195... ბურღული“. სხვა ქვებზე ამოკაწრულია წარწერები გვარით, სახელით და თარიღით. ძველი თარიღი არ ჩანს.

მილიონა აგებულია კლდეზე, მას თავზე ოთხი სანაწვთე აქვს, რომელსაც ზემოდან ადევს ხინკრიკვა და მრავლად ჯიხვისა და ირმის რქები.

კლდოვანი ბორცვი შემაგრებულია დიდ ნაწილში ფიქალი ქვის ყორით, რომელსაც აღმოსავლეთ მხარეზე დატანებული აქვს სასანთლე და ფიქალის ვრცელი საჯდომი. ბორცვს მთლიანად შემოვლებული აქვს ყორის დაბალი გალავანი.

ახალი ჯვარი

ახალი ჯვარი მდებარეობს სოფელ დანოდან ჩრდილოეთის მხარეს, სოფლის თავზე. შენობა ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან. ჩრდილოეთის კედელში დატანებული აქვს სასანთლე შუკუმა. სამხრეთის კედელი, რომელიც სოფლის მხარესაა, უფრო მაღალია, ჩრდილოეთის კედელი კი უფრო დაბალი. თავზე დაფარებული აქვს ერთი ბრტყელი ფიქალის ქვა, რომელიც შუაში გახვრეტილია და გაყრილი აქვს გათლილი მოკლე ჯოხი, შეიძლება დროშის ტარი.

ბ) აღმის თეი

სოფ. ქეშო

ს. ქეშო მდებარეობს პირიქითის ალაზნის მარცხენა ნაპირზე. სოფლის თავზე არის ნასოფლარი, რომელსაც ჯევეთხორი ეწოდება. ს. ქეშოს ყველაზე ძველი გვარებია აბალოძე და ომაიძე. ძველად აქ მხოლოდ ამ გვარებს უცხოვრიათ. ჯევეთხორი აბალოძეების ყოფილი სოფელია. პირველმოსახლენი სწორედ აბალოძეები ყოფილან. ომაიძები კი შემდეგში დასახლებულან. მთბრ. ივანე აბალოძის ცნობით (დაბად. 1885 წ., 1965): „პირველში დასახლებულნი თურქე ჩვენა ვყოფილვართ. მეორე — ომაიძეები; გურჯაანელი ქართველები ყოფილან ეგენი; უცოიძეები ქისტები ყოფილან, ქავთარიძეები ლეკები არიან ჩამომავლობით, ალხანაიძეები ქისტები ყოფილან. აბალოძეები მესხები ვართ ჩამომავლობით, კანთოიძეები ვყოფილვართ, არუშეთიდან... აბალო ერთი ბაღლი დამჩალა, როცა კანთოიძეები ამოხოცილან და იქიდან კი ჩვენ მოვდივართ“.

ომაიძეების ძველი გვარი ხაჩიძე ყოფილა. გურჯაანიდან მოსულა ოთხი ძმა. ერთი დასახლებულა კახეთში საბუეს, ერთი თუშეთში — შენაქოს, ერთი — ქეშოს და ერთიც ქისტეთში გადასულა, ითონხას ეძახდნენ, ეხლა ახალხევს ეტყვიან, იქ დასახლებულა. კანთოიძეებს (აბალოძეებს) ხაჩიძეებისთვია (ომაიძეებისთვის), ეხლა რომ სასაფლაოა, იქ მიუციათ მამული და მიწა. (მთბრ. ივანე ვასილის ძე აბალოძე, დაბად. 1883 წ. 1966 წ.).

ქეშოში სალოცავეები შემდეგია: წმინდა გიორგი, მიქელ-გაბრიელი, კოპალა, ხახმატი.

წმ. გიორგის სალოცავი უფრო კანთოიძეების (აბალოძეების) გვარის ყოფილა, ომაიძეებისა კი მიქელ-გაბრიელი. მთბრობლის ცნობით „სანთელ-ზედა-შეც ქისტნარევეს, მაგათ (ომაიძეებს) და ჩვენ ერთნაირად მიგვქონდა. ხევსურები მოდიოდნენ გაზაფხულზე, კარატის და ხახმატის ჯვარი მაგათი იყო. სოფელს ლუდი უნდა მოეხარშა და საკლავი დაეკლა. ჯერ კონთიოში მოვიდოდ-

ნენ ხევესურები, მერე ჰელოში, მერე დაქიურთას, გირეეს, ფარსმას, ჰეშოს, მერე დანოში ავიდოდნენ, კეველოში და დართლოში, ჩილოს და ა. შ. უელამ იცოდა, როდესაც მოვიდოდნენ და ლუდს დაამზადებდნენ. ხევესურები რაზედ მოდიოდნენ, არ ვიცი. ეგ ვიცი, რომ ხევეგამით რომ ციხე დგას თეთრი კირით გალესილი, ეგა ყოფილა ერთი ქართველი ქალის ამუნებული, ერეკლე პირველის ქალი მდგარა იქა. მერე რომ გადასულა, ხევესურებისათვის შეუწირია ეგ ციხეცა და იმის ზემოთ მამულიც. ჩემს მოსწრებას ხევესურები ორ აბაზს იღებდნენ იმისგან, ვინც იმ მამულით ისარგებლებდა. ეგ ჩემის თვალით მინახია. მამაჩემმაც აიღო ეგ მამული ერთხელ და ორი აბაზი გადაუხადა ხევესურებს. ეგ ციხეცა და ეგ მამულიც, ორთავე ხანმატისათვის შეუწირია იმ ქალსა. ხევესურების მოსვლის დღისათვის სოფელი ლუდს გამოხდიდა. ქერსა სთესდნენ იმ მამულში წინათ და მთელი სოფელი ამუშავებდა იმ მამულს, მერე კი იქიდან ლუდს გამოხდიდნენ და იმით დახვდებოდნენ ხევესურებს. ძველად ყოფილა ესა, ესლა კი აღარ ვიცი“ (მთხრ. ივ. აბალოიძე, დაბად. 1885 წ. 1965 წ.).

მიქელ-გაბრიელის ხატი

სოფელ ჰეშოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშლილ მინდორზე, რომელსაც ჰაჰა ეწოდება, მოთავსებულია მიქელ-გაბრიელის ხატი — ფიქალი ქვების ნაყარი, უფორმო სამი მხრიდან, ხოლო სამხრეთის ნაწილში ყორით ნაგები, ცენტრში სასანთლე შუკუმით, რომელშიაც სასანთლების ნამწვია. შუკუმის ასწვრივ ხატის თავზე დაწყობილია ჯიხვის რქები და როგორც ჩანს, რამდენიმე ხინჭრიკეცა უნდა ყოფილიყო; ხინჭრიკეები ამჟამად უკანა მხარეს ყრია. მარცხენა მხრიდან ხატისა მოთავსებულია ყორის ნაშალი. ხატის ადგილს გარშემო ჯვარის მინდორი ეწოდება; მისი დღეობა წარსულ ხუთშაბათს ყოფილა, ახალგაზრდებს გადმოუტანიათ. ჩვეულებრივ ეს დღეობა ფარსმის დღეობას ემთხვეოდა, ე. ი. მომავალ ხუთშაბათს უნდა ყოფილიყო.

გმირ-კოპალეს ხატი

სოფლის პირდაპირ, აღმოსავლეთ მხარეს, მინდორზე მდებარეობს „გმირ-კოპალე კარატის ჯვარი“. ბორცვის ნაპირზე ნაგებია ყორის ნიში სამკუთხოვანი სასანთლე შუკუმით და შუკუმის წინ აღმართულია პატარა ბაქანი ფიქალი ქვისაგან ნაგები. ნიშს ზემოდან ადევს რამდენიმე ხინჭრიკეცა. ბაქანის ზედა ფიქალის ქვებს (ორი ქვა) აქვს ნახვრეტები — შესაძლებელია, დროშის ტარის დასამაგრებლად.

წმინდა გიორგის ხატი

სოფელ ჰეშოდან დასავლეთით აღმართულია ჰეშოს მთა, რომლის წვერზეც მდებარეობს წმინდა გიორგის ხატი — ნაგები მშრალად ფიქალისაგან, დაბალი, ოთხკუთხა ფორმის. კოშკის კედელში ვნახეთ რკინის პატარა ჯვარი და პატარა სპილენძის ჩაიდანი, ალბათ შეწირული. ხინჭრიკეცა გადმოვარდნილია. წინ აქვს პატარა დაფერდება, და გარშემოვლებულია ფიქალის ქვებით, რომელიც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს დასაჯდომად.

იაქსრის ჯვარი

იაქსრის ჯვარი მდებარეობს სოფელ ჰეშოდან დასავლეთით, მთაზე. აღმოსავლეთის მხარეს იგი ნაგებია მშრალად ფიქალი ქვით. ზედ მთის ფერდზე მის

აყოლებათ, სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეს კლდეა და დაფარულია ბალახით. აღმოსავლეთის მხარეს ყორეში გამაგრებულია დროშა, რომელზედაც სამი საწირია ჩამოკიდებული.

ს ა ქ ვ ა ბ ე

იგი მდებარეობს იაქსრის ზატის წინ; საქვაბე წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ფიჭალი ქვით მშრალად ნაგებ შენობას. ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს. ჩრდილო-დასავლეთის კედლის კუთხეში მდგარა საქვაბე კერა. ქვაბი ახლა სონია აბალოიძის ოჯახში ინახება. ჩრდილო-დასავლეთის კედელი შუა ნაწილში ჩაშლილია. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებში ემჩნევა ღრმულები, რომელშიაც ჯიდი ყოფილა გადებული. მასზედ ჭაჭვით ჩამოკიდებული ყოფილა ქვაბი. აღმოსავლეთის კედელთან მდგარა ნავი. შენობათავადახდილია, მიტოვებული და ხმარებაში აღარ არის.

სოფ. ფარსმა

1949 წლის აღწერილობით ფარსმაში ცხოვრობდა 60 კომლი. ფარსმაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ქააძეები (დადაანი, კახოანი, ქაანი, ფარს-კაანი, კუკალაანი, მეშოანი), ცაზიკელები (ჩაკოანი, მიქოანი, ბარტაანი, ბორძანი), აშაძენი (გოიანი, გაჩალიანი) და სულაკაურნი.

„სოფელში იყვის სამნათეო ყანები 2 ზომა: საქერე ყანაიდ' (1200 ს.) ერთ ზომა საპურე ყანაი. საქერე ყანებ სოფლისივ გვერდს იყვის. მნათეებს ირჩევდეს ორ კაცს. როცა მნათეები თავის ვაღს მოიხდიდეს წელწდობა ჩამოჯდით ხყრიდეს წილსად' ვისაც ერგებოდ, ის იქნებოდ მნათეი.

სათნიგენო ყანებს ზენედეს მნათეები, სოფელი მოჯენაში არ ეხმარებოდა; მნათეები თავის თესლს დასთესდეს. თავადავ მომკიდესად' გაღეწავდეს. თუ მოსავალი საკმარისზე მეტი მოვიდოდა, მნათეებს რჩებოდა და თუ დააკლდებოდ — კი თავისას აყრიდეს. სასუქს ზოგიერთი მნათე აყრიდა, — ეს მის დაინტერესებაზე იყო დამოკიდებული; სოფელი არ ეხმარებოდა. მნათე სწურავდა შვიდ ქვებ ლულს. სოფლისათვის თათო მნათეს პური უნდა ექმია ორჯერ — დილით და საღამოთი. მნათეები ჯორცს თავის საკუთარს გაიღებდეს: ხორცის აწონა არ იცოდეს — ეს მის სახელზე იყვის დამოკიდებული.

მნათეები ირჩევდეს მაქალათებს სამ კაცსად' 1 დიაცს. ესენი სწურევდეს ალულს, უხვდებოდეს სოფელსად' თანავ ამხიარულდებდეს.

როცა მნათეობა ერგებოდა, 6 თვის განმავლობაში დიაცთან არ დაწვის, ძალიან ხშირად იბანის, ერიდებოდის უწმინდურ ადგილებს.

დეკანოზი ფარსმა-გირევიში დიდფეკაანთ ეგნატეი იყვის, იმან ლოცის სასოფლოიდ' საკვამლო ზედაშეები. დეკანოზად არჩევა წესად არ იყვის — ან თავად ჭვარბ დიკირის, დამიზეზებით დგებოდეს, ან არად' მკითხავმა უთხრის.

ჯვარს ტყე არ ხქონდის. იქავ სოფლის ახლოს 9—10 არყის ხე იდგის. იქითაივ ჯიდის ზედ დასაყრელა ფიჩხად შქრიან. ცხვა დროს კი წესად არ იყვის იმის მოქრა.

სოფელს ხქონდის საძროხეიდ' საცხვრე მთა. იმის გაქირავება არ იცოდინან, რადგან ჩვენაც არ გვეოფნიდის. ჩვენ კი ცხვა სოფელთ მთა ვიქირავდით, საბალახეში ხან ცხვარ ვაძლიდით, ხან კიდენ ყველ-მატყლი. ისი სოფელმ მივმარის, ან ქვაბების გაკეთებაში მისცის, ან კიდენ დღეობაში დაკლიან.

საონაროიდ' ნასისხლარ მიწები ფარსმაში არ იყვის.

საენაურ მიწები გაყოფილ იყვის კვამლეურად. მიწის დრო და დრო განაწილება არ იცოდინან. თუ რომელიმე ახალ განაყარ იყვის, სოფელ ცო-ცოტა მიწა მისცის. დალეულთ მიწა რჩებოდის იმავე გვარის ახალ განაყრებს, შეიძლებოდა ცხვა გვარის ახალ მონაშენეებისადაც მიეცათ.

მიწის გაყიდვია არ შეიძლებოდა, არც გაყოფა.

იცოდინან მიწის ჩადგმა დოღში. დაქიურთაში იყვის ფარსმანელთ ყანა. იცოდინან, რომ დოღში ნარგენიავ.

სათიბებეიც კვამლეურად იყვის გაყოფილი¹⁶. ფარსმის მეკოდეები გირველები იყვნენ. მეკოდეები მეზობლები იყვნენ, ჰირსა და ლხინში ერთად იყვნენ.

„ხევსურები მოდიოდნენ ათენგენობის წინა კვირაში თავიანთი დროშებით, კარატის ჯვარში. გადმოდიოდნენ პირველად ჭონთიოში, მერე გირვეში. ფარსმაში, დაჰყებოდნენ და გავიდოდნენ დიკლო-შენაქომდე, შემოუკლიდნენ გომეწრის მხარეს და გაბრუნდებოდნენ უკან“¹⁷.

სოფ. ფარსმის დაბლა, დასავლეთით ნასოფლარი ბასოა. აქ იდიძეებს უცხოვრიათ. მათ შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „სადაც დღეს ნასოფლარი ბასოა, იქ წინათ ტყე ყოფილა. ერთ ხევსურს ძმობილი ჰყვანია ფარსმაში. მასთან მომდინარს ბასოში ერთი ვაცი მოუკლავს, რომელიც მსუქანი ყოფილა. ეს ადგილი სასოფლედ ძალიან მოსწონებია. როცა უკან წასულა, მამისთვის უთქვია, რომ მე ერთი სასოფლე ადგილი მომეწონა და იქ უნდა გადავსახლდეო. მამას ერთი მუჰა ქერი მიუცია და უთქვია — წადი დათესე და ვნახოთ როგორი მოსავალი მოვაო.

შემოდგომას იმდენი მოსავალი მოსულა, რომ იმ ვაცის ვიჯანში (გუდაში) არ ჩატეულა. ამის შემდეგ მამას ნება დაურთავს ბასოში დასახლებისა. ეს ხევსური გვარად ფიცხელაური ყოფილა, ხოლო მისი შთამომავლობა იდიძეებად იწერება“¹⁸.

სოფ. ფარსმის სალოცავებია: წმ. გიორგი (დღეობა მოდის 29 ივლისის ძვ. სტილით, ხუთშაბათობით); საგინწყარო (დღეობა — 30 ივლისის ძვ. სტილით, პარასკეობით), წმ. თევდორეს ხატი (დღეობა — 10 ოქტომბერს ძვ. სტილით), კარატის ჯვარი, წმ. ნინოს ხატი.

კარატის ჯვარი

საცხოვრებელი სახლებს შორის, პატარა მოედანზე მდებარეობს ხევსურების სალოცავი. ხევსურების სალოცავი წარმოადგენს საშუალო ზომის ქვას, რომლის ორივე მხარეს საჯდომი ქვებია განლაგებული, ორივე მხარეს ხუთხუთი. გადმოცემით ამ ხატში მოდიოდნენ ხევსურები.

წმ. თევდორეს ხატი

სოფელ ფარსმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს წმ. თევდორეს ხატი (ტაბ. 17). შენობა ხატი — ციხის ნაგებობას წარმოადგენს, თავმოხდრილია, როგორც ჩანს, გადახურვა ცალფერდა უნდა ჰქონოდა. შენობა ნაგებია მშრალად ფიქალის ქვისაგან, დასავლეთის კედელში დატანებული აქვს სარკმელი,

¹⁶ მთხრობელები: ხ. სულაყური, დაბად. 1866 წ., მ. ქააძე, დაბად. 1889 წ., 1949 წ. ჩამწერი შ. ბაკურიძე.

¹⁷ მთხრ. ილარიონ იდიძე, დაბად. 1886 წ., ჩაწერილია 1965 წ.

¹⁸ შ. ბაკურიძე, 1949 წლის თუშეთში მივლინების დღიურიდან.

სამხრეთის კედელში აქვს შესასვლელი, შესასვლელის თავზე დატანებულია ძელი და მის ზემოთ — ხინჭრიკვა. შესასვლელი შეისრული ფორმისაა. ამავე კედელში გარედან ჩატანებულია ქვები ორნამენტირებული გეომეტრიული სახეებით მარცხენა მხარეს; ასევე, ორნამენტირებული ქვაა ჩატანებული ზემო ნაწილშიაც. აღმოსავლეთის კედელში დატანებული აქვს სამი ხინჭრიკვა. ჩრდილოეთის კედელში, დაბლა შერჭობილია ხე, რომელზეც თეთრი ნაქერია ჩამოკიდებული. შენობის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს გასამაგრებელ კუთხეებზე დევს რქები და ცხერის თავის ქალის ნაწილი — შუბლი.

ასეთივე ციხეებია ორი დანარჩენი სალოცავიც: დედა-მარიამ ღვთისმშობლის, ანუ წმ. ნინოსი და წმინდა გიორგისა. რომლებიც აგრეთვე სოფლის განაპირას მდებარეობენ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, ერთსა და იმავე გორაკზე, ერთმანეთის პირდაპირ, ოღონდ წმინდა გიორგისა გორაკის წვერზე, დედა-მარიამ ღვთისმშობელი კლდოვანის ნაპირას.

მათ ემიჯნება სასაფლაო ჩვეულებრივი სანაწვთიანი საფლავის ძეგლებით და მიწაში ჩასმული ქვის მცირე სვეტებით. სასაფლაო რატომღაც ქვის ყორით არის გაყოფილი. შუაზე და აგრეთვე ყორის ნაწილი მიყვება ქვედა ნაპირიდან წყვეტილ-წყვეტილად ნახევრამდე. სასაფლაოზე ერთ-ერთ აკლდამაზე წარწერილია:

1937 წელს კათათვის 9-ს
უღროდ ღღენი მომისპო
ამა სოფლისა ცქერამა,
ვერ დამაბრუნა უკანა
ღღენისა ცრემლის ღენამა.
სამყოფლად ბნელი სამარე
მარგინა ბედის წერამა
მე გთხოვთ ძეგლისა მნახველსა
შენდობა მითხრათ ყველამა
აქა მდებარე
მიცი მოსეს ძე ქააძე

ქვა არის რიყისა, კარგად მოპირკეთებული და გასუფთავებული. ჩასმულია გათლილ ხის ჩარჩოში და თვითონ აკლდამა ნაგებია სიპი ქვისაგან, მშრალად.

წ მ . ნ ი ნ ო ს ხ ა ტ ი ¹⁹

წმინდა ნინოს ხატის სალოცავი მშრალად ნაგები სწორკუთხა ფორმის ციხეა, პირდაპირ კლდეზე აგებული (ქვედა ნაწილი ყველა აქაურ სალოცავ კომპლექსს უფრო განიერი აქვს, ვიდრე ზედა და გადასურვა ცალფერადა). შენობის მთავარი ფასადი სამხრეთითაა. აქ მის შუა წელზე დიდი ზომის ნახევრად თავმომარგვალეული სარკმელია (თუ კარი?) ხოლო ზემო ნაწილში, ცენტრალურ ადგილას პატარა სარკმელი, აგრეთვე თავმომარგვალეული. დანარჩენი სამი გვერდი სადაა, ყრუ. ჩრდილოეთის კედელში, შუა წელზე დაბლა, აქაც ისევე როგორც წმ. თევდორეს ხატში, გამოშვერილია კედლიდან, ოღონდ არა ხე, არამედ ფიქალი ქვის ნაჭერი.

წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი

წმინდა გიორგის ხატის კომპლექსი მოთავსებულია ყორის ბურჯებთან გალავანში, რომელსაც შესავალი დატანებული აქვს სამხრეთ-დასავლეთით, სოფ-

¹⁹ მთხრ. ილარიონ ილიძის ცნობით ეს ნაგებობა დედამარიამ ღვთისმშობლის ხატია.

ლის მხარეს (ტაბ. 13, 14). შემორჩენილია საგანგებოდ ნაგები შესასვლელის მარჯვენა კედელი, რომლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ გალავნის შესასვლელის მახლობლად, გალავნის შიგნიდან მარჯვნივ კედელში დატანებულია შუკუმა-სათოფური, ხოლო გარედან, გალავნის შესასვლელთან ორივე მხარეს, გალავნის გასწვრივ, მოწყობილია სიბის საჯდომები.

გალავნის შიგნით მოთავსებული წმინდა გიორგის ხატის კომპლექსი მოიცავს შემდეგ ნაგებობებს: ციხე, თუ კოშკი? სასანთლე, თუ სადროშე კოშკი და ორი სხვა გაურკვეველი სახელწოდებისა და დანიშნულების შენობა. ციხე თუ კოშკი მშრალად არის ნაგები. მას მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს აქვს. აქ კედლის ცენტრალური ნაწილი უქირავს დიდი ზომის სარკმელს (თუ (შესაავალს?); უფრო ზემოთ პატარა სარკმელია. მის მახლობლად, მარცხნივ და შესავლის ქვედა ნაწილის გასწვრივ, კედლის ნაწიბურთან ჩატანებულია თათო-თითო ხინჭრიკვა. ერთ-ერთი ძირის რიყის ქვაზე სამი თავიანი ჯვარია ამოკაწრული. ქვა, როგორც ჩანს, უკუღმაა ჩადებული; ამავე ქვებზე საბჭოთა ხანის რამდენიმე წარწერაა — თარიღი, გვარი და სახელი. აღმოსავლეთის კედელში დატანებულ ერთ-ერთ ქვაზე ამოღარულია რგოლი ჯვარით შუაგულში. ამ მხარესაც წარწერებია საბჭოური ხანისა. დანარჩენი კედლები სადაა. დასავლეთის კედელი წვერთან გამონგრეულია ცოტაზე და გამონგრეულში შეწყობილია ხინჭრიკვა, აქვე, ადამიანის სიმაღლეზე, კედელში შერკობილია ხის ჯონი და ჯიხვის რქა. ციხის დასავლეთის კედელი მაღალია, ხოლო მოწინააღმდეგე მხარისა დაბალი, ჩანს, აქაც ციხე გადახურულია ცალფერდა სახურავით. ციხეში ინახება ორი დროშა, ერთი ძალიან დიდი, მეორე შედარებით პატარა. დროშები გაწყობილია უამრავი საწირით (საკადრისებით) (ტაბ. 15).

ციხეს დასავლეთიდან მიშენებული აქვს ყორის დაბალი კედლები, რომლებიც ქმნის სწორკუთხა ნაგებობას განიერი შესავლით სამხრეთიდან. ამ ნაგებობის დასავლეთის კედელში მის ჩრდილოეთის კიდურიდან დატანებულია წინ გამოწეული ფიქალი ქვის სკამები, რომელიც გრძელდება ციხის გასწვრივ $\frac{3}{4}$ სიგრძეზე. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კედლები გამურულია ცეცხლისაგან.

ციხის ჩრდილოეთის კედელზე მიშენებულია ამჟამად ნახევრად დაქცეული ყორის კოშკი სასანთლე, თუ სადროშე.

გალავნის შიგნით, ციხის აღმოსავლეთით, ყორით ნაგები მცირე შენობაა შიგნიდან მომრგვალებული ფორმისა. მისი სახელწოდება და დანიშნულება ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა.

ე კ ლ ე ს ი ა

ეკლესია მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთ მხარეს, სასაფლაოსა და წმინდა გიორგის ხატის მახლობლად, ეკლესია ნაგებია მშრალად, მაგრამ გარედან შელესილია ლამით.

სო ფ ლ ის საჯარე

ეკლესიის უკან დავაკება, რომელიც სოფლის საჯარეს წარმოადგენს. დღეობის დროს, ამ საჯარეზე ხდებოდა ბავშვის ჯვარისკარ წაყვანა და ჯარის პურად დასხდომა.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვაბე მდებარეობს სოფლის შუა უბანში. ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვისაგან. იგი სწორკუთხა ფორმისაა. უფრო მაღალი კედელი ჩრდილოეთით

აქვს, დაბალი — სამხრეთით. დაქანებაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აქვს. შენობის შუა ნაწილში გადებულია კეზის ჯიდი, კეზის ჯიდზე გადებულია ყავ-
რები და დაფარებულია სიპით. შენობის შესასვლელი სამხრეთის მხარესაა. ერთი ჯიდი დასავლეთის მხარესაა, მას საწურავი ჯიდი ეწოდება, ამ უკანას-
კნელის ქვემოთ დგას ნავი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაკეთებულია საქ-
ვაბის კერა (ტაბ. 16). შიგ ჩასმულია ორი ქვაბი, რომლებიც ხეზე ჩაქვებით არის ჩამოკიდებული. ქვაბში 21 ლიტრა ალაო ეყრება. ლიტრაში 5 გ ჩადის. „ბოჭორნაში კი ისეთი ქვაბებია, რომ 44 ლიტრი ეყრება“ — ამბობს მთხრობე-
ლი. საქვაბის დასავლეთის კედელში ორი შუკუშა დატანებული, ჩრდილოეთის კედელში — სარკმელი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, კუთხეში ღომელია (ღუმელი) გაკეთებუ-
ლი, რომელზედაც დევს მაქალათის ხმალი. ჩრდილოეთის კედელში დატანებუ-
ლია სარკმელი წყლის საღარედ. აღმოსავლეთის მხრის კედლის კუთხეში დევს ქვაბის სარეველა ხისა. აქვე კედელში ყოფილა შუკუშა. სამხრეთით, გარედან, შესასვლელის ორივე მხარეს ქვის საჯდომებია გაკეთებული. საქვაბის მახლობ-
ლად გდია კოდი და ალუდის ქვაბი. საქვაბეს სამხრეთ-დასავლეთიდან აკრავს სოფლის ღომელი, რომელშიც ჩვენს იქ ყოფნის დროს სოფლელები პურს აცხობდნენ:

ს ა გ ი ნ წ ყ ა რ ო ს ხ ა ტ ი

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს ფიქალით მშრა-
ლად ნაგები მილიონა. მას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს შუკუშა, ზე-
ვიდან ადევს ბრტყელი ფიქალი, ცენტრში ნახვრეტით, რომელშიაც დროშის ტარი მაგრდება. „ამის დღეობა ამ პარასკევს იქნება, საგინწყარობა ჰქვია“ — ამბობს მთხრობელი.

სოფ. გირევი

სოფ. გირევიში ძველად სამი გვარი ცხოვრობდა: შავრიანები, აზიკურები და ხოსიკურნი.

გადმოცემით, ძველად გირევიში ყოფილან სამნი ძმანი: დაქაური, ნაკუ-
დური და გირევი. როდესაც გაყრილან, წილის ყრით გირევის ტერიტორია რგე-
ბია გირეის, ნაკუდურს — სოფ. ნაკუდურთის, დაქაურს — სოფ. დაქაურთის. ეს სამი სოფელი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან და სახელწოდებაც ამ სამი ძმის მიხედვით დაერქვათ²⁰.

„სათემო სალოცავს, ჰელოს ჯვარს — სანებას — გირევიში ჰქონდა ერთი საქერე ყანა, ერთ ზომი (600 კვ. საყენი)²¹. სოფელი წილის ყრით ირჩევდა ორ მნათეს, რომლებიც ამ ყანას ხვნავდეს. წილისყრა ხდებოდა ახალწლის ჩამოვლის შემდეგ. სოფელი იმის მოკვნაში არ ეხმარებოდა, თესლსაც თავისასავ დათესდეს, მომკითაც თავადავ მომკიდესად' თავადავ ღლეწევდეს. სოფელ მარტო სკორის დაყრაში ეკმარებოდა. თუ მოსავალი არ მოვიდოდა, თავისი უნდა დაეყარა, თუ მეტ მოვიდოდ, თავად დარჩებოდ. ჯვარს სხვა მიწა არ ჰქონდის. ჯვარს ჰქონდის ვერცხლის თასები, რომლებიც მლოცველების შეწირულ იყვის. ჰელოს ჯვარისად შეწირულ იყვის ერთი სალუდე ქვაბი; დღეს კი აღარა.

ნათეობა ასე მოუდიოდათ. სია იყო მთლიანი სოფლისა. სიაში მარტო დაქორწინებულები შედიოდნენ. მერე წილსა ყრიდნენ და ვისაც წილი ერგებო-

20 მთხრ. ეთანო სვიმონის ძე ილიძე, 1949 წ. ჩამწ. შ. ბაკურიძე.

21 ერთ „ზომა“ მიწაზე მოდიოდა საშუალოდ ექვსი კოდი ქერი.

და, იმ წელს ის იქნებოდა. გირევი, ჭონთიო და დაქიურთა, ამ სამი სოფლიდან ვისაც მოუდიოდა ნათეობა, იმას დაუძახებდნენ, ესენი იქნებოდნენ ნათეებად მაღლოში.

მნათეები როცა თავის ყავლს გაათავებდეს, წილს ხყრიდესად' ვისაც შეხვდებოდ, ის გახდის მნათეი.

გაზაფხულზე, როცა ცხვრებ ამოვიდოდ, მნათეები არაყს მოსწურავდეს და ბინებში ჩამოივლიდეს²². იმ არაყს თავის სოფლის მემცხვარეებს დააღვეინებდეს. მემცხვარეები მნათეებს ყველს მისცემდეს თითო დღის მონაწველს. ამ ყველს დღეობებში ხმარობდეს, რაც დარჩებოდ, თავისი იყვის. მნათეებ ამზადებდეს ფორს. მნათეი ირჩევდა მაქალათებს 3 კაცსა და ერთ ქალს. მაქალათად აირჩევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც მასხარა და მხიარულები არიან. მნათეს ვინც უნდ, იმას ამირჩევდ... მაქალათები სწურავდეს ალუდს და დღეობაში სოფელს უხვდებოდეს. მნათეი წელიწადში 13—14 ქვად ალუდს მოსწურევდ. ქვებში ჩადიოდა 7 საკედე (სპილენძის ქვაბი ორივე მხრიდან სახელურებიანი), საკედეში — სამი თუნგი, თუნგში — ცხრა ხელადა, ხელადაში — ორი ჩარქა (ანუ — 18 ლიტრი).

ზამთარში თითო მნათე, წელწლობას, სამჯერ აკმევდ პურს მთელ სოფელს. მნათე სოფელს უმასპინძლებოდა თავის ოჯახში. არაფერ არ უნდა დახკლებიყვ, — თუ დააკლდის, სოფლითა გაგდიან. ნაკუდურთითებ მარწინაანიც მით გაყარეს, რომ ერბო დახკლებიყვ. თითო მნათეი დღეობისად ხკლევდა ან 7 ცხვარს, ან 1 ჭარს. ხორცი აიწონებოდა და თუ დაკლდებოდ, ისევ დაუმატებდა. საკლავებს დახკოდეს გიორგობას და ამარილებდეს. წელწლობას მაქალათები მოხარშავდეს ალუდსაცად' ხორცსაც...

ჩემს მოსწრებაში კელოსან იყვის დიდფეჯაანთ (მოზაიძე) ეგნატეი. იმან იცოდის, რომ ჭვრის დაქერილ ვარივ, ის კელოსნობდის. თურსიებში კი ბებერ დიაცებ ღლოცევდიან. ხელოსანმ იცოდის, რომ ჭვარ გამომეცხადოდ' მითხრავ, რომ შენ უნდა იყოვ კელოსანივ, შენ უნდ მემსახუროვ სიკედილამდივ. ჭვარს არ ხკონდის არც სათიბეი, არც მთა, არც კიდენ ტყეი²³.

სოფელს ხკონდის თავის საკუთარი საძროხეიდ' საცხვარე მთა. როცა სოფელს თავად არ შკირდებოდის, აქირავებდის. საბალახეი სოფელსავე ხკმარდებოდა. ქვაჯიდის საცხვრე მთა ეკუთნოდა ფარსმას, გირევს, დაქიურთა — ნაკუდურთასად' ჭონთიოს. ჰელოს თავის საცხვრე მთა ჭკონდის, რომელსაც ჰელოს ჯორჯს ეძახიან. თითო სოფელს თავისივ საკუთარ ტყე ჭკონდის. იცოდინ მიწის საღალოდ მიცემა. ღალაში ისევ სულადი აძლიიან, ზომამი 3 კოდი. იცოდინ მიწის დაგირავება 2—3 წლით. თუ დროზე ველარ დებრუნდებიან, ნაფასულო გუყიდიან; გაყიდვა შეიძლებოდა ცხვა სოფელელზეაც.

სოფელში სასნავ-სათიბ მიწები გაყოფილ იყვის კვამლეურად. მიწა გაყვიან 7 წელში ერთხელ. თავის მიწას თუგინდ გახყიდდი, თუ გინდ დააგირავებდი. თავის საკუთარ მამულს მთლიანად ვერ გაყიდდა. გაყოფის დროს ყველა აირჩევდა თითო საზომ ყანას, დანარჩენი კი ჩვეულებრივ იყოვოდა. გაყიდვა შეეძლო მხოლოდ ამ ერთი ზომისა, რომელიც გამოეჭკითებოდა გაყოფის დროს. როცა მიწის გაყოფა იყვის, გაყიდულ მიწა ძველ პატრონს გამოუბარიან, ახალ პატრონს კი წილში არ ჩაუდიან. ნაყიდ მიწა მამრისა შვილს რჩებოდის.

დალეულთ მიწა ახალ განაყართ მისციან. გინდ ნათესავ ყოფილიყო, გინდ

²² თუშეთში თითოეულ სოფელს თავის ახლოს 5—6 ბინა ჭკონდა ხოლმე.

²³ მთხრ. ეთანო სვიმონის ძე ილიძე, დაბად. 1881 წ., ჩამწერი შ. ბაკურიძე, 1947 წ.

არ. ამ მიწას განაყარი ხენვედის, სანამ ახალ მიწის განაწილება არ მოხვდება.

აგრევე იყვის გაყოფილი სათიბეებიც. სათიბეებიც საჯნაურსავით ანაწილიან. მიწას ზომევედეს საენით. მიწის მიცემა მზითევში არ იცოდინან. წესად იყვის დოღში დაღეულთ მიწის ჩადგმა; ვისიც ცხენ წინ მოვიდის, მიწა იმას დაშჩის ის თუ უნდოდ თავად მოხენვედ, თუ არად, ან გახყიდდ, ან კიდევ თავის ნათესავს აჩუქებდ. დოღში უდგმოდეს 1 ზომას. სრულ ზომა უდრიდა 600 საენს და სთესვედეს ერთ კოდ ქერს. დოღში ჩადგმული მიწა სამუდამოდ რჩებოდა იმას, ვისიც ცხენიც წინ მოვიდოდა. მისი განაწილება არ ხდებოდა. მამული ვისაც ერგებოდა, ის ამ მამულის მოსავლიდან არაყს ან ლუდს გამოხდიდა და ძველი მეპატრონის შესანდობარს დაღევდა. ასევე ხდებოდა მოხენაშიც. ისე არ მოხნავდა, რომ მიწის მეპატრონის სული არ მოეხსენებინა²⁴.

გირევის სალოცავები იყო: წიეთე (დღეობა — 15 აგვისტოს), სანება (სანებობა — მარიანობის წინა დღეს), თურსიეხი (თურსიეხობა — აღდგომის მერვე კვირას), კოპალა (13 აგვისტოს ძვ. სტილით).

წიეთეს ხატი

სოფელ გირევიდან აღმოსავლეთით, მთაზე მდებარეობს წიეთეს ხატი. ნაგებობა წარმოადგენს ფიქალისაგან მშრალად ნაგებ მილიონას, რომლის ქვედა ნაწილი, თითქმის ნახევრამდე, შედარებით განიერია, ხოლო ზედა — უფრო ვიწრო. სამხრეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუმა. შუკუმას ზემოთ თავზე ადევს ბრტყელი ქვა წარწერებით საბჭოთა ხანისა. ქვა გახვრეტილი არ არის. სამხრეთ-დასავლეთით, კუთხეში დატანებული აქვს დიდი ხინჭრიკვა.

„ხევსურეთ მოეს ვეძახდით, მაშინ აქ ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე და ჩვენაც ვლოცულობდით“ — ამბობს მთხრობელი.

მარიამწმინდის ხატი

შუა სოფელში დევს დიდი თეთრი ლოდი, რომელსაც მარიამწმინდას უწოდებენ. ამ ხატში უშობლის ხბოებს სწირავდნენ და თან დაილოცებოდნენ: ოთხფეხი გამიმრავლე, ბარაქა მომეციო.

აზიკურების სალოცავი

სოფლის განაპირას, აღმოსავლეთ მხარეს გდია ხინჭრიკვა. მთხრობელი ირწმუნება, რომ ეს აზიკურების სალოცავი იყო წინათ, მარტო ამათი გვარო ლოცულობდაო. ხინჭრიკვა აზიკურების ნასახლარების გვერდით გდია. სალოცავის სახელწოდება მთხრობელმა არ იცოდა. იცოდა მხოლოდ ის ადგილი, სადაც წინათ აზიკურების გვარი მოდიოდა და ლოცულობდა. ეს ადგილი აზიკურების ნასახლარებიდან რამდენიმე ნაბიჯზეა.

საქვაბე

სოფლის შუა უბანში დგას დანგრეული საქვაბე. დასავლეთის კედელი თითქმის შემორჩენილია. კედელი ნაგებია ფიქალი ქვით, მშრალად. ამავე კედელში დატანებულია სარკმელი, რომლიდანაც ქალები წყალს აწოდებდნენ საქვაბეში მყოფთ. სწორედ დასავლეთის კედელზეა მიდგმული ქვაბების ჩა-

24 მთხ. ე. ელიძე, დაბად. 1881 წ., ჩაიწერა შ. ბაკურიძემ 1949 წ.

სადგმელი — ყვერფი. მთხრობელის თქმით, ჩემს მოსწრებას აქ ერთი ქვაბი იყო და ფარსმაში წაიღეს, აქედან ნათეები იქა შვებიან ნათეობას აქ ხომ აღარაინ აღარ არისო.

საქვებზე შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის მარცხენა კუთხეში აქვს. ამეამად დანგრეული შენობის შუა ნაწილში დარბობილია ბოძი, რომელსაც საწურავი ბოძი ჰქვია, აქ იდგა ნავი და სწურავდნენ ალუდს. აღმოსავლეთის კედელი უფრო მაღალი ყოფილა და მოპირდაპირე კედელი — დაბალი. გადახურული ყოფილა ცალპირად. მთხრობლის აზრით ასეთ გადახურვას თუშურად ფარდული ჰქვია, ხოლო ამ მოედანს, რომელსაც ქვების გარშემო დაწყობილი ფიქალის ქვები ქმნიან, ქვების საჩეხს უწოდებენ.

კოპალას ხატი

სოფელ გირევის დასავლეთით, დაქიურთასა და ნაკუდურთას ნასახლარებს შორის, სოფლის მცხოვრებლებმა დაგვეანახეს ადგილი, სადაც წინათ კოპალას ხატი ყოფილა. ადგილი ჭაობიანია.

სოფ. ჭონთიო

ნასოფლარი ჭონთიო მდებარეობს პირიქითის ხეობის უკიდურეს დასავლეთით. აქ უცხოვრიათ შემდეგ გვარებს: ითურქიძეებს, იკურქიძეებს და დაქიურქიძეებს (კიტოანები).

მადოლის ხატი

სოფელ ჭონთიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს მადოლის ხატი. იგი წარმოადგენს ფიქალის ქვისაგან მშრალად ნაგებ მილიონას. თავზე ადევს სამი ხინჭრიკვა. ერთი დიდი და ორი პატარა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს შუკუმა, რომელშიაც კიდევ ერთი ხინჭრიკვა დევს.

„ჰელოშია ამის დროშა შენახული — ამბობს მთხრობელი — დღეობის დღეს გამოდის დროშა მადოლში, შაბათს. აქ სამოც სულამდე საკლავი იკვლება ხოლმე. დღეობის შემდეგ ისევე ჰელოში ბრუნდება დროშა“.

თურსიეხი

ჯვარის შენობა მილიონას წარმოადგენს, ქვისაა, ქვაკაცაა, ხინჭრიკვა ადევს თავზე, ყოჩის რქებიც ედო წინათ. სასანთლე შუკუმაც აქვს, ბოლოზე კი — ტყე თავისი. საძოვრებიც ჰქონდა, მინდორიც.

„მაგის დღეობას თურსიეხობა ჰქვია, მაისის თვეში მოდიოდა და რომელიცხვშია, აღარ მახსოვს. თურსიეხში ომალოდანაც მოდიოდნენ, დიკლო-შენაქოდანაც და გომეწრიდანაც“.

სოფ. ჰელო

ივანე ნათლისმცემლის ხატი

ნასოფლარის დასავლეთით, მის თავზე, მთის მწვერვალზე არის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც სანახევროდ ჩაქცეული გალავნით არის შემოჭლულული (ტაბ. 18, 19). თვითონ ნაგებობებიდანაც მხოლოდ ერთი კოშკია შემორჩენილი, დანარჩენები ჩაქცეულია ისე, რომ თავდაპირველი სახის აღ-

დგენა შეუძლებელია. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელია ივანე ნათლისმცემლის ხატი, მთარობელს გაუჭირდა პასუხის მოცემა, მაგრამ მიგვითითა სწორედ იმ გადარჩენილ კოშკზე, რომელშიაც მადოლის ხატის დროშებია დაბრძანებული (და შეიძლება ივანე ნათლისმცემლისაც?).

კოშკი მაღალია, ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან, გადახურულია ათსა-ნაწვეთიანი სახურავით. თავზე ადევს ხინკრიკვა. აღმოსავლეთის კედელში დატანებული აქვს სამი სარკმელი: ქვემოთ უფრო დიდი, შემდეგ პატარა და ზემოთ საშუალო ზომის. ჩრდილოეთის კედელი ქვემოთ გამონგრეულია, რაც, ჩვენის აზრით, შესასვლელს უნდა წარმოადგენდეს. სავარაუდებელი შესასვლელის თავზე ორი სათოფურია. დანარჩენი ორი კედელი ყრუა. კოშკის შიგნით ნოთავესებულია სამი დროშა ზედ თეთრი, წითელი და ჭრელი საწირებით.

კოშკი აღმართულია სამი მხრიდან სრულიად მიუვალ კლდეზე და მხოლოდ იმ მხრიდან შეიძლება მიდგომა, საითაც შესასვლელს ვეარაუდობთ.

კოშკის ჩრდილოეთით, მის ცოტა ქვემოთ, ძეორე კოშკის თუ ციხის ნაშალია. გადარჩენილი ნაწილი ფიქალი ქვისაგანაა ნაგები მშრალად. აქვეა სხვა ნაგებობის ნაშალი, ყრია უამრავი ფიქალი ქვების გროვა.

კომპლექსს აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ნაწილობრივ დასავლეთის მხრიდან შემორტყმული აქვს მაღალი გალავანი, დაახლოებით 2,5 მ. სიმაღლესა. გადმოცემით, ეს გალავანი ადრე ირგვლივ ჰქონია შემოვლებული ხატსიმაგრეს. გალავანი სქელკედლიანია და ქვემო ნაწილში გამაგრებულია ბუჩქებით. შესასვლელი დატანებული აქვს დასავლეთით. შესასვლელი მაღალია და შეისრული ფორმა აქვს. შესასვლელის მარჯვენა მხარეს (გალავნის შიგნით) არის სასანთლე შეკუმა, რომელშიც დევს ბოთლი, ჭიქა, რქის ყანწი, სანთლის ნამწვი, 30 კაპ. (ახალი ფულით). გარედან, დასავლეთის მხარეს გალავნის მთელ სიგრძეზე აწყვია სიპები (ოცდაათი სიპი), რაც გარედან სახურავის შთაბეჭდილებას ქმნის.

ნასოფლარ ჰედოდან და კიდევ უფრო ქვემოდან, — ალაზნიდან მთელი ცახესიმაგრე დიდებულ სანახაობას წარმოადგენს და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

2. ჩ ა ლ შ ი ს ხ ე ო ბ ა

ა) ზ ა ნ ა ხ ო ვ ა ნ ი ს თ ე მ ი

ს ო ფ. ხ ი ს ო

სოფ. ხისოში ცხოვრობდნენ: ციდილანი და ზოდონანი. წარმოშობით ციდილანი ლეკები ყოფილან. მაგათი მამა-პაპა დალესტნიდან წამოსული ლეკა ყოფილა. ზოდონანი ხარით ყოფილან შეყრალნი ციდილაანთან.

ძველად სოფელი ხისო ორ დიდ სოფლად იყოფოდა: ქვემოთ, რომელსაც ქალა ერქვა და ზემოთ — საკუთრივ ხისოდ. ზემოს ზედგორს ეძახდნენ. ზედგორი კიდევ იყოფოდა ორ უბნად: ქვემო უბნად, ანუ ზოდონაანთ უბნად და ზემო უბნად, ე. წ. ციდილაანთ უბნად.

ციდილა დალესტნიდან გადმოსახლებულა, სოფ. გუტუსიდან. ოთხი ძმანი წამოსულან. ერთი დართლოში მოსულა, ერთი — ხახაბუში, ერთა — ხისოში და ერთიც ფშაველში. დართლოში იდოიძედ იწერებოდა, ხახაბუში — ბუხაჩაურად და თათარულად, ხისოში — ციდილაობით, ფშაველში — ციხისთავად. შეკითხვაზე ციდილაანთ აქ რომ გადმოსახლებულან დალესტნიდან, ხარით ხომ

არ შეყრიან ვისმეო, მთხრ. ათანასე ლევანის ძე წეწიაიძემ უპასუხა: „არა, ესენი მამულზე მოვიდნენ“.

მთხრ. პეტრე იჩუკაიძის თქმით ციდილა „აქ რომ ჩამოსულა, ყველა მოსახლე (მთა-თუშეთში) გადმოსახლებული ყოფილა და ეგაც გადმოსახლებული რადგან იყო, თითონ აუღია მიწა როგორც სხვებსა, ისე მაგასა“. ე. ი. ციდილა თავისუფალ, დაუსახლებელ მიწაზე მოსულაო. ხისოში ციდილაანი იყვნენ: იჩუკაიძეები, წეწიაიძეები და ხუტურიძეები. ზოდონაანები იყვნენ: ჯამრულიძეები და უშიძეები. ციდილაანთ ხარით შეყრილები იყვნენ ყაუდათ მამისაიძეები. ზოდონაანთ ხარით შეყრილები იყვნენ ფსიტრძეები²⁵. ხისოს ჭალაში უცხოვრიათ მურთაზაშვილებს. მთხრ. ხარიტონ ალექსის ძე მურთაზაშვილის ცნობით „ჩვენი გვარი არის ქისტისა. ეხლაც არის ჩვენი ნასოფლარი ხილდინხარი. ეს ხეობა არის პირიქით ქისტებში, თუშეთის ახლოს არის. ერთი კაცი წამოსულა იქიდან, კაცი შემოკვდომია და სისხლის აღებაზე დაუწყიათ დავა. მოუყრია ამ ქისტს ცოლ-შვილი წინ და მთა-მთა გადმოსულა. არავის მიუღია პირველად. მოსულა სოფ. ხახაბუში. თავისი შვილები და ოჯახობა იშორიკში დაუსახლებია. იშორიკი ხახაბუსთან ახლოს არის. იქ სხვა არავინ იყო. ადგილი მისცეს იშორიკში და მომრავლდნენ. ხახაბუში ერთ დღეს დოღია, ხარჯია. აქაურებს მოულაპარაკნიათ, რომ ეს ხალხი (მურთაზაშვილები) მომრავლდა, მიწებს ხნავენ და მერე წაგვედავებიათ, გავსახლოთო. იმ დროს ხარჯში ყოფილა თუნაურიძე. უთქვამს: მეო უმეზობლო კაცი ვარ. არც გვარისა ვინმე მყავსო, ჩამოვიდნენ ჭალაში (ხისოს ჭალაში, სადაც თუნაურიძეს უცხოვრია), და იცხოვრონო. კარგი ხალხია, ხოლოთ ყანებს ეგრ მივეცემო მურთაზათ პაპებს გახარებით, აყრილან და ჭალაში ჩამოსულან. ერთი პატარა თეფა არის, გორი და იქ იცხოვრეთო, უთქვამს თუნაურიძეს. ამ დროს ჭალაში უცხოვრიათ თუნაურიძეებსა და გოგოთიძეებს. გოგოთიძეები ძველად უშიძეებად იწერებოდნენ. უშიძეების წინაპარს სახლი გაუყიდია ჭალაში და ჩემს პაპას (წინაპარს) ლევანს (მურთაზაშვილს) უყიდია ის მამულაო.

ჭალაში რომ დაგვასახლა ხისოელმა, ხარით შევიყარენით. ისე ვართ, როგორც ერთი გვარი თუნაურიძეებთან. ჭალის გათხოვება მაგათთან არ შეიძლება. ხევსურეთში ხატში იყო დაფიცება. ჩვენთან არ გამიგია. ლუდი უნდა მოიხარშოს, ხარი უნდა დაიკლას, მთელ ხეობას დაუძახებს და დაისწრებს. ლუდი, საკლავი ჩვენი იყო. მურთაზი რომ აქ გადმოსულა, იმის შემდეგ მეექვსე თაობა არის გასული.

მთხრ. ათანასე ლევანის ძე წეწიაიძის თქმით „მურთაზაშვილებმა სახლი იყიდეს და მერე უკვე მამული მიეცათ. მთავრობამ მისცა მამული... მაგათ კაცი იყო (ნიკოლოზის დროს) მამასახლისი და გაასაჩივრა: ჩვენ აქ მაცხოვრებელი ვართ და მამული გვეკუთვნისო. მთავრობამაც მისცა ნება“.

„დალესტინიდან გადმოსულები (ციდილაანი) უფრო მიწას მისდევენ. სიანაურს. ახალგადმოსულები — მურთაზაშვილები და სხვები უფრო ცხვარს

²⁵ შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ფსიტრძეებიო, მთხრ. ათანასე ლევანის ძე წეწიაიძემ უპასუხა: „ფსიტრძე? რა ვიცი, მოსული იყო“. მთხრ. ხარიტონ ალექსის ძე მურთაზაშვილის ცნობით კი „ფსიტრძე იყო ერთი გვარი, ადგილობრივი, ამოწყდა. ქელოსაში ფსიტრძეებიდან იყო“. იმის გამო, რომ ამ მიმართულებით უურადლება არ ყოფილა გამახვილებული, ამ გვარის ადგილობრიობის, თუ მოსულობის საკითხი გაურკვეველი დარჩა. სათუღია მხოლოდ ის, რომ მთხრობელები თვითონ ასხვავებენ ხარით შეყრილ, მამულზე დამოსულ, ადგილობრივს და მოსულ გვარებს ერთმანეთისგან.

მისდევდნენ, საჯნაური არაჰქონდათ²⁶. მთხრ. სანდრო იოსების-ქე იჩუკაიძის ცნობით: „ხისოში სალოცავებ ოთხ გვაქვის: ჭიხალეი, ლეკოვანი, ბორჩულთაიდ' ხახა. ყველაზე დიდ სალოცავეი ჭიხალეი, მთელ ჰანჭანოანიდ' ჩაღმა ამას ლოცულობს. ჭიხალეი დარ-ავდრის ხატი, ემაგას ვსთხოვეთ გადარე-ბასაკად', გაავდრებასაც. ჭიხალეი, ლეკოვანიცად' ბორჩულთაიე აიქ მალღ ტყეშია. იმათ დღეობა ათნიგენობას მოღის (დაახლოებით ივღისში) ხან წინაად, ხან უკვენ. აღდგომითაი მეასე დღეს მოღის ჭიხალეობაი, იმის სწორზე კიდენ ბორჩულთაობაი გვაქვის.

ემანდ შუა სოფელში, სიაც ხახაი (სალოცავეი, რომელიც სოფღის ცოტა მოშორებითაა) იქ იყვის ჯვარის ყანები ორ ზომაი საქერვიდ' ორიც საპურეი (ზომა = $\frac{1}{4}$ ჰექტარს). წიღისყრით ვირჩევდეთ ნათეებს ორ კვამღს. ისეენი ჰვნევედღს იმ ყანებს. მოჯენაში მთელ სოფელ გავიდნიით. ჯერ გავღორღით, მემრ სკორე დავყარიითად' მემრეა მოჯენიით. ნათეები გვაქშიიან ჰამა; ხან-კოტრებ გვაქშიიან, ხან პურ-ყვეღიაი. თესღი თავად ნათეებ დასთესიან თავი-საი. წელწღობას ოთხ ჰვაბი აღუღი უნდ ეღუღ. მთელ სოფღისად' სამჯერ უნდ ექმი ჰამაი. საწელწღოდ არ უნდ დეკღ, ჰროხას წონაი ვერ გამოღიღღის, არიც თუ კარგაი არ იყვის, წონაში გარევე აკალღებოღის. საწონავაი ერთ დიდ ჰვაი იყვის, ახღ აღარაი, მერავ სიამ წავიდ. დიაცებსად' ბალღებს წშიღის ფუღაი უნდ ექმი ერთხენ, ორჯელ კი ჯორცი.

შემოდგომას ნათეები თავად მომკიანად' თავადვე გალეწიან, სულადი რაიც იყვის, აწყვიანად' თავადვე შინახიან. ვიცოღით რამდენიც უნდოღის სააღუღე ჰვაბებს. თითო ჰვაბს 20 ლიტრას ვაყრიდეთ.

როცა კარგაი მოსავღ მოვიღისად' სულადი დარჩის, ზაფხუღის შულ-ტაებთ იმის აღუღ აღუღიან თუ არად' სოფელში მოკრიფიან კვამღეურად.

შულტაებიც წიღის ყრით იყვის 2 კვამღი. იმათ შეხკიღიან 2 ჰვაბი ჭიხა-ღესად, ერთი ლეკოვანისადად' ერთიც საბორჩულთოი. სვეიც კვამღეურად მოკრიფიან. ვინაც ერთ მამულზე იყენიან, იმათ ერთ ჩასაყარაი მეტ არ ჩაყ-რიან.

სოფელში მთელ ყანებ გაყოფიღ იყვის, ზოგს უღერა მამულ ხქონღისად, ზოგს ცოტან. მიწების გაყოფაი გვიანაი დიწყეს.

ყვეღაზე დიდ გვარ იჩუკაანებ ვიყენითად' ყვეღაზე ცოტაი მამულიც ჩვენ გვეჭირის. მიწის გაყიდვა იცოღიან. ცხვა სოფღეღებზე კი არ ჰყიდღეს, წესად არ იყვის. იცოღიან მიწის ჩუქებაიც. თუ ვინ დამღევე იყვის, თავის სი-ცოცხღესავ თავ დიმარხიანად' სამარხში მიწა მისციან. როცა მოკვღის იმის მი-წაი იმას დარშიის, ვინაც დამარხის. იცოღიან დოღში მიწის ჩადგმაიც. აქ იყ-ვის უვეღურთ ყანები დოღში აღებუღები. აქვე დავაღიან იმის მოჯენაიდ სუ-ღადი. ხან ყიღიან, ხან კიდევ საჭიხალეო ჰვაბი შეხკიღიან.

ვინაც უმამუღოი იყვის, იმამ აქაებს ახოები აკეთიან, ხან კიდენ იყიღიან. თუ გასასყიდღელია იყვის. მამულს მზითევეი გაყოღებაი წესად არ იყვის, თუ ოჯახს ბიჭი არ ჰყვანღის, მამული იმის ბიძაშვიღებსავ დარშიისად' ჰალს კი არ მისციან. ბიძაშვიღები ისთას მისცემღეს, ვინაც უმამუღოი იყვის.

უმამუღოები თავის ბიჭობითაც შოუღობღეს მამულს. ვისაც სისხღის ამღეი არავინ ხყვანღის, სისხღის აღებაში მამული აძღიიან. მიწის ფასი ზოგი ცხვარ იყვისად' ზოგი ჰროხაი, ეგ მიწაზე იყვის ფასის სიღიღეი. ზოგ კარგაი მიწაი იყვისად' ფასიც დიდ ხქონღის. თუ დამღევეთაიოდ იყვის თვარამ მიწის გაყიდვაი სირცხვიღ იყვის“.

26 მთხრ. ა. ლ. წეწიიძე, დაბად. 1889 წ., ჩაიწერა შ. ბაკურიძემ 1951 წ.

ხახას წმინდა გიორგის ხატი

მდებარეობს ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლეზე (ტაბ. 20). სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ე. წ. ხახას ადგილზე, მდებარეობს წმინდა გიორგის ხატი. იგი ჩვეულებრივი ფორმის, საკმაოდ მოზრდილი, ფიქალი ქვით მშრალად ნაგები შენობაა, რომელიც ამავე დროს სადროშეც არის. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მიდგმულია მთის ფერდზე და გაცილებით დაბალია, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით, საითაც ნაგებობას აქვს მთავარი ფასადი. დანარჩენი ორი მხარე ნაგებობისა ცერად მიემართება მალა, თავზე ადევს დატოტვილი ირმის რქა. სახურავი ფიქალის ქვისაა და ოდნავ დაქანებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ერთ-ერთი ფიქალი შუა ნაწილში გადავხადეთ და ვნახეთ ყურმოტეხილი თიხის დოქი. ფიქალის ქვაზე, რომელიც დოქს ეფარა, წარწერა ყოფილა; ამჟამად იგი გადაშლილია და ვერ გავარჩიეთ.

სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, ფასადის კედელი შემკულია კედელში ჩამაგრებული ხუთი ირმის რქით. ერთ-ერთ ირმის რქაზე შეგბმულია თეთრი მიტკლის ნაჭერი. ამავე მხარეს კედლის წყობაში დატანებულია ოთხკუთხი ფორმის დიდი რიყის ქვა, რომელიც საკმაოდ დიდი ზომის ღრმულს ჰფარავს. ქვის გამოღების შემდეგ ღრმულში აღმოჩნდა: სპილენძის მრგვალი ფორმის ქვაბი (კარდალა), რომლის სახურავსაც აქვს დაღი არაბული წარწერით; კარდალაში ეწყო თეთრი, ჭრელი და წითელი ფერის საწირავები, რომელთაგან ზოგიერთში ფულია ჩატანებული და გამოკვანძულია; გარდა კარდალისა, ღრმულში იღო ხუთი ზარი, თორმეტი სპილენძის თასა, ზანზალაკი. სპილენძის ჰატარა თასზე ასეთი წარწერაა:

- I სტრ.: „1962 წელსა
- II სტრ. შაქრო
- III სტრ. გამაროიძისაგან
- IV სტრ. ხახმატის ჯვრისათვის
- V სტრ. შეწირული“

ამ თასს ტარზე მიბმული აქვს მიტკლის საწირავი.

აქვე ვნახეთ: წმ. გიორგის დაძველებული ხატი რუსული წარწერით;

სპილენძის ორნამენტური და სახელურიანი თასი;

ალუმინის „კრუშკა“ წარწერით:

- I სტრ.: „1966
- II სტრ.: შოთა ჯამრულიძე“.

გარდა ამ ინვენტარისა, ღრმულში აწყვია სანთლები, სრულიად უხმარი, როგორც ჰატარა, ასევე დიდი ზომისა (ტაბ. 21).

კ ა რ ა ტ ე

ხახას წმინდა გიორგის გვერდით, მისგან აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს უფრო დაბალი, ოთხკუთხა ფორმის, ნაწილობრივ დანგრეული ნაგებობა (ტაბ. 22). იგი ნაგებია ფიქალი ქვისაგან მშრალად. ზემოდან ალბათ ედო დიდი ზომის ხინჭრიკვა, რომელიც ამჟამად იქვე მიწაზე აგლია.

ჯ ა ჯ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი 27

სოფელ ხისოდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, იმავე ხანას ადგილზე, წმ. გიორგისა და კარატეს ნაგებობათა ქვემოთ, დასავლეთით, მთის ფერდზე მდებარეობს ჯაჯმატის ჯვარი. იგი წარმოადგენს დიდი ზომის, თეთრი ბროლის ქვას, რომელიც მთის ფერდობში ვერტიკალურად არის ჩასმული. მთხრობელის გადმოცემით, აქ კლავდნენ უშობლის პირველ ხბოს.

ძ ე ე ლ ი ს ა ქ ე ა ბ ე

მდებარეობს 1940 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სოფლის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ყოფილა საქვაბე შენობა, რომლისგანაც ამჟამად არც ერთი კედელი არაა შემორჩენილი, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრის კედლისა. იგი კლდეშია ამოყვანილი ფიქალი ქვით მშრალად. ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრის კედლების კუთხეში მდგარა სალუდე ქვაბი.

მთხრობელის გადმოცემით, საქვაბე შენობას მთავარი ფასადი ჰქონია სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, გადახურვა კი ბანიანი ჰქონია.

ა ხ ა ლ ი ს ა ქ ე ა ბ ე

ახალი საქვაბე შენობა მოწყობილია ნასახლარში (ტაბ. 23), სადაც ძველი საქვაბიდან ჩამოტანილია და დადგმული სალუდე ქვაბი. იგი ჩადგმულია ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ საცეცხლურში. ქვაბს ზემოდან ადევს ხის ქაფქირი. აქვე ვნახეთ კაბიწი ხისა და სამქირა.

ჭ ი ხ ა ლ ე

მდებარეობს ზღვის დონიდან 2230 მ სიმაღლეზე. ჭიხალე მდებარეობს ს. ხისოდან ჩრდილოეთის მხარეს, მაღალი მთის დავაკებზე (ტაბ. 24). იგი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ მოგრძო მილიონას. მთავარი ფასადი აქვს დასავლეთის მხარეს, სადაც ერთიმეორის თავზე ორი ოთხკუთხა ფორმის სასანთლე შუკუმა აქვს დატანებული. თავზე ადევს ორი მშვილდი და ექვსი ისარი. ისრები თოკითაა შეკრული.

მთხრობლის გადმოცემით, ამ ისრებით მშვილდოსნობა სცოდნიათ დღეობის დღეს.

ლ ე კ ო ვ ა ნ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე. ლეკოვანი მდებარეობს ს. ხისოდან აღმოსავლეთის მხარეს, მაღალ მთაზე. იგი წარმოადგენს ორ უზარმაზარ და ერთიმეორესთან მიტყუპებულ ფიჭვის ხეზე მიშენებულ ფიქალ ქვის, მრგვალი ფორმის ყორეს.

თ უ რ ს ი ე ხ ი

სოფლიდან ჩრდილოეთით, გადაღმა, მთის ფერდზე მოთავსებულია საქონლის სალოცავი თურსიეხი (ტაბ. 25). იგი მდებარეობს სასვენის გორის თავზე, ჯერხვისა და არყის ხეების ძირში (არყი და ვერხვი ერთად არის შეჯგუფ-

27 ს. ქვემო-ალვანში მცხოვრები პეტრე იჩუკაიძის გადმოცემით ს. ხისოში, ხანას ადგილზე სამი ნიშია: წმ. გიორგი, თეთრი გიორგი და ქვესურთ სალოცავი კარატე.

ფებულის). სალოცავი უფორმო ყორვა. დასავლეთის მხრიდან ჩამონგრეულია. ჩრდილოეთით აქვს პატარა შუკუმა. აქ, ფიქლებთან ერთად ოთხი ხინჭრიკვა აწყვია. აქვე არყის ტოტზე ჩამოკიდებულია საწირები.

სოფ. შტროლთა

„შტროლთაში ორ გვარი ცხოვრობს წვერაიძეებიდ' ბლარვაიძეები (შალვანი). შალვანი გვიანაი მოსრულე ბიად' ვარით არიან შეყრილები. სუ სოფელში 7 კვამლ ვართ, 2 კვამლი შალვანიდ' 5-იც წვერაანი. სოფელში ჩვენნივ განაყრები იყენეს უშიანიც, მაგრამ იმათა ერთ ქალის მეტი აღარავინაად' ისიც თელავშიაი გათხოილი.

ჩვენ სოფელს ძალიან ბევრი მიწებ ხქონდის, ვერც კი უდიოდეთ მოჯენას. ვისაც რამდენ უნდოდ იმდენს ხნევდის. მიწები კვამლურად გქონდის გაყოფილი, ყველას თავთავისაი. მიწების გაყოფაი იცოდთან 10 წელში ერთჯელ. წინავ ჩვენ სოფელში ერთია გვარ იყვის, ანლაია ეძახით: შათოანიო, ლულიანიო, თვარამ ევენიც წვერაიძეობით იწერებიან.

ჩვენ სოფელში მამულის გაყიდვაი წესად არ იყვის. არც გაყიდვიებდეს. გაყოფის დროს თითო საქერე ყანაი ავარჩიილთად' დანარჩენი გაყვიით. მიწის აწყვაი საბლით იცოდთან (1 საბელი=6 მკარს, მკარი=6 წყრთას). ჩვენ სოფელში არც დოღში ჩადგმა იცოდთან მიწისაი, ცხვა სოფლებში კი გამიგი. ჩვენაც გქონდის ნაციხართ (სოფელია) დოღში ნარგენაი ყანაი. ის ჩვენავ ვენდილთად' იმათ დღეობაში ქვაბ საკლავით წავიდნიით.

სოფელში არც სამნათეო ყანები გქონდის²⁸. წლადაი მოვაყოლიით ნათეობაი. მთელ სოფელ წელწად დილაობას ნათეანთას წავიდოდეთად' მთელ წელწდობას იქ ვიყვიით. მარტო ძროხადებადად' დასაძინებლად წავიდნიით თავთავის შინ. მთელ ერთ კვირაეს ნათეანთ უნდა ექმი ქამაი. არაფერ არ უნდ დახკლებიყვ.

დამლევთ მამული სოფელშიავ ვიყვიით. ცხვა სოფელში გათხოვილ ქალს მზითევში მამული არ აყოლიან. ქალს წინავ საჩეჩელი: აკაზმებიდ' ცელია (ნამგალი) აყოლიან მზითევში.

სოფელში ბევრი სტუმარიც მოგვდიოდის; როცა ნათეანთას მოვიწყინიით ავიაში ვატარით სტუმრები. ნათეები საწელწდოდ 3 ქვაბი აღუდს აღულებდეს. შეშია ჯვარის ტყეშიითა მოგქონდის. სოფელმ მოვშქრიითად' სოფელმვე მოვილიით. აღუდის მოხარშვაში ეს შეშია დავხარჩიით. წელწდობასაც ესევე შეშია ვწეილით. ზაღტულის დღეობებისადაც აქითავი შეშია მოვილიით. ცხვა დროს აქით შეშიას მოჭრაი წეს არ იყვის. არც აქით შეშის გაყიდვაი იყვის წესად. საქვაბის დასახურავაი კიდ-ყავრეიც აქითა მოვილიით. ტყეი ბევრ გქონდისად' ვინ მოშქრიდ აქით შეშას.

სათიბეები ყოველ ზაფხულს ვყვიით. წილები დავაყრიითად' ვისაც რომელ სათიბეი გვერგის, ის დავთიბიით. სათიბეები ერთკვადს უფარდიით. თავთავის ყამირები თავადავ დავწოდგლიით.

ნათეს გიორგობას არ უნდ დეკლ, იმას დამარილებდად' წელწდობას ის ვადუდიით. ჯორკის საწონავაი არ გქონდის, ავრიაი თვალით უფარდიითად ვიკოდით ვარაუდით რამდენი უნდ გამოსულიყუ.

წელწდობას ერთხენ ხინკალ უნდ მეეხვი ნათესად' უნდ ექმი პური, ერთხენ წმიდის ფაფითად' ცხვა დრო ჯორც-წვენიით.

²⁸ მთხრ. ტირო იქირაული—წვერაიძის ცნობით შტროლთაში ჯვარს ყანები ქკონია, 1966 წ.

წლითაწლამდი რაიც დღეობები მოდიოდის ქვაბები სუ ნათეს უნდ შეკიდ. რაგვერც ერთ ოჯახი იგრ ვიყენით, აბა ცოტა ხალხნი ვიყენით“²⁹.

სოფ. შტროლთის სალოცაეები: გიორგი ბალაურთისა, დავით მუხროვნისა, გიორგი წყაროსთავისა, სახევესურთ ნაფუძარა.

დავით მუხროვნის ჯვარი

დავით მუხროვნის ჯვარი მდებარეობს ს. შტროლთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს (ტაბ. 26). იგი ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები ოთხკუთხა ფორმის ყორეა, რომელიც სანახევროდ ჩაშლილია. თავზე ადევს დიდი ბრტყელი ქვა. მთხრობლის გადმოცემით აქ დღეობა ახალი წლის დღეს იცოდნენ.

საფუარი

დავით მუხროვნის ჯვარს აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება საფუარი ნაგებობა. იგი თითქმის სრულიად ჩანგრეულია. სანახევროდ გადარჩენილია სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრის კედლები, რომლებიც ამოყვანილია ფიქალი ქვისგან მშრალად. დასავლეთის მხრის კედელს აქვს ორი თაღოვანი შუქუმა. შესასვლელი, სავარაუდებელია, ჰქონოდა ჩრდილოეთის მხარეს.

საქვაბე

სოფელ შტროლთიდან ჩრდილოეთის მხარეს შემორჩენილია საქვაბის ნაშთი (ტაბ. 27). სანახევროდაა შემორჩენილი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარის კედლები, რომლებიც ფიქალი ქვისგან მშრალად ყოფილა ნაგები. მთხრობელის გადმოცემით, საქვაბის საალუდე ქვაბი 32 თუნგი ტევადობისა ყოფილა.

გიორგი ბალაურთისა

გიორგი ბალაურთის ხატი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, ბორცვზე. იგი ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები ოთხკუთხა ფორმის ნიშია, რომელსაც შიგადაშიგ წყობაში ჩატანებული აქვს ხინჭრიკვის ქვები.

გვესურთ სადექაო, საჯვესურო

ს. შტროლთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს პატარა დავაკებული ადგილია, სადაც დღეისათვის შემორჩენილი არაა რაიმე ნაგებობა.

მთხრობელის გადმოცემით, გვესურთა მოსვლის დღეს ს. შტროლთაში გადმოსული ხვესურები აქ დგებოდნენ და ლოცულობდნენ.

გიორგი წყაროსთავისა

გიორგი წყაროსთავისა მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, ჯვართანას მთის დავაკებაზე. იგი ფიქალი ქვის მართკუთხა ფორმის ყორეა. ჩრდილოეთის მხარეს ხვრელში ვნახეთ შეკრული უხმარი სანთლების კონა. აქვე ეტყობა სანთლის ნამწვის კვალი.

²⁹ მთხრ. კოლა აბრამის ძე წვერაიძე, ჩაწერილია 1951 წ.

სოფ. უველურთაში ცხოვრობენ: ჰოლიკიძე, მოზაიძე, უთურგაიძე. „ძირითადი გვარებია ჰოლიკიძე და მოზაიძე. უთურგაიძე მამულზე ამოსულნი“³⁰.

„სოფელში გვაქვს სამ სალოცავი: შუამთა, კარატის ჭვარი და ზეთჭარი. შუამთა მალაოდ' ცერშია, იმის დღეობაი ათნაგენობას მოდის, იმისად ქვაბებს შულტაები ხკიდებენ. საამისო ფორს შულტაები კომლურად მოხკრეფენ.

წინავ მთელ მიწები გაყოფილი იყო. ზოგს ბევრ მამული გვქონდის, ზოგს ცოტაი. მიწების დროდადრო გაყოფაი არ იცოდინან. ეს წესი მემრია შემიღეს, რაკი ხალხი გამრავლად' მიწები აღარ ხყოფნიდის.

თავთავის მიწის გაყიდვაიდ' ყიდვაი იცოდინან. ვისაც ბევრ მამული ხქონდის იმათ ყიდინან მამული. ცხვა სოფლელელებზედაც ხკიდდეს. მამულში ან ცხვარს აძლევდეს ან ძროხას, ფასიც მამულზე იყვის დამოკიდებული.

იცოდინან მიწის საღალღად მიცემაი. ღალაში სულადივ აძლიიან ერთ ზომაში 2—3 კოდი. ესეც მამულზე იყვის დამოკიდებული. ზოგში მეტ მოსავალი მოდიოდისად' ზოგში ნაკლები.

სოფელში ჭვრის ყანები არ იყვის, მარტო სამნათეო ყანები იყვის; 3 საქერე ყანა იყვის სოფლისივ პირში, სოფელძირ საპურე ყანებიც გვქონდის 2 ზომაი (ზომა — 2,500 მეტრი). სამნათეო ყანებს მნათეები ხენევედევს. ნათეებს წელწლობა ჩამოვდით ვირჩევდეთ. წლადი წილისყრა არ ვიცოდით. ერთხენ ღყარით წილით მემრი ვიცოდით ვის როდის ხვდებოდ. თუ რომელიმე კვამლს იმ წელს რა წელსაც ნათე უნდა ყოფილიყუ დრო არ ხქონდის, ცხვას გუცვალისად, როცა იმის ჭერ იყვის, იმამ კიდენ იმაში შეხკიდის ქვაბები. ნათეობანი ყველას უნდ მეშორ.

წინანდელი ხალხისაი გამიგი რომ შუამთის ხატსაც შეწირული საქონელი ხყვანდისაც, ის შულტაები ინახიან რიგრიგობითაჲ³¹.

როცა ჯენა დავიწყით, ერთ უქმ დღეს ყველანი გამოვიდნიით ვისაც ვარებ ყვანდინად' სამნათეო ყანები მოვცნიით. სკორეი თავად ნათეებთ დაყარაიან. საწელწლოდ ნათეებს 6 ქვაბი უნდ შეკიდ. ჩვენ ქვაბებს 15 ლიტრას ვაყარით. ფორიცად' სვეიც ნათეებისაი იყვის. სულადი სამნათეო ყანებში მოყვანილი იყვის. 6 ქვაბი კი გინდაარაოდ უნდ შეკიდად ზოგმ შეიდად' რვაიც შეხკიდის თავის სახელის გულისად. მთელ წელწლობას 2-ჯერ უნდ ექმი პურა სოფლისად. საკლავსაც მნათეები ხკლავდეს. საწონავაი ქვა გვქონდის, კაი ძროხა მეტ ვერ ამოდოდის.

როცა მეტ მოსავალი მოვიდის ნათეებსაც რშჩებოდის. შემოდგომას მომკიან, დაროიანად თავადავ გალენწიან. ფორებიც ჩაყარაიან რაიც საწელწლოდ დასქირდებოდის.

ზაფხულის დღეობებისად ორ კვამლ შულტაებ იყენიან, იმათ შეხკიდიან საათნაგენო ქვაბები. შეში ნათეებთად' შულტაებთავ მოშქრიან, მოლებით კიდენ მთელ სოფელში ვირები მოკრიფიანად' იმით მილიან.

მიწის ზითევეში მიცემაი მე არ გამაგი, დოღში ჩადგმა კი იცოდინან. წინა ცხენს მისციან მამული. სულის საქმეიავ. ვისი ცხენ მოვიდის იმის პატ-

30 მთხრ. ელისო არსენას ასული გიგნაშვილი-ჰოლიკიძე; ჩაწერილია 1966 წ.

31 მთხრ. საბა ჰოლიკიძე, დაბად. 1879 წ., ჩაწერილია 1951 წ.

რონი ან აქვე სოფელ ნათესავს ვის მისცემდ' ანად გახყიდდ, ან კიდევ მაკენე-
ვიებდად' ზაფხულის დღეობისად ალუდსად' არაყს ადუღებებდ.

შულტაებიც თავისივე საკლავს ხელევედეს. ერთ ჰედილა უნდ დეკლ თუ
კაიოდ ჰედილაი არ იყვის წონაში არ ამოვიდოდ. როცა უდერაი საკლავი დიკ-
ლის ხატში ტყაუები დაყიდიანად' იმით ან სოფლის საალუდე ქვაბები გაკე-
თებთან, ან კიდევ ხატის მილიონაები აგებთან.

წინავე ვიცოდით ცხვა სოფლელები დაპატყეობაი წელწდობას. ალუდი
რამდენ ხანსაც გინდ გჰქონიყუ არ დამყავდის: საწელწდოდ 6 ქვაბი მეტიც
მოგვდიოდის.

ვინაც დამლევი იყვის, თავის სიცოცხლეშიავე მისცემდ თავის სოფელ
უმამულო ხალხს მამულს. ცხვა სოფლელები ვერ სწვდებოდეს აქაურ ყანებს“.

ს ა ხ ე ვ ს უ რ ო . ვ ა ჯ მ ა ტ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2240 მ სიმაღლეზე (ტაბ. 28). ს. ყველურთი-
დან ჩრდილოეთის მხარეს, ხახას ფერდობზე მდებარეობს ფიქალი ქვისაგან
კლდეზე მშრალად ნაგები ოთხკუთხა ფორმის მილიონა. მთავარი ფასადი
აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს სამკუთხა ფორმის შუკუმა.
ჩრდილოეთის მხარეს, ფასადის მოპირდაპირე მხარეს, ოთხკუთხა ფორმა სიმ-
რგვალეში გადადის.

მილიონას თავზე ადევს ჯიხვის დიდი ზომის რქა, სამი ხინჭრიკვა და ირმის
რქები.

კ ა რ ა ტ ე

სოფლის თავში, მიწაში ჩამაგრებულია თეთრი ბროლის ქვა, ხინჭრიკვა.
მის ზემოთ, ჩრდილოეთის მხარეს ყორით შემაგრებული ადგილია.

ზ ე ჯ ვ ა რ თ ა ნ ა

(დავითის ჯვარი, ანუ წმ. გიორგი)

მდებარეობს ზღვის დონიდან 2320 მ სიმაღლეზე, ზეჯვართანას ჯვარი მდე-
ბარეობს ს. ყველურთიდან ჩრდილოეთის მხარეს ძალიან მაღალ მთაზე (ტაბ.
29). იგი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ მაღალ და განიერ
ნიშს. სამხრეთის მხარეს ნიში უფრო მაღალია, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს
შედარებით დაბალი. ნიშს არც ერთ მხარეს არა აქვს სასანთლე შუკუმა. სამ-
ხრეთის მხარეს წყობაში ჩატანებული აქვს რამდენიმე ხინჭრიკვა. ნიში ზემო-
დან სწორია და ბრტყელი ფიქალი ქვებითაა დაფარული.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვაბე შენობა სოფლის შუაგულში მდებარეობს. კარგადაა შემონახული
საქვაბის სამი მხარის კედელი, ჩრდილოთ-დასავლეთის მხარისა კი ჩანგრე-
ულია. კედლები ფიქალი ქვითაა ნაგები მშრალად. საქვაბე გადახურული ყო-
ფილა ცალფერდად. სახურავის დაქანება მიმართული ყოფილა ჩრდილოეთიდან
სამხრეთისაკენ.

საქვაბებს მთავარი ფასადი აქვს აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანე-
ბული აქვს ფართო შესასვლელი. შესასვლელის ორივე მხარეს კედლებში ორ-
ორი ღრმულია ჯირგალების გასაყრელად. შესასვლელის თავზე გადებულია
ძელი.

დასაგლეთის მხარეს, კედლის კუთხეში გაკეთებულია საცეცხლური. იგი ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. საცეცხლურში ჩასმულია ალუდის ქვაბი, რომელშიაც, მთხრობელის გადმოცემით, 400 ლიტრამდე ჩადის.

ბ ა ტ ო ნ ი შ უ ა მ თ ი ე ლ ის ხ ა ტ ო³²

ბატონი შუამთიელის ხატი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით მაღალ მთის წვერზე და წარმოადგენს პატარა კოშკური ფორმის დაბალ, სასანთლე ნიშის მქონე, სიპების წყობას. მისი ფასადი აღმოსავლეთ მხარეზეა. აქვე დევს სამი დიდი მთის ბროლის ქვა. ნიშში სანთლის ნაღვენთია, აქვე გდია გატეხილი დოქის ქვედა ნაწილი. კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე ორმოა ამოთხრილი. ადრე, გადმოცემით, ამ მიდამოებში ხატის განძს ინახავდნენ.

სოფ. ნაციხარი

სოფელი ნაციხარი მდებარეობს სოფ. ჩიგილაურთასა და სოფ. ყველურთას შორის. ამჟამად სოფლის თითქმის ყველა საცხოვრებელი ნაგებობა ჩაქცეულია. შემორჩენილია მისი მხოლოდ ძველი ეკლესია და ორი სალოცავი.

ერთი — გიორგი ნაციხარის ხატი, მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთ მხარეზე აღმართულ ბორცვზე და წარმოადგენს ორ სიპზე წამომდგარ, ორი დიდი ზომის მთის ბროლის ქვას. ეს ხევისურების სალოცავი იყო, ისინი პარასკევ დღეს მოდიოდნენ.

სოფლის მეორე სალოცავი — ხახას სახელობისა, — მდებარეობს ჯვრის ტიპის ქრისტიანული ეკლესიის ზევით, ფერდობზე. აქვე ყოფილა ძველად დღეობის დროს სუფრის გასაშლელი ადგილიც. აქ დგას დაბალი სიპით მშრალად აწყობილი უფორმო კოშკი. მის აღმოსავლეთ მხარეზე ორი ბრტყელი სიპი ქვაა აფარებული და ზედ სანთლებია მიკრული. აქ ლაშარობის წინა პარასკევს იყო დღეობა.

სოფელში ადრე მდებარე საქვების კვალიც კი გამქრალია ამჟამად.

სოფ. ჩიგილაურთა

სოფ. ჩიგილაურთა გვარმრავალი ყოფილა. აქ ცხოვრობდნენ: მოზაიძე, კახოიძე, ბილოიძე, მარწინაიძე, წულაქიძე, თხელიძე, შაბალაიძე, შამშალაიძე, სოფრომაიძე³³.

მარწინაიძე და ბილოიძე კახოიძესთან ყოფილან ხარით შეყრილი.

„მარწინაიძეები ფარსმის ზეიდან რო ნაკუდურთა არის, იქიდან არიან. მარწინაიძე შულტა ყოფილა და დღეობაში ერბო-მარილი დააკლდა. გასთაღებია ერბო და მარილი. ამის გამო გამოუსახლებიათ აქ“³⁴.

„ჯელოსანი მოზაანთ გვარისა უნდა ყოფილიყო. უკანასკნელი კელოსანი იყო პართენა ნანოს ძე მოზაიძე“.

ჩიგილაურთის სალოცავებია: შ უ ვ ა კ ე — პატარა მილიონა, ფიქვის ტყე აქვს იქვე; დ რ ო შ ა თ ს ა ბ ძ ა ნ ი — პატარა მილიონაა, ფიქვიანშია; ხ ე ვ - ს უ რ თ ს ა ლ ო ც ა ვ ი — ხ ა ხ მ ა ტ ი ო ნ ი; კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი და ე . წ . ს რ ო ხ ე ბ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ი — მაღლა მთებში.

³² ეს ხატი, აჭაურების გადმოცემით, ყველაზე მაღლა განლაგებული თუშეთის სხვა ხატებთან შედარებით, აქედან იშლება სრული ზედი მთელ გომეწრის ზეობაზე.

³³ მთხრ. ელენე სამოს ასული აშაძე — მარწინაიძე და პეტო კახოიძე. ჩაწერილია 1966 წ.

³⁴ მთხრ. ფროსე ალექსის ასული მოზაიძე, ჩაწერა შ. ბაქურიძემ, 1949 წ.

შუ ვ ა კ ო ბ ა აღდგომის მესამე დღეს მოდის. დღეობას ატარებენ შულტები, რომლებსაც სოფელი წილისყრით ირჩევდა. მას ევალეობდა საკლავის დაკვლა. საკლავი იწონებოდა საწონი ქვებით, რომლებსაც ლიტრებს ემახოდნენ. საკლავის გარდა, შულტა სოფელში კრეფდა ფორს და ალუდს ხარშავდა, შეშა დამის შეყრაზე და ალუდის დუღების დროს შულტების იყო.

„შაბათ საღამოს ველოსანი გამიღებდა ორ დროშას და სოფლის თავს მოიღებდა და მილიონაზე ჯვარჩი, სიაც ქალებ ვერ შევიდოდა, იქ დაამაგრებდა. იმავე საღამოს, როცა დროჩა გორზე გადმოჩნდებოდა, მთელი ხალხი მიეგებებოდა. მილიონასთან ზედაშეებს მოუტანდეს და ველოსანი დალოცავდა. აქ ერთი შულტაი დახკლევდ საკლავსად გამაგორებდ. როცა ხალხი ქეიფს მოიწყენდა, დაიშლებოდა, ველოსანი დროშაებსთანვე რჩებოდა.

მეორე დილით ველოსანი წაიყვანდა დროშაებს შუეაკეს, რის შემდეგაც მლოცველიც ავიდოდა. შემდეგ კოდი დაილოცებოდა...საღამო ხანზე ხალხი ყველა მოჰყვება დროშაებს. მას ველოსანი წყალში ამოაბანებდა სამჯერ და ველოსანივე გადაიტანდა ქარაბ კლდეში, რომელსაც „საბძანი“ ერქვა და შეინახავდა. იმისი ადგილსამყოფელი მარტო ველოსანმა იცოდა“³⁵.

ს ა ქ ვ ა ბ ე

სოფელში დასავლეთის მიმართულებით საქვების ნაშალია. შერჩენილია ნხოლოდ მისი ჩრდილოეთი ნაწილი, დანარჩენი ჩაქცეულია. (ელენე მარშინაძეს ახსოვს, რომ ეს ქვაბი გადახურული ყოფილა ცალფერდა სახურავით და რომ საქვაბებს შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა). სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მდგარა საკუთრივ საქვაბე და ალუდის მოსახარში ქვაბი, რომელიც ამჟამად გვერდით შენობაშია გადატანილი. გვერდით მდებარე შენობა საქსლო იყო. იქ შეიტანეს ალუდის ქვაბი და სამხრეთ-დასავლეთის კედლების კუთხეში გააკეთეს საქვაბე.

ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

საქვებიდან სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, მაღალი მთის ბორცვიდან გამოსულია უბრალო ყორე, რომელსაც ხანმატი ეწოდება. აქვე, ყორის მახლობლად უზარმაზარი ხინჭრიკვაა. გარდა ზემოთ აღნიშნული ყორისა, არის მეორეც, უფრო დიდი ზომის, კედელივით წაგრძელებული ყორე, რომელც ამავე სალოცავ ხანმატს ეკუთვნის.

ხანმატის ჯვარის ქვემოთ, მის მახლობლად ამოყრილი კედელია, რომლის წინ დავაკება (შესაძლებელია იგი ხევსურთ სადექა იყო).

დ რ ო შ ა თ ს ა ბ რ ძ ა ნ ი

ხანმატიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, შუეაკისაქენ მიმავალ გზაზე, მთის დაფერდებაზე მდებარეობს დროშათ საბძანი (ტაბ. 30).

დროშათ საბძანი წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან შშრალად ნაშენ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელსაც მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს აქვს და მთლიანად ღიაა. მთის ფერდობის აღმოსავლეთისა და დასავლეთის

³⁵ მთხრ. ფროსე ალექსის ასული მოზაიძე, დაბად. 1889 წ., 1949 წ. ჩაიწერა შ. ბაკურიძემ.

მხარეს ყორის დაბალი კვარცხლბეკებია ამოყვანილი, რომლებიც ჩრდილოეთის მხარეს მთის დაქანებას უერთდებიან. კვარცხლბეკების თავებზე გადებულია სამი დიდი ზომის სიპი, რომელთაგან შუათანას აქვს ორი მრგვალი ნაჩვრეტი დროშის ტარის ჩასამაგრებლად. ამ სახურავის ქვეშ, კვარცხლბეკებს შორის, მიწაზე ორი სიპია დაფენილი: ერთი დიდი, მეორე მომცრო.

ძ რ ო ხ ე ბ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ი

სოფლიდან ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს ძროხების სალოცავი. იგი ფიქალის კლდეა, რომელიც სიგრძეზეა გაწოლილი.

კ ა რ ა ტ ე ს ჯ ვ ა რ ი

სოფლის ბოლოს, მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს კარატეს ჯვარი — ყორით ნაგები შენობა, რომელიც ამჟამად ჩაქცეულია. გადარჩენილია სამხრეთისა და დასავლეთის კედლები. დასავლეთის კედელი ნახევარზე მეტად მიწაშია ჩასმული. ჩრდილოეთის მხარეს მთლიანად მიწაში ამოშენებული კედელი უნდა ყოფილიყო, ასევე აღმოსავლეთის კედელი ნაწილობრივ მიწაში იქნებოდა. სამხრეთის მხარეს გადარჩენილი კედელი წარმოადგენს, როგორც ჩანს, მთავარ ფასადს შენობისას. აქ კედელში ჩასმულია ირმის რქები (2 ცალი), მესამე გადმოვარდნილა და მიწაზე გდია. ნაგებობას ამ მხარეს აქვს პატარა დავაკება.

შ უ ვ ა კ ე

შუვაკე მდებარეობს ს. ჩიგილაურთის ჩრდილოეთით, სოფლიდან საკმაო შორ მანძილზე, მაღალი მთის დავაკებაზე, იგი წარმოადგენს ფიქალი ქვის ყორეს. ჩრდილოეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუმა. თავზე დამაგრებული აქვს სამი სანთელი.

ს ა დ რ ო შ ე

მდებარეობს ზღვის დონიდან 2195 მ სიმაღლეზე. სადროშე მდებარეობს ს. ჩიგილაურთიდან ჩრდილოეთის მხარეს უზარმაზარი სალი კლდის ძირში. სადროშესთან მისასვლელი სრულიად მიუვალა და ღვიის დიდი ბუჩქებითაა დაფარული. კლდის ძირში დევს ხის ყუთი, მოგრძო ფორმისა. შიგ აწყვიან: ორი ზარი, თეთრი მიტკლის საკადრისები და ერთიც ფერადი. კლდის ჩრდილოეთის მხარეს მიყუდებულია ორი სადროშე ტარი, რომლებზედაც ალბათ ყუთში მოთავსებულ საკადრისებს ამაგრებდნენ დღეობის დღეს.

ს ო ფ. ხ ა ხ ა ბ უ

ს. ხახაბუში ორი დიდი გვარი ცხოვრობდა: თიბელაიძე და თათარიძე. თიბელაიძედ იწერებოდნენ: ბაკურიძე, ქითიძე, ლუბაქელიძე, წოდორიძე, კვესიაიძე; თათარიძედ — ბუხაჩაური, ბაყლაიძე. კიცვაიძე. ამ ორი გვარიდან უფრო ძლიერები თიბელაიძეები იყვნენ³⁶.

სოფ. ხახაბუს სალოცავებია: ს ა ნ ე ბ ი ს ნ ი შ ი (აქვს დარბაზი, საზარე, სასანთლე), ქ ე რ ე ლ ო ვ ნ ი ს ხ ა ტ ი, მ ი ქ ი ე ლ ხ ო გ ო რ ი ს ა და ს ა ნ ე ბ ა კ ე ხ ი ს ა.

³⁶ მთხრ. თათარიძე ანტონი ღვთისოს ძე, დაბად. 1900 წ., ჩაწერილია 1965 წ.

ქერელოვნის ხატი, ხოგორი და სანება კეხისა ს. ხახაბუს ზემოთ მდებარეობენ.

ყველა ხატისათვის წელიწადში სამი შულტა იყო, საახალწლოდ კი — ნათე. ნათეს ახალწელსვე დასვამდნენ რიგით, შულტები კი ათნიგენობას იცვლებოდა (წილყრით). ახალწელიწადში ერთი ნათე იყო. მას დეკანოზი ეტყოდა, მიუთითებდა, თუ რა უნდა ეკეთებინა.

ოთხივე სალოცავს ერთად ჰქონდა ჯვარის ყანები: ქერი ითესებოდა. ხატებიდან თავისი ტყე მხოლოდ ხოგორსა და ქერელოვნის ჰქონდა, სხვებს არა.

„შაბათს ხოგორის დღეობა იცოდა, კვირას — კეხზე, სამშაბათს — ქერელოვნაში; ჯვარიბორტუს თავისი დღეობა არა აქვს. ევ სანების ნიშია; ჯერ აქ დაილოცებოდნენ ჯვარიბორტვში და მერე კეხზე წავიდოდნენ“.

ქ ე რ ე ლ ო ვ ნ ი ს ხ ა ტ ი

ქერელოვნის ხატი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. ქერელოვნის ხატში მხოლოდ კლდეა, რომელზედაც სანთელი ინთება, მის ქვევით სიბია და ეს სუფრის გასაშლელი ადგილია. აქვეა ხატის ფიჭვის ტყე, რომელსაც ქერელოვნის ტყე ჰქვია. აქ ათენგენობას ქორბელელა იმართებოდა. ქორბელელას შუაგულ უსათუოდ ჯელოსანი იდგებოდა; თუ რაიმე მიზეზით ჯელოსანი ვერ დადგებოდა, მისი შეცვლა მხოლოდ ნათეს შეეძლო ქორბელელას დროს.

ს ა ნ ე ბ ა კ ე ხ ი ს ა

ჩამოთვლილი ოთხი სალოცავიდან მთავარი არის სანება კეხისა. ეს ხატი ყველაზე ძველი ხატია (კეხის სანებასაც თავისი გორაკი აქვს, ამ ადგილს „კეხს“ უწოდებენ. ეს მისი ბორტვია). სანება კეხისა წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის სიპებისაგან ნაგებ ნიშიან კოშკს სწორი (ბანიანი) გადახურვით. ესაა სასანთლე.

მ ი ქ ი ე ლ ხ ო გ ო რ ი ს ა

ხოგორში ნაგებობა არ არის, იქ ერთი დიდი ფიჭვია და ესაა ხოგორის სასანთლე.

მიქიელ ხოგორისას საკუთარი ტყე აქვს: „ზედა ხოგორი“ (ტყეა) და „ქვედა ხოგორი“ (ტყეა).

ს ა ნ ე ბ ი ს ხ ა ტ ი

თვით ს. ხახაბუს თავზე მდებარეობს სანების ხატის კომპლექსი, რომელშიც შედის დარბაზი, ანუ საკოდე, საზარე და სასანთლე კოშკი. მთხრობლის გადმოცემით, ამ კომპლექსს მთლიანად სანების ნიში ქვია (ტაბ. 31, 32).

სანების ნიშის დარბაზი მდებარეობს სოფლის თავში, ამალღებულ ბორცვზე, ე. წ. „ჯვარი ბორტვზე“. იგი წარმოადგენს სიბი ქვისაგან მშრალად ნაგებ ორფერდასახურავიან ნაგებობას; მისი ფასადი აღმოსავლეთის მხარესაა. შესავალი კარი ხისაა, ხის ჩარჩოში ჩასმული ორკარედის სახით. კარები საყუნწურები თითა ჩასმული კარის ჩარჩოში. ხის კარის თავზე კედელზე დიდი სქელი ხის მორია დატანებული, ამას ხიდი ქვია. დიდი ზომის ხიდებია გადებული დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებს შუა. ხიდებს ზევით გადებულია ყავრი (წვრილი ხეები), მათზე კი ვაფენილია „ჩხლაკვი“ არყის ხისაგან, რომელზედაც მიწაყრილია. ეს წარმოადგენს დარბაზის ჰერს და ჰერზოს იატაკს.

ჭერხოს ჭერი ორფერდა გადახურვითაა წარმოდგენილი. კედლების თავებსა და ჭერიდან (ფასადის ცენტრში) აზიდულ ჭვის მილიონაზე გადებულია ხიდები, რომლებზედაც გადებულია ყავრი, ყავრზე კი დიდი სიპეპია დაწყობილი.

დარბაზი, რომელიც აგრეთვე საკოდეც იყო, ამჟამად თითქმის ცარიელია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდილოეთის კედელში დატანებულ თახჩაში 3 ცალ სპილენძის ბარძიშს და არყის ხისაგან გამოთლილ 2 ცალ ფეხიან თასს.

მთხრობლის გადმოცემით, ისეთ ჭურჭელზე, როგორზეც მაგალითად სეესური ან ფშაველი იტყვის თასიანო (ჯამისებურზე), თუში არ იტყვის თასს, არამედ ეს მხოლოდ ბარძიშია, დიდი იქნება ის, თუ პატარა ზომისა. ხოლო ფეხიან ჭურჭელს, ხისა თუ სპილენძისას, აქ თასი ეწოდება. აქვე კედელთან მიყუდებულია ლუდის სარეველი — ქოჯი, ჯარჯით შეკრული. ჯარჯი აუცილებლად არყის ხისა უნდა იყოს, ფიჭვისა არ შეიძლება, რადგან ცუდ სუნს აძლევს.

სამხრეთის კედლისა და აღმოსავლეთის კედლებში პატარა ოთხკუთხა ფორმის შუკუმა დატანებული („ფანჯარასავით რომაა „შუკუმა“ ჭქვია“).

დარბაზის გვერდით დგას ორტოტა მოჭრილი ხე, რომელზედაც ხეა გადებული და ზედ ჩამოკიდებულია ძველებური ქართული ფორმის ზარი. ესაა სანების ნიშის საზარე.

საზარეს გვერდით არის სიპით ნაგები სასანთლე კოშკი. ის წარმოდგენს ოთხკუთხა ფორმის მშრალად ნაგებ კვრივს, რომლის ფასადი აღმოსავლეთის მხარესაა; ეს მხარე კირითაა შელესილი. მის ცენტრში გამართულია ნიში, თაღოვანი ფორმისა და შიგ სანთლის ნარჩენებია. სახურავი სიპისაა და ოდნავ გამოწეული ფასადის მხარეს. ზედ უამრავი ირმის რქებია დაწყობილი. სასანთლის წინ საცეცხლეა გამართული სიპებისა და აგურებისაგან.

ს ა ქ ვ ა ბ ე

სასანთლის ქვემოთ, სოფელში მოთავსებულია ოთხივე ხატის საერთო საქვავაბე, ასევე მშრალად ნაგები სიპი ჭვისაგან. მისი სახურავი მთლიანად ჩაქეულია, მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების ცენტრისკენ ამალღებით ჩანს, რომ გადახურვა ორფერდა ყოფილა. შესავალი განიერაა, აღმოსავლეთ მხარეს. აქ ორივე მხარეს ორ სართულად დატანებულია ხეების გასადები ღრმულები საქონელი რომ არ შესულიყო. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედელთან კუთხეში გამართულია საკუთრივ საქვავაბე, რომელშიც სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სალუდე ქვაბია ჩასმული. ქვაბი გადახურულია ორი ურთიერთგადაკედილი ფიცრებით და ზედ ორი დიდი სიპი ქვა ადებს. ქვაბში 65 თუნგი ჩადიოდა: თუნგი = 18 ლიტრს. ადრე თითო ხატისათვის ორ ქვაბს ადულებდნენ. ეხლა კი უკანასკნელად სულ 2 ქვაბი მოხარშეს და ისიც 5 დღემდე ეყოთ.

საქვავაბის წინ არის ს ა ჯ ა რ ე — ნახევარწრეზე სკამებია (ხის) გამართული. ამ ადგილს უბანი ქვია.

ს ო ფ . ბ ო ჟ ო რ ნ ა

ს. ბოჯორნა ჩაღმათაც ეთვლებათ და გომეწართაც.

ს. ბოჯორნაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ოთიურიძე, ხედაგურიძე, კახიძე, მიშიძე, ჩოგონაიძე, ლილაურები.

კახოიძეები ხარით არიან შეყრილი ხვედაგურიძეებთან. ლილაურებთან მი-
შიძეები და ჩაგანაიძეები არიან ხარით შეყრილი. მიწა კახოიძეებისა-
თვის ხვედაგურიძეებს მიუციათ.

ს. ბოჭორნაში ორი ციხე იყო: ერთი ხვედაგურიძის, მეორე ოთიურიძე-
ების. ლილაურებს და მიშიძეებს ციხე არა ჰქონდათ.

ს. ბოჭორნის და ცოკალთოს მეკოდები ომალელები ყოფილან. სოფე-
ლი სოფლის ახლო რომაა, მეკოდებია. ძველად მტერი რომ შემოესეოდა, მე-
კოდები ერთმანეთს უმხრობდნენ.

ს. ბოჭორნაში ხატს მიწა არა ჰქონდა, ტყე კი ჰქონდა. საცხვრე საძოვრე-
ბი სასოფლო იყო. მიწა კვამლეურად იყო გაყოფილი. თუ ახალა კომლი გა-
მოვიდოდა ოჯახიდან, ან სოფელი მისცემდა მიწას, ან ოჯახის მიწას გაჰყოფ-
დნენ³⁷.

ს. ბოჭორნის სალოცავეები იყო: წმინდა გიორგის ხატი, კურკვის
ჯვარი, კვირაცხოვლის ნიში, ხახმატი, ხინჭრიკვა ბო-
ჭორნის თავისა (ხახას სალოცავეი):

წმინდა გიორგის ხატი

წმინდა გიორგის ხატის ნაგებობა მდებარეობს სოფელ ბოჭორნის შუა-
გულში. ისევე, როგორც მთელი სოფელი, ხატის შენობაც ნაგებია მთის ფერ-
დზე, ფიქალი ქვისაგან, მშრალად. მთის ფერდის დაქანების გამო ჩრდილო-
დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრისკენ, ნაგებობის ცალკვრდა სა-
ხურავსაც ასეთი მიმართულებით მიუღია დაქანება, თუმცა უნდა აღინიშნოს,
რომ ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის წყობა უფრო მაღალია, ვიდ-
რე ჩრდილო-დასავლეთის კედლისა (ტაბ. 33).

ხატის ნაგებობას შესასვლელი დატანებული აქვს დასავლეთის მხარეს.
შესასვლელთან დევს დიდი ზომის ხინჭრიკვა.

ნაგებობა შიგნით გრძელი ოთხკუთხა ფორმისაა.

ნაგებობის შიგნით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრის კედლის წინ, ძირში,
მთელი კედლის სიგრძეზე გაკეთებულია განიერი და გრძელი მეჯრა. ჩრდი-
ლოეთის მხრის კედლის დასავლეთი კუთხე და დასავლეთის მხრის კედელი
მთლიანად მომრგვალებულია. ჩრდილო-დასავლეთის მხრის კედელში დატანე-
ბულია შუკუნა, რომელშიაც აწყვია დოქი, ზარები და დაზიანებული, ეკლე-
სიიდან გამოტანილი, მინანქრიანი ოთხკუთხა ფორმის თუნუქის საეკლესიო
ნივთი, რომლის თავის ცალ კუთხეში თუნუქისავე წმინდანია გამოსახული. ნივ-
თის ოთხივე მხარე არშიებით არის შემკული. არშიებში ჩასმული ყოფილა მო-
მინანქრებული წმინდანის გამოსახულება. ამჟამად შემორჩენილია ორი გამო-
სახულება, ორი კი ამოღებულია. აქვე დევს საეკლესიო თუნუქის ჯვარცმის გა-
მოსახულება. შუკუნაში შედგმულია მოქიქული, მწვანე ფერის, ტუჩიანი,
მშვენიერი ქართული ფორმის დოქი. აქვე იყო შედარებით მოზრდილი მეორე
დოქიც, წითელი ფერისა.

ნაგებობაში ვნახეთ ეკლესიიდან გამოტანილი ძველი ჰალის ნაწილი, დიდი
რუსული ზარი, რუსული ხელობის ორი დიდი ზომის ხატი: ერთი ქრისტეს გა-
მოსახულებით, მეორე კი ღვთისმშობლისა. აქვე ყრია ეკლესიიდან გამოტანილი
ფარჩის, ოქრომკედით შესრულებული ტრაპეზის გადასაფარებელი ნაქე-
რი. მიწაზე ყრია თიხისა და თუნუქის ზარისა და კურკლის ნამტვრევები. ამას

37 მთხრ.: ბასილ მიხეილის ძე ოთიურიძე, დაბად. 1879 წ., და თინა შააძე-ხვედაგურიძე.

გარდა, ხატის ნაგებობაში ენახეთ ორი სადროშე ტარი და სამი გაწყობილი დროშა. სამი დროშიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი დიდი დროშა უამრავი საკადრისებით, ორი დიდი ბრინჯაოს ძველებური ქართული ზარით შემკული და შუბის წვერით დასრულებული თავზე. მეორე დროშა შედარებით მცირე ზომისაა, შემკულია უამრავი საკადრისებით და სამი ზარით, საიდანაც ორი ძველებური ჩანს; ისევე როგორც პირველი დროშა, მეორეც შუბის წვერით მთავრდება თავზე. მესამე დროშაც აგრეთვე შემკულია საკადრისებით (ტაბ. 34). დროშებთან, იქვე, არის ლუდის ქვაბის დამტკვეული ნაწილები. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელთან, იქ, სადაც პატარა სარკმელია დატანებული, დგას ხის საწდე, რომელშიაც აწყვია რვალის ტარკოშა და ჯიხვის რქები (სამი). საწდესთან დგას თუნუქის ქურჭელი, რომელშიაც ყრია სალუდე ქვაბის ნაწილები.

ს ა ქ ვ ა ბ ე

წმინდა გიორგის ხატის ნაგებობის გვერდით, დასავლეთის მხარეს მდებარეობს ს. ბოჭორნის საქვაბე (ტაბ. 25). საქვაბე ნაგებია დიდი ზომის ფიქალი ქვებისგან მშრალად და ოთხკუთხი ფორმისაა. იგი აგებულია იმავე მთის ფერდზე, რომელზედაც ნაგებია წმინდა გიორგის ხატის შენობა და დაქანებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრისკენ. მთავარი ფასადი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს საქვაბეში შესასვლელი. საქვაბის კარი მოტკეპნილი სწორი ადგილია. შესასვლელის გვერდით, აღმოსავლეთის მხრის კედლის პირად მთელ სიგრძეზე დაწყობილია ფიქალის ქვისგან გაკეთებული საჯდომები.

დასავლეთის მხრის კედელი ნაგებია დაკიბულად ხუთსაფეხურად. ყოველ საფეხურზე დევს ძელის ნაჭრები, რომლებიც ეყრდნობიან აღმოსავლეთის მხრის კედლის ასეთსავე საფეხურებს. აღმოსავლეთის მხრის კედლებზე ეს საფეხურები ნაწილობრივ შეიმჩნევა, ნაწილი კი მორღეულია. ნაგებობას ჩრდილო-დასავლეთის მხრის კედელი ამოშენებულია კლდეში. დასავლეთის მხრის კედლის კუთხეში, შესასვლელის პირდაპირ, ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებია საცეცხლური და შიგ ჩამაგრებულია კონუსის ფორმის სპილენძის ქვაბი. მეორე ქვაბი, ოდნავ დიდი ზომისა, დევს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრის კედლის კუთხეში. ქვაბის წინ მიწაზე დევს დიდი, ხისგან გათლილი ნავი, რომელიც ადრე ალბათ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრის კედლის კუთხეში უნდა მდგარიყო; ამაზე მიუთითებს ამ მხარეს კედლის თავებზე გადაებული დიდი ძელი, რომელზეც ალბათ ალუდის გასაწურ ვაკებს ჰკიდებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, კედლის საფეხურებზე დევს ხის მორები, რომლებიც ამაგრებენ გვერდით ხეებს. გვერდით ხეთა რაოდენობა ხუთია. გვერდითი ხეები ეყრდნობა საქვაბის შუა ადგილას სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრის კედლის თავებზე დადებულ დიდ თავხეს. გვერდით ხეებზე დაწყობილია ყავრი, რომელიც დაფარებულია დიდი ფიქალი ქვებით.

დასავლეთის მხრის კედელში ჩამაგრებულია 3 ხის ჯოხი, რომლებიც კედლიდან წინ არის წამოწეული. საქვაბე შენობა მიტოვებულია და შიგნით ნახირის სკორით არის მოსვრილი.

ჯ უ რ ჯ ვ ი ს ჯ ვ ა რ ი

ჯურჯვის ჯვარი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ დაბალ ნიშს, რომელსაც გვერდები ნაწილობრივ ჩამოშლილი აქვს. მთავარი ფასადი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, საითაც კედლის წყობაში დატანებულია და კედლიდან გამოწეულია ორი დიდი გახვრეტილი ფიქალი ქვა დროშის ტარის დასამაგრებლად. ჩრდილოეთის მხრით ნიშს საზღვრავს კლდე, ისე, რომ სრულიად დაფარულია ეს მხარე და ყველაზე მაღალი მხარე სწორედ მთავარი ფასადის მხარეს არის. ნიშს თავზე ადევს უზარმაზარი ფიქალი ქვა. მთავარი ფასადის მხარეს წინ გაკეთებულია ფიქალი ქვის ბაქანი.

კ ვ ი რ ა ც ხ ო ვ ლ ი ს ნ ი შ ი

ლილაურების გვარის უბანში, ჯურჯვის ჯვარის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს მდებარეობს კვირაცხოვლის ნიში (ტაბ. 36, 37). იგი წარმოადგენს მთის ფერდის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ფიქალით ამოშენებულ ბაქანზე დადგმულ სასანთლე ნაგებობას; სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს შეისრული ფორმის სასანთლე შუკუმა, რომელშიაც ახლაც ეტყობა სანთლის ნამწვის კვალი. ნიშს თავზე ადევს კონუსის ფორმის დიდი ზომის ხინჭრიკვა. ხინჭრიკვა აღმართულია ვერტიკალურად.

ხ ა ხ მ ა ტ ი ო ნ ი

ხახმატის ჯვარი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ. ოთხკუთხეა ფორმის ყრუ ნაგებობას. იგი ნაგებია მთის ფერდის აღმოსავლეთ მხარეს ფიქალით გამაგრებულ ბაქანზე, ე. წ. ხატის კარზე. ნაგებობის აღმოსავლეთი მხარე უფრო განიერია და შუა ადგილზე კედლიდან გამოწეულია დიდი ზომის ფიქალი ქვა. ფიქალი ქვის ქვეშ კედლის წყობაში ჩანს ნანთები სანთლის ნამწვები. ზემოდან ნაგებობას ადევს ირმის ორი ძველი რქა.

ხ ი ნ ჭ რ ი კ ვ ა ბ ო ჭ ო რ ნ ი ს თ ა ვ ი ს ა

(ხახას სალოცავი)

სიმაღლე ზღვის დონიდან 2560 მ. სიზი ქვით მშრალად ნაგები ოთხკუთხეა კვრივია. მთავარი ფასადი მოქცეულია სამხრეთის მხარეს, სოფლისაკენ. დასავლეთის კედელი შუა ადგილიდან კედლის თავამდე ნაგებობის სიღრმეში შეჭრა-ლია გრძელი ოთხკუთხედის სახით, რომლის ძირი წარმოადგენს ბრტყელსა და გრძელ სიპს. აღნიშნული შეღრმავების მარჯვენა კედელში (ფასადის კედელი), შიგნიდან შეინიშნება პატარა, ოთხკუთხეა ზომის შუკუმა.

ნაგებობის სახურავი არ არის შემორჩენილი (შენობის წინ ყრია სიზი ქვე-ბი). ნაგებობის ზემოთ, მარჯვენა მხარეს ვერტიკალურად დაყენებულია დაახლოებით ოთხკუთხეი, დიდი ზომის ხინჭრიკვა, გარდა ამ ხინჭრიკვისა, იქვე მიწაზე ყრია ხუთი სხვადასხვა ზომის ხინჭრიკვა. შენობის ჩრდილოეთ კედელზე აქა-იქ შეინიშნება სანთლის ნამწვაები.

სოფ. ომალო

სოფ. ომალოში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: იჭირაულები, სისოურები, თაბერიძეები, ჩაჩაურები და მოზაიძეები.

ომალოში ძველად ოთხი ხატი ყოფილა: მთავარანგელოზის, მარიამწმიდის, წმიდა გიორგის და კიდევე წმიდა გიორგის. მთავარი სალოცავი ყოფილა მთავარანგელოზის ხატი.

დეკანოზი (II კელოსანი) ერთი ყოფილა სისაურების გვარიდან. მთბრ. გიგლუა იჭირაულის (დაბად. 1876 წ.) ცნობით „იმისი (სისაურის) პაპაც დეკანოზობდა, იმისი შვილებიც და შვილიშვილებიც“.

წმიდა გიორგის ორი ხატი ომალოში — გადმოცემით ხევსურების სალოცავებად ითვლებოდნენ. დეკანოზებად აქ ხევსურები მოდიოდნენ.

ს. ომალოში „იყო სახატო მამულები და მათ ცალ-ცალკე გვარის მნათეები ხნავდნენ. მნათეობა რიგით ვიცოდით. რომენი გორიც დიდა იყო, იმათ ორი მნათე ვიცოდით, რომენიც პატარა — თვითო. ჩვენი გვარი დღე იყო და ამიტომ მნათეები ყოველ წელს ორ-ოლი ვიყავით. ახალწელი რო გავათავით, წილი ვყარით და ვისაც მნათეობა ერგებოდა. იმ წელს ის უნდა გაძლოლიყო ხალხსა.

წილის ყრა ისე ვიცოდით, რომ ყველა შეკომურმა თითის ფრჩხილის სიგრძე ჯონი გამოსჭრის, იმაზე ერთი ან რამდენიმე ჭდე გააკეთის, ყველა ჭდეები ერთ ქუდში ჩაყარაინ, ქუდის მოძრაობაში მოყვანიტ წილები ერთიმეორეში აირივის, შემდეგ ორი ცალი გადმოავდიან და, ვისიც ის გადმოავარდნილი წილები იყო, მნათეობაც იმატ შეხვდის.

მნათეობა ანუ თასტ მოსვლა ვისაც ერგის იმ წელს. ხალხს ის უნდა გაძლოლიყო. თასტ მოსვლას იმიტომ ვეძახოდით, რომ, რაც ხატის თასები იყო ლუდის და არაყის სასმელად, მნათესთან უნდა ყოფილიყო შანახული, თასტ მოსვლა ვისაც შახვდის, მთელი ხალხი იმასთან მივიდის სიმღერით. ულოცავდენ თასტ მოსვლას და თასებიც მთლიანად მას მიუტანაინ.

საკლავის დაკვლის დროს შულტა ილოცავს, საკლავს კი თვით პატრონი დაჰკლავს.

ახალმა მნათეებმა სამნათეო ანუ ხატის მამულები მოხნიან, სათიბო ადგილებიც (მამულები) მათ გათიბაინ და ზამთარი რო დადებდის. ახალწლისთვი სამზადისს შაუდგაინ. გააკეთაინ ორი ქობი ლუდი (თვითო ქობს უნდოდა ორი კოდი ქერი), სვეც იმათი უნდა ყოფილიყო. ხორცი წონით უნდა დაეხარჯა, — იმდენს იწონიდა ის საწონი ქვა. რო შუათანა ძროხის ნახევარი იყო საჭირო. თუ სახლში არ ჰყავდა, სახორცე უნდა ეყიდა. ერთხელ ჩვენ სოფელ შენაქოში ვიყიდეთ ერთი ძროხა და ის დავეკალით. შაიძლებოდა შამადგომაზე დაეკლა და ხორცი შეენახვა ახალწლისთვის. საკლავის დაკვლის დროს ხელოსანმა ილოცის და დაკვლით თვითონ პატრონმა დაკლის. პური წონით არ ვიცოდით, იმდენი უნდა გამოეცხო, რამდენიც სჭირდებოდა ხალხს. რადგანაც პარასკევი მარხვა იყო და სახსნილოს ჰემა არ შაიძლებოდა. მნათემ ლობიო მონარშის და ხალხს იმით გაუძღვის. ახალწელი ვიცოდით რვა დღეს; ოთხ დღეს მნათე უნდა გაძლოლიყო ხალხს და ოთხ დღეს თვითონ ხალხმა მიიტანის თავისი სასმელ-საჭმელი და საერთოდ ჰამაინ. ახალწლის ბოლო დღეს კიდევე წილი ყრიაინ და მხოლოდ წინა წლებში ვინც მნათეები იყვნენ, იმატ წილი აღარ ჩაავდიან. ასე იმეორებდნენ სანამ ყველას არ შახვდის.

ბოლოს, ვინც ორნი დარჩნინან, იმათ წილი აღარ იყარინან, რადგანაც ორნი-ღა იყვენენ.

შულტაობა წილის ყრით ვიცოდით, შულტად სამი ოჯახი იყო ერთად. შულტაობა არა გვარის წევრებმა იცოდენ, არამედ მთელმა სოფელმა. შულტად არჩეულმა ოჯახებმა საშულტაო ორი კოდი ქერის ლუღა ადუღიან, ერთი კარგი საკლავი (ცხვარი) დაკლიან და მთელ სოფელს გაუმასპინძლდიან.

შულტაობის დაწყება და დამთავრება იცოდენ ქრისტეს (ქრისტეშობას, ძე. სტილით 25 დეკემბერს). ჯელოსანი ილოცავს საკლავის დაკვლის დროს, მხოლოდ თვითონ პატრონი დაჰკლავს თავის საკლავს“.

მთავარანგელოზის (მიქელგაბრიელის) ხატი

ს. ომალოს საზაფხულო სადგომის (ზემო ომალოს) დასავლეთით, სოფლის ბოლოს ამალღებულ გორაზე, რომელსაც „სასახედრო“ ეწოდება, მოთავსებულია მთავარანგელოზის ხატის „ლუღის დასაყენებელი“; როგორც მთხრობელმა რევაზ იკირაულმა გადმოგვცა (80 წლის), აქ მხოლოდ აყენებდნენ, ხარშავდნენ კი სოფელშიო. ხარშავდნენ ყველა დღეობისათვის 1 ქვაბს, რომელსაც უნდოდა ჩასაყრელი 60 კგ ალაო. ეს „ლუღის დასაყენებელი“ ანუ „საფუარი“ ადრე ქვის კედლით ყოფილა შემოვლებული. ამჟამად კედლის ჩრდილოეთ ნაწილია გადარჩენილი, რომელიც აკრავს „საფუარის“ კედელს. თვითონ საფუარის შენობა წარმოადგენს ცალფერდასახურავიან მშრალად ნაგებ (სიპებისაგან) შენობას. მისი ფასადი დასავლეთის მხარეზეა. ფასადის წინ მიწაში ჩაფლულია დიდი ზომის ქვა (სასაკლაო? ვინაიდან მთხრობელის გადმოცემით საკლავსაც აქვე კლავდნენ). აღმოსავლეთის მხრიდან შესავალია, საკმაოდ განიერი; კარი არა აქვს, შესავალი გადარაზულია ხით, რომელზედაც მიყუდებულია სამი სიპი. სახურავი დაფერდებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთის მხარეს თითქმის მიწას უერთდება. იგი ფიცრისაა და ზედ სიპებია დაწყობილი. სახურავს იჭერს ორი თავზე, რომელიც ეყრდნობა კოქს, ეს კი ორ ბოძზეა დაყრდნობილი.

საფუარის შიგნით ორი განყოფილებაა — პირველი შესავალს რომ წარმოადგენს უფრო პატარაა; კარის პირდაპირ ცეცხლის ადგილია, ქვებია ქვაბის დასადგმელად დაწყობილი და კედელი აქ მთლიანად შებოლილია. სამხრეთის კედელზე მიკრულია სანთლების ნარჩენი. საფუარის დიდი ნაწილი ოთხკუთხედიან, გამოყოფილი შესავლისაგან ქვის წყობით და შებოლილია; აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში ჩამოსაკიდებელი ხეებია ჩასმული (10 ცალი) აქვე გდია რქა (აღბათ ჯიხვასა). ჩრდილოეთის კედელი წარმოადგენს კედლად გათლილ სალ კლდეს, რომელიც ორ-სამ ადგილას გახეთქილია და ნაპრალი ადგილები „ხუროდით“ არის ამოშენებული. — მთლიანად კედელი ძალიან შებოლილია.

საფუარის ჩრდილოეთით დიდი ზომის მთლად ჩაქცეული შენობის ნაშთია.

ჩაქცეული შენობის გაგრძელებაზე მოთავსებულია კარგად დაცული ცალფერდასახურავიანი ოთხკუთხა შენობა, მშრალად ნაგები სიპით, სადაც აქაურების გადმოცემით სანთელს ანთებდნენ. „სასანთლეს“ სახურავი და შესაბამისად კედლებიც დაქანებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. კავად გამოყენებულია „ყავრი“ (ყავრი ქვია იმ მრგვალ ხეებს, რომლებიც სახურავს იჭერს). მათზე კი პირდაპირ სიპებია დაწყობილი.

„სასანთლეს“ შესავალი ასევე აღმოსავლეთის მხარეზეა, კარი არა აქვს. შესასვლელის ორივე კედელში ძალზე ღრმა ღრუებია დატოვებული (ორ-ორი).

ქვის წყობაში შესავლის წინ მოტკეპნილი და ნაწილობრივ სიპით მოკირწყლული ადგილია, რომელსაც ჩრდილოეთიდან დაბალი კედელი აქვს აღმართული, ფასადზე მარჯვენა მხარეს პატარა ზომის ნიშია დატანებული, რომლის უკანა კედელზე ამჟამად დაზიანებული წარწერა იკითხება“ 1947 წ. (შემდეგ დაზიანებულია) ამის (.) ნებ...ე. იჭირაულმა“.

სასანთლეს შიგნით დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ოდნავ მომრგვალებულია, ამ სამივე კედლის გასწვრივ სიპებისაგან დაბალი საჯდომებია გამართული. ჩრდილოეთის კედელში საკმაოდ დიდი ზომის ნიშია დატანებული. იატაკი სიპებითაა ამოწყობილი.

„სასანთლის“ ჩრდილოეთით კედელზე მიდგმულია ასევე მშრალად ნაგები საშუალო ზომის კოშკი (კვრის მსგავსი). მისი ფასადი აღმოსავლეთს გასცქერის. ამავე მხარეზეა პატარა ნიში სანთლის ნალეწით. კოშკი საფუძველზე თითქმის კვადრატულია და ზევით ოდნავ ვიწროვდება. ადგილობრივი ასეთ ნაგებობას „მილიონას“ უწოდებენ და განმარტავენ როგორც სალოცავების აღმნიშვნელ, სალოცავების მანიშნებელ კოშკებს. მართა მოზაიქის (ს. ზემო ომალო) განმარტებით — ეს მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ის ნ ი შ ი ა. ასეთივე „მილიონა“ მოთავსებულია ოდნავ მოშორებით პირველისაგან (მთავარანგელოზის) უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისი ფასადი სამხრეთის მხარეზეა, აქვს ორი შუკუმა — ერთი სამხრეთ კედელში, მეორე კი აღმოსავლეთ კედელში. ამ უკანასკნელ შუკუმაში დევს პატარა ალუმინის ჯამი (ტაბ. 38).

ს ა ე რ თ ო ს ა ქ ე ა ბ ე (მარიამწმინდისა და მთავარანგელოზის ხატების) მდებარეობს ს. ზემო ომალოსა და ომალოს ციხეს შორის მთის დაქანებაზე. წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის დიდ ნაგებობას, მისი სახურავი ჩაქეულია, მხოლოდ დასავლეთის კედლის მოყვანილობით ემჩნევა რომ შენობა ცალფერდა გადახურვით უნდა ყოფილიყო. შესავალი აღმოსავლეთის მხარეზეა, შესავლის წინ ადგილია მოტკეპნილი და ჩრდილოეთის მხრიდან დაბალი კედლით გამაგრებული. საქვების სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში ამოჭრილია გრძელი „სარკმელი“, რომლის ძირშიც დგას დიდი ხის „გეჯა“ ანუ „ნავი“ მთლიანი ხისგან ამოჭრილი, რომლის სიგრძე=4,18; სიგანე=65 სმ; სიმაღლე=55 სმ. დასავლეთის კედელთან დგას ორი დიდი ზომის სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სალუდე ქვაბი, ერთი — გადმოპირქვევებული, უფრო ძველი (დმ.=2,70, სიმაღლე=1,20) (ტაბ. 39).

მეორე ჩადგმულია სიპებით ამოყვანილ საცეცხლურში, მასში დევს გრძელი ხის სარეველი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გრძელ ჯოხს, რომლის ბოლოზე მოკლე ხეებია შეკრული მავთულით მრგვალად. ქვაბი გადახურულია დიდი თხელი სიპით. ჩრდილო-დასავლეთის კედლის შუა ადგილი 20 სმ-ით ცრუ ბოძის სახით გამოწეულია ძირიდან ვიდრე კედლის დასასრულამდე, მის ორივე მხარეს კი კედელში დატანებულია ორი პატარა შუკუნე. სამხრეთ-დასავლეთის კედლის კუთხეში სამკუთხა ფორმის თაროებია გაკეთებული (2 ცალი). აღმოსავლეთის კედელში შესასვლელის მარჯვნივ მაღალი სარკმელია დატოვებული.

სალუდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს შენობა, რომლის დანიშნულება გაურკვეველია. შემორჩენილია მისი ორი, სიპებით მშრალად ნაგები კედელი. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედელი სწორია, სამხრეთისა და აღმოსავლეთისა კი ნახევრად წამრგვალებული; ნახევრად მრგვალ კედელს შუა აღმართულია ქვით ამოყვანილი ბოძი. ჩრდილოეთის კედელში დატანებულია შუკუნე. საქვაბეს ჩრდილოეთით, ომალოს ციხის ძირში, მოთავსებულია სასანთლე კოშკი შუკუნით, რომლის ფასადი სამხრეთის მხარეზეა, აქ განძი ყოფი-

ლა ადრე დამალული. კოშკის ქვედა ნაწილი უფრო განიერია, ზედა კი უფრო ვიწრო. შუკუნში სანთლის ნარჩენებია. მართა მოზაიკის გადმოცემით მას ს. ნების ნიში ქვია — ნიში მოზაიკის აშენებულია.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს ხ ა ტ ი

მდებარეობს ომალოს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, მთის წვერზე (ტაბ. 40). ამ მთის სამხრეთი კალთა ხატის ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ მოთავსებულია „თაღშეკრული დარბაზი“, რომელიც წარმოადგენს კვადრატის ფორმის ქვაკირით ნაგებ შენობას, ოთხფერდა სიპერდიანი კადახურვით. ოთხფერდა სასურავი აღის სამ სიპერდად. შესავალი კარი დასავლეთის მხარეზეა, იგი ნახევრადთაღოვანი და თავზე კედლის წყობიდან გარეთ გამოწეულია. ზემოთ ადევს დიდი სიბის ქვა; ზღურბლი საკმაოდ ამაღლებულია მიწიდან, შიგნიდან საფეხურად ჩადის იატაკზე, უკანასკნელი მეორე საფეხური ხისაა.

შიგნით სახურავი თაღოვანია და ეყრდნობა ოთხ ხის ბოის, რომელიც; კვადრატულადაა შეკრული. თაღს კრავს სიბი. აღმოსავლეთის კედელში პატარა შუკუნია დატანებული, მასში ხაჭაპურის ნამტკრევები აწყვი. იატაკი მიწისაა და ზედ დიდი ზომის სიპები აწყვი.

გარედან სამხრეთის კედელში ასევე პატარა შუკუნია დატანებული.

ხატიდან ჩრდილოეთით დიდი ფიჭვის ხეა, სადაც გადმოცემით, ხატის განძს ინახავდნენ: მის ძირში დიდი სამკუთხა ფორმის სიბი ქვა დევს. მართა მოზაიკის გადმოცემით ეს ძეგლი მისი მამის აშენებულია 50 წლის წინ.

მართა მოზაიკის გადმოცემით ს. ზემო ომალოს აღმოსავლეთით მაღალ მთაზე (წითელი მთა) მდებარეობს ომალოელთა სალოცავი ილია წითელ-მთისა, იქ მარტო დარბაზია, სადაც მარიანობის მარხვას იციან დღეობა.

სოფ. შენაქო

სოფ. შენაქოში უცხოვრიათ შემდეგ გვარებს: ხაჩიძეებს, ბუჭვაიძეებს, ოშორიძეებს, ვაწირიძეებს, ჭვრიტიძეებს, ანთაიძეებს, ხახიძეებს, იაურიძეებს, ჭიჭურიძეებს, იმედიძეებს, ჯადოგანიძეებს, ულუსიანებს, ხააძეებს, შიოძეებს. „მთავარი აქედან სამი გვარი იყო, თუ ოთხი, დანარჩენები ან განაყრებია, ან ხარით შეყრილები“. ხაჩიძეს ეკუთვნიან — ჭიჭურიძეები, ჭვრიტიძეები, ხახიძეები, იაურიძეები, შიოძეები; ბუჭვაიძეს — იმედიძეები, ჯადოგანიძეები, ანთაიძეები, იმედიძეები, ხააძეები, ჩილოძეები; ოშორიძეებს — კურდღელაძეები, სენიაიძეები³⁸.

„ხაჩიძეები სოფ. აგეურთაში ცხოვრობდნენ (აგეურთა შენაქოს გვერდით მდებარე სოფელია), 20 კვამლი იყვნენ; მამული ბევრი ჰქონდათ ხაჩიძეებს და ჩვენ შევიერთეთ. ეგენი ბევრი იყვნენ ჯერ კიდევ ჩემს მოსწრებას, მერე კი 3—4 კვამლია დარჩა. ხაჩიძეების გვარი მდიდარი გვარი იყო, მეცხვარე ხალხი იყო. მაგათი პაპის პაპა მოსულ იქაც იყო.“

ჩვენი გვარის (კურდღელაძის) პაპა ხევსურეთიდან იყო მოსული. ხოწნიკაურები ვართოა ჩვენ — ბიძაჩემი იტყოდა ხოლმე. ჩვენი სოფელი შამილის წინარე შეიდოცი (140) კვამლი ყოფილიყო. შამილის დროსა და მას შემდეგ კი დაუწვიათ და გაუნადგურებიათ, ხალხი მთლად ამოუწყვეტიათ. გადარჩე-

³⁸ მთხრ. ხაჩიძე კოსტა, დაბად. 1901 წ., ჩაწერილია 1965 წ.

ონილა მარტო ერთი კაცი სახელად ოშორი და ერთიც — ქალი, ქვრივი ქალი ქაქო. ოშორი გვარად შავხელიძე ყოფილა... ოშორიდან კი ოშორიძეები წამოვიდნენ. ქაქოს უშვილებია ჩვენი პაპა კურდღელი ხოწნიკაური, ხეესური. კურდღელადან მერე კურდღელიძეები წამოსულან. ჩვენ ოშორიძეები ვართ, მაგრამ კურდღელიძეებად ვიწერებით. კურდღელი ხოწნიკაური როცა მოსულა (შენაქოში), ოშორი შენაქოში დახვედრია უკვე“³⁹.

მთხრობელთა თქმით, მერე გვარები თითო-თითოდ დასახლებულან შენაქოში და გამრავლებულან.

სეხნიაძეები უწინდელ დროს, ბატონყმობის დროს მოსულან. სეხნიანი და ოშორი ერთგვარად იწერებიან. სეხნიაძეები ოშორიძეებში შედიან. გავირიძეები კარით შეყრილები არიან.

„დღეობის დროს გვარები ცალ-ცალკე შეჰკიდებდნენ ქვაბს და აღულებდნენ ალუდს. შენაქოში ორი დიდი გვარი იყო: ხაჩიძე და ბუქვაიძე. სააღუდე ქვაბიც ორი იყო. ერთი გვარი ერთ ქვაბში მოხარშავდა, მეორე გვარი — მეორეში. დანარჩენი გვარები იმ გვარის ქვაბში ჩაურევდნენ ფორს, რომელ გვართანაც იყვნენ შეკედლებული. ქვაბს ვინაც ხკიდებს, იცის რამდენი წვერიც ჰყავს. ჩვენ (კურდღელიძე) ბუქვაიანებს უნდა ჩაუვრიოთ ფორი“.

„მიწა კვამლზე იყო გაყოფილი“. „სათიბიც გაყოფილ-განაწილებული იყო. 20 დღიური საცნაური გვექონდა და ერთი დღიური სათიბი“. „ბოსლის პირი ერთი დღიური იყო, საცა სასუქი უნდა გაგეცანა“.

„ტყე შენაქოში კვამლზე იყო განაწილებული. ყველა ოჯახი თავის ტყეში მოსჭრიდა. ...ტყე საკომლოს გარდა სასოფლოც იყო. საძოვრები თავისუფალ იყო“. „უწინდელ დროში წისქვილიც თავისი ჰქონდათ. ვისაც არ ჰქონდა, 4 დღეში ერთი დღე უნდა გვეშველა ან თიბვაში, ან შეშის დაჩეხვაში“.

„შულტა და ნათე რომ ამუშაებდა, ის ჯვარის მიწა იყო. რაც ამ მიწაზე მოსავალი მოვიდოდა, ყველა ჯვარისა იყო. საკლავები მეცხვარეებს მოუდიოდათ თითო-თითოდ იმეტომ, რომ ოჯახს ღმარებეს“.

„შენაქოში იყო ჯვარის ყანები, მაგრამ ნათე არ ამუშაებდა. ჯვარის ყანა ჩვენ გვეჭირა და ვამუშაებდით. სოფელმა გაყო ჯვარის მიწა, გაყო სამუდამოდ. უწინ, ალბათ, ასე არ იქნებოდა. შენაქოში ისე არ იყო ჯვარის ყანები, როგორც პირიქითში, ან ხეესურეთში. იქ (პირიქითში) ნათე ამუშაებდა ჯვარის ყანას. ჩვენთანაც ალბათ უწინ ეგრე იყო, ნათე ამუშაებდა“.

„შულტას სოფელში წილისყრით ირჩევდნენ. შულტა ვალდებული იყო დღეობის დღეს საკლავი მიეყვანა, ან ხორცი მიეტანა. სოფელში ერთი გამოწონილი ქვა იყო და ამ ქვის წონის ხორცი უნდა მოეტანა შულტას“.

„ველოსანი ჩვენ ბაღლობას სანებაში კურდღელიძე ბაბო იყო. იმის შემდეგ არაეინა ყოფილა. მაგის შემდეგ ვინც შულტა იყო, ველოსანიც ის იქნებოდა“.

შენაქოს სალოცავები შემდეგია: სანება, წასნე, ლაშარის ნიში, ნივრის ხატი, კარატე, ხახმატი, ბატონი კურეხელი და მარიამწმიდა. მთავარი სასოფლო სალოცავია სანება.

ბ ა ტ ო ნ ი კ უ რ ე ხ ე ლ ი

ბატონი კურეხელის სალოცავი ხე იყო ფიჭვისა — ადიოდა ხალხი, შენაქოდან აღმოსავლეთით იყო; ის ხე ვილაცამ მოჭრა და იმის მაგივრად ეხლა სხვა ხესთან მიდიან, იქ ლოცულობენ.

³⁹ მთხრ. ფილო იოსების ძე კურდღელიძე, დაბად. 1881 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვებზე შენობა სოფლის შუა უბანშია, ნაგებია მშრალად ფიქალი ქვი-საგან; გადახურულია ცალფერდად. შესასვლელი დატანებული აქვს სამხრე-თის მხარეს.

დასავლეთის კედელთან, მის მთელ სიგრძეზე დევს ნავი; კედელი ბოლომ-დე არ არის ამოყვანილი, ზემოთ დატოვებულია სივრცე ჰაერისათვის. ნავის ზემოთ გადებულია ვიდი, რომელზედაც ლუდის გასაწურ ხაკებს ჰკიდებდნენ. საქვების სახურავი ოთხ ვიდს ეყრდნობა. შუა ორი ბოძი თავისი მხრივ ორ ბოძს ეყრდნობა. საქვების სამხრეთი კედელი და შემოსასვლელი კარგადაა შემონახული, დანარჩენი ჩამონგრეულია. აღმოსავლეთის კედელთან გამართუ-ლია ორი კერა, რომელშიაც ქვებებია ჩასმული: თითოში ერთი ქვაბი. სამ-ხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს გამართულია სვეს მოსახარში კერა. საქვებში ვნახეთ ქვების სარეველა ხისა.

ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

ხახმატის ჯვარი მდებარეობს სოფელ შენაქოს ბოსლების სამხრეთ-დასავ-ლეთით, ბოსლების ბოლოზე, დიკლო-შენაქოს გზის ქვემოთ. აქ სულ სამი ქვა გლია, ორი დიდი და ერთი პატარა.

ნ ი ვ რ ე ს ხ ა ტ ი

ნივრეს ხატი მდებარეობს სოფელ შენაქოდან ჩრდილოეთის მხარეს, დიკ-ლო-შენაქოს გზის ზემოთ. ხატი წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნა-გებ მილიონას. თავზე ადევს ორი ხინჭრიკვა.

„ნივრეს ხატი, ამბობს მთხრობელი, დარისა და ავდრის ხატია, ქალების დამიზნეზება იცის ძალიან, თუ ახლოს გაეკარა. ნივრის ხატის ქვემოთ, გზის პირას რომ წყაროა, იქამდე შეეძლოთ ქალებს მისვლა, მერე კი ველარ მიდი-ოდნენ“.

ნივრეს ხატი მდებარეობს ს. დიკლოსა და ს. შენაქოს შორის. „იქ სასტი-კად იკრძალება გოგოების შესვლა, — მხოლოდ 14 წლამდე დაიშვებიან გო-გოები, რადგან ნივრე გადაირევა, ავდარს მოიტანს და არ იდარებს, სანამ სოფელში არ მოვკრეფავთ არაყს. დავანთებთ საღამოთი დიდ ცეცხლს შუა სოფელში. მეორე დილით სახარე ბოჩოლას გამოუშვებთ ყურში სისხლს, მე-რე წაიღებენ ამას ნივრეს ხატში და დაასხამენ ოთხივ კუთხეს და მერე და-ლოცავენ „ალარ გვინდა ტალახი, ღმერთო მოგვეც გორახი“ (-დარი). ნივრეს ხატი ორივე სოფლისაა. საერთოა. ამას რომ შეკრიბავენ, შ ი ყ ვ ა რ ა ქ ვ ი ა , რ ო -ც ა გ ვ ა ლ ვ ა ი ყ ო და წვიმის წამოსვლაა საჭირო, ჯოხს ქალად ჩააცვამდნენ და ხატთან გაატარებდნენ“.

ლ ა შ ა რ ი ს ნ ი შ ი

ლაშარის ნიში მდებარეობს სოფელ შენაქოდან დასავლეთის მხარეს, სოფ-ლიდან კარგა ხნის სავალ მანძილზე, მთაზე. ნიში წარმოადგენს მილიონას, რომელიც ფიქალი ქვისგანაა ნაგები მშრალად. სამხრეთის მხარეს აქვს სა-სანთლე შუკუმა. თავზე აწყვია ჯიხვის რქები და უზარმაზარი დროშა, რომე-ლიც თეთრი საწირებით არის შემკული. ნიში ფიჭვისა და ნაძვის ტყეშია ჩამ-დგარი.

ს ა ნ ე ბ ა შ ე ნ ა ქ ო ს ი

სანება შენაქოსი მდებარეობს ს. შენაქოს აღმოსავლეთ მხარეზე, საყდრის უკან. ხატი წარმოადგენს სიპისაგან მშრალად ნაგებ არასწორი ოთხკუთხა ფორმის კერივ კოშკს, რომლის ფასადი სამხრეთის მხარესაა. ფასადის მხარეს გამართულია სასანთლე ნიში (სანთლის ასანთებს შუკუშმა ჰქვია), რომელშიც სანთლის ნაღვენთია დარჩენილი აქვე ფასადის მხარეს, კედელთან იკვლოდა საკლავიც; კედელზე სისხლია დარჩენილი.

კოშკის დასავლეთის კედელშიც ნიშია დატანებული, რომელშიც აგრეთვე სანთლის ნამწვავებია და პატარა ჯოხზე შებმული თეთრი მანდილი, — ეს ამ ხატის დროშაა. კოშკის კედლის წყობაში მთის ბროლის ქვებია ჩატანებული. ასევე მთის ბროლის ქვა, ორი ცალი, აწყვია კოშკის თავზე. აქვეა ირმის რქაზე გამობმული 7 თეთრი საწირი. მთის ბროლს, ხატისათვის შეწირულს ხინჭრიკვა ეწოდება. „ხინჭრიკვა არის ჯვრის ნიშანი“.

მ ა რ ი ა მ წ მ ი დ ი ს ხ ა ტ ი

მარიამწმიდის ხატი მდებარეობს უშაროანთ გორზე, უშაროანთ უბანს უკან და წარმოადგენს კლდეს, რომელიც ზერის ხის (ეკლიანი, ღვიანას გავს) ძირში მდებარეობს. აქ ბოჩოლას კლავდნენ და სანთელს ანთებდნენ. ეს ძროხების გასამრავლებელი ხატია. ცალკე ღლეობა აქ არ იციან.

კ ა რ ა ტ ი ს ნ ი შ ი

კარატის ნიში მდებარეობს სოფ. შენაქოს აღმოსავლეთ მხარეს, ახალ უბანში. ეხლა მისგან მხოლოდ ერთი ქვაღა დარჩენილა. ადრე ყოფილა მშრალად ნაგები კოშკი, რომელსაც სასანთლე შუკუშმა ჰქონია აღმოსავლეთის მხრიდან.

წ ა ს ნ ე ს ხ ა ტ ი

სიმაღლე ზ. დ. 1950 მ. წასნეს ხატი მდებარეობს სოფ. შენაქოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „ზედწასნეზე“, ფიჭვის ტყეში. ადრე აქ ხატი ყოფილა, ამჟამად კი ს. შენაქოს მცხოვრების ოლლა გაწირიძის მიერ 1947 წ. აღდგენილი „ქოხი“ დგას. ო. გაწირიძე ადრე ქადაგობდა. მას ვაყი გახდომია ავად და ამაზე ხატი აღუდგენია. ძველი ხატი, მისივე გადმოცემით, უფრო დიდი ყოფილა და გალაენიც ჰქონია შემოვლებული. ამჟამად გალაენის მხოლოდ კვალია დარჩენილა.

ეს ახალი „სახატო ქოხი“ წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის სიპით გადახურულ ცალფერდა შენობას, რომელსაც წინა კედელი არა აქვს, გახსნილია დასავლეთის მხრიდან. შესავალი სამი საფეხურით ამოღებულია. აღმოსავლეთის კედელი უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთისა და სახურავი ყავარზე გადებული სიპებით, დაქანებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

პირველ ყავარზე „შესაწირავებია“ ჩამოკიდებული — ერთი ვარდისფერი და სამი თეთრი ფერისა.

აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს კედელში შიგნითა მხარეს ორი შუკუშმა დატანებული.

სოფ. შენაქოს მეზობლად მდებარე ნასოფლარ აგვერთას
სანების და თამარის ხატი

აგვერთის (აგვერთის) სანება წარმოდგენს ახლად ამოწყობილ დაბალ ნიშისებრ კოშკურას, რომელიც ადრე ბევრად დიდი და მაღალი ყოფილა. ამჟამად მხოლოდ ათიოდე სიპისაგან ამოწყობილი კოშკია, რომლის ფასადი აღმოსავლეთის მხარესაა. ნიშში პურის ნამტვრევები ყრია.

ს. აგვერთას მეორე სალოცავი — თამარის ხატი მდებარეობს ადგილზე, რომელსაც „ციხეთ გორი“ ჰქვია. კოწახურის ბუჩქის ძირას. ამჟამად აქ მხოლოდ ორი სიპი ქვა დევს. კოწახურის ბუჩქზე ორი თეთრი საწირი და წითელი და ლურჯი შალის ძაფია გამობმული. ეს დედაკაცების სალოცავი ხატი იყო, მათ აქ ათენგენობაში მოქონდათ ქადა-პური და თავისი ჭირის შესახვეწრად მოდიოდნენ; აქვე თვითონ სუფრას შლიდნენ. ადრე, გადმოცემით, აქ სიპით ნაგები კოშკი მდგარა. ამჟამად მისგან აღარაფერია დარჩენილი.

სანების ხატს ქვემოთ ორი ჩაქცეული შენობის ნაშთია. ადრე აქ „საბძანისი“ ყოფილა — ერთი სადროშე, მეორე კი ალუდის შესანახი, რომელიც სოფ. აგვერთისა და ს. შენაქოს საერთო საქვაბიდან ამოქონდათ.

ადრე „დროშათ საბძანისი“ ეტყობა ორფერად გადახურული ყოფილა. მისი შესავალი დასავლეთის მხარესაა, კედლები ქვისაა, სიპით ამოყვანილი. აქ მოთავსებულია დიდი ხის ტარი და ზედ სამი თეთრი საწირია გამობმული. აქ, ამ შენობაში, გადმოცემით⁴⁰, დღეობის წინ (აქ ორი დღეობა იცოდნენ წელიწადში — ათენგენობა და მარიანობა) კელოსანი ათეველა ღამეს და შინ ვერ წავიდოდა. როცა შენაქო და აგვერთა შეერთდა ერთ სოფლად, მაშინ კელოსნად შენაქოელი დგებოდა, ადრე კი თავად ყავდა აგვერთას თავისი კელოსანი.

ადრე ეს ჩაქცეული შენობა ხისა ყოფილა, მხოლოდ საძირკველად ჰქონია სიპი ქვით მშრალად ნაგები წყობა. ამჟამად მის მხოლოდ აღმოსავლეთის კედელს ეტყობა ხის არსებობა.

კაცების გადასაგდები ყორე

თამარის ნიშსა და სანებას შორის მოთავსებულია სიპით ამოწყობილი (მშრალი წყობით) კედელი, მისი შუა ზედა ნაწილი დაზიანებულია, მასზე მთის ბროლის ქვა დევს.

დღეობაზე უვაჟო მამაკაცებს დაიპყრდნენ, ჩამოაგდებდნენ ამ კედლიდან, ძირს დააგორებდნენ და მიამახებდნენ „ვერცხლის ღილი გამოებასო“.

სოფ. დიკლო

სოფ. დიკლოში „სხვადასხვა გვარები ცხოვრობდნენ. ყველაზე ძველი გვარები იყო: ბექურიძე, ოსორაულეები, აბულაურები. ბექურიძე ვიყავით ნახევარი სოფელი. ჩვენც (ბელადიძეები) ბექურიძეები ვიყავით, მაგრამ გადავედით ბელადიძეებად: გვარი რად გავყარეთო — ზშირად მოგვივა ხოლმე ერთურთმუ ლაპარაკი. აბულაურებშიც ვავიდნენ პაპის სახელზე: ვარდიძედ, ქითიძედ, ქორთოშიძედ. ბელადიძეებს გარდა ბექურიძეებში პაპის სახელზე ვავიდნენ ბეწუნაძეები და იმედაიძეები. გასულები ერთიმეორეში ვნათესავობთ, ბიძაშვილები ვართ ერთურთისა; ქალს ერთმანეთში ვერ გავათხოვებთ. ეს ქვეგვა-

⁴⁰ აგვერთის ხატების მიგნებაში დაგვეხმარა შენაქოელი მიხეილ ოსორიძე, ამჟამად ზოოვეტინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი.

რომ, ეს ნამაო, ეს გვარიო, — ჩვენში ამას არ იტყოდნენ. პაპის სახელზე გასულს ვეტყვი, რომ განაყოფო, ბიძაშვილო. მესამე გვარიდანაც — ოსორაულებიდანაც იყვნენ გასული, მოზაიძეებს ვეტყოდით, ისინი“.

„ბექურაძის გვარის წინაპარი საიდან მოვიდა, არ მახსოვს. ის კი ყოფილა. რომ ვინც ადრე მოსული ყოფილა, მკვიდრი ყოფილა. მას მეტი მამული ექვირა. მკვიდრებს ბევრი მამული გვექვირა, ახალს (შედარებით გვიან მოსულებს) — ცოტა“.

„იმედაიძე ბექურაძისთან ჯარით ყოფილა შეყრილი. ეგენი (იმედაიძეები) ხევსურები ყოფილან. ბექურაძეებად იყვნენ ქააძეებიც. ქააძეების ორი ძმა ფარსმიდან გადმოსულა, მკვლელობა თუ რამ მოხდენიათ და ბექურაძეებს ჯარით შეყრიან“.

„ოსორაულები მკვიდრნი იყვნენ, აბულაურებად იწერებოდნენ. ესლა გამოეყო მაგათ მოზაიძე. ოსორაულები და აბულაურები. ჯარით შეყრილები არ ყოფილან, მაგრამ შეერთებულნი კი ყოფილან ერთმანეთთან, რომ დიდ გვარად ყოფილიყვნენ“.

„მიწა დიკლოში საერთო, სასოფლო იყო. რომელ გვარსაც შეეყრებოდნენ ჯარით, ის მისცემდა მიწას შეყრილს, მიწას უნაწილებდა. მიწა გვარ-გვარად იყო ძველად. გვარისა და გვარის მიწებს შორის სამანები იყო ჩაყრილი. დიკლოში მიწა სამ გვარზე იყო განაწილებული: ბექურაიძეზე, ოსორაულსა და აბულაურზე. მერე გვარის შიგნით რამდენი კვამლიც იქნებოდა, იმდენზე გაჰყოფდნენ მიწას. მაგ., თუ აბულაურებში 10 კვამლი იქნებოდა, მიწაც 10 ნაწილად გაიყოფოდა; ოსორაულებში თუ 2—3 კვამლი იქნებოდა, სამად გაჰყოფდნენ და ამათ უფრო მეტი მამული ერგებოდათ. გაცვლა-გამოცვლა მამულებისა არ იყო. მიწა სამანებით იყო გამიჯნული ერთიმეორისგან. გვარის მიწაც ესე იყო და გვარის შიგნითაც. ერთხელ გაჰყოფდნენ წილით და მერე იყო და იყო. თუ ოჯახი გამრავლდებოდა და გაიყოფოდა, ოჯახსვე უნდა მიეცა მიწა. თუ კვამლი დაილია, შეიძლებოდა, რომ დალეულისაც მიეცათ“.

„გვარ-გვარად იყო განაწილებული ტყეც, სათიბიც და საჯანურიც. საძოვრები სასოფლო იყო“.

„ჯვარის მიწები დიკლოში იყო. დიკლოში ჯვარის მიწებს ნათე ამუშაებდა, ის მოჭანდა, დათესავდა და მაგას უნდა ექმია სოფლისათვის პური დღეობაში. ეგ ჯვარის ყანები მაშინდელი დატოვებული იყო, როცა მიწები გაანაწილეს, მაშინვე დატოვეს ხატისათვის“⁴¹.

სოფ. დიკლოს სალოცავებია: „კარატის ჯვარი — სოფლის შუბანში, ვაკეში — სანება, სანების ზემოთ — ხახმატი, დიდკალთოს — წმიდა გიორგი, ციხესთან — ბიჭეხი და თურსიეხი — სოფლის ზემოთ, მთის მწვერვალზე.“

ბიჭეხისა და წმ. გიორგის სალოცავებს ჰქონიათ ჯვარის ტყეები.

დღეობა ვაკეობა სანებაში იყო 3 აგვისტოს, დიდკალთობა წმ. გიორგიში ასევე 3 აგვისტოს, ბიჭეხობა 4 აგვისტოს ბიჭეხში. ხევსურები კი ამ დღეობების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მოდიოდნენ თავის ჯვარებში⁴².

ბიჭეხის ხატი

ბიჭეხის ხატი სოფელ დიკლოდან აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს, სოფლიდან კარგად მოშორებით, მაღალ მთაზე. ხატი წარმოადგენს ფიქალა

41 ნაწყვეტები ამოღებულია მთხრ. გიგოლე გიმიცოს ძე ბელაღიძის (დაბად. 1893 წ.) ნაშრომიდან, ჩაწერილია 1966 წ.

42 მთხრ. ბელაღიძე სოლომონ, დაბად. 1885 წ., ჩაწერილია 1965 წ.

ქვისაგან მშრალად ნაგებ მილიონას. ჩრდილოეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუმა. ასევე სასანთლე შუკუმები აქვს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს. სამივე შუკუმა შებოლილია. თავზე მილიონას ადევს რამდენიმე ფიქალი ქვა და ცხვრის ორი რქა; ხოლო სამხრეთის მხარეს ზემო ნაწილში დატანებული აქვს ორი ფიქალი ქვა, ორივე გახვრეტილი მრგვალად. იმ ქვის ნახვრეტში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეშია დატანებული, ჩარკობილია დროშა, შემკული თეთრი საწირებით. აქვე დევს ჯიხვის რქა. ბიჭვის ხატის მახლობლად, სამხრეთის მხარეს დგას ციხესიმაგრე.

კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

კარატის ჯვარი მდებარეობს სოფელ დიკლოს შუაგულში, პატარა მოედანზე. ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან, სწორკუთხა ფორმისაა და ზომით აღმატება აქამდე ნანახ მილიონებს; ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს დატანებული აქვს სასანთლე შუკუმა, თავზე ადევს ფიქალი ქვა, რომელზედაც დევს ხინჭრიკვა, სამხრეთის მხარეს ჩატანებულია უამრავი ხინჭრიკვები. თავისი ზომით განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დატანებული ხინჭრიკვა.

ს ა ნ ე ბ ი ს ხ ა ტ ი

სოფლიდან ცოტა მოშორებით, სამხრეთით, გაშლილ ვაკეზე დგას ფიქალი ქვისაგან ნაგები მილიონა; ჩრდილოეთის მხარეს აქვს შუკუმა, თავზე აწყვია ფიქალი ქვები და სამი ხინჭრიკვა, მილიონას წინ ყრია უამრავი ცხვრის რქები.

ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

დიკლოს სამხრეთით, ბორცვზე (სანების ხატის ახლოს) დგას ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები მილიონა, დაახლოებით ისეთივე ზომისა და ფორმის, როგორიც კარატის ჯვარია (ტაბ. 41). ჩრდილოეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუმა. შუკუმის ქვედა ნაწილი წარმოადგენს ფიქალ ქვას, რომელიც მრგვალადაა გახვრეტილი. სამხრეთის მხარეს ფიქალი ქვები გამოდებულია და შიგნით ჩანს რაღაც ორმოსებური სამალავის მსგავსი სათავსო. მას თავზე ადევს სიბები, ირგვლივ ყრია ხინჭრიკვები და ამეამად მიწაში ღრმად წასული ქვები, რომლებიც წინათ, შესაძლებელია, საჯდომად იყო გამოყენებული.

ს ა ქ ვ ა ბ ე

სოფელ დიკლოს შუა უბანში დგას ოთხკუთხა ფორმის დიდი ზომის საქვაბე შენობა. შენობა ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან. სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები ნახევრად დანგრეულია. საქვაბე გადახურული ყოფილა ორფერდად. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელზე გადებულია სამი უზარმაზარი წიდი. ყავრები ორფერდადაა დაწყობილი, ფიქალი ჩამოყრილია. შესასვლელი სამხრეთის კედელშია დატანებული. შიგნით, შესასვლელთან, დგას ბოძი, რომელზედაც გადებულია ხე. ხე ეყრდნობა აღმოსავლეთის

კედელს. ხეზე იკიდებოდა ლუდის საწურავი ჯაკები. სამხრეთის კედელთან გდია ნავის დამპალი ძირი. ჩრდილოეთის კედელთან, მთელ გაყოლებაზე, უნდა ყოფილიყო საქვაბე კერა. ამჟამად შემორჩენილია კერის მხოლოდ შუა ნაწილი, რომელშიც ჩასმულია ერთი საშუალო ზომის ქვაბი. ქვაბი სპილენძისაა და მჭიდროდაა ჩასმული კერაში. ჩრდილოეთის კედელში დატანებულია შუკუმა. შემოსასვლელის მარჯვენა მხარეს გამართულია სვიის მოსახარში კერა.

თ უ რ ს ი ე ხ ი

„სოფლის ზემოთ რომ მთაა, სულ ზემოთა მწვერვალზე თურსიეხია. იქ ხედვას, ჩვეულებრივი ფიჭვისა და ზედ ათასნაირი ძაფები და ძონძები აქვს შემბმული. ეგ სალოცავი ბოჩოლებისა არის, საერთოდ მსხვილფეხა საქონლის, რიცხვისა არ არის. ძროხა რომ პირველ ბოჩოლას მოიგებს, თურსიეხს დაეკლავთ. თურსიეხობა მაისის თვეში მოდიოდა“.

დი დ კ ა ლ თ ო ს წ მ ი ნ და გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი

დიდკალთოს წმინდა გიორგის ხატი მდებარეობს სოფ. დიკლოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ადგილ დიდკალთოში, ხახას ტყეში, რომელიც ხატის საკუთრებას წარმოადგენს. ტყე არყისაა.

საკუთრივ ხატის ნაგებობას წარმოადგენს კვრივად ნაგები ოთხკუთხა ფორმის კოშკი, რომელიც ერთდროულად სასანთლესა და სადროშე კოშკის დანიშნულებას ასრულებს. კოშკი ბებერი ხის გარშემოა აღმართული. ამჟამად ეს ხე მთლიანად გადატეხილია და შუაგულ კოშკში მხოლოდ მისი ჯირკილა შემორჩა, რომელიც ეხლა სანთლის დასაკრავ ადგილს წარმოადგენს.

კოშკი გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული. გალავანი მრგვალია, მშრალად ნაგები. აქ წელიწადში ერთი დღეობაა — დიდკალთობა ანუ ათენგენობა. ერთ დღეს იციან მხოლოდ, აღდგომის მეასე დღეს მოდის. დიდკალთოს ხატში სასოფლო საკლავი არ იკვლოდა. იკვლოდა მხოლოდ კერძო; თუ, მაგალითად, ქალია გათხოვილი სხვაგან, ის მოდის მამის სალოცავში და საკლავს დააკვლევინებს. საკლავი იკვლოდა კოშკის ძირში მზის ჩასვლამდე დღეობის წინა დღეს.

„დღეობა დღეს შულტა მოიტანს არაყს, ლუდს და ტიკს ლუდით, ამის გარდა მას მოაქვს სახატო დროშა; ეს უკანასკნელი მხარზე აქვს გადებული. დროშა აქ არის ტარზე მანდილითა და ზარით ბიჭესში კი ტარზე ვიწრო ლენტისებური ნაჭრები იციან და ამას ბაირალები ქვია“.

სოფ. ქუმელაურთა'

სოფ. ქუმელაურთაში (ტაბ. 42) ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: შეთიძე, ბექურაიძე, ნაკუდაიძე, ხუციეიძე. მთხრ. ათანასე სოლიგას ძე შეთიძის გადმოცემით სოფელში პირველად ამ გვარებიდან შეთიძე მოსულა და დასახლებულა. შეთიძე წარმომდგარა შეთეს სახელიდან, რომელიც ყოფილა „შეთომარი, მცხოვრები კაცი“, გმირი. მასზე ლექსებიც შეუთხზავთ. თვითონ შეთე გვარად გულუხაიძე ყოფილა და გადმოსული ყოფილა ხევსურეთის სოფ. ხახმატიდან. „ჩვენი სახლები ეხლაც არის ხახმატში. რატომ წამოსულან ხახმატიდან, არ ვიცი. ჩვენი გვარი ომალოშიც არის. ომალოში გადმოსულები გულუხაურობით იწერებიან ახლაც; ჩვენ კი შეთიძეებად დავიწერენით. ნათესავეები ვართ ერთიმეორისა, ერთი გვარის კაცად ვითვლებით. პირველი და ძველი გვა-

რი გულუხაიძე უნდა იყოს. გულუხა ჩვენი დიდი ძველი პაპა უნდა ყოფილიყო. საერთოდ გვარი შეიდ მამამდე არის, მერე გადადის სხვა მამაზე. იქ რომ ვიყავი, ხახმატში, მოთხრეს: აი, სახლიც, აი, მამულიც თქვენია, დახპატრონდიო, მაგრამ იქ რა გამაჩერებდა. ომლოშიაც მომკემდნენ (გულუხაიძეები) მამულს, რომ წავსულიყავი. შეთიძეები გულანთაშიაც არიან. იმათანაც ვნათესაობთ“.

„შეთიძეებში ზესიძედ მისულია ნაკუდაიძის გვარი. გვარად გვეთვლება, 3—4 კვამლია. ...ჩვენს გვარში ასე იტყვიან: გულუხ-ნაკულდანიო“.

„ველოსანი ჩვენი გვარიდან დგებოდა. გულუხაიძე ბერო ექვინა. ყველა ხატისა იყო. ველოსნისა იყო მჯარი, ტყავი და ჳმიადები“.

„ქუმელაურთაში მიწა სასოფლო იყო. მიწის გადანაწილება ვიცილით. როცა გამრავლდებოდა, გაიყრებოდა და ცოტა რჩებოდა მიწა, ნ ა ო ხ ა რ მ ა მ უ ლ ე ბ ს (დალეულის — ამოწყვეტილის მამულებს) მიცემდით. ისე კი ნაოხარი მამულები რიგით იხვენებოდა: დღეს მე მოვხნავდი, ხვალ — სხვა. თუ ახალი კომლი გაჩნდებოდა, იმასაც მიცემდით“.

განაწილების დროს „ვისაც ს ო ფ ე ლ ძ ი რ ი ს ყ ა ნ ა⁴³ ცოტა ერგებოდა, იმას გ ა რ ე ყ ა ნ ა ს მიცემდით“.

„საერთო, სასოფლო იყო ტყე, საძოვრები მთებში; საცხვრე საძოვრები ცალკე იყო, საძროხე — ცალკე“.

„საყანეები კომლობრივ უნდა გაგვეყო; სათიბეებიც იქვე იყო და ისაც იყოფოდა. მთებში სასვილეებსაც ცალკე გაჰყოფდნენ. ტყის გაყოფა არ ვიცილით. ტყე ბევრი იყო“.

სოფლის პირის ყანები „თითო კომლს 5—6—7 დღისა შეხვდებოდა“.

„წისქვილები ჩვენში კერძოდ ჰქონიათ. ზოგს ჰქონდა, ზოგს არა. ვისაც არ ჰქონდა, მინდზე ფქვავდნენ“.

„ხატს ყველას თავისი ყანები ჰქონდა. ხახმატს სამი დღის მიწა ჰქონდა. მიწას ნათე ამუშავებდა. ნათეობა მორიგეობით იყო. წელს მე ვარ, მაგალითად, ნათე; მე უნდა მოვხნა, დავთესო და გავლეწო, ხატის ალუდი გამოვხადო; მეორე წელს კიდევ სხვა იქნება და ის შაჰკიდებს ქვაბს, საკლავიც იმისი იქნება“.

„შულტას (ალუდის) მომხარშავს ეძახიან, ნათეს კი მამულების მოხვნა აბარია“.

„ხატს თავისი ტყე ჰქონდა. ხახას სალოცავს, მაგალითად, ჰქონდა. იმ ტყიდან შეშის გამოტანის უფლება არავისა ჰქონდა“.

ქუმელაურთის სალოცავებია: ჯავმატის ჯვარი, წმიდა გიორგი — ხახის ჯვარი და შაფურთას ჯვარი. „ჯავმატისა და შაფურთის დღეობა ერთად მოდიოდა. ხახასი კი იმის სწორზე პირველ ორშაბათს იყო. შაფურთობაც არის და ჯავმატობაც“.

ქუმელაურთის მეკოდეა ომალო.

შაფურთას ხატი ტყეშია სოფლის მახლობლად. იქ დანგრეული მილიონას ნაშთილაა შემორჩენილი.

ჯ ა ვ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

ჯავმატის ჯვარში ხევესურები მოდიოდნენ.

ჯავმატის ხატი მდებარეობს პატარა გორაკზე სოფლის თავში (ტაბ. 44, 45). აღრე აქ დიდი ფიჭვის ხე მდგარა, მაგრამ გამხმარა და მისი კვალიც აღა-

⁴³ სოფელ ძირის ყანა — კარის პირის ყანა — სოფლის პირის ყანა (მთხრ. ათანასე ხოლივას ძე შეთიძე, დაბად. 1882 წ., ჩაწერილია 1966 წ.).

ჩაა. გორაკზე ორი, ერთმანეთის გვერდზე, ქვის ყორით მშრალად ნაგები მილიონა დგას. ერთს ზემოდან ირმისა და ჭიხვის რქები აწყვია მრავლად, ზოგიერთ რქას თეთრი საწირები აქვს გამობმული. მეორე მილიონას ცენტრში დამაგრებულია ხის ბოძი, რომელიც გარშემო ირმისა და ჭიხვის რქებითაა შემოწყობილი. ბოძი პატარა რკინის ჭვარით მთავრდება. ჭვარს ქვემოთ, ბოძს გული აქვს ამოღებული, რომელშიც უწარწერო ზარია ჩამოკიდებული. ზარს ქვემოთ, ბოძზე წარწერაა გაკეთებული, რომლის წაკითხვაც ვერ შევძელით. მილიონას ძირში, პატარა სარკმელია, რომელშიც სამი პატარა ზომის უწარწერო ზარაკი სპილენძის თასი და მისივე „კრუჟკაა“.

ვაჟმატის ჭვარის ამ ორივე მილიონას ძირში სამსხვერპლო იყო (მისი ნიშანი ეხლა არსად ჩანს). დაკლულ საქონელს ან წვრილფეხს იქვე ფერდზე დააგორებდნენ. საკლავს პატრონი კლავდა, მერე სახლში წაიღებდა, მოხარშავდა და შემდეგ საკოდოსთან მოიტანდა. მთელი ღამე ქეიფი იყო. საკლავის დაკვლის შემდეგ ქორბელელას გააკეთებდნენ და ისე ჩავიდოდნენ საკოდოში. ქორბელელა რომ წამოვიდოდა, თან სიმღერას მოაყოლებდნენ — „ღღესამ ღღეობა ვისია, წმინდისა გიორგისიაო“... მილიონების ქვემოთ, გორის ძირში, საქვაბეა — საქვაბის კართურთ (ტაბ. 46). საქვაბე ყორითაა ნაგები. შესასვლელი კარი ჩრდილოეთის მხარეს აქვს. კარი აღარაა შემორჩენილი და მის მაგიერ ქორებია მიწყობილი. კედლების თავზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადებულია ჯიდეები, ზოგიერთი მათგანი ფენგარზეა (ხის ბოლოში) დადებული, ზოგიც ქორბელელაზე. სულ 5 ჯიდეა. ჯიდეზე პერპენდიკულარულად აწყვია ყავრები და შემდეგ კი სიპებითაა გადახურული. სახურავი ცალფერდაა — სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაფერდებული.

საქვაბის გვერდითი და უკანა კედლები მიწაში ზის. აღმოსავლეთის კედლის გაყოლებაზე ჯიდეა ქერზე გადებული, რომელზედაც ჭარჭები კიდეა (საქვაბე სამივე ხატს ემსახურება), ქვემოთ გეჯა დგას გადატრიალებული. ჯიდსა და კედელს შუა ხაყის (ტომრის) 3 საჭირავი დევს.

სამხრეთის კედლის გაყოლებაზე მეჯია დადგმული, მას შემდეგ კედლის გაყოლებაზე დასავლეთის კუთხესთან სპილენძის დიდი ზომის სალუდე ქვაბია პირდამხობილი (ქვაბი ცოკალთოდანაა მოტანილი — იქ აღარავინ ცხვრობს).

დასავლეთის კედელთან სალუდე ქვაბი დგას, რომელიც გარშემო მიწითაა შემოტკეპნილი და ამალღებულ ადგილს ქმნის ირგვლივ. ეს ამალღება მთელი ნაგებობის უმეტეს ნაწილს მოიცავს გარდა საქვაბის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხისა.

აღმოსავლეთ კედელთან მშრალად ნაშენი ქვის ყორეა შეშის დასალაგებლად.

საკოდო, იგივე საჯარე წარმოადგენს პატარა მოედანს საცხოვრებელ იაგებობათა შორის მოთავსებულს სოფლის ცენტრში, საქვაბესთან ახლოს. აქ არაფერი ნიშანი საკულტო ნაგებობის არსებობისა არ ჩანს.

ხატის ინვენტარი კერძო პირებთან ინახება.

ხახის ჭვარი წარმოადგენს დაშლილი მილიონას ნაშთს სოფლის ბოლოს, წყაროსთან, პატარა ტყეში.

3. გომეფრის ხეობა

ა) გომეფრის თემი

სოფ. ალისგორი

სოფ. ალისგორში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: დევდარაიძე, ჭააძე, ბაცაიძე.

დევედარაიძეები ძირად იმერლები ყოფილან; გადმოცემით პირველად ეს გვარი დასახლებულა სოფ. ალისგორში. მერე დასახლებულან ბაცაიძეები — ჩაჩნეთიდან გადმოსულან და ჯააძეები, რომლებიც ხევსურეთიდან მოსულან.

„ალისგორში მიწები გვარებზე არ იყო, იმიტომ რომ კომლზე იყო განაწილებული. ოჯახებს ჰქონდა მიწები და მეკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. სოფელს მარაგი არ ჰქონდა მიწისა და გაყრისას არ მისცემდა. მიწა მამიდან შვილზე გადადიოდა. როცა (ოჯახი) გაიყრებოდა, დედ-მამას ერგებოდა მიწა. რამდენიც იყენენ (მამული) იმდენად გაიყოფოდა. მშობელი ხომ უნდა ყოფილიყო ერთ ძმასთან, ის თავის წილსაც წაიღებს და მშობლისასაც. ჩვენ ვიყავით შვიდნი, შვიდი ქული და შვიდად გავყავით (მამული)“. სოფ. ალისგორის სალოცაეები იყო: ბ ა ტ ო ნ ი ი ა ჯ ს ა რ ი, კ ა რ ა ტ ი ო ნ ი, მ ა რ ი ა მ - წ მ ი დ ა.

ხატს თავისი ტყე ჰქონდა, იქ ხის მოჭრა არ შეიძლებოდა.

სოფლის დღეობა — ხეთაობა მოდიოდა 23 ივლისს ახალი სტილით. ჯერ კარატიონში იქნებოდა დღეობა წინა სამშაბათს და შემდეგ ხეთაობა 23 ივლისს⁴⁴.

ბ ა ტ ო ნ ი ი ა ჯ ს ა რ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2140 მ სიმაღლეზე (ტაბ. 47). ბატონი იაკსარი მდებარეობს ხეთავის ტყეში. ნაგებია მშრალად ფიქალი ქვისაგან. ნაგებობა კვრივია და დაბალი, ოთხკუთხა ფორმისა. დასავლეთის მხრიდან მიდგმულია მთაზე, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუნა. ზემოდან დაფარულია ხავსით და ბალახით.

ა კ ლ დ ა მ ა № 1

აკლდამა № 1 მდებარეობს ე. წ. ციხეთუყვენას ადგილზე. ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად (ტაბ. 46). მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი. შესასვლელში ჩასმულია ხის ჩარჩო. შესასვლელისაგან დასავლეთის მხარეს კედლიდან გამოწეულია შუა ნაწილში გახვრეტილი ფიქალის ქვა, რომლის მსგავსი ჩვენ დავამოწმეთ როგორც დართლოსა და წაროს აკლდამების, ასევე ჯვარ-ხატების ფასადებზე; ამ უკანასკნელზე ისინი დროშის ტარის დასამაგრებლად იყო გამოყენებული. მსგავსი ფიქალის ქვა, ასევე ნაჩვრეტი, ყოფილა შესასვლელის აღმოსავლეთის მხარესაც, რომლისგანაც გადარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი.

აკლდამა № 1 თითქმის მთლიანად კლდეშია ამოშენებული: დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები ნაწილობრივ კლდეშია ნაგები, ხოლო ჩრდილოეთის მხრის კედელი მთლიანად კლდეშია ამოყვანილი. ნაგებობის სახურავი ჩაშლილია შუა ნაწილში. ადგილობრივი მცხოვრები ქრისტო დევედარაიძის გადმოცემით აკლდამას ადრე სანაწეთიანი სახურავი ჰქონია.

შიგნითა მხრიდან აკლდამა ოდნავ ნოვარძო ოთხკუთხედიანია. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარის კედლები აყვანილია სწორად, შვეულად, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა სიმაღლეზე თანდათან ვიწროვდება და გადადის შეისრულ სახურავზე, რომელიც ზემოდან შეკრული უნდა ყოფილიყო ბრტყე-

⁴⁴ სოფ. ალისგორის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მოხრ. დევედარაიძე ქრისტომ, დაბად. 1919 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ლი ფიქალის ქვით. ჩრდილოეთის მხრის კედელზე — იქ, საიდანაც იწყება შეისრული წყობა — მთელ სიგრძეზე ფიქალის მეჯია (ქვის საწოლი, თუ საჯდომი) გაკეთებული. დასავლეთის მხარის კედელში ოთხი ღრმულია, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს, აღმოსავლეთის მხარის კედელშიც ასევე ოთხი ღრმულია; ერთ მათგანში ბოძის ნარჩენი ზის, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთივე ბოძები უნდა მკდარიყო დანარჩენ ღრმულებშიაც. ბოძები ალბათ ქვის ფენას იჭერდნენ, რომელიც აკლდამას ორ სართულად ჰყოფდა.

აკლდამის იატაკი მოფენილია ჩაქცეული ფიქალი ქვით, ხის ნაწილებითა და დახვეებული, დაფუტუროებული ადამიანის ძვლებით; მათ შორის გავარჩიეთ მენჯისა და წვივის ძვლები.

აკლდამა № 2

№ 1 აკლდამისგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, მდებარეობს აკლდამა, რომელსაც ვუწოდებთ, აგრეთვე პირობითად, აკლდამა № 2. ნაგებობის კედლები მთლიანად კლდეშია ამოშენებული: კლდის ზედაპირს სცილდება და თვალსაჩინოა აღმოსავლეთის მხრის კედელი; სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრის კედლები შედარებით ნაკლებად ჩანს, ხოლო დასავლეთის მხრის კედლის სიმაღლე კლდის ზედაპირს უსწორდება და არ სცილდება.

ნაგებობას არც ერთი მხრიდან არ უჩანს შესასვლელი, რამაც თავდაპირველად დაბადა მცდარი აზრი, რომ იგი ყრუა. მაგრამ აკლდამა თავისი ზოგადი მოყვანილობით აქაურ აკლდამებს მიემსგავსება და ბადებს აზრს, რომ ხომ არ იყო იგი პირველი აკლდამისებური, შეისრული ქვით, შემოდან გრძელი ფიქალი ქვით შეკრული და, რადგანაც არ ჰქონდა შესასვლელი, ხომ არ ათავსებდნენ მიცვალებულს სახურაიდან, შეისრული ქვრის შემკვრელი ფიქალი ქვის მოხსნის საშუალებით⁴⁵.

აკლდამა № 3

მდებარეობს № 1 და № 2 აკლდამებს შორის, კლდეზე. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის კედლები კლდის ზედაპირის სიმაღლეს უსწორდება; მხოლოდ მათი ზედა ნაწილი და შეისრული სახურავის ზედა ფენა არის აცილებული მიწისპირს. მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს შესასვლელი. შესასვლელი დატანებულია ძალიან მაღლა, თითქმის შეისრული ქვრის არეში.

შიგნითა მხრიდან № 3 აკლდამა თავისი კონსტრუქციით სავსებით მსგავსია № 1 აკლდამისა; სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრის კედლების წყობა აყვანილია სწორად, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის კედლები თანდათან ვიწროვდება და გადადის შეისრულ ქვრში. ქვრის დიდი ნაწილი ამჟამად გადახდილია. აკლდამა ამოკლებულია მცენარეებითა და ფიქალი ქვებით.

№ 3 აკლდამასთან ახლო ყოფილა კიდევ ერთი აკლდამა, რომელიც, ისევე როგორც აქ მდებარე ყველა აკლდამა, ნაგები ყოფილა ფიქალი ქვისაგან, მშრალად. ამჟამად იგი სრულიად ჩაქცეულია.

⁴⁵ შემდგომ ეს მოსაზრება უფრო განამტკიცა № 3 აკლდამის აგებულებამ, მას შესასვლელი, თუ მიცვალებულის მოსათავსებელი სარკმელი ძალიან მაღლა აქვს დატანებული, იგი თითქმის შეკრილია შეისრული ქვრის კონსტრუქციაში.

მდებარეობს ზღვის დონიდან 2120 მ სიმაღლეზე (ტაბ. 47). კარატიონი მდებარეობს სოფელ ალისგორის თავში და წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ სამკუთხა ფორმის ნიშს: ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ნიში საფეხურებად აღის და კუთხეს ქმნის; შედარებით კარგად ემჩნევა ეს საფეხურები ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ნაგებობას მთავარი ფასადი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც წყობაში დატანებული აქვს შეისრული ფორმის შუკუნა, შუკუნაში დევს ორი თეთრი ბროლის ქვა; ატყვია სანთლის ნამწვის კვალი. შუკუნის ქვემოთ კედელში ჩამაგრებულია ხე, რომელზედაც საკლავს აბამდნენ. მთავარი ფასადის წინ აქვს ხელოვნური დავაკება. დავაკების ქვემოთ საქალებო ადგილი ყოფილა.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს ხ ა ტ ე

ს. ალისგორის მარიამწმინდის სასოფლო ხატი მდებარეობს ს. ალისგორსა და ალისგორისა და კოკლათის აკლდამებს შუა. ხატი წარმოადგენს მთის ფერდელში აყვანილ სიპების წყობას (კედლისებურად), რომელზედაც სანთლის ნარჩენებია მიკრული. აქ წელიწადში ერთი დღეობაა ხეთანობა („კეთანობა“). „ეს სალოცავი სასოფლო იყო და აქ სამი გვარის ხალხი ილოცებოდა: დევდარაიენი, ჯააძები და ბაცაიძეები. ჯააძენი და ბაცაიძენი — ერთი გვარი ყოფილა. სოფელში სალოცავი საერთო იყო ორივესი, ციხეები კი თავ-თავადი ჰქონდათ — ერთი ჯააძეებისა და მეორე დევდარაიძეებისა. მარიამ წმინდის ხატს თავისი ტყე აქვს (ვერხვი)“.

სოფ. დადიკურთა

სოფ. დადიკურთაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: გიგაგორიანი, ჯარიანი, ხეციოძეები, გიუნაიძეები, ვეფხვიძეები, კოკილაურები. აქედან გიგაგორიანი და ჯარიანი „წაშლილან“, „იმათი აღარავინ არის, დანარჩენი ოთხი ისევ არსებოს“. კოკილაურები მესამე თაობაზე ბაბილოძეებად დაწერილან.

ხეციოძეები ყველაზე ადრე არიან მოსული და დასახლებული სოფელში. მაგრამ ამ გვარის მოსულობის კვალი არა ჩანს. „როცა კაცი მოვიდოდა, სოფლის მოშორებით სახლდებოდა. გამოსციდინენ, თუ მისაღები იყო, მიიღებდნენ, თუ არა და არა. ხეციოძის ნალაგარი (სოფლის გარეთ) არა ჩანს, დანარჩენი სამისა ჩანს, სოფლის განზე არის“.

გიუნაიძეების გვარი მარტყოფიდან, თუ პატარძელიდან ყოფილა გადმოსახლებული; გვარად გიუნაშვილები ყოფილან. „კაცი შემოჰკდომია. სოფელში (დადიკურთაში) მოსულა; გარეთ დაუსახლებიათ, თუ გამოდგები, დაგტოვებთო. ძმები არა ჰყოლია. დროს რომ გაუვლია, სოფელს მიუღია. გიუნაიძეებს) გიგაურები და ხეციოძეები დაჰხვედრიან“. გიუნაიძეების შემდეგ მოსულა და დასახლებულა კიდევ ორი გვარი: ვეფხვიძეები და კოკილაურები. „ვეფხვიძეები გუდანთიდან გადმოსულან, ესლაც ყვანან ბიძაშვილები გუდანთაში... ვეფხვიას მოგვარეები ჩეთანები არიან, ერთმანეთთან ესლაც მიდი-მოდიან, ბიძაშვილობენ. ვეფხვიაც ჭერ გარეთ დაუსახლებიათ, მერე სოფელს მიუღია“.

„კოკილაურები საიდან მოვიდნენ, არ ვიცი; ისე კი ყველაზე დიდი ნასადგომარი აქვს. მე ორ კომლს მოვესწარი. ერთი კომლი წაიშალა. მეორის ჩამომავლები კი ესლაც არიან“.

კოკილანები გიუნანთან ყოფილან ხარით შეყრილები.

„თუ გვარი შეერთდებოდა, როგორც ეხლანდელ წესზე ნიშნობა, ისე იცოდნენ. ხარს ოჯახში დაჰკლავდნენ, მოიწვევდნენ, იმ გვარს, რომელსაც უერთდებოდნენ და დადგინდებოდა, რომ ეს იმ გვარისაა. ზოგჯერ (ხარით შეყრილები) თავ-თავიანთ გვარს ატარებდნენ, ზოგჯერ კი ერთ გვარზე ეწერებოდნენ. შიშიანობის დროს, თუ ტყვედ წაიყვანდნენ, დიდი გვარი უფრო ადვილად გამოისყიდოდა თავის ტყვეს. ტყვის გამოსყიდვა ფულითაც ყოფილა, საქონითაც. ტყვის გამოსყიდვაში ხარით შეყრილი გვარების გარდა მეკოდებიც იღებდნენ მონაწილეობას. დადიკურთას სამი სოფელი ყავს მეკოდე — ალისგორი, კოკლათა და ვეძისხევი“. ვეფხვიანებს ცალკე აქვთ სასაფლაო, ხეცოვნიანთ — ცალკე. გიუნაიძეებს და კოკილანთ საერთო სასაფლაო აქვთ.

დადიკურთაში „ცალკე გვარებს თავისი მიწა ჰქონიათ წინათ. შემდეგ, 3—4 წელიწადში ხელახლა გაანაწილებდნენ. მთელი სოფლისა იყო სახანაური მიწა. თუ ვინმე წაიშლებოდა, იმის მიწასაც გაჰყოფდნენ. მოხუცებულებს ცალკე გამოუყოფდნენ მიწას — სავალეს. ამ მიწაზე არც გადასახადი იყო, არც არაფერი“. „საქერე მიწა იყო: ერთი დღიური მაინც იქნებოდა. როცა [ამ მიწის მფლობელი] მოკვდებოდა [მიწა] ისევ სოფელს რჩებოდა, სოფელი შეურევდა თავის მიწაში. მერე ისევ ხელახლა გაჰყოფდნენ. ყველას თანაბარი მიწა ჰქონდა, როგორც სასვილეები, ისე საქერეები“.

„ტყვეც გაყოფილი იყო ორ-სამ კვამლზე ერთი ნაწილი. განაწილებულ ტყეს უფრო კარგად უვლიდნენ. ტყის გადანაწილებაც იცოდნენ.

საძოვარი მთელი სოფლისა იყო. ოღონდ, რაც სოფლის გარშემო იყო, ის საძროხედ ითვლებოდა, უფრო შორს საცხვრეები იყო. საძროხეში სოფლის შეუთანხმებლად მეცხვარეები ვერ გაუშვებდნენ ცხვარს. მოზარდიც საძროხეში ძოვდა, ცხენებიც საძროხეში ძოვდნენ“.

ს. დადიკურთაში სამი სალოცავი ყოფილა:

1) კოშკმცავი ანგელოზის ჯვარი, რომელიც სოფ. დადიკურთას სასოფლო სალოცავი ყოფილა; 2) ჯვართანა (ბატონცვარიელის) ხატი, აგრეთვე სასოფლო სალოცავი, დღეობა იციან ივლისის ბოლოს, ან აგვისტოს პირველ რიცხვებში, ხითანობის წინა დღეს; 3) ანგელოზთავი; დღეობა იწყება ხითანობის მეორე დღეს. ანგელოზთავს წელგამოშვებით დღესასწაულობდნენ. ხატს თავისი მიწები — ხატის ყანები ჰქონია. ხატის ყანებს ნათე დაამუშავებდა. ხატს საქონელი არ ჰყავდა⁴⁶.

ს ა ლ უ დ ე

მდებარეობს სოფლის განაპირა მხარეს, ჩრდილოეთით (ტაბ. 50). საქვაბე ჩაქცეულია. მისი დასავლეთი კედელი მიწაშია ამოყვანილი მშრალად, ფიქალით. ამავე კედლის ძირში სიბებისაგან ამოშენებულია გრძელი სკამი. ჩრდილოეთი კედელიც მიწაშია შესული, ამ მხარეს საქვაბეს ერთი ოთხკუთხა შუკუმა აქვს დატანებული შუა ადგილზე. საცეცხლური სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია მოთავსებული, მასში დიდი სპილენძის ქვაბია ჩადგმული. შესავალი დასავლეთის მხდიდან აქვს; შესავლის ორივე მხარეს საურდულეებია, დასავლეთის კედელზე წყობიდან წინ წამოწეულია დიდი ზომის სიპი, რომელსაც ერთი სადრომე ნახვრეტი აქვს.

⁴⁶ მთხრ. ლაზარე ნიკოს ძე გიუნაიძე, დაბად. 1891 წ., ჩაწერილია 1965.

ხ ა ტ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

სიმაღლე ზღვის დონიდან 2420 მ-ია, მდებარეობს სოფელ დადიკურთას დასავლეთით მთის ფერდზე. ხატი წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის მილიონას. მთავარი ფასადი, ე. ი. ჩრდილოეთის მხარე მიწას ებჯინება, ამ მხარეს მას აქვს ორი, წყობაში ღრმად შესული სასანთლე, რომელთაც ერთიმეორისაგან ყოფს ბრტყელი, ნიშში ვერტიკალურად ჩადგმული სიპი. სასანთლეების ძირი ბრტყელი სიპებითაა მოფენილი. სახურავიც ბრტყელი და დიდი სიპებითაა გადახურული, რომელთა შორის რამდენიმე თეთრი მიტკლის საწირავია დატანებული. ნიშის სამხრეთი ნაწილი უფრო ვიწროა, ჩრდილოეთისაკენ თანდათან ფართოვდება. ხატის დასავლეთით ყოვით გამაგრებული შემადლებული ადგილია (შეიძლება საჯარე იყო) (ტაბ. 51, 52).

ხატის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს სადროშე, იგი მშრალად არის ნაგები ფიქალით. შენობის შიდა მხარე ოვალურია. შესასვლელი სამხრეთ მხარესაა, ის სულ ღიაა. ნაგებობის გარეთა მხარის ორი კედელი სამკუთხედის ფორმით ვიწროვდება მიწისკენ, მესამე — ჩრდილოეთის კედელი მიწაშია შეხული. სადროშეს სახურავი ცალფერდაა, ყავრებზე აწყვია დიდი სიპები. სადროშეს მარჯვენა კუთხეში მიყუდებულია ორი დროშა, ერთი უფრო გრძელი ტარით [1,75 სმ სიგრძის და 4 სმ დიამეტრით] დიდი რაოდენობის თეთრი მიტკლის საწირავებითა და 3 ზარით, რომელთაგან ორი ფაბრიკული წესითაა დამზადებული, მესამე [შუაში] კუსტარული, ქართული უნდა იყოს; მეორე დროშა უფრო მოკლეთარია [1,30 სმ სიგრძის და 3 სმ დიამეტრის] მას თეთრი მიტკლის საწირავები უკეთია. აღმოსავლეთის კედელზე წყობიდან გამოსულ სიპზე ორი უენო ზარი და ერთი ნახევარლიტრიანი ბოთლი დევს, მის ზევით უფრო ნაკლებად გამოწეულ სიპზე ერთი საშუალო ზომის ქართული ზარი დევს [ენიანი]. აღმოსავლეთის მხარის კედელში გარეთა მხრიდან სადროშეს გრძელი ხის ჯოხი აქვს გარკობილი (ტაბ. 52, 53).

ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ვ ი

სიმაღლე ზღვის დონიდან 2480 მ. მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით მთის ფერდზე (ტაბ. 54). იგი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ყორის მილიონას, რომელსაც თავზე დიდი სიპები და ორი საშუალო ზომის ხინკრიკვა ადევს. სოფლის მხარეს, ე. ი. სამხრეთით, ერთი დიდი სიპი წინ არის წყობიდან გამოწეული, რომელსაც ერთი სადროშე ნახვრეტი აქვს. ანგელოზთავის ხატი აგებულია დიდი კლდის ლოდზე. ხატის წინ დაეკებაა, რომელსაც ალბათ საჯარედ იყენებდნენ. სამხრეთის მხარეს საჯარეს გაგრძელებაზე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებია.

კ ო შ კ მ ც ო ც ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ ი ს
კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

მდებარეობს დადიკურთას სამხრეთით, სოფლის ბოლოს. კომპლექსის ერთი ნაგებობა (დასავლეთის მხარისა) ყრუ მილიონაა, მისი ჩრდილოეთი მხარე მიწას უერთდება, სამხრეთის მხარე ჩაქცეულია სამკუთხედისებურად. მეორე

ნაგებობა (აღმოსავლეთის მხარისა) სიპით მშრალად ნაგები ყრუ მილიონაა, სამი მხრიდან მიწის ზევითაა, მეოთხე მიწაშია შესული. ნაგებობა ორი ნაწილისაგან შედგება, წინა მხარის დასასრულს ტერასისებურად აგრძელებს ასევე სიპით მშრალად ნაშენი მეორე ნაწილი (ტაბ. 55, 56).

სოფ. ჯვარბოსელი

სოფ. ჯვარბოსლის ძველი გვარებია: მექვაბური, უთავსაური, კინდოლაური, კარდლიძე, გესლაიძე და დარქიდანძე. „ზეცოიძე არის მამულზე მოსული. ბახსაჯურცი მოსულია დართლოდან“. ბუჩაიძის გვარიდან ჩალხანაიძეა გასული; გესლაიძეებიდან — გოგიანები, უძლოანები, დანოელიძეები. მექვაბურები ბუნველიძეები არიან. რომელი რომლიდან გავიდა, მთხრობელს არ ახსოვდა. „უფრო მექვაბურია ძველი გვარიო“ — განაცხადა მან.

უთავსაურის გვარის შესახებ მთხრობელი მოგვითხრობს შემდეგს: „უთავსაური ყოფილა ადრევე ერთი გვარი ჯვარბოსელში და ყველანი დახოცილან, აღარც მე მახსოვს. მახსოვს, შენდობას ეტყოდნენ ხოლმე. მერე ერთი ქისტი შემოხიზნულა და რომ მოუნათლავთ, უთავსაური უწოდებიათ, ვითომ რა, უთავსაურის გვარი აღვადგინოთო. ის ძველი, გათავებული უთავსაური მანდ ადგილობრივი გვარი ყოფილა. იმ ქისტის გვარი არ მახსოვს. სახელად ქოთა ერქვა. მაგას ბიჭი არ ეყოლა, სამი ქალა ჰყავდა. ქოთა მოკვდა, ქალები დათხოვდნენ და ეს გვარიც მოკვდა. ორმოცი წლის შემდეგ, იეზიდები რომ გადმოეთესნენ საქართველოში, მოედვნენ აქაც და სამი კაცი აქ დარჩა იეზიდებისა. ამ სამი კაციდან ერთი — ალია ერქო სახელად, — 16—17 წლისა მოენათლეთ და ლაზარე დეარქვით — ისევ უთავსაურად დავწერთ. ვაჟებიც ეყოლა ლაზარესა და ქალებიც. ეგ არის უთავსაურის გვარის ისტორია“.

ბუჩაიძის გვარის წარმომავლობის შესახებ კი ასეთი გადმოცემა არსებობს: „დალესტანში ერთი სოფელია, ხილდა, თიჩუსაც ეძახიან, მთა-თუშეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ არის. იქ უცხოვრიათ უმარხანებს; ოთხი ძმა ყოფილა. ერთ ძმას ჩხუბი მოსვლია და სისხლი დაუღვრია. ვისი სისხლიც დაუღვრია, ის ძლიერი გვარისა ყოფილა. ეს ოთხი ძმა აიბარგა და წამოვიდა შენაქოში. უთხრეს თურმე შენაქოლებს: შეგვისახლკაცეთ, შეგვიძმავეთო. შენაქოს უფროსი კაცები შეკრებილან და უმსჯელიათ: ეს ოთხივე რომ შენაქოში დავასახლოთ, გამრავლდებიან, მერე იქ, დალესტანშიაც ნათესავეები ჰყავთო და მერე ჩვენვე არ ამოგვწყვიტონო. ერთი შენაქოში დაასახლეს, ერთი — დოქუში, ერთი — ჯვარბოსელში და ერთიც — დართლოში. იქაური გვარი დაავდეს და აქ ახალ გვარებად მოინათლნენ. დართლოში ნესტორაანი და თანდილაანები გამოვიდნენ. ესენი ყველანი დაიხოცნენ. საბოლოოდ ერთი კაცი რომ იყო დარჩენილი და ისიც მოკვდა, აქაურებმა გადაუხადეს მიცვალებულის ყველა წესი. ამ კაცს აღარავინ დარჩენოდა, თიჩუდან ჩამოვიდნენ ნათესავეები და წაიღეს თავისი წილი ყველაფერი: ცხვარი, ძროხა, წისქვილი.

შენაქოში უმარხანები ორ გვარად იწერებოდნენ: ბუჩაიძეებად და ჩილოელიძეებად. ჩილოელიძეები და ბუჩაიძეები ჩვენი ბიძაშვილები არიან. დოქუში მიქელიძეებად დაიწერნენ. მეორეც იყო კიდევ ერთი გვარი და აღარ მახსოვს. ჯვარბოსელში კი ჩვენი გვარი იყო, ბუჩაიძე. აი, ჩვენი გვარის ისტორია“.

სოფ. ჯვარბოსლის სახელწოდების შესახებ მთხრობელი განმარტავს, რომ „ჩემი სოფლის სახელწოდება [ჯვარბოსელი] ქართულია. მთელი საზოგადოების გვარის დროშა ინახებოდა ჩვენ სოფელში და ამიტომ გვარის ბოსელი შეარქვეს. ეს ბოსელი ხითანაშია აგებული, ეხლაც არის“.

გესლაიძეებისა და კარდლიძის გვარის შესახებ მთხრობელი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ბავშვობაში [ჯვარბოსელში] სამოცდაათი კომლი ვიყავით. იმ სამოცდაათი კომლიდან ჩვენი გვარისა [გესლაიძეებისა] მეტი იყო. კარდლიძეები მემრე არიან შემოსულები, ხარით არიან ჩვენ გვარში [გესლაიძესთან] შემოსულები. [კარდლიძეს] ხარი დეეკლა, ქვაბი შეეკიდა და შეფიცულა: ქალი და ზალი გვენდოსო. კარდლიძეები ჯვარბოსლის თავში იყვნენ. ჩვენი სოფელი დაბლა იყო, კარდლიძეები პატარა გვარი იყო. ჩვენ პაპას ეთქვა შ ა ვ ჩ - გ ვ ა რ ო თ ო. [გვარს] ისევ კარდლიძეს ხმარობენ. ადგილ-მამულა იმათ (კარდლიძეებს) თავისი ჰქონდათ, ისიც შეაერთეს. აქეთ ჩამოვიდნენ და შეაერთეს: -

ძველად ჯვარბოსელში „მიწა გვარზე იყო“; „პაპისგან გამიგონია ყველა გვარმა ესლა შეეაერთეთო [მიწა]. ძველად გვარ-გვარობით იყო. საბოსლოები გვარისა როცა იყო, ესლაც ვიცი. მახსოვს, საცა იყო ჩვენი გვარისა, გაძვერანებისაც ვიცი, თოფურიანებისაც ვიცი. თოფურიანებსაც თავისი მიჯნები ჰქონდათ. ...ყველას თავ-თავისი მოსახნავი ჰქონდა. მე მახსოვს, რომ მერე შეერთდა მიწები. საბოსლო ყანა კომლს თავისი ჰქონდა, ხირხატები — თავისი. მ. რომ წამოვიზარდე⁴⁷, მახსოვს, ამბობდნენ, ეს გესლაინების ნასყიდობააო, ე. მიწა. მახსოვს რომ (ამბობდნენ) ჩემს ბალობაში, ზოგს ცოტა აქვსო მიწა: ზ და ზოგს ბევრიო. მემრე შააერთეს ერთიმეორეში მიწები“.

სოფ. ჯვარბოსლის სალოცავები იყო: ხ ი თ ა ნ ა ს წ მ. გ ი ო რ გ ი მ თ ე ლ ი გ ო მ ე წ რ ის თ ე მ ის სალოცავი. „ათი სოფლისათვის იყო ეგ სალოცავი“ - თ ე ვ დ ო რ ე ჯ ვ ა რ ბ ო ს ლ ის თ ა ვ ის ა — სასოფლო სალოცავია. ო რ — ც ი ხ ე — ადრე აქ სოფელი ყოფილა ასეთივე სახელწოდებით, 60 კომლს უცხოვრია. ორი გვარის ხალხი ცხოვრობდა: ქარელონი და ლანიშიანი; ბ ე რ — ბ ა ა დ უ რ ი, მ ა რ ი ა მ წ მ ი დ ა (დედა მარიამ ღვთისმობელი); ხ ა ხ მ ა — ტ ის ჯ ვ ა რ ი — ხახას არის, სოფლის ზემოთ. გადმოცემით ხახას სალოცავო კარდლიძეების გვარის სალოცავი ყოფილა. კარდლიძეები ხევსურები ყოფილან ძირად.

წმ. გიორგის დღეობა ხითანობა იყო. „ხითანობას გამოთვლიან აღდგომიდან. აღდგომა რა რიცხვშიც გამოვა, მეთხუთსეულს ხითანობაა. ხითანობა ორშაბათს არ ასცდება. კვირას თევდორე ჯვარბოსლის დღეობაა, ორშაბათს — ხითანობა. მესამე დღეს ხახმატში ავალო. ჯერ ავალო ხახაში, ავანთებთ სანთელს, ჩამოვალთ თევდორეში, იქაც ავანთებთ (სანთელს). კვირა საღამოს ხითანას ვანთებთ და ორშაბათს უკვე იქა ვართ“.

„ხატს ჯვარის მიწა ჰქონდა; ხითანას, თევდორეს (მიწა ჰქონდა), ჯვარის ყანებს ეძახიან. ნათე მოხნავდა და ალუდს გამოხდიდა. ხითანას ცალკე ჰქონდა (მიწა). მთელი გომეწარი მოხნავდა; ვინც ნათე იქნებოდა (აღებულ მოსავალს) დაბერტყავდა, წაიღებდა და მოხარშავდა ალუდს, გაუმასპინძლებოდა ხალხს, მლოცავს უნდა დახვედრიყო“ (თუშეთში) „ხატს მიწა ცოტა ჰქონდა. მოსულებს ხატის მიწიდან კი არ მისცემდნენ! იქნება ოთხი კაცი მოსულიყო და ხატის მიწა აბა რას ეყოფოდა“⁴⁸.

ს ა დ რ ო შ ე ც ი ხ ე

მდებარეობს ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე (ტაბ. 58). ს. ჯვარბოსლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, მაღალი მთის დაეკებაზე მდებარეობს.

⁴⁷ მთხრობელი დაბადებულია 1891 წ.

⁴⁸ სოფ. ჯვარბოსლის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს მთხრობელებმა: ზურაბ თომას ძე ბუჩაიძემ, დაბად. 1902 წ., საბუღა გიორგის ას. გესლაიძემ, დაბად. 1891 წ., ჩაწერილია 1966 წ.

არი ციხე, რომელთაგან ერთი სადროშე ციხეა. სადროშე ციხეში ინახება ხი-
თანის ჯვარის დროშა, ხოლო ძველად ინახებოდა საგანძურიც.

სადროშე ციხე ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. კედლების წყობაში
აქა-იქ ჩატანებული აქვს თეთრი ბროლის ქვები. სახურავი ჩაშლილია და ცი-
ხე თავმორღვეულია.

მთავარი ფასადი აქვს დასავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს შე-
იარული ფორმის შესასვლელი. შესასვლელი შიგნითა მხრისკენ უფრო განი-
ერია და ოთხკუთხა ფორმისაა. კარის თავზე კედელში დატანებულია გათლი-
ლი თავჯე, რომელსაც ნაპირებში აქვს თითო-თითო ნაჩვრეტი კარის კოჭის
ჩასასმელად. ზღურბლად ორი კეცია ნაგები, რომლებიც კედლის წყობაშია
ჩატანებული. შესასვლელის ორივე მხარეს კედელში დატანებულია თითო-თი-
თო ღრმული ურდულისათვის.

სადროშე ციხე ოთხსართულიანია. იატაკი მოფენილია სახურავიდან ჩა-
მოქცეული ფიქალი ქვებით, რაც აძნელებს გარკვევას, იყო თუ არა იატაკი
ქობირკეთებული, ე. ი. ზღვა.

აქ სადროშე ციხის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, კუთხეში მიყუდებულია
ვირფასი საკადრისებით მორთული დროშა. დროშის ტარი 1,8 მ სიგრძისაა და
წვერში და ქვედა ნაწილში წათლილია. დაწყებული წვერიდან, ვიდრე ტარის
სუა ნაწილამდე, გადაკრული აქვს თეთრი, სახიანი აბრეშუმის საკადრისი. სა-
კადრის ბოლოზე სამი აბრეშუმისავე ლენტი აქვს დამაგრებული, ნაპირებზე
ყვითელ ფერისა, ხოლო შუაში ბაჯაღლო ოქროსფერი. ყვითელი ფერის ლენ-
ტების სიგრძე თითოსი 47 სმ-ია, ხოლო ბაჯაღლოსფერისა — 46 სმ. დროშის
წვერთან მეორე აბრეშუმის საკადრისია დამაგრებული. ეს საკადრისიც ოთხ-
კუთხიანია. ორი კუთხით დამაგრებულია დროშაზე, ხოლო ბოლოზე, ისევე,
როგორც პირველ საკადრისს, აქვს სამი ლენტი: ნაპირებზე თეთრი ფერის,
ხოლო შუაზე — წითელი. სამივე ლენტის სიგრძე 94 სმ-ია. გარდა ამ დიდო სა-
კადრისებისა, დროშის ტარზე დამაგრებულია კრელი ჩითის ნაჭერი, რომლის
ერთ კუთხეში გამოკრულია ვერცხლის ფული და ერთიც უფრო პატარა ჩითის
ნაჭერი. იმ კუთხეში, სადაც დროშაა დაბრძანებული, გდია ორი ხინჭრიკვა, ხო-
ლო სამხრეთის მხრის კედელზე ატყვია სანთლის ნამწვის კვალი (ტაბ. 59, 60).

ხითანას წმიდა გიორგის ჯვარის კომპლექსი

ხითანას წმინდა გიორგის ხატი მოიცავს 3 ნაგებობას, ორი მკვრივად ნა-
გები კონუსის ფორმის შენობაა და მესამე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი.
ნაგებობათა ეს კომპლექსი მდებარეობს სოფ. ჯვარბოსლის სამხრეთ-აღმოსავე-
ლეთით ხითანას მთის ძირას, მას სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ორცი-
ხე, დასავლეთით უბისთავის გორა, აღმოსავლეთით მწყერა რიყა და მდინარე
ალაზანი.

ხითანა წმინდა გიორგის მთავარი ნაგებობა წარმოადგენს კონუსის ფორ-
მის მკვრივად ნაგებ შენობას, ქვედა ნაწილი განიერი კვარცხლბეკია, რომლის
ზემოთ შენობა ოდნავ ვიწროვდება თავისაკენ, მთავარი ფასადი დასავლეთი-
თაა, აქ კვარცხლბეკის პირად შუაში სასანთლე შუკუმაა, რომელშიც ამჟამად
დევს ცარიელი ბოთლი და გატეხილი ზარი, იქვე ამჩნევა სანთლის ნამწვავე-
ნი. მთავარი ფასადის მხარეს შენობის ქვები ნაწილ-ნაწილ მონგრეულია, ზო-
გი მათგანი წყობიდან გამოსულია. თავზე ადევს ორი დიდი ხინჭრიკვა, რო-
მელშიც დამაგრებულია დროშა. უბრალო ხის ტოტის წვერთან ცალი ყურით

დაკრულია ფაბრიკული წესით დამზადებული (თეთრ ფონზე წითელი ყვავი-
ლებით), ოთხკუთხა ფორმის თავშალი (საწირავი). აქვე მთავარი ფასადის მხა-
რეს დიდი ჯიხვის რქებია შუბლით და აგრეთვე ორი ძველი, გამოფიტული რქა.
ორივე რქას ახვევია მიტკლის ნაჭრები. ცალი რქა შერკობილია კედლის ზემო
ნაწილში (სამხრეთის კედელში). ჩრდილოეთის მხარეს კვარცხლბეკზე მიყუდე-
ბულია ფიქალის ბრტყელი ქვა, რომელიც მთხრობლის განმარტებით ნიშის
მისათვარებელია. ამავე მხარეს მიწაზე დიდი ფიქალის ქვები აწყვია. აღმოსავ-
ლეთის მხარეს კვარცხლბეკის წინ ფიქალის ქვებით ამალღებული ფართია,
რომლის მარცხენა კუთხეში გდია ძველი, გამოფიტული ჯიხვის წყვილი რქა
(ტაბ. 61).

ამ მთავარი ნაგებობის ჩრდილოეთით მისი მსგავსი, აგრეთვე კონუსის
ფორმის ნაგებობაა, ლამითა და ფიქალით მკვრივად ნაგები. ძირიდან ერთ მე-
სამედზე ეს ნაგებობა უფრო განიერია ზედა ნაწილთან შედარებით, და მთა-
ვარი ფასადის (დასავლეთი) მხარეს წინ წამოწეულია. შუაზე ამ წყობიდან გა-
მოსულ ნაწილთან აქვს ნიში, რომლის თავზე კედელში დატანებული შედარე-
ბით გრძელი და სქელი ფიქალის ქვაა, ნიშში ჩადგმულია ხის გათლილი ჩარჩო,
რომელიც სიძველისაგან შუაზე გაპობილია და ნაწილობრივ დამწვარი. სამხრე-
თისა და აღმოსავლეთის კედლებში დატანებულია თითო-თითო წვრილი ხე,
თავზე აღევს ბრტყელი ფიქალის ქვები (ტაბ. 62). ამ ორი ნაგებობის მახლობ-
ლად მათგან ჩრდილოეთის მიმართულებით მოთავსებულია ქრისტიანული ეკ-
ლესიის ნანგრევი, მისგან შერჩენილია კედლების ნაწილი. კედლები ნაგებია
მშრალად ფიქალი ქვისაგან. დასავლეთის კედელი ნაგებია მიწის პირად, კედ-
ლები სამ მხარეს მომრგვალებულია, დასავლეთის კედლის შუა ნაწილი ოდნავ
წინ წამოწეულია. მიწის პირად დატანებული აქვს სასანთლე ნიში. უფრო მცი-
რე ნიში, იმავე ფორმისა, მოთავსებულია სამხრეთის კედელში. აღმოსავლე-
თისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს კედლები დაქცეულია. ნაგებობას
კარი ჰქონია ჩრდილოეთის მხარეს, სახურავი ჩაქცეულია.

აღნიშნულ ნაგებობათა დასავლეთით მთის დავაკებაზე მოწყობილია ღია
საჯარე [სუფრა]. ფიქალი ქვებისაგან გაწყობილი გრძელი საჯდომები სამ მხა-
რეს, მახლობლად მოწყობილია ცეცხლის დასანთები კერა.

ამ ქრისტიანულ ეკლესიაში რამდენიმე წყვილს დაუწერია ჯვარი, ყველა-
ნი უბედურები გამომდგარან და ამიტომ დაუნგრევიათ.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა

(დელა მარიამ ღვთისმობელი)

სიმაღლე — 2080 მ. მდებარეობს ნაციხრიდან სამხრეთ-დასავლეთით ორცი-
ხის ტყეში. ხატი წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაგებ ოთხკუთხა შენობას,
რომლიდანაც კარგად შემორჩენილია კედლები; სახურავი მთლად ჩაქცეულია,
ზედ ამოსულია ცირცელის, ხუნწის, ხვავას [„მალინა“] ხეები და ასკილის
ბუჩქები. მთავარი ფასადი სამხრეთ მხარესაა, აქედან ხატს აქვს შესავალი,
რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია. შესავალთან დგას ხე, რომელსაც
უამრავი ფერად-ფერადი მატყლის ძაფები და თეთრი მიტკლის საწირავეები
ჰკიდია. ხის დაბლა, ხატის კედელზე საბჭოური თანამედროვე შავი ფული
ყრია. ხატის ჩრდილოეთით, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დგას ფიჭვის ხე,
რომელზეც აგრეთვე თეთრი საწირავეები ჰკიდია.

ბ ე რ - ბ ა ა დ უ რ ი

სიმაღლე 2180 მ. მდებარეობს ორციხისა და მარიამწმინდის სამხრეთ-დასავლეთით. იგი წარმოადგენს სიბით მშრალად ნაგებ პატარა ოთხკუთხ ყორეს, რომლის ჩრდილოეთი მხარე მიწაში შედის. ხატის წინ დგას ნახევრად გამხმარი ფიჭვის ხე, რომლის გამხმარი ფესვები ხატზე გადმოდის, ამ ფესვებზე რამდენიმე ცალი თეთრი მიტკლის საყირავებია დამაგრებული. ხატის სახურავა საშუალო ზომის სიპებიტაა გადახურული.

ძ ვ ე ლ ი ს ა ქ ვ ა ბ ე

შუა სოფელში, საცხოვრებელ სახლებს შორის არის ადგილი, სადაც წინათ მოთავსებული ყოფილა საქვაბე შენობა. მისი თავდაპირველი სახის აღდგენა სრულიად შეუძლებელია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთის მხრის კედელი, რომელიც კლდეშია ამოშენებული და მომრგვალებული ფორმა აქვს. კედელი ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. კედლის შუა ნაწილიდან გამოდის ფიქალი ქვის ყორე, რომლის დანიშნულების გარკვევა ვერ ხერხდება.

თ ე ვ დ ო რ ე ჯ ვ ა რ ბ ო ს ლ ი ს თ ა ვ ი ს ა

თევდორე ჯვარბოსლის თავისა მდებარეობს ს. ჯვარბოსლის თავში, მთის ფერდობზე (ტაბ. 63). იგი ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები კოშკური ტიპის ნაგებობაა. კოშკის ქვედა ნაწილი, დაახლოებით შუა ნაწილიდან ქვემოთ, უფრო ფართოა. ამ ფართო ნაწილს ზემოდან დადგმული აქვს შედარებით ვიწრო ნაწილი. ამ ნაწილებს შორის, სამხრეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან წყობიდან გამოწეულია ფიქალის ქვები თაროებივით. სავარაუდებელია, რომ ასეთი ფიქალის ქვები კოშკს უნდა ჰქონოდა ყოველი მხრიდან.

კოშკს მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის საკმაოდ ღრმა შეკუჟმა. შეკუჟმას ნაპირზე შერჩენილი აქვს სანთლის ნალეენტი.

ნაგებობას თავში, ზემოთ, ჩარჭობილი აქვს დროშა, საკადრისებით. დროშის ტარი ნაგებობაში ღრმად არის ჩასმული და ზემოდან ფიქალის ქვებითაა დახურული ისე, რომ მოსჩანს მხოლოდ დროშის თავი საკადრისებით.

აღმოსავლეთის მხარეს ნაგებობას დატანებული აქვს აგრეთვე პატარა ზომის შეკუჟმა. ხატის ნაგებობის მთავარი ფასადის წინ დავაკებაა, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს კლდეში ამოყვანილია ფიქალი ქვის ყორე ფერდობის შესამაგრებლად.

დ რ ო შ ი ს ს ა ბ რ ძ ა ნ ი

დროშის საბრძანი მდებარეობს ს. ჯვარბოსლის ჩრდილოეთის მხარეს, წმ. თევდორეს ხატის მახლობლად, მისგან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

დროშის საბრძანი ოთხკუთხა ფორმის მოზრდილი ნაგებობაა. ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. ჩრდილოეთის მხრით მიდგმულია მთის ფერდობზე და თითქმის უთანასწორდება მისი ზედაპირის სიმძლესს.

აღმოსავლეთის მხარეს, ზემო ნაწილის წყობაში ნაგებობას ჩატანებული აქვს ამჟამად მთლად დამპალი, დაფუტურებული ძელი და თეთრი ბროლის

ქვა. ზემოდან ნაგებობა სწორია, ბანივითაა. „სახურავი“ ჩაწოლილია და პატარა ოთხკუთხა ფორმის ღრმულს აკეთებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენობა კვრივი არ უნდა იყოს.

სოფ. კოკლათა

სოფ. კოკლათა პატარა ყოფილა. წინათ 10 კომლი ყოფილა, ეხლა კი — 25 კომლია. სოფელში მხოლოდ ერთი გვარი — ბაშინურიძე ცხოვრობდა. ხარით შეყრილი გვარები ბაშინურიძეებს არა ჰყავდათ: ბაშინურიძეების გვარი კოკლათის გარდა არსად არ სახლობდა.

ბაშინურიძის გვარის სოფ. კოკლათაში დასახლების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „უწინდელ დროში, როდესაც ბაშინურები ჯერ კიდევ არ სახლობდნენ ჩვენ სოფელში, კოკლათას მტერი შემოსევია და სულმთლად გაუნადგურებია. ერთი დედაკაცი დამრჩალა ფიჭვიანში, მშობიარე ყოფილა. ამ დედაკაცს ბავშვი ჰყოლია და ვერხონელებს შეუფარებიათ. ბაღის სახელი აღარ მახსოვს, იმის ჩამომავლებს კი ქეციაანთ ეძახდნენ. იმ ბაღს ბაშო, ბაშოო (ბავშვოო) ეძახდნენ და აქედან წამოსულან ბაშინურიძეები“.

„მიწა კოკლათაში სასოფლო იყო და დაყოფილი გექონდა კვამლეურად. ტყეები კვამლეურადაც იყო და სასოფლოც: ჯერ სოფლებზე იყო გაყოფილი და მერე კომლზე ვყოფდით“.

„საქერე ყანები ცალკე იყო, სასვილე — საპურე ყანები — ცალკე. საქერე — სასვილე ყანებიც კომლეურად იყო გაყოფილი. სათიბებიც გაყოფილი იყო. საძოვარი საერთო იყო, გაუყოფელი. სახნავი მიწებისა და საცვლების (სათიბების) განაწილება 4—5 წელიწადში ერთხელ ხდებოდა. გაყრილ კომლს მიწას მისცემდნენ ყველა კომლიდან ერთნაირად“.

„დავა მიწაზედ მუდამ იყო. იყო შემთხვევა, რომ სოფელი სოფელს ედავებოდა მიწებს და მერე სოფელი სოფელს უყოფდა. მაგალითად, გომეწრის თემს თავისი სათემო მიწა ჰქონდა და მერე სოფლებზე იყო დანაწილებული. კოკლათა და აღისგორი მუდამ ერთმანეთს უჩიოდნენ, შენ მეტი მიწა გიკავიაო“.

ვეძისხევისა და კოკლათას საძროხე საძოვრები საერთო ჰქონდათ.

სოფ. კოკლათის სალოცავები იყო:

1) ბ ა ტ ო ნ ი მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხ ა ტ ი; 2) კ ა რ ა ტ ი ს ა და ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი, რომლებიც ჯავახეს (ადგილია) მდებარეობდა, სოფლიდან 200—300 მეტრის მოშორებით. ჯავახეს სამი სოფელი ლოცულობს: კოკლათა, ვეძისხევი და აღისგორი; 3) ჯ ვ ა რ ს ა ს ხ ლ ო მ ი ს ხ ა ტ ი — „ჯვარსასხლომი იმიტომ ჰქვია, რომ იქ ხატები იყრიან თავსაო, ხატები ქუჩიდებიანო, კოკლათიანთ ხატები“; 4) კ ო შ ქ თ ა ნ ა ი — სოფლის თავშია.

„ჩვენი სოფლის ხატს — მთავარანგელოზს — თავისი ჯვარის ყანა ჰქონდა 300 მეტრი იქნებოდა. ჯვარის ყანას ნათე და შულტა ამუშავებდა. ისინი მოხნავდნენ, დათესავდნენ, აიღებდნენ მოსავალს და გალუწავდნენ; ქვებს შეკიდებდნენ, საკლავსაც მოიყვანდნენ წელიწადში ერთხელ მთავარანგელოზში. საკლავი ჰედილა იყო და წონით მოჰქონდათ“.

„დროშის შესანახ ადგილს საბ(რ)ძანი ჰქვია. საბ(რ)ძანში ხატის საგანძურიც ინახებოდა: თახები, ფული და ყველა, რასაც ხალხი ხატს შესწირავდა. დ ა რ ბ ა ზ ი კიდევ ხატის საბ(რ)ძანია; ჩვენთან დარბაზი ეს ციხეა, ის არის დარბაზი“⁴⁹.

⁴⁹ სოფ. კოკლათის შესახებ ცნობები მოგვაწოლა მთხრ. ფილო ანდრიას ძე ბაშინურიძემ, დაბად. 1886 წ., ჩაწერილია 1966 წ.

საქვებზე მდებარეობს სოფლის თავში. იგი ნაგებია ფიქალი ქვისაგან მშრალად და გეგნაში ოთხკუთხა ფორმისაა (ტაბ. 64, 65).

საქვებზე ნაგებობის სამი კედელი — ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრის — კლდეშია ამოყვანილი და მიწის ზედაპირს ზოგან მხოლოდ 0,5 მ თუ სცილდება, ზოგან კი მიწის ზედაპირის სიმაღლისაა თითქმის. საქვებზე აქვს ორფერდა სახურავი, რომელიც სიპითაა დაფარებული. სიპის ქვეშ კიდეებზე გადებულია ყავრი.

მთავარი ფასადი აქვს აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს შესასვლელი. შესასვლელის ორივე მხარეს, კედლის წყობაში დატოვებულია ორ-ორი ღრმული, რომელშიაც მთხრობლის გადმოცემით, ვირჯალებს უკეთებდნენ.

შიგნითა მხარეს საქვებზე ნაგებობა დაახლოებით ოთხკუთხა ფორმისაა. სამხრეთის მხრის კედელი მრუდეა: ქვემოთა ნაწილში წინ არის წამოწეული, ხოლო ზემოთ — უკან გადაზნექილი. ასეთივე მრუდეა მოპირდაპირე, ჩრდილოეთის მხრის კედელიც.

დასავლეთის მხრის კედელი ცენტრისკენ აწვერილია, ხოლო მისი საპირისპირო კედლის თავზე გადებულია ორი ძელი, რომლის შუა ნაწილში დადგმულია სამი ჭინჭიბახი: ორი პატარა — ნაპირებზე, შუაში კი დიდი. დიდი ზომის ჭინჭიბახს ეყრდნობა კეხის ვიდი. პატარა ჭინჭიბახებზე გვერდით კიდეებია გადებული: თითოეულ ჭინჭიბახზე ორ-ორი ვიდი. გვერდითი კიდეებია გადებული აგრეთვე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ, ამ კედლების მთელ სიგრძეზე. კეხის ვიდს შუა ნაწილში შუაბოძი აქვს შეყენებული; შესასვლელის მახლობლად კეხის ვიდი ეყრდნობა კიდევ მეორე, მაგრამ ზომით უფრო პატარა ბოძს. ასევე თითო-თითო ბოძს ეყრდნობიან პატარა ჭინჭიბახებზე გადებული კიდეებიც. იმ გვერდით ვიდზე, რომელიც სამხრეთის კედლის გასწვრივაა გადებული, სამი ჭარჭით ჩამოკიდებულია უფრო პატარა ვიდი, რომელზედაც ალუდის ჩამოსაწურ ხაკებს ჰკიდებდნენ თოკებით; აქვე დგას ხის ნაეი (ტაბ. 66), რომელშიაც გაწურული ალუდი გროვდებოდა.

აღმოსავლეთის მხარეს, კედლის კუთხეში გამართულია საცეცხლური, რომელშიაც ჩადგმულია საალუდე ქვები. საცეცხლური ფიქალი ქვისგან არის მშრალად ნაგები და მრგვალი ფორმისაა.

საქვებზე ნაგებობის ჩრდილოეთის მხარეს გამართულია „ფეჩი“ (მთხრობლის თქმით თუშურადაც „ფეჩი“ ითქმის). „ფეჩი“ ნაგებია ფიქალი ქვისგან და ლამითაა შელესილი.

„ფეჩიდან“ ვიდრე სამხრეთ კედლამდე, დასავლეთის კედელზე გაკეთებულია საზედაშე თარო, სადაც ინახებოდა ზედაშე, თასები, საწლე. ამჟამად თაროზე აწყვია სამკირები.

„ფეჩიდან“ დასავლეთის მხარეს გამართულია კერა, რომელშიაც დგას ზედანი (რკინის სამფეხი).

საქვებში ვნახეთ ხის საწლე, ტუჩიანი.

ჯ ვ ა რ ს ა ს ხ დ ო მ ი

ჯვარსასხდომის ხატი მდებარეობს ს. კოკლათიდან დასავლეთის მხარეს, მთის ფერდობზე (ტაბ. 67, 68, 69). იგი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ დაბალ, ოთხკუთხე ყორეს. აღმოსავლეთის მხარეს, კუთხეში ყორეს

ეტყობა სანთლის ნამწვის კვალი. ყორის წინ დაეაკება, რომელიც მოფენილია ფიქალი ქვებით.

მთხრობლის თქმით, ჯვარსასხდომი იმიტომ ჰქვია ამ ადგილსა და ყორეს, რომ კოკლათას ხატები აქ ისვენებდნენ.

ჯ ა ვ ა ხ ე

ჯავახე ადგილის სახელწოდებაა, სადაც ს. კოკლათის ორი სალოცავი კარატი და ჯავმატია დაბრძანებული. ჯავახე სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთის მხარესა და კარგა დიდი მანძილითაა დაშორებული მას. ჯავახედან კარგად ჩანს წოვათის ერთ-ერთი ხეობა შავწყალის ნაბოსლართ. ჯავახეს სალოცავებში ხეესურები გადმოდიოდნენ.

კ ა რ ა ტ ე

მდებარეობს ზღვის დონიდან 2130 მ სიმაღლეზე (ტაბ. 70). კარატე, ანუ კარატის ჯვარი მდებარეობს ჯავახეს ადგილზე, სოფლიდან მომავალი გზის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე. იგი ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები პატარა დაბალი მილიონაა, რომელსაც სამხრეთის მხარეს დატანებული აქვს სასანთლე შუკუმა; ზემოდან ადევს ფიქალის ორ ადგილზე გაჩვრეტილი ქვა დროშის ტარის დასამაგრებლად.

მთხრობლის გადმოცემით კარატეს ჯვარში კლავდნენ ცხვარს.

ჯ ა ვ მ ა ტ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2320 მ სიმაღლეზე (ტაბ. 71). ჯავმატის ჯვარი, ისევე როგორც კარატე, მდებარეობს ჯავახეს ადგილზე, კარატის ჯვარის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთის ფერდობზე. ჯავმატი სოფლიდან მომავალი გზის მარცხნივ ექცევა. იგი ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, ასევე დაბალი მილიონაა. ჩრდილო-დასავლეთის მხარეს აქვს სასანთლე შუკუმა. მასში დამაგრებულია ექვსი სანთელი და სამი საწირავი: ერთი დიდი, ორი კი პატარა. საწირავები მიტკლისაა და თეთრი ფერისა. მილიონას თავზე ადევს დიდი თეთრი ბროლის ქვა — ხინჭრიკვა. უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს და წინ, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ყრია ფიქალის ქვები.

მთხრობლის გადმოცემით ჯავმატის ჯვარში ხეესურთა მოსელის დღეს კლავდნენ თხას.

ბ ა ტ ო ნ ი მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხ ა ტ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2115 მ სიმაღლეზე (ტაბ. 72). ბატონი მთავარანგელოზის ხატის კომპლექსი მდებარეობს ს. კოკლათიდან აღმოსავლეთის მხარეს და მოიცავს შემდეგ ნაგებობას: ბატონი მთავარანგელოზის ხატი, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა, დროშათ საბრძანი და საზარე. კომპლექსის ნაგებობათა გარკვეული ნაწილი მოქცეულია ამჟამად მთლად ჩაქცეული და თითქმის მიწასთან გასწორებული გალავნის შიგნით. შემორჩენილია გალავნის ორი ბურჯი მთავარანგელოზის ხატის ჩრდილოეთის მხარეს. პირველი ბურჯი, ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად და ოთხკუთხა ფორმისაა. ბურჯის

აღმოსავლეთი მხარე ფრიალო კლდეზეა ამოშენებული. პირველი ბურჯისაგან ჩრდილოეთით მდებარეობს უფრო პატარა ზომის ბურჯი, ასევე ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები და ოთხკუთხა ფორმისა.

ბ ა ტ ო ნ ი მ თ ა ვ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხ ა ტ ი

ბატონი მთავარანგელოზის ხატი მდებარეობს გალავნის შიგნით (ტაბ. 73). გალავანი ხატის ნაგებობას გარშემორტყმული აქვს სამი მხრიდან, მეოთხე მხარეს — სამხრეთით — კლდე სრულიად მიუვალაია. ხატის ნაგებობა წარმოადგენს დაბალ ციხეს. ციხე ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. სახურავი ჩაქცეულია და ციხე თავმორღვეულია. წყობაში აქა-იქ ჩატანებული აქვს თეთრი ბროლის ქვები.

მთავარი ფასადი აქვს დასავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს შესასვლელი. შესასვლელი ორციხის სადროშე ციხის შესასვლელს მოგვეგონებს: შესასვლელი გარეთა მხრისკენ უფრო ვიწროა, ხოლო შიგნითა მხრისკენ თანდათან განიერდება, თავზე კედლის წყობაში დატანებული აქვს თავვე, რომელსაც ნაპირებში ოთხკუთხა ფორმის ნაჩერეტები აქვს კარის სოლის დასამაგრებლად; ზღურბლზე დაგებულია ფიქალი ქვა.

შესასვლელის ზემოთ, ციხის ნაგებობას ჰქონია დიდი ზომის სარკმელი, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ ჩაშლილია და თავდაპირველი სახის აღდგენა ჭირს. შესასვლელსა და სარკმელს შორის, კედლის წყობაში, დატანებულია დიდი ზომის ხინჭრიკვა.

ციხის ნაგებობა სამსართულიანია. სართულები დაბალი ჩანს, განსაკუთრებით პირველი სართული. სართულების სიმაღლე-სიდაბლე კარგად ჩანს კედლებში დატანებული ძველი, ჭიისგან მთლად დახრული და დაფუტურობულ ძელების მიხედვით: ქვედა სართულის თავზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში დატანებულია ორ-ორი ძელი, ზემო ნაწილში, იქ სადაც მეორე სართული უნდა გამოეყოს მესამეს, კვლავ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში მოჩანს ასევე ორ-ორი ძელი.

ციხის ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დაბრძანებულია დროშა თეთრი, წითელი საკადრისებითა და გრძელი ნაჭრებით. დროშაზე ჰკიდია სპილენძის ხარი. აქვე, დროშასთან ახლო დგას ეკლესიიდან გამოტანილი სასანთლე (ტაბ. 74).

მთავარანგელოზის ხატის დასავლეთის მხარეს, გალავნის შიგნით დგას ორი პატარა კოშკი, რომელთაგან ერთია დროშის საბრძანი, მეორე კი საზარე.

დ რ ო შ ი ს ს ა ბ რ ძ ა ნ ი კ ო შ კ ი

მდებარეობს მთავარანგელოზის ხატის დასავლეთის მხარეს (ტაბ. 69). იგი ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები, ოთხკუთხა ფორმის პატარა კოშკია, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს ატყვია სანთლის ნამწვის კვალი.

ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი

საზარე კოშკიც მთავარანგელოზის ხატის დასავლეთის მხარეს მდებარეობს, დროშის საბრძანი კოშკის პირდაპირ (ტაბ. 75). იგი უფორმო, ფიქალი ქვის ყორეა, რომლის შუა ნაწილში ვერტიკალურად აღმართულია კაპებიანი ხე, რომელზედაც ზარს ჰკიდებდნენ.

სოფ. ვერხოვანში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ვეშაგურიანები, გოთუანები, ანწუხელიანი, თელაურიანი. თელაურებში შედიან კარხილაურები. კარხილაურები ევსტომთაში გადავიდნენ. გიგნაანი ვეშაგურიანად იწერებოდა. გორგაანები გაწყდნენ. გოთუანებს ეკუთვნიან კრიტიულები. ერთი გვარია, მთავარია კრიტიული. კრიტიულები ხევისურები არიან. კრიტიულებთან ხარით შეყრილები იყვნენ გრიგოლაიძეები. გრიგოლაიძეები ხევისურები არიან. ანწუხელიძეები დიდობი არიან.

მთხრობელის ცნობით, მის პატარაობაში⁵⁰ ვეშაგურიძე (ვეშაგურიანება) სამი კომლი იყო, კრიტიულები — ორი კომლი, თელაურაანი — ოთხი კომლი, ანწუხელიძე — სამი კომლი.

„მამული კომლობით იყო. წინათ გვარსა ჰქონდა მამული. მერე თათბირი მოიწვიეს და გაუყვეს კომლზე. ზოგს ორმოცდაათოთხმეტი მეასედი, ზოგს ოცდახუთი მეასედი ჰქონდა. კოლმეურნეობაში რომ შევედით, ეხლა ოცდაშვიდი მეასედი აქვთ. ეხლაც არის სხვაობა. (აღრე) ზუსტად არ იყო განაწილებული და გადადიოდა მამიდან შვილზე“.

სოფ. ვერხოვანს ორი სალოცავი ჰქონდა: „კ ა რ ა ტ ი ო ნ ი და გ ი ო რ - გ ი ხ ა ხ მ ა ტ ი ს ა. ორივეს ჰქონდა ჯვარის ყანა⁵¹“.

კ ა რ ა ტ ი ო ნ ი

მღებარეობს ზღვის დონიდან 2090 მ სიმაღლეზე (ტაბ. 78, 79). მღებარეობს ს. ვერხოვიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, მთის ფერდობზე და წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ მართკუთხა ფორმის კოშკური ტიპის ნაგებობას. თავზე ადევს ბრტყელი ფიქალის ქვა. ჩრდილოეთის მხრიდან ეტყობა სანთლის ნამწვის კვალი.

კარტიონის სამხრეთით, მთის ფერდი ამოშენებულია ფიქალი ქვით და ხატის წინ დავაკებას ქმნის. დავაკების ცენტრალური ადგილი უჭირავს კარტიონის ნაგებობას.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვაბე შენობა მღებარეობს შუა სოფელში (ტაბ. 79), წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას. სახურავი ჩაქცეულია და შიგნით შენობა სავსეა ქვითა და ხის ნაწილებით, მთხრობელის გადმოცემით აღრე საქვაბეს ცალფერდა სახურავი ჰქონია.

მთავარი ფასადი ნაგებობას უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ფართო, ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი. შესასვლელის წინ გაკეთებულია ხელოვნური დავაკება, რომელიც სასოფლო გზისგან ფიქალი ქვის ყორით არის გამოყოფილი.

ჩრდილოეთის მხრის კედელი კლდეშია ამოყვანილი და შუა ნაწილიდან ოდნავ მარჯვნივ აქვს კედლის შესამაგრებელი მილიონა. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრის კედლების კუთხეში ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებია საცეცხლური, რომელშიაც ჩადგმულია სააღუდე ქვაბი. ქვაბი დაფარულია

⁵⁰ მთხრობელი დაბადებულია 1897 წ.

⁵¹ სოფ. ვერხოვანის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მთხრობელმა რაყდენ სვიმონის ძე დარქიზანიძემ, დაბად. 1897 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ჯერ ფიქალი ქვით და შემდეგ ფიცრით. სამხრეთი მხრის კედლის შუა ნაწილი ღიაა, დატანებულია საპაერო, რომლის თავზეც ამ კედლის მთელ სიგრძეზე გადებულია ბოძი. დასავლეთის მხრის კედლის შუა ნაწილში დატანებულია ოთხკუთხა ფორმის შუკუმა. უფრო მცირე ზომის შუკუმა დატანებულია აგრეთვე ჩრდილოეთის მხრის კედელშიაც. დასავლეთის მხარეს კედლის გასწვრივ გადებულია ჯიდი, რომელიც ერთი ბოლოთი ეყრდნობა სამხრეთის მხრის კედელს, ხოლო მეორე ბოლოთი გამაგრებულია ჩრდილოეთის მხრის კედლის თავში. ამ ჯიდის ქვემოთ, კედლის მთელ სიგრძეზე დევს ნავი (ლახტბა), გათლილი ერთი მთლიანი ხისგან.

ქერიდან შემორჩენილია მხოლოდ ჯიდი, რომელიც შენობის დედაბოძს ეყრდნობა. საქვაბე შენობა მიტოვებულია და ხმარებაში არაა.

გიორგი ხახმატიისა

სიმაღლე ზღვის დონიდან 2118 მ. მდებარეობს სოფლის დასავლეთით ყო-რით გამაგრებულ შემალღებზე (ტაბ. 80, 81). ხატი წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაგებ ნიშს, რომლის მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა. ამ მხარეს ნიშს დატანებული აქვს თალისებური ფორმის სასანთლე შუკუმა, რომლის წინ წყობიდან გამოსული სამი სიბია, ამათგან განაპირა ორს თითო საღ-როზე ნახვრეტი აქვს გაკეთებული. ამ წყობიდან წამოსულ სიბებზე შუკუმას წინ მთელ სიგრძეზე დევს საკმაოდ სქელი, ცალმხარეზე თეთრი ქვა: მთავარი ფასადისა და ჩრდილოეთის კედლის წყობაში ჩატანებულია ძველი, გამოფი-ტული ჭიხვის რქები.

სოფ. გუდანთა

სოფ. გუდანთაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: აჭაიძე, ჩეთაიძე, დართლოელიძე და შუღლაიძე. „ხარით შეყრილი გვარი არც ერთი არ იყო. ეგ გვარები არ ნათესაობენ ერთმანეთში. სულ ცალ-ცალკე გვარებია. ერთმა-ნეთზე შეიძლებოდა გათხოვებ-გამოთხოვება, თუ ნათლულებ არ იყვნენ“.

გადმოცემით, აჭაიძეები, ხევსურეთიდან ყოფილან გადმოსულები, სოფელ ბისო-ხახმატიდან. ხევსურეთში აჭაიძეები ლაშქარაულები ყოფილან გვარად. ერთ დღესაც ლაშქარაულის ოჯახს შუაცეცხლი დაუნთიათ და კერაში იფნის ხე ამოსულა. ერთი მათგანი მკითხავეთან წასულა; მკითხავეს უთქვამს, რომ ხა-ტი ბრძანებს: მანდედან მომეცალენითო. ერთი ძმა გაბრაზდა, შემოიტანა ცუ-ლი და შემოჰკრა ხეს. მეორედ რომ შემოუკრავს, ერთი წითელი გველი შე-მოსხვევია იფანს. მკითხავეს უთქვამს ეგ წითელი გველი ღატის სახეა, იმისი მოჩ-ვენებააო. ძმები აყრილან და თუშეთში გადმოსახლებულან. ერთი გუდანთაში დასაქლებულა, მეორე — გოგრულთაში, მესამე — ბელელაში, მეოთხე — ორ-ციხეს, მეხუთე — ქანჭახოვანში.

მიწები გუდანთაში კვამლზე ყოფილა გაყოფილი. სათიბებიც კომლეთრად იყო გაყოფილი. „საცხვრე, ისე კვამლ არ იქნებოდა, რომ საკუთარი ბინა არა ჰქონოდა. ზოგს საკუთარი მწყემსი ჰყავდა. თხაც ჰყავდათ. ცხვრის ბინები კომ-ლობრივ ჰქონდათ“.

სოფ. გუდანთის სალოცავები იყო: ს ა ნ ე ბ ა — სოფლის განაპირას. ფერღზეა. ს ა ნ ე ბ ა გ უ დ ა ნ თ ი ს თავისა — ქოხი იყო გადახურული და შიგ სამი დროშა იყო „დაბძანებული“. გვერდით ციხესავით ედგა, რომელშიც ზარი ეკიდა. აქვე იდგა ორი მილიონა; ს ა ჯ ე ო — მთაში იყო. სოფ. დოჭუც

ლოცულობდა ამ სალოცავს: „იმათ დროშიც მიდიოდა (საქეოში) და ჩვენიც-ათინგენებში მიდიოდნენ, აღდგომიდან მესე დღეს, შაბათ დღეს“: ჯ ა ჯ მ ა - ტ ი — მილიონა იყო, ხევსურები მოდიოდნენ სალოცავად.

სოფ. გუდანთაში ჯვარის ტყე იყო ფიჭვთანას. პატარა გორა იყო, რომელზედაც ერთი დიდი ფიჭვის ხე იდგა. ამ ფიჭვთან ქალები ახლოს ვერ მივიდოდნენ⁵². სოფ. გუდანთას მეკოდე იყო სოფ. ბელელა.

სოფ. ბიჭიურთა

სოფ. ბიჭიურთაში ცხოვრობდნენ: ბუცოლიანები, ლელელიანები, უთურგიანები და ლაზიანები.

სოფ. ბიჭიურთაში მოსახლე გვარების შესახებ მოხრ. აბრო აღოს ძე ლულელაური, დაბად. 1876 წ., გვიამბობს: „ჩვენი მამა-პაპა ლულიდან გადმოსულათუშეთში ბიჭიურთას და დაუწყია ცხოვრება. ორი კაცი ერთხელ გადმოსულა, მერე კიდენა ხუთი გადმოსულა, მერე კიდენა, მერე კიდენა და შაიქნა სოფელი. იმიტომ გადმოსულან, რომ იქ, სადაცა ყოფილან, ადგილი არ მოსწონებიათ, აქ კი თვალში მოსვლიათ ეს ადგილი. ჩვენი მამა-პაპანი რომ გადმოსულან, აქ თურმე მაშინ უკვე უცხოვრიათ [სხვებს] და მოსულე ბი იმათ მიუღიათ. დამხვდურებიც ლულიდან ყოფილან, ბუცოლიანები გვარადა. ჩემს დროს ხუთ კომლს კი მოვესწარი მაგათსას და მერე წავიდა, მორჩა. ჩვენ ეხლა ლულელაანთ გვეძახიან. უთურგაიძეებიც იქიდან არიან, ლულიდან. ეგენი გვიან გადმოსულან. აქ მამულები არა ჰქონიათ და წყალს გაღმა დაუწყიათ ცხოვრება, მერე კი ეგენიც მიუღიათ ლულელებს. ჩვენი წინაპრის გვარი ჭინჭარაული ყოფილა. ხარით შეგყრილვართ ჩვენა და ეგენი (უთურგაიძეები). უთურგაიძეები პაპის სახელზე იწერებიან: უთურგა პაპა ყოფილა მაგათი.“

ბუცოლიანების ამოწყვეტის შემდეგ მარტო ჩვენი გვარი დარჩენილა. მერე უთურგაიანები მოსულან. მერე კიდევ ერთი ქისტი ყოფილა მოსული ადრევე, ბუცოლიანებს უშვილებიათ, ეგენიც გამრავლებულან და ლაზიანებად იწოდებოდნენ“.

„ჩვენი ხარით შეყრილები ვესტომთიდან იყვნენ, გვარად თავბერაანი. მაგათ ჩვენ სოფელში არ უცხოვრიათ, ისევ ვესტომთაში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ჩვენთან კი იყვნენ ხარით შეყრილები. უწინ რომ მეკობრეობა, ძალადობა ყოფილა, მაშინ შეგყრილვართ და თავ-თავიანთ სოფელში თავ-თავიანთ გვარზე დაერჩენილვართ“.

„მიწა კვამლურად იყო გაყოფილი. საქერე და სასვილე ერთად რვა დღიური გამოდიოდა კვამლზე. განაწილება მიწის მაშინ ხდებოდა, როცა გაიყრებოდნენ, გაყრილისთვისაც ხომ უნდა მიეცათ“.

სოფ. ბიჭიურთის სალოცავი იყო ისრიელის ხატი. „წინა დროს ერთი მოისარი ყოფილა, ხატი თუ კაცი, არ ვიცი. ყოჩალი კი ყოფილა ეგ ანგელოზი, თუ კაცი. მტერს ებრძოდაო, ნადირს ხოცავდაო. მაგის მშვილდი რომ დააწყდებოდა თურმე, როგორც თოფს, ისეთი ხმა გაჰქონდაო. ეს კაცი, თუ ანგელოზი, იმ დროსა ყოფილა, ჩვენს მამა-პაპებს რომ უომიათ. გადმოცემითა ისრიელის ხატი სხვა ხატებსაც ებრძოდაო; ქაჯები რამ ყოფილან კიდევ, ეშმაკები და იმათაც ებრძოდაო. ნადირიც რომ უხოცია და მოისარიც რომ ყოფილა, ისრიელი უწოდებიათ. საცა ისრიელის დროშა ინახებოდა, დარბაზი ეწოდებოდა იმას. იქ კიდობანიც იდგა ერთი, სადაც განძი ინახებოდა“.

⁵² სოფ. გუდანთის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს მოხრობლებმა: ფროსე გიორგის ასულმა აქაიძემ, დაბად. 1903 წ., ვიგოლა მიხეილის ძე აქაიძემ, დაბად. 1892 წ., ჩაწერილია 1966 წ..

„ჯვარის ყანა გვექონდა ჩვენ სოფელში. ნათეს ეძახდნენ, ის ამუშავებდა, მოხნავდა. ნათობა წილისყრით იყო. თუ რიგით მე მერგო წელს დღეობას ნათობა, მე მოვხნავდი ჯვარის ყანას. ნათე ყოველ წელს ახალი დგებოდა. შემოდგომაზე იმკებოდა მოსავალი. ეს მოსავალი ზამთრის დღეობებსაც ხმარდებოდა და ზაფხულისასაც. თუ არ ეკმარებოდა, ნათეს უნდა დაემატებინა თავისი, რადგან მთელ სოფელს უნდა გასძლოლოდა. ნათეს გიორგობას ვირჩევდით. გაზაფხულზე ახალაოჩეული ნათე ჯვარის ყანას მოხნავდა, დათესავდა, მერე აიღებდა მოსავალს და გალუწავდა. ეს მოსავალი მართო ათნიგენობას და გიორგობას ხმარდებოდა“⁵³.

სოფ. ვაკისძირი

სოფ. ვაკისძირში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: გაფრინდაული, ყაზი-აიძე, ანთაიძე.

მიწის გადანაწილება ხდებოდა სასვილეებისა და სათიბეების. საქერეები არ ნაწილდებოდა. ტყე სასოფლო იყო, გადანაწილება არ ხდებოდა, საძოვრები საერთო იყო. თემს საერთო მიწა არა ჰქონდა.

სოფ. ვაკისძირიც ისრიელის ხატს ლოცულობდა სოფ. ბიჭიურთასთან ერთად. სოფელს ჰქონდა თხი დღიური ჯვარის ყანა, რომელსაც ყოველწლიურად არჩეული ნათე ამუშავებდა. იყო სათემო ხატის მიწაც, რომელსაც კომლუურად ამუშავებდნენ რიგრიგობით. სოფ. ვაკისძირის მეკოდე იყო ილიურთა⁵⁴.

ბ) ივანეშრთის თემი

სოფ. დოჭუ

სოფ. დოჭუში (ტაბ. 82, 83) ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: თორღვაიძე, ლეგუშაიძე, აბულიძე, ზურაიძე. ეს გვარები მონათესავე გვარები არ იყვნენ. აბულიძეები ქისტები ყოფილან. სამი ძმა წამოსულა ქისტეთიდან. ერთი დოჭუში მოსულა, მეორე — გირევიში, მესამე — შენაქოში. აბულიძეებთან ხარით შეყრილები ყოფილან წომიკურიძეები, თორღვაიძეებთან — მოურავიძეები.

სოფ. დოჭუში „ყველა მეკომურს თავ-თავისი ჰქონდა მამული. სოფელი ანაწილდებდა. ...ყველა მეკომურზე გადანაწილდებოდა მიწა თავიდან. ხდებოდა, რომ ორი ძმა გაიყოფოდა და ისევ იმ ადგილ-მამულზე რჩებოდა. მიწა ხან ხუთში, ხან ექვსში, ხან შვიდ წელში ერთხელ ნაწილდებოდა“. ტყე არ იყოფოდა, არც საძროხე საძოვრები, საერთო იყო.

სოფ. დოჭუს სალოცავეები იყო: კოპალა, ანუ წმ. გიორგი, მარიამწმიდა, ჯაჯმატი, ხახა, კარატი, საჯეო წმ. გიორგი.

„ხატს ჯვარის ყანები ჰქონდა დაბლაც, მაღლაც. საბოსლო რომ არის, ნანგრევეები, იქით ჯვარის ყანებს ვეძახოდით და შულტა და ნათე ხნავდნენ. მოსავალი დღეობებს ხმარდებოდა“.

⁵³ სოფ. ბიჭიურთის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მთხრ. აბრო აღოს ძე ლულელაურმა, დაბად. 1876 წ., ჩაწერილია 1966 წ.

⁵⁴ სოფ. ვაკისძირის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მთხრ. იროლი გიგოლეს ძე ყაზიბაიძემ, დაბად. 1898 წ., ჩაწერილია 1966 წ.

„ლაშარობა იწყება აღდგომიდან მესამე დღეს და მეთხუთმეტე დღიდან აქ [დოქტუმი] დაიწყება დღეობა. ოთხშაბათობით აქ [დროშათ სადგომიდან, სადროშედან] გამოდის დროშა, ხუთშაბათს — მარიამწმიდაში, პარასკევს — ხახაში, შაბათს ზეით, წმიდა გიორგიში. იქიდან აქ ჩამოვიდოდნენ დროშათ სადგომში. ლამეს აქ ათევდნენ და კვირას დაიშლებოდნენ“⁵⁵.

ს ა დ რ ო შ ე

საქვებესა და კოპალას ხატს შუა, მთის აღმოსავლეთის კიდეზე, მშრალად ნაგები პატარა ნიშია (ტაბ. 84). აღმოსავლეთით აქვს სასანთლე შეკუმა. დასავლეთით, შუა წელზე, კედლიდან გამოწვეერილია თხელი ფიქალის ქვა წყვილი მრგვალი ნაჩვრეტით — დროშების ტარების დასამაგრებლად. ნიშს თავზე ადევს ხინჭრიკვა.

ორი დროშა გამოიტანეს კოპალას ხატიდან. თითოეულ მათგანს ტარზე ცალი წვერით მოხმული აქვს საწირები (საკადრისები), რომელთა დიდი ნაწილი თეთრი მიტკალია, სადა წითელი „ლენტია“ და ზოგიც ოთხკუთხა მოყვანილობის საკადრისი, რომელსაც აქვს თეთრი ფონი და ჭრელი განიერი არშია. ამას გარდა დროშაზე რამდენიმე ძველისძველი თეთრი საკადრისია. ორივე დროშის თავზე წამოცმულია შუბისწვერი და მის მახლობლად ტარზე დამაგრებულია პატარა ზარები (ტაბ. 85, 86).

სასანთლე-სადროშესა და კოპალას ხატს შუა არის ჩაღრმავებული ადგილი, რომელსაც დ ა რ ბ ა ზ ი ეწოდება.

წ მ ი ნ და გ ი ო რ გ ი შ ა ვ გ ვ რ ე მ ა ნ ი ს ა , ა ნ უ კ ო პ ა ლ ა ს ხ ა ტ ი

წმინდა გიორგი შავგვრემანი, ანუ კოპალა, მდებარეობს სოფლის თავზე, საქვებიდან სამხრეთით. იგი წარმოადგენს მშრალი წყობის, ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელიც აშენებულია მთის ფერდზე და ამიტომ ქვემო ნაწილი აღმოსავლეთის კედლისა უფრო განიერია და სამხრეთისაკენ მიწის პირს უსწორდება. ამ კვარცხლბეკის მსგავს სიმაგრეზე აყვანილია ნაგებობა. კედლის თავზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მრავალი ძველი ირმის რქაა გაწყობილი. ჩრდილოეთის კედელზე მიყუდებულია ორ ნაწილად გაპოხილი, გამოფიტული ხე, რომელზეც ოდესღაც ჩამოკიდებული ყოფილა ზარები. ამჟამად ორი დიდი, ერთი საშუალო და ერთი მცირე ზომის ზარი, დაწყობილია ნაგებობის თავზე, ამათგან ორი დიდი ზარი რუსულია, ფაბრიკულია. ასევეა პატარა ზარიც რუსული წარწერით. საშუალო ზომის ზარი სადაა და ზემო ნაწილში გარემო აქვს სტილიზებული წარწერა. კოპალას ნაგებობაში მოთავსებულია ორი მდიდრულად გაწყობილი დროშა. დროშები ამოაქვთ ნაგებობის სახურავიდან. ნაგებობის სახურავი დაფარებულია დიდი ფიქალის ნაჭრებით, რომელთა გადაცხნის საშუალებით (თავს ხსნიან შენობას) ათავსებენ შიგ დროშებს ან ამოაქვთ იქიდან დროშები.

ჩრდილოეთის კედელში ერთი, ხოლო დასავლეთის კედელში ორი ჯონია ჩამაგრებული, სხვაგან ამ ჯონის ფუნქციას მიაწერენ საკლავის დასაპყვლ და ნიშნულებას (ტაბ. 87).

⁵⁵ ს. დოქუს შესახებ ცნობები მოგვაწოდა შიხრ. ნოდარ ივანეს ძე აბულიძემ, დაბად. 1905 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ხ ა ხ მ ა ტ ის ნ ი შ ი

მდებარეობს სოფლის შუაგულში, პატარა შემადლებზე. კონუსისებური შენობაა, რომლის მთავარი ფასადი დასავლეთის მხარესაა. ნიშს მთავარი ფასადის კედელში, დაბლა დატანებული აქვს საკმაოდ ღრმა სასანთლე შუკუმა, რომლის თავზე და ძირში წყობიდან გამოსული ვიწრო, ბრტყელი, თითო სადროზე სიპია ერთი ნაჩვრეტი. შუკუმის თავზე ფასადის კედელი შეღრმავებულია კონუსისებურად (ტრაპეციის მსგავსად). ფასადის კედლის მარჯვენა მხარეს, ზემოთ, ოდნავ ჩაქცეულ წყობაში თეთრი პატარა ხინჭრიკვა დევს. ნაგებობის სახურავზე უამრავი გამოფიტული, ძველი ჯიხვის რქები აწყვია. სახურავი ბრტყელი სიბეებით არის გადახურული და ზედ ერთი დიდი ზომის ხინჭრიკვა ადევს. სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან, ნაგებობის კედლების შუა ნაწილში პატარა შეღრმავებანი (შუკუმები?) აქვს დაყოლებული.

კ ა რ ა ტ ე ს ნ ი შ ი

კარატეს ნიში მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მთის დაფერდებაზე (ტაბ. 88). ნიში ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვით. იგი კონუსისებური ფორმისაა. აღმოსავლეთის მხრიდან ამოშენებულია კვარცხლბეკი. იგი ამოყვანილია კლდეში, მშრალად, ფიქალი ქვით. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეზე ნაგებობა კლდეზე დგას. მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა. კვარცხლბეკს ებჯინება სასანთლე შუკუმა. სახურავზე, შემადლებული ფორმით, რამდენიმე სიპი ქვა დევს, რომელზეც ორი დიდი ზომის ხინჭრიკვა დევს. აქვე, სახურავზე ფიქალის ქვა ამაგრებს რამდენიმე ცალ თეთრ საწირავს.

ხატის წინ, მთავარი ფასადის მხრიდან, პატარა მოედანზე ახლად შეწირული ცხვრის თავ-ფეხი და ერთი პატარა არყის ჭიქა გდია. შუკუმაში ყრია სპილენძის ფული. აქვე შეინიშნება სანთლის ნამწვავებიც.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ც ნ ო ბ ე ბ ი: 1. ძველად კოპალას ხატს სამხრეთის კედელში შიგნით შესასვლელ-გამოსასვლელი კარი ჰქონია. ეს კარი დაინგრა და შესასვლელი ამოაშენეს. ისე, რომ ამჟამად შენობას კარი არა აქვს და დროშები ამ შენობაში შესანახავად სახურავიდან ჩააქეთ — სახურავის სიპს გადახდიან და დროშებს, რომელთა რაოდენობა ორია, შიგნით ჩააყუდებენ.

2. ხ ა ხ ა ზ ე, რომელიც სოფლის თავზე აღმართულ მთის წვერზე მდებარეობს, ძველ დროს ციხე მდგარა. ამ ციხეში მაშინ ხატის ძვირფასეულს, ვერცხლეულს, თას-განძს ინახავდნენ. გვიან ხანში ციხე დაინგრა. დღესაც ამჩნევია მისი ნაწილი.

3. ჯორდანალაჯი ამ ადგილს იმიტომ ეწოდება, რომ იქ დევს დიდი ზომის ქვა, რომლის ზედაპირზე აშკარად ამჩნევია „ღმერთის ჯორის დანალაჯი“.

4. გ ო ჩ ი ლ ა ა ნ თ ს ა კ ე ო ახლოს არის ჯორდანალაჯიდან.

5. ს ა კ ე ო წ მ. გ ი ო რ გ ი სულ მაღლაა, მთის წვერზე. იქ დგას მისი სალოცავი ნიში, რომელიც კარატეს მსგავსია. ძველად ეს ნიში შემკული იყო ჯიხვის რქებით.

ს ა ქ ვ ა ბ ე

მდებარეობს ზღვის დონიდან 2260 მ სიმაღლეზე. საქვაბე შენობა ნაგებია ფიქალი ქვისაგან, მშრალად (ტაბ. 89). საქვაბეს მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ფართო, ოთხკუთხა ფორმის შესასვლე-

ლი. შესასვლელის მარცხენა და მარჯვენა მხარეს კედლებს დატანებული აქვს ღრმულები, თითო მხარეს სამ-სამი ღრმული, რომლებშიაც გაყრილია ორი ჯირჯალი. შენობა გადახურულია ცალფერდად.

საქვაბე შიგნითა მხრიდან მოგრძო ოთხკუთხა ფორმისაა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები საფენურებად მალღდება ჩრდილოეთის მხრისკენ. ჩრდილოეთის მხარეს ნაგებობას კედელი არა აქვს ამოყვანილი და საქვაბის სახურავი ეყრდნობა სამ ბოძს. აქვე, კედლებზე ამოყვანილია ფიქალი ქვის კედელი, რომელსაც ოთხკუთხედად გამოყვანილი დიდი ზომის შუკუმა აქვს. შუკუმის თავზე, კედლის წყობაში, დატანებულია გრძელი ძელი. მთხრობლის გადმოცემით შუკუმაში თასებს ინახავდნენ. დასავლეთის მხრის კედელი ჩრდილოეთით გამოწეულია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის კედლების საფენურებზე დაწყობილია შვიდი კიდი. კიდები ეყრდნობა ერთ დიდი ზომის ჯიღს, რომელიც თავისი მხრივ ეყრდნობა ერთი მხრიდან სამხრეთის მხრის კედლის თავს, ხოლო მეორე მხრიდან ჩრდილოეთის მხრის შუათანა ბოძს. კიდებზე დაწყობილია ყავრი. ყავრი კი დაფარებულია ბრტყელი ფიქალი ქვით.

საქვაბე შენობა შიგნით დედაბოძს ეყრდნობა. შენობის ჩრდილოეთის მხარეს გაკეთებულია ორი საცეცხლური, რომლებშიაც თითოში თითოა ქვაბია ჩასმული. საცეცხლურებიდან ერთი მარცხნივ, გაუქმებულია, მეორეს კი ხმარობენ. იმ ქვაბს, რომელიც ხმარებაშია, აფარია სამი ფიცარი, ზემოდან გარდიგარდმო დევს ორი ჯოხი და დაფარებულია ბრტყელი ფიქალი ქვით. ქვაბების ტევადობა ასეთია: ერთი შედარებით მცირე მოცულობის ქვაბი 50 თუნგის ტევადობისაა, მეორე — 60 თუნგისა (თუნგში ვედრონახევარი ჩადის) (ტაბ. 90).

აღმოსავლეთის კედელთან ახლოს დევს ძველი ლახტა, ანუ ნავი. აქვე დგას ორი ხის კოდი, რომელიც ჩვენი აღწერის მომენტში სავსე იყო ალუდით. კოდებს ეფარა ტომრები (ტაბ. 91, 92). აქვე, ერთ კოდზე ვნახეთ წარწერიანი თასი: „1951 წ. გარდაიცვალა 20 წლისა იუსტანე ზურაიძე. სახსოვრად გავაკეთე იორდანე გუთანაიძემ. შენდობა ახალგაზრდებს“. ხის თასთან ერთად ვნახეთ ჯიხვის თასიც. აღმოსავლეთის მხრის კედელს დატანებული აქვს მართკუთხა ფორმის შუკუმა, სადაც დევს სპილენძის თუნგი, სპილენძის ავეარდენი (ხმარობენ ლუდის გადასაღებად, ფორმით წააგავს ტაფას). დასავლეთის მხრის კედელთან დევს გრძელი ახალი ნავი. აქვე ვნახეთ ორი სამჭირა. ამავე მხრის კედელში დატანებული აქვს ორი ერთნაირი ზომის შუკუმა, ერთი უფრო მაღლა, მეორე უფრო ქვემოთ.

მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს ხ ა ტ ი

მარიამწმინდის ხატი მდებარეობს ს. დოჭუდან აღმოსავლეთის მხარეს (ტაბ. 93) და წარმოადგენს ძნელად მისასვლელ მთის მწვერვალზე ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ, მრგვალი ფორმის დაბალ მილიონას. მილიონა ზემოდან ბრტყელი პატარა ფიქალი ქვებით მთავრდება. მილიონას არა აქვს სასანთლე შუკუმა. მარიამწმინდის ხატთან მისასვლელი დაფარულია რომელიღაც მცენარის ეკლიანი ბუჩქით, რომელზედაც ქრელი საკადრისები ჰკიდია.

სოფ. გოგრულთა

სოფ. გოგრულთაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ბაკურიძე, ხაბაიძე, აღიაიძე, ბორშოიძე.

სოფ. გოგრულთაში „მიწა კვამლეურად იყო განაწილებული“. ტყე სასოფ-

ლო იყო. სათიბეები ცალკე იყო. საძროხე საძოვრები საერთო იყო. საცხვრე ბინა თავ-თავისი ჰქონდა ყველა კომლს. ტყე სასოფლო იყო.

სოფ. გოგრულთას ხატები იყო: ზ ე დ ჯ ა ჯ ა , ქ ვ ე დ ჯ ა ჯ ა , კ ა რ ა ტ ი , ც ი ხ ე თ ა ნ ა , ჯ ა ჯ მ ა ტ ი .

ათენგობას დღეობა დაიწყებოდა ორშაბათს კარატეში. სამშაბათს „სანთელს დაანთებდნენ ციხეთანას“, ოთხშაბათს — ზედხახას, მერე ხახმატში, ხუთშაბათს — ქვედხახას და პარასკევს — ისევ კარატეში.

ხატს ჯვარის ყანა ჰქონდა. სოფლის ბოლოს იყო ყანები, რომელსაც ჯვარის ყანებს ეძახდნენ.

ხატს ტყე ჰქონდა: „ხახას ტყეს ვეტყვი — გვაცნობებს მთხრობელი, შემის გამოტანა არ შეიძლება, არ მოჰრიან ხეს. რაც ყრია, შეიძლება (იმის) ალება. შემას ამ ტყიდან დღეობაში იყენებდნენ ალუდის მოსახარშად“⁵⁶.

ზ ე დ ჯ ა ჯ ა

მდებარეობს ზღვის დონიდან 2415 მ სიმაღლეზე (ტაბ. 94, 95). ზედჯაჯა მდებარეობს ს. გოგრულთიდან დასავლეთის მხარეს, ე. წ. ხახას ტყეში, მაღალი მთის დავაკებაზე; წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელიც თითქმის მთლად ჩაქცეულია. მთავარი ფასადი: სავარაუდებელია, რომ ექნებოდა დასავლეთის მხარეს. შედარებით კარგად არის შემორჩენილი ნაგებობის ჩრდილოეთის მხრის კედელი, რომელსაც მთავარი ფასადის მხარეს მიშენებული აქვს პატარა სათავსოს მსგავსი შენობა. აგრეთვე მთლად ჩაქცეული. ჩრდილოეთის მხრის კედელში ნაგებობას უნდა ჰქონოდა ორი სარკმელი. შენობის შიგნითა მხარე და გარეთაც მოფენილია ფიქალის ქვებითა და თეთრი ხინჭრიკებით. ზედჯაჯას ნაგებობას თავზე დაჰყურებენ უზარმაზარი ფიქვის ხეები. ერთ მათგანზე თეთრი საკადრისია ჩამოკიდებული.

ქ ვ ე დ ჯ ა ჯ ა

მდებარეობს ზღვის დონიდან 2042 მ სიმაღლეზე (ტაბ. 95, 96). ქვედჯაჯა მდებარეობს ს. გოგრულთიდან დასავლეთის მხარეს. იგი წარმოადგენს ფიქალი ქვის დაბალ, ოთხკუთხა ფორმის ყორეს. ყორის დასავლეთის მხარეს მაღალი ფიქვის ხეზე რკინის ჯაჭვით ჰკიდია უზარმაზარი სპილენძის ზარი, ხოლო აღმოსავლეთით, ასევე ხეზე დამაგრებულია ორი თეთრი საკადრისი.

ხ ა ხ ა ს ს ა ქ ვ ა ბ ე

მდებარეობს სოფლის გარეთ, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, ხახმატის ჯვარიდან ერთი-ორი ნაბიჯის დაშორებით (ტაბ. 97). შენობა ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვით. კარი სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში აქვს (ამაზე მიუთითებს ამ კედლის გადარჩენილი ნაწილი). სამხრეთ-დასავლეთის კედლის ქვედა ნაწილი კლდეზეა ნაშენი, ასევე კლდეზე უსწორმასწორო ყორის კედელია ნაგები ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით არის მხოლოდ ამაღლებული კლდე, რომელზეც კედლის წყობა აღარა ჩანს. საქვაბეს გადახურვა არა აქვს, მაგრამ ორი შერჩენილი ხიდის მი-

⁵⁶ სოფ. გოგრულთის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მთხრ. ანიკო როსტომის ასულმა გუთანაიძე-ხაბაიძისამ, დაბად. 1906 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ხედვით და მთხრობლების თქმით, მას ჰქონია ცალფერდა გადახურვა. საქებაში გაწყობილია ყორის ყვერფი, რომელშიც ჩამჭდარია სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი ალუდის ქვაბი. სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კედლების კუთხეში ამ კედლების გასამაგრებელი სამი სიბია. ქვედა სიბზე აწყვია სპილენძის ერთი პატარა თასი — გარედან სადა, ხოლო შიგნიდან ლამაზად მოჩუქურთმებული; ბრინჯაოს მშვენიერი ზარი, რომელსაც გარედან არშიად აქვს გამოყვანილი ყვავილის სახე; რუსული ზარა. ამავე კუთხეში მიგდებულია ძველი თუნგი, თავზე დაზიანებული. მას ყელზე ერთ ზოლად გაყოლებული აქვს სახოვანი გეომეტრიული ორნამენტი, რომლის ქვემოთ არის გარედან ამობურცული ღარი. თუნგის ცალ გვერდზე, გეომეტრიული ორნამენტის ზემოთ და ქვემოთ რგოლებში ამოტვიფრულია აღმოსავლური წარწერა. ერთი მათგანი წაშლილია, მეორეც ძნელად იკითხება. აქვე კედელზე მიყუდებულია ხის დასარევი, გრძელ ჯოხზე მავთულით დამაგრებული დიდი რაოდენობის წვრილი ჩხირებით. კარის მაწლობლად, სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი შუკუმის მსგავსად არის ოდნავ ჩამორღვეული და შიგ შედგმულია „უესტის“ უბრალო ზარაკი.

ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

საქვებიდან სამხრეთ-დასავლეთით, კლდეზე მდებარეობს ხახმატის ჯვარი. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის მილიონას (ტაბ. 98). კლდე, რომელზედაც ეს მილიონა დგას, შემალღებულია და შემაგრებულია ყორით. ხახმატის ჯვარს მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს.

კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს კარატის ჯვარი (ტაბ. 66, 99). იგი მშრალად, უსწორმასწოროდ ნაგები ფიქალის მილიონაა. აშკამად გადანგრეულია. როგორც ჩანს, მას ფასადი ჰქონია ჩრდილოეთის მხარეს. ამ მხარეს მილიონას წყობაში ჩასმულია პატარა ჯოხი ზედ დახვეული თეთრი მიტკლის ნაჭრით. მილიონას თავზე დარჩენილა ქადა-კვერის ნაწილები და სამი დამწვარი სანთელი.

ცი ხ ე თ ა ნ ა

სოფელში, ჩრდილოეთით მოთავსებულია ორი, ფიქალისაგან მშრალად ნაგები მილიონა — ციხეთანა (ტაბ. 100). აღმოსავლეთით ალიანთ სალოცავი მილიონაა, (ტაბ. 100, 101). ხოლო დასავლეთით — ბაკურაანთ სალოცავი მილიონა (ტაბ. 102).

სოფ. საჩილოლო

სოფ. საჩილოლოში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: გუთანაიძეები — საბუედან გადმოსულან საჩილოლოში; ქოთილაანები — წინაპრები ფშავლები არიან; აბანეები — წინაპრები ხევსურები ყოფილან.

მთხრ. პანტო აბაიძის ცნობით, აბაიძის გვარის წინაპარს რალაც დანაშაული ჰქონია ჩადენილი ხევსურეთში, იქ აღარ ეცხოვრებოდა და თუშეთში წამოსულა, „პირველად ის დღ. ახლებულა აქ“ (საჩილოლოში); ქოთილაანი ამას მერე მოსულან“.

„(საჩილოლოში მიწა) გვარობრივ ჰქონიათ, ტყეებიც კი. გვარში მერე რამდენი მეკვამურიც შედის, ცალგან (თავთავისი) ჰქონდათ ტყეც და მიწა-სახნა-ვეებიც: საქერებიც, სასვილეებიც“.

სოფ. საჩილოლოს სალოცავები იყო: წმიდა გიორგი, ხახმატი.

წმიდა გიორგის ჯვარის ყანა ჰქონდა, ჯაგირს ეძახოდნენ. ხატის ტყე წმიდა გიორგის ხატის გარშემო იყო. შულტა კომლეთურად იყო, ალუდს ხარშავდა.

სოფ. საჩილოლოს მეკოდე იყო ვესტმო⁵⁷.

გიორგი წმინდას ხატი

სიმაღლე ზღვის დონიდან 2390 მ. სოფ. საჩილოლოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის ცერზე მდებარეობს გიორგი წმინდას ხატი (ტაბ. 103, 104). იგი წარმოადგენს სიპერდებიან ნაგებობას, რომლის განიერ კვარცხლბეკზე სასანთლე შუკუმაა წყობის შიგნით შეწყული. შუკუმას ხის ცისფრად შეღებილი კარები აქვს. ამჟამად მასში დევს ნახევარლიტრიანი ბოთლი, ერთი ხელადა და ოთხკუთხედი ფიცარი, რომელზეც რაღაც ნახატი (სრულიად წაშლილია) უნდა ყოფილიყო. ნიშის ზემო ნაწილი (შუკუმას ზევით) ნაშენებია სიპით. წყობა გამაგრებულია სილანარევი თიხით, სახურავი ბრტყელი სიპებითაა გადახურული. ნიშის აღმოსავლეთი ნაწილი მიწას ებჯინება. ნიშის ჩრდილოეთითა, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით დგას დიდი არყის ხე, რომლის ტოტები ხატზეა გადმოფენილი, ტოტები შემკულია თეთრი მიტკლის საწირავებით. ერთ-ერთ ტოტზე კიდია პატარა, ფაბრიკული წესით დამზადებული ზარი, რომელზეც ერთი თეთრი საწირავია შებმული (ტაბ. 105). ხატის ჩრდილოეთით საქალე-ბოა, რომლის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები სიპებით არის გამაგრებული, ცოტა მაღლა კაცების საჯარეა, აქ სიპის ქეები ორ, ზოგან კი სამპირად აწყვია.

კ ა ჯ მ ა ტ ი

სოფელ საჩილოლოდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, მთის ფერღზე მდებარეობს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები პატარა მილიონა; ჩრდილოეთის მხარეს ებჯინება მთის ფერდობს (ტაბ. 106). თავზე აწყვია ოთხი ბროლის ქვა და უამრავი ირმის რქა. ერთ-ერთ რქაზე შებმულია თეთრი საკადრისი.

ს ა ქ ვ ა ბ ე

ს. საჩილოლოდან ჩრდილოეთის მხარეს, ხახმატის ნიშის დასავლეთით მდებარეობს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები საქვაბე შენობა. ამჟამად ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის მხრის კედელი და ნაწილობრივ დასავლეთის კედელიც. ჩრდილოეთის მხრის კედელი შუა ნაწილში გამოწეულია და ქმნის კედლის შესამაგრებელ მილიონას. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრის კედლების კუთხეში გაკეთებულია საცეცხლური, რომელშიაც ჩასმულია სალუდე ქვაბი. საცეცხლური ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად.

57 მთხრობელი პანტო აბაიძე, დაბად. 1926 წ., ჩაწერილია 1966 წ.

სოფ. ვესტომთაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: თავბერიძეები, კარ-ბილაურები, ქარსამაურები, ანუ აფშინაშვილები. აფშინანი გვიან გადმოსულან, ადრე სოფ. ბუხურთაში მოსახლეობდნენ. „აფშინანი რომ გადმოვიდნენ ს. ვესტომთაში, მათ ამ სოფელმა მიწა მისცა სახნავიც და სათიბიც — ზოგი მე ჩამომაჭრეს, ზოგიც სხვასა. სათიბ-სახნავში სამანს ჩავყრიდით, ეს დოგები იყო. მიჯნას ვეტყოდით“.

„ქარსამაურის პაპა (წინაპარი) ქისტეთიდან გადმოსულა პირიქითში. გაზრდილა სოფ. ჭეშოში, ობოლი ყოფილა, იქ დაქორწინებულა და მერე ვესტომთაში დასახლებულა“.

„სოფელ ვესტომთას ორი სასაფლაო აქვს. ამის მიზეზი შემდეგია. ჯერ ერთი სასაფლაო იყო სოფლის ბოლოზე. მერე პაპაჩემს, როგორც უცხოთ მოსულს, არ მოუსურვებია იქ დამარხვა და ხატის ძირას აურჩევია სასაფლაოდ ადგილი. იმის მერე სულ იქ იმარხებიან ჩვენი სოფლისანი“.

„ველოსანი ძველ დროში უფრო თავბერიძეებიდან დგებოდა. ბოლო დროს კი აირია და ქარსამაური იყო ველოსნად“.

თავბერიძეებთან ჯარით შეყრილები ყოფილან მგელიზიანები. მგელიზიანები შეყრის შემდეგ თავბერიძეებად იწერებიან.

სოფ. ვესტომთის სალოცავები ყოფილა: ლ ა ლ მ თ ა ვ ა რ - ა ნ გ ე ლ ო - ზ ი ს ჯ ვ ა რ ი, მ ა რ ი ა მ წ მ ი დ ი ს ჯ ვ ა რ ი, ს ა ხ ე ს უ რ ო, ს ა მ თ ო - ს ა ჯ ა რ ე.

„ლალ მთავარ-ანგელოზის ჯვარს ადრე თავისი მიწა ქონდა საკუთრივ. ახლა ბაკი რომ არის სოფლის პირას, ადრე ეს ხატისა იყო და ამ ადგილს ჯვარის ყანა ერქვა. იქ სვილსა და ქერს თესავდნენ ლუდისათვის. იქ ხატის ორი ყანა იყო და წელიწადგამოშვებით იხვნებოდა თითოეული. ვესტომთას ხატებს საკუთრივ ტყე არ ქონია“⁵⁸.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვაბე მდებარეობს სოფელ ვესტომთის განაპირას (ტაბ. 107). ამჟამად საქვაბე ნაგებობის არც ერთი კედელი არ არის შემორჩენილი და აღდგენაც ჭირს. შემორჩენილია მხოლოდ საცეცხლური, რომელიც სავარაუდებელი საქვაბე შენობის სამხრეთის კუთხეში ექცევა. საცეცხლურში ჩადგმულია კარვა მოზრდილი საალუდე ქვაბი, დაახლოებით 50 თუნგი ტევადობისა. საცეცხლურს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარეს ამოშენებული აქვს ფიქალი ქვის პატარა კედლები ალბათ საცეცხლურში ჩადგმული ქვაბის შესამაგრებლად. მთხრობელის გადმოცემით, ქვაბი შემოწირული ყოფილა ერთი ობოლი ქალისგან.

ი ე ს ო მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ხ ა ტ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2440 მ სიმაღლეზე (ტაბ. 108). შუა სოფელში, საცხოვრებელი სახლებს შორის ამოზრცულ კლდეზე დევს ორი თეთრი ბროლის ქვა. მთხრობელთა გადმოცემით ეს არის იესო მაცხოვრის ხატი, რომელთანაც უწინ დედაკაცები ახლოსაც კი ვერ გაივლიდნენ. ხატის სამხრეთით; ფერდობს ქვემოთ ყოფილა საქალეზო ადგილი.

⁵⁸ მთხრ.: იოსებ ქარსამაური, დაბად. 1896 წ.. ფროსე გიორგის ასული აჰაიძე-ქარსამაურისა, დაბად. 1903 წ., ჩაწერილია 1966 წ.

ლ ა ლ - მ თ ა ვ ა რ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი

სიმაღლე ზღვის დონიდან 2455 მ. ლალ-მთავარი ანგელოზის ხატის ნიში მდებარეობს სოფელ ვესტომთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთის ფერდზე (ტაბ. 109, 110, 111). ხატი წარმოადგენს სიბით მშრალად ნაგებ ყრუ ნიშს, რომელსაც ზევიდან ერთი ძველი, გამოფიტული ჯიხვის რქა ადევს. ნიშის აღმოსავლეთით ერთი დიდი სიპის ქვა გდია მიწაზე; სამხრეთის კედლის შუა ნაწილში საკლავის გამოსაბმელი ხე არქვია.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი

სიმაღლე ზღვის დონიდან 2470 მ. მდებარეობს სოფელ ვესტომთის აღმოსავლეთით, მთის ფერდზე. ხატი მრგვალი ფორმის სიბით ყრუდ ნაგები ნიშია, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე მცირე ზომის სასანთლე აქვს დატანებული, შუკუმაში სანთლის ნამწვავები შეინიშნება. ხატის ირგვლივ მიწაზე სიპები ყრია, ხოლო მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი საშუალო ზომის ხინკრიკვა გდია მიწაზე (ტაბ. 111, 112).

ს ა ე ე ვ ს უ რ ო

მდებარეობს ზღვის დონიდან 2450 მ სიმაღლეზე. ს. ვესტომთის ჩრდილოეთის მხარეს, ფერდობზე. იგი წარმოადგენს მოზრდილ თეთრ ბროლის ქვას, რომელიც მიწაშია ჩაფლული.

ს ა ე ა რ ე

ს ა ე ა რ ე ივანაურთის თემის სალოცავად ითვლება. ეს ხატი მდებარეობს მალლა მთაზე — საჯარეს და წარმოადგენს პატარა მილიონას. ამჟამად იქ მეცხვარეების ბინებია. წელიწადში ერთხელ მოდის აქ დღეობა — საჯარეობა.

ს ო ფ . ი ლ ი უ რ თ ა

სოფ. ილიურთა გომეწრის ცენტრი ყოფილა: „მთელი გომეწარი და ივანაურთა აქ იყრიდა თავს“. სოფ. ილიურთაში ცხოვრობდნენ შემდეგი ძველი გვარები, რომლებიც გადაშენდნენ: სადაარანი, ოთარიანი, რაჟამიანი და თევდორაკელი. მთხრობლის მოსწრებაში სოფ. ილიურთაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ხეცაურანი//ლამურანი, მელწანები, წუდაქანი, ხელაანი//ქუტიანი, თახჩიანი, შაბალანი, აჩაჩუნიაანი, ბახტურაანი. ხეცაურები, თახჩიანები, წუდაქანი, ხელაანი — ოთხი გვარია ერთ გვარად, ხეცაურიძეა ძირითადი. ხეცაურებთან თახჩიანი, წუდაქიანი და ხელაანი ხარით იყვნენ შეყრილები. მელწანები ბახტურაანთთან არიან ხარით შეყრილები, ძირითადი გვარი იყო ბახტურიძე. შაბალაიძის გვარის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს. ბახტურიძის გვარის წინაპარს (პაპას) ქალი გაუთხოვებია სოფ. ბეღელაში. მას გაჩენია ბიჭი. ეს ბიჭი ბახტურიძის პაპას (წინაპარს) უშვილებია და ილიურთაში მოუყვანია, მაგრამ მამის გვარი — შაბალაიძე დაუტოვებია. ამავე მთხრობლის ცნობით შაბალაიძე ძველი გვარის — თევდორაკელთა ნაშვილებია.

„მიწები საგვარო იყო. საქერეები ცალკე იყო, სასვილები — ცალკე. მერე ხალხი რომ გამრავლდა, ზოგს მამული არ ჰქონდა და სოფელმა მოილაპარაკა-

კა, მამული გავყოთო. წინათ (მიწა) გვარზე იყო. ხალხს უნდოდა მაგარი და დიდი სოფელი ყოფილიყო, ამიტომ (უცხოს) დასახლებას (სოფელში) უშვებდა.

სამ-ხუთ წელში ერთხელ ვინმე რომ გამოიყოფოდა კვამლად (მიწას) ყოფდნენ თავიდან. ჩემს მოსწრებაში იყო: ამდენი შვილი მყავსო და რაღა ექნაო, მამული არა მრჩებაო და სოფელი ხელმეორედ გავოფდა (მიწას).

საქერეებს ყოფდნენ. სათიბები ბექები ჰქონდათ თავთავისი. ტყე საერთო იყო. სამასალეც იყო და საწვავიც. სასვილეები იყოფოდა კომლზე“.

სოფ. ილიურთის სალოცაეები იყო: მწვავქის გორზე — სასოფლო ხატი — „მწვავქე“ სახელწოდებით; ჯვარისკარის ხატი, წმ. გიორგის სახელობის. ეს საერთო სალოცავია სოფ. ილიურთისა და სოფ. ბუხურთის. აქვეა ჯვარისკარის ტყე; კარატის ჯვარი — ხეცურთ სალოცავი; სამივე ხატს ერთი ველოსანი ყავდა. „ხელოსნობა შაბლაიძეთ მოუდიოდათ“. დღეობა ჯვარისკრობა იცოდნენ 30 ივლისს ახალი სტილით.

ჯვარისკარს თავისი ყანები ჰქონდა, ჯვარის ყანების სახელწოდებით. მას ხნავდნენ და მოსავალს ალუდის მოსახარშად იყენებდნენ.

სოფელს ჰქონდა სამთო სალოცავიც — სანება საჯარისა. ადგილობრივთა თქმით, „იგლად გვადევს სამ წელიწადში ერთხელ საჯარეობა. იქ პატარა კოშკი დგას — მილიონა. ვისაც იქ წასვლა უნდოდა, ერთი თვე სხვის ოჯახში ვერ შესდგამდა ფეხს. სოფ. ილიურთა იქ აუცილებლად უნდა წასულიყო. ჯვარისკრობის წინა სამშაბათს იქ იყო დღეობა. ჯვარისკრობა კი მომავალ ხუთშაბათს ვიცოდით“⁵⁹.

ს. ილიურთის წმინდა გიორგის ეკლესიაში სხვა საეკლესიო წიგნებთან ერთად ვნახეთ ბექდური სამოციქულო, რომლის ბოლო ფურცელზე არის შემდეგი წარწერა:

- I სტრ.: „ჩყოა წელსა დეკემბრის კთ წაახდინეს დაღისტნის
- II სტრ.: ლეკის ნაიბებმა თავის ქარებით თუშეთი და წაახსეს ხალხი
- III სტრ., სრულებით.
- IV სტრ.: და ყოველი ცხოვრება თითონ ნაიბებმა და თავიანთ ქარებმა წაიღეს
- V სტრ.: და დაუტევეს აოხრებული ნასოფლარი ხუთი“.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვებე შენობა მოთავსებულია შუა სოფელში; ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვისგან (ტაბ. 115, 116). ნაგებობისგან ამყამად შერჩენილია მხოლოდ კედლები, სახურავი კი ჩაქცეულია. მთხრობლის გადმოცემით, ადრე საქვებე გადახურული ყოფილა ორფერდად. მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის დიდი ზომის შესასკლელი. შესასკლელის მარცხენა მხარეს კედლის წყობაში დატანებული აქვს ქვა. რომელზედაც შემდეგი წარწერა აქვს: „ეს საქვებე აშენებულია 1941 წ. მკათ. 13“. წარწერა იმის მათუწყებელია, რომ ორი საქვებე ხელმეორედ არას აგებული 1941 წლს.

შიგნითა მხარეს საქვებე ოთხკუთხა ფორმისაა. აღმოსავლეთი მხრის კედლის კუთხეში იქ, სადაც ჩრდილოეთის მხრის კედელი აღმოსავლეთის მხრის კედელთან კუთხეს ქმნის, დატოვებულია დიდი სარკმლის მსგავსი, ოთხკუთხა ფორმის ღია ადგილი, რომლის მახლობლადაც მოთავსებულია საცეცხლური

⁵⁹ სოფ. ილიურთის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს მთხრობლებმა: ილიკო აბრამის ქე ბახტურიძემ, დაბად. 1915 წ., ბაბაღე და ტირო შაბლაიძეებმა, ჩაწერილია 1966 წ.

საალუდე ქვაბით. მთხრობლის გადმოცემით, ამ ღია ადგილას მდგარა მგოლავი, რომელიც ქვაბს ურევდა ალუდის ხარშის დროს, წყალი კი კარიდან შეჰქონდათ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საქვაბებს დატანებული აქვს სამხრეთის მხრის კედელში. საცეცხლური ფიქალი ქვისგან არის ნაგები მშრალად. მასში ჩადგმული სალუდე ქვაბის ტევადობა, მთხრობელის გადმოცემით, 30 თუნგს არ აღემატება. თუნგი კი დაახლოებით 15 ლიტრს უდრის.

ჩრდილოეთის მხრის კედლის შუა ნაწილი ოდნავაა წამოწეული წინ კულის მსგავსად. კულის გვერდით კედლის წყობაში დატანებულია შუქუმა, ოთხკუთხა ფორმისა.

აღმოსავლეთის მხრის კედლის შუა ნაწილში დამაგრებულია პატარა ტელის ნაქერი. საქვაბეში ვნახეთ ხის ნაგი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში დგას ამჟამად, ადრე კი დასავლეთის მხრის კედლის გასწვრივ მდგარა.

ს ა ფ უ ა რ ი

მდებარეობს საქვაბის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

საფუარი მოცულობით საკმაოდ დიდი ნაგებობაა, რომელიც სამხრეთის მხარეს ორსართულიანია, ხოლო ჩრდილოეთის მხრით მიდგმულია მთის ფერდობზე და ერთსართულიანია, ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. ადგილ-ადგილ, ფიქალსა და ფიქალს შორის შეიმჩნევა წივის ნარჩენები, რამაც თავდაპირველად გვაფიქრებინა, რომ ის გარედან წივითაა გადალესილი. მაგრამ მთხრობელის გადმოცემით საფუარი ნაგებობის ქვედა სართული ადრე ბაშტე ყოფილა და კედელზე საქონლის ნაქელს აკრავდნენ გასახმობად. ნაქელის მოცილების შემდეგ წივის ნარჩენები რჩებოდა კედელში.

საფუარის ნაგებობის ზედა სართული ორი ოთახისგან შედგება: საკოდე და სამარცვლე. საკოდე დადგმულია ყოფილი ბაშტეს თავზე და მეორე სართულს ქმნის, ხოლო სამარცვლე, მართალია, საკოდეს სიმაღლეზე დგას, მაგრამ მთის ფერდობზეა მიდგმული და ერთ სართულად არის წარმოდგენილი.

საკოდეს ყველა კედელი შიგნითა მხრიდან თიხის ხსნარით არის შელესილი. ოთახი დაბალპერიანია და ოთხკუთხა ფორმისაა. სამხრეთის მხარეს საკოდეს აქვს ორი ოთხკუთხა ფორმის სარკმელი, რომლებიც თანდათან ვიწროვდებიან გარე მხრისკენ. სარკმლების ქვემო ნაწილი დაკბულია, ხოლო ზემოთა — სწორი. მათ შორის ზემოთ, ჰერში გაჭრილია ოთხკუთხა ფორმის საკომლე. სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, კედლის კუთხეში გაჭრილია ერდო და სამკუთხა ფორმის ღრმულს ქმნის; ზემო ნაწილში ერდო დამაგრებულია ძელით. აქედან ქვემო სართულს უკავშირდებოდა ზემო სართული, ჩადიოდნენ კედლის სამაგრებით, რომლებიც საფეხურებად ეწყობოდა.

ჩრდილოეთის მხრის კედლის შუა ნაწილი უჭირავს ოთხკუთხა ფორმის კარს. კარის თავი ხისაა და მასში ჩასმულია ხისავე ორკარედი, რომელიც გათლილი ხისგან არის დამზადებული; თავზე დადგმულია კოჭებით. ზღურბლი ხისაა; კარის ქვემოთა პირიც ხისაა და კედლის ერთ ნაწილთან ორ საფეხურს ქმნის. ზღურბლის შუა ნაწილში ჰერამდე ამოჭრილია სამკუთხა ფორმის საურდულე შუქუმა. კარის მოხურვის შემდეგ საურდულეში იდგებოდა ურდული, რომელიც კარს შიგნიდან კეტავდა. დაკეტვის შემდეგ საკოდეში მყოფნი ერდოს საშუალებით ქვემო სართულში ეშვებოდნენ. საკოდე ოთახის ჰერო ხუთ ჯიდს ეყრდნობა. ჯიდებზე დაწყობილია გათლილი ყავრი. ყავრის ზემოთ

არის ჩხლაკვი (არყის ხის ქერქი), რომელზედაც მიწაა დაყრილი და ბანს კმნის. ბანის ზემოთ აწყვია დამჭერი ჯიშები. საკოდეში ენახეთ: სამი კოდი, ორთვალი-ანი კილობანი, ჩხუტი, სკივრი, რომელიც ადრე მეჯის თავი უნდა ყოფილიყო, დერკი ერბოსათვის, დაშლილი კილობნის ნაწილები, კასრი და ხის ნაჭრები (ტაბ. 117, 118, 119, 120).

საფუარი თუ სამარცვლე ოთახი საკოდედან ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს. ისევე როგორც საკოდე, საფუარიც ოთხკუთხა ფორმის ოთახია, მხოლოდ შედარებით პატარა ზომისაა. კარის ნაწილი, რომლითაც საფუარიდან საკოდეში შევდივართ, თაღოვანია. მეორე კარი დატანებული აქვს აღმოსავლეთის მხრის კედელში და ისეთივე ფორმისაა, როგორც საფუერიდან საკოდეში შესასვლელი კარია. კარის მარჯვნივ კედელში დატანებულია სარკმელი, ოთხკუთხა ფორმისა. ჩრდილოეთის მხრის კედელში ორი ოთხკუთხა ფორმის შუკუმაა. შუკუმებს შორის კედელი გრძელ ოთხკუთხედად არის გამოწეული, რომელსაც კედლის დამჭერი მილიონას ეძახიან. კედლის კუთხეებში კედლის სამაგრები დატანებული, თითოეულ კუთხეში ორ-ორი სამაგრი. დასავლეთის მხრის კედლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე დგას ორთვალიანი კილობანი. იქვე დგას პატარა კილობანიც, რომელზეც დევს დიდი კილობნის თავსახური. თავსახურზე აწყვია ერთი ჯიხვის თასი, ერთი ხის თასი, სპილენძის ტარკოშა და ქაფქირი. კედელთან ახლოს დევს ჯვარის ქვაბი, რომელშიც საკლავის ხორცს ხარშავდნენ. მთხრობლის გადმოცემით, ჯვარის ქვაბს საკედეს ეძახიან. ქვაბი შემოწირული ყოფილა. ქვაბი მრგვალძირიანია და ორი სახელური აქვს (ტაბ. 121, 122).

საფუარის კარს, რომლითაც გარეთ გამოვდივართ, აქვს კარის თავი — კედლიდან გამოწეული ფიქალი. კარის მარცხენა მხარეს კედელში დატანებულია პატარა ოთხკუთხედი ფორმის სარკმელი თუ საურდულე, ძალიან ვიწრო. საფუარი და საკოდე ოთახების ჰერის დამჭერი ჯიშების ბოლოები — კედლის წყობაში ჩატანებული — კედლიდან არის გამოწეული და აღმოსავლეთის მხრის კედლის მთელ სიგრძეზე ერთიმეორის გვერდით — ჩამწყვრივებული. აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრის კედლების კუთხეში გაკეთებულია წყლის მიმართულების მიმცემი და დამჭერი ყორე.

ქვედა სართული ბაშტეა, რომელსაც მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს აქვს. აქ მას დატანებული აქვს შეისრული ფორმის შესასვლელი. შესასვლელის მარცხენა მხარეს კედელში გაჭრილია სარკმელი, ზუსტად ისეთივე, როგორც საკოდეს სარკმლებია. ჩრდილოეთის მხრის კედლის შუა ნაწილიდან წინაა გამოწეული კედლის გასამაგრებელი მილიონა. აღმოსავლეთის მხრის კედელთან გაკეთებულია არყის წნელისგან მოწნული ბაგა საქონლისათვის.

ბაშტეს ჰერი ოთხ ჯიდს ეყრდნობა. მათზედაც დალაგებულია ჯერ ყავრი, შემდეგ ჩხლაკვი და მიწა. იატაკი ზღვაა: მოპირკეთებულია ფიქალი ქვით.

მთლიანად, მთელი საფუარის ნაგებობა გადახურულია ორფერდა სახურავით. ბანზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის კედლების თავებზე დაწყობილია სიპები; მათზე დადგმულია ჯინჯიბახები: თითოეული კედლის თავზე სამ-სამი. ასეთივე ჯინჯიბახები დადგმულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების თავებზე. ჯინჯიბახებზე დაწყობილია ჯიშები. ჯიშებზე ყავრია დალაგებული, ხოლო ყავრი სიპითაა დაფარებული. ის გარემოება, რომ ყოველი სამი ჯინჯიბახიდან, შუა მაღალი და დიდი, ხოლო ორი დანარჩენი კი პატარა, განაპირობებს მას, რომ ნაგებობის სახურავი ორფერდაა.

რვალის საწდეს გარედან აქვს შემდეგი წარწერა ექვს სტრიქონად:

ბახტუ
რიძეს 1911
წელს 2
მკათათვის

— ე მომიწირავს ესე
ნიეთი მოსახსენებლად
ჩემი და ჩემი
მშობლებისა მე
რევაზა ზაქარი
ას ძე

საწდეს აქვს ორი სახელური.

კ ა რ ა ტ ე ს ჯ ვ ა რ ი

სოფლის ბოლოს, სამხრეთ ნაწილში, დაქანებაზე მდებარეობს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, ძალიან დაბალი ოთხკუთხა ყორე, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მიწაში შედის. ყორეს თავზე ადევს ორი დიდი ზომის ხინკრიკვა. ყორის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის საჯარე, რომელიც მშრალად, ფიქალით არის ამოყვანილი და დავაკებას ქმნის.

მ წ ვ ა ქ ი ს გ ო რ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ი

სოფლის დასავლეთით, მაღლა, მწვაქის გორზე მდებარეობს მწვაქის სალოცავი, რომელიც წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაშენებ ჩაქცეულ ნაგებობას (ტაბ. 116). შემორჩენილია მისი სამხრეთ-დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების ნაწილები. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში მოთავსებულია ოთხკუთხა ფორმის სასანთლე შუკუმა. შუკუმის წინ მოედანია, რომლის დავაკებას ქმნის მშრალად ამოყვანილი ფიქალის ქვები.

ჯ ვ ა რ ი ს კ რ ი ს ხ ა ტ ი

მწვაქის გორის ზემოთ, სოფლის დასავლეთით, მდებარეობს ჯვარისკრის ხატი, რომელიც წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაშენებ ოთხკუთხა ნაგებობას (ტაბ. 123, 124). მისი სამხრეთი ნაწილი მიწას ებჯინება. მთავარი ფასადი სამხრეთ მხარესაა. ამავე მხარეს, კედლის შუა ნაწილში მთელ სიღრმეზე დატანებულია სასანთლე შუკუმა, რომელშიც ამჟამად აწყვია ძველი გამოფიტული ჯიხვის რქები. რქებზე თეთრი მიტკლის საწირავებია.

ჯ ვ ა რ ი ს კ რ ი ს ხ ა ტ ი ს ს ა ქ ვ ა ბ ე

საფუარის ჩრდილოეთით მდებარეობს ძველი საქვაბე, მშრალად ნაგები სიბი ქვისაგან, სახურავი ჩაქცეულია, მაგრამ კედლების მოყვანილობიდან ჩანს, რომ ორფერდა იქნებოდა. მისი შესავალი კარი სამხრეთის მხარეზეა. შესავლის პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელზე აღმართულია კულა, ხოლო მის გვერდით კედელში პატარა ზომის ნიშია დატანებული. კულის ძირში სიბი ქვისაგან გამართულია თვით საქვაბე საცეცხლურით, რომელშიაც ჩადგმულია პატარა ზომის სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სალუდე ქვაბი. ქვაბზე სიპებია დალაგებული სახურავის ნაცვლად. სამხრეთის კედლის ძირში ორი პატარა ახლად გამართული საცეცხლურია.

აღმოსავლეთის კედელში დიდი ცარიელი სივრცეა სარკმელივით დატანებული. აქედან ლუდის დუღებისას წყალს აწვდიდნენ თუნგით ქალები. შესავალ კართან კედელში ჩატანებულ ქვაზე არის წარწერა „ეს საქვაზე აშენებულია 1941 წ.“ ადგილობრივთა განმარტებით აქ ძველი საქვაზე ყოფილა, მისგან საძირკველიდა იყო დარჩენილი და ახალი აუშენებიათ.

საქვების წინ მიწა მოსწორებულია და ზედ სიბების წყობაა გამართული. შუაში სიბებისაგანვე ამაღლებაა წარმოქმნილი.

სოფ. ბუხურთა

სოფ. ბუხურთაში ცხოვრობდნენ: ცოცანიძე და აფთარაული. „კუპრაანიც იყენენ, მაგრამ ჩალეულებია, აღარავინ არის“.

სოფ. ბუხურთაში ყოფილა ერთი სალოცავი: ხ ა ხ მ ა ტ ი, ხოლო კ ა რ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი სოფ. ბუხურთისა და ილიურთის საზიარო სალოცავი ყოფილა. შულტა მოაგროვებდა [ფორს], მოხარშავდა ლუდს და გადაიხდიდა დღეობას⁶⁰.

სოფ. ვესტმო

სოფ. ვესტმოში ცხოვრობდნენ: თუნაური (1 კომლი), იჩუანები (სამი კომლი) და რაინაულები (12 კომლი).

რაინაულების გვარის სოფ. ვესტმოში დასახლების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს. რაინაულების წინაპარი ყოფილა ხევსური, სახელად რაინა, რომელიც სოფ. ბოქორნაში ერთ კაცთან ყოფილა მწყემსად. იმ დროს სოფ. ვესტმოში ლეკებს უცხოვრიათ და ამ მწყემსს გაუძევებია ისინი. მაშინ ბოქორნელ კაცს ეს მწყემსი ამ ადგილზე (სოფ. ვესტმოს ადგილზე) დაუსახლებია.

იჩუანის გვარი ძველად ერთი კომლი ყოფილა სოფ. ვესტმოს გაღმა, ვაკეში უცხოვრია, მერე უთქვია შემეიერთეთო. სახნაური ძველ ადგილზე ჰქონდა, მაგრამ სოფ. ვესტმოში ცხოვრობდა, აქ დასახლდა.

„თუნაური ზესიძედ მოსულა. რაინაულების ქალი ყოფილა სადღაც გათხოვილი და იმის ბიჭი მერე აქ მოიყვანეს. თუნაურები ხისოში არიან. იქიდან მოიყვანეს ბიჭი და აქ დასახლებულა. რაინაულების დისწულად გამოდის“.

სოფელში „მიწებს ანაწილებდნენ. მიწები გვარებად არ იყო დაყოფილი. თუ არავინ არ დარჩებოდა (კომლში), მაგალითად იჩუათ კვამლი ამოწყდა, მაშინ იმათი მამული იჩუათ დარჩებოდა“.

„მიწები საკვამლო იყო. ტყეც გაყოფილი იყო. თავთავის გვექონდა ყველას: საქერები, სასვილები, საპურები, საშვრიეებიც. საძოვარი სოფლისა იყო ერთნაირად.“

შვილი თუ გაეყარა, მამულს სოფელი მისცემს“.

„ჯვარის ყანა გვექონდა. წელიწადში თითო კვამლი მოხნავდა“.

ვესტმოს სალოცავები იყო: ხ ა ხ მ ა ტ ი ო ნ ი, ჯ ვ ა რ თ ა ნ ა და ხ ა ხ ა . ჯვართანას დ ე დ ა მ ა რ ი ა ნ წ მ ი დ ა ერქვა. ხახას წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ე ძახდნენ. წმინდა გიორგი (ხახა) მარტო ერთი ფიჭვის ხე იყო.

⁶⁰ მთხრობელი ოლა საბას ასული დულელაური-აფთარაულისა, დაბად. 1881 წ., ჩაწერილია 1966 წ.

დედა მარიამწმიდისა (ჯვართანას) და წმიდა გიორგის (ხახას). დღეობა ერთად იყო. „მკათათვის ცამეტში ათენგენობა გვაქვს. პირველ დღეს აქაც მივალთ, იქაც. ჭერ დედა მარიამწმიდაში, მერე — ხახაში. მეორე დღეს სახანმატოში (წავიდოდით). მანდაც (ხანმატში) იკვლის საკლავი. ხევსურები ღამეს მანდ (ხანმატში) ათენებდნენ“.

„ათენგენას შულტა იყო. ჯვარის ყანა ათენგენას არა ჰქონია. ვკრეფავდით ქერს. შულტას სხვა დღეობა არა ჰქონდა გარდა ათენგენისა. შულტას ერთი საკლავი უნდა დაეკლა“.

„აღდგომას საკლავს კლავდა ის, ვინც ჯვარის ყანას დაამუშავებდა. პურსაც ის აკმევდა ხალხს. ნათეს ვეძახდით. ახალწელში საკლავს არ დაკლავდა ნათე. ხორცს სოფელში შეგვკრებდით. უნდა შეგვეკრიბა ორგირვანქანახევარი. ერთი კილო — ერთი ჩარეკის ტოლია. თითო კომლზე იყო თითო ჩარეკი. ნათე მოხარშავდა. ლუდს ნათე გამოხდიდა. ღამე კი რძესა და ერბოს შეკრებავდა და ფაფას მოხარშავდა. პირველად სამ კაც დავსხდებოდით და საგანძურების შანდობას ვიტყოდით. მერე ხუთ კაც დავსხდებოდით და ვიტყოდით: ქვათემთის დამკრებ შეიხსენოსაო. ქვათემთა ადგილს ჰქვია, ვესტმოს უკან არის. მესამედ ცხრა კაც დავსხდებოდით. ისენი კიდენ იტყოდნენ, შებალ ივანაურს მახსენოსაო. თითო კაცი თითო ჯიხურს დალევდა“⁶¹.

ხ ა ხ მ ა ტ ი ო ნ ი

სიმაღლე ზღვის დონიდან — 2335 მ; ხანმატის ნიში მდებარეობს სოფ. ვესტმოს ჩრდილო-დასავლეთით მთის ფერდზე. ნიში ფიქალით მშრალადაა ნაგები, მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა (ტაბ. 127). ამავე მხარეს ნიშს დატანებული აქვს პატარა ოთხკუთხედი ფორმის სასანთლე შუკუმა, რომლის თავზე წყობაში ორფენად ჩატანებულია ხინჭრიკები. ნიშის თავზე დევს დიდი, ბრტყელი სიპი, რომელიც ამაგრებს ჯოხს თეთრი საწირავეებით. ნიშს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს აგრეთვე შუკუმა აქვს დატანებული, რომელშიც ამჟამად სანთლის ნამწვავებია და ხშიადის ნაჭრები ყრია. შუკუმას გვერდით დასავლეთის მხრიდან წყობაში ერთი მცირე ზომის ხინჭრიკვია დატანებული. ნიშის დასავლეთით დავაკებაზე სიპებით მოფენილი საჯარეა.

ჯ ვ ა რ თ ა ნ ა (დ ე დ ა მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა)

სიმაღლე ზღვის დონიდან 2300 მ. ჯვართანას ნიში მდებარეობს სოფ. ვესტმოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მთის ფერდზე (ტაბ. 127). ნიში წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაშენებ ნაგებობას, გამონაკლისს შეადგენს მისი მთავარი ფასადი (სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარესაა), რომლის ზედა ნაწილი გამაგრებულია ქვიშანარევი თიხით. ამავე მხარეს ნიშს დატანებული აქვს ოთხკუთხა მცირე ზომის შუკუმა, რომელშიც სპილენძის თასი დევს, შუკუმას ქვევით წყობაში ერთპირად დატანებულია ხინჭრიკები. ხატი ზედა ნაწილში ცოტა ვიწროვდება, გადახურვა ორფერდაა, სამ სანაწეთიანია, სახურავის ცოტა დაბლა მარჯვენა მხარეს ძალზე პატარა ზომის შუკუმა აქვს დატანებული. სახუ-

⁶¹ ნთხრობელი რეპო ალხანაიძე-რაინაულისა, დაბად. 1906 წ.

რავზე დიდი სიბები და ერთი ძველი გამოფიტული ჯიხვის რქა დევს, რომელზედაც თეთრი მიტკლის საწირავებია დამაგრებული. ხატს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს წყობაში ღრმად შესული სასანთლე შუკუმა აქვს დატანებული, რომელშიც ამჟამად სანთლის ნამწვავებია და ხშიადის ნაჭრები ყრია. მთავარი ფასადის წინ ხატის დაბლა დიდი კლდე და ძერას (ჯიშია) ბუჩქია, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდის გაგრძელებაზე ჩაქცეული ნაგებობაა, რომლის მხოლოდ ერთი, სამხრეთის კედელია შემორჩენილი. ეს ნაგებობა სადროშე ყოფილა.

ს ა ქ ვ ა ბ ე

საქვაბე მდებარეობს სოფლის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს (ტაბ. 128). იგი ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად და გეგმაში ოთხკუთხა ფორმისაა. სახურავი ჩაქცეულია. სავარაუდებელია, რომ გადახურვა ცალფერდა ექნებოდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ჩრდილოეთის მხრის კედელი, რომელიც კლდეშია ამოშენებული და სხვა კედლებთან შედარებით უფრო კარგადაა შემორჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთის მხრის კედელი. საქვაბის ყოველი კედლის წყობაში როგორც გარეთა, ისე შიგნითა მხრიდან, დატანებულია უამრავი თეთრი ბროლის ქვა. გარეთა მხრიდან სამხრეთის კედელთან ფიქალი ქვების ნაყარია, ალბათ საჯდომად.

საქვაბე ნაგებობის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს აქვს, სადაც დატანებული აქვს კარგა მოზრდილი შესასვლელი. შესასვლელის ორივე მხარეს, მარცხნივ და მარჯვნივ, კედელში სამ-სამი ღრმულია, რომლებშიც ალბათ ჯიშვალებს უყრიდნენ. დაბლა, შესასვლელის ზღურბლად დაგებულია ბრტყელი და დიდი ფიქალის ქვა, რომელიც სამხრეთის კედლის წყობაშია დატანებული. შესასვლელის მარცხნივ კედელში გარკობილია ჯოხი.

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრის კედლის კუთხეში გამართულია საცეცხლური, რომელიც ფიქალი ქვითაა ნაგები მშრალად. საცეცხლურში ჩადგმულია საალუდე ქვაბი, რომელსაც ზემოდან დაფარებული აქვს ბრტყელი ფიქალი ქვა. საცეცხლურთან ახლოს, აღმოსავლეთის მხრის კედელთან გამართულია კერა ფიქალი ქვებისგან. საცეცხლურის თავზე, ჩრდილოეთის მხრის კედელში გარკობილია გათლილი ჯოხი ზედ თეთრი საკადრისით. დროშის ქვემოთ კედლის წყობაში დატანებულია სამი თეთრი ბროლის ქვა: ორი დიდი, ერთი კი პატარა. თეთრი ბროლის ქვა დევს აგრეთვე საცეცხლურზედაც, საალუდე ქვაბის მარცხნივ. აღმოსავლეთის მხრის კედელში, დახლოებით შუა ნაწილში, დატანებულია სარკმელი, ხოლო დასავლეთის მხრის კედელში ორი ოთხკუთხა ფორმის შუკუმაა. ერთ მათგანში დევს ხის ლიტრიანი და სამჭირა. ამავე მხრის კედლის მთელ სიგრძეზე, მის გასწვრივ, გადებულია ჯიდი, რომელიც ერთი ბოლოთი სამხრეთის მხრის კედელს ეყრდნობა, მეორე ბოლოთი კი ჩრდილოეთის კედლის წყობაშია ჩასმული. ჯიდზე ორი ჯაჭვია ჩამოკიდებული (შემოხვეული); მათზე ალუდის გასაწურ ტომრებს ჰკიდებდნენ. საქვაბე შენობაში არ არის ნავი (ლახტა), მაგრამ ივარაუდება, რომ იგი სწორედ ამ ჯიდის ქვეშ უნდა მდგარიყო.

მთხრობლის გადმოცემით საქვაბე წმინდა გიორგის სახელობისაა, ნაგებობა ხატად ითვლება.

სოფ. მოზარტა და სოფ. ინდურტა

წოვეთის მთავარი სოფლებია: ინდურტა, მოზარტა, ეთელტა, წარო, ნადირტა, საღირტა და ნასოფლარი შავწყალი. ამ სოფლებიდან ყველაზე დიდი სოფელი ყოფილა ინდურტა, ყველაზე პატარა — ნადირტა. მთავარი სოფელი ინდურტა იყო სამამასხლისო (ტაბ. 129, 130).

სოფ. ინდურტაში ცხოვრობდნენ: მანჭარაულები, ბაიხოანები. ასადიანი ბაიხოანები იყვნენ, თორღვანიც, ხოსროანიც, ლონგიშვილებიც. ითორიანი და თათიანი ბაიხოანთ ეკუთვნოდნენ. ესენი ყველანი ხარით იყვნენ შეყრილი. ეღელაანი ქორიათ ეკუთვნოდნენ და შემოქმედავებულნი იყვნენ.

ინდურტაში ცხოვრობდნენ ყიზილაანი, მაგრამ ეგ სხვა გვარი იყო. ესენი შედიოდნენ შორთიელებში, შორთიელებში შედიოდნენ იმედიძეებიც. დაქანები, დარქიზანიძეები, შორთიშვილები, ტურაშვილები ყიზილაანები იყვნენ.

შველაურები იყვნენ ცისკარიშვილები. ცისკარიშვილებში შედიოდნენ: აფშინაშვილები, ბელადიანი, ბერუანები, შანშაანები, სულხანაშვილები, ტურაშვილები.

ლაგაზიძეები ცალკე გვარი იყო, ხარიძეც.

სოფ. მოზარტაში ცხოვრობდნენ: თურქოანები, რომლებიც ბურკიანთ ეკუთვნოდნენ და ქოქორიანები. ქოქორიანები ბაიხოიძეების გვარში შედიან, მაგრამ მოზარტაში ცხოვრობდნენ.

სოფ. საგირტაში ცხოვრობდნენ: იტოშვილები, ბაჩულაშვილები, ჯიმშერიშვილები. მიქელაძეებში შედიან სააგიშვილები, ედიშერიძეები.

სოფ. ეთელტაში ცხოვრობდნენ: უშარაულები, ბუქურაულები, ბახტარიშვილები, ბაინდურაშვილები, რომლებიც იყვნენ მუშტარაულები.

სოფ. მოზარტასა და ინდურტას ერთად ჰქონდათ სახნავები. „გვარსა და გვარს კი ცალკე ჰქონდა (სახნავი დაყოფილი)... და კომლუურად იყო. იმის გადანაწილება არ შეიძლებოდა, კომლუურად იყო და მემკვიდრეობით. თუ გამრავლდებოდა ოჯახი და შვილი გამოეყოფოდა, მამა გაუყოფდა მამულს. თუ ორი შვილი ყავდა, სოფელს უნდა მიეცა მაინცდამაინც სახნავიც და სათიბიც. სათიბები (გვარის) შიგნით კომლუურად განაწილდებოდა. ქუთზე იყო, მაგალითად, ერთ ოჯახში სამი-ოთხი ქუდია, მეორეში — ერთი. მაშ იმას (პირველს) მეტი ექნებოდა, ამას (მეორეს) — ცოტა. ქალი რაკი გათხოვდებოდა, ნაწილს არ მისცემდნენ. ვაჟი ათი-თორმეტი წლის უნდა გამხდარიყო, რომ მამულს რგებოდა (ათი-თორმეტი წლის) ის უკვე წილში შევიდოდა.

ტყე ერთნაირად (საერთო) იყო“.

წოვეთის (მოზარტის და ინდურტის) სალოცავეები იყო: კოპალე, ცოტელი, ივანენათლისმცემლის ხატი, მარიამ ღვთისმშობლის ხატი.

წოვათში იცოდნენ და დალობის — შეფიცვის დღეობა სანებაში. მკათათვეში რომელი კვირაც მოხვდება პირველი, იმ დღეს იქნება დადალობა⁶².

კოპალე

კოპალეს ნიში მდებარეობს მოზარტის თავში, ინდურტის სამხრეთით. იგი ორივე სოფლის ხატია (ტაბ. 132). კოპალეს ნიში სიპით ყრულ ნაშენი ნაგებობა

⁶² წოვათის შესახებ ცნობები მოგვაწოდა ლეო ბაიხოიძემ, დაბად. 1897 წ., ჩაწერილია 1965—66 წწ.

ბაა, მისი ზედპირი დაფარულია ბრტყელი სიპებით. ნიში აღმოსავლეთ მხარეს უფრო დაბალია და ჩაქცეული; დასავლეთის მხარე შედარებით ამაღლებული. ხიშს ნახევარწრისებურად გარს არტყავს ბრტყელი დიდი ზომის სიპებით ნაგები ალაგ-ალაგ ჩაქცეული კედელი, რომლის აღმოსავლეთი მხარე ღიაა. ნიშს ჩრდილოეთ მხარეს პატარა სასანთლე შუკუმა აქვს დატანებული, დასავლეთ მხარეს მიწაზე გდია ორი ბრტყელი სიპი, რომელთაგან ერთ-ერთი სადროშე სიპია ორი ნახვრტით.

ს ა ს ო ფ ლ ო ს ა ლ უ დ ე

სოფ. ინდურთის შუაგულში მდებარეობს ჩაქცეული სასოფლო სალუდე. ყველაზე უკეთ დაცულია მისი ჩრდილოეთი კედელი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ამოშენებულია ქვაბის ჩასადგმელი, რომლის ქვეშ საცეცხლურია დატანებული. საქვაბის თავზე ოთხკუთხედი სასარკმლე ჭრილია დატოვებული. საქვაბის ყველა კუთხე ოვალურია. სამხრეთის კედლის შუაში კარების ღიობია, რომლის მარჯვენა მხარეს ზემოთ და ქვემოთ ორი საურდულეა დატანებული. ამ საურდულეებს ორი ჰორიზონტალური სიპი ჰყოფს ერთმანეთისაგან. საქვაბის იატაკი ბრტყელი სიპებითაა მოფენილი.

ც ო რ უ ლ ი

ცორულის ნიში ყოფილა ინდურთის აღმოსავლეთით, მისი მიზანი ყოფილა შის პირდაპირ ინდურთის წყლის პირას მდებარე ინდურთის დიდი ქვის ანუ ეშმან ჯერ (ეშმაკის ქვა)-ის საპირისპირო მოქმედება. ეს ქვა წარმოადგენს მოყავისფრო-მოყვითალო ფერის მოგლეჯილ კლდეს. ამ ქვაზე თურმე ეშმაკება ცხოვრობდნენ და ლხინსა მართავდნენ ხოლმე. კუდიანი ადამიანი ამ ქვაზე ეშმაკებთან ერთად ქეიფობდა, მერე იქიდან გათენებისას რომ წამოვიდოდა რსევე ადამიანად იქცეოდა. ერთი ცალთვალა ნაკუდიანევი კაცი თრიალეთში სხვას უყვებოდა: ერთხელ სამების კურატი მოვიპარეთ, ინდურთის დიდ ქვასთან უნდა დაგვეკლაო, ამ დროს სამებამ მოგვისწრო, მათრახი გადმოგვკრა, მე მომხვდა მისი წვერი და ცალი თვალი გამომთხარაო (მთხრობელი ლეო ჰაიხონიძე).

ამჟამად ცორულის ნიშის ადგილას სრულიად აღარაფერი არ არის.

ი ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ხ ა ტ ი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2020 მ სიმაღლეზე. ივანე ნათლისმცემლის ხატი მდებარეობს სამების ველზე, სამების ხატის აღმოსავლეთის მხარეს (ტაბ. 133, 134). ხატი ნაგებია ფიქალი ქვისაგან, მშრალად, სამ სვეტად. სვეტების გამაერთიანებელი ნაწილი აწვერილია ცენტრისაკენ კონუსის მსგავსად და თავზე აყრია უამრავი ხინჭრიკვა (16 ცალი). აღმოსავლეთ მხარეს ორ სვეტშუა ჩამაგრებულია ფიქალი ქვა. ჩრდილოეთის მხარეს დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის სასანთლე შუკუხა. ამავე მხარეს, შუა სვეტის ზემოთ ჩამაგრებულია ჭიხვის რქა, რომლის რქებს შორის ჩადებულია პატარა ზომის ხინჭრიკვა. უფრო ზემოთ, წვერზე ადევს ორი სადროშე ფიქალი, ორივე გაჩვრტილი. ერთ-ერთ ფიქალში ჩამაგრებულია დროშა. დროშის ხის ტარი 1,35 მ სიგრძისაა და ზედ თეთრი საკადრისები ჰკიდია.

ხატის ნაგებობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს კარგა დიდ მანძილზე მოფენილია ფიქალი ქვით. მთხრობელ ლეო ბაიხოძის გადმოცემით. ივანე ნათლისმცემლის ხატს ადრე გალავანი ჰქონია და სწორედ ამ გალავნის ნაშალი ფიქალი ქვები ყრია ნაგებობის სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს.

მ ა რ ი ა მ ლ ე თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი

მარიამ ლეთისმშობლის ხატი მდებარეობს ივანე ნათლისმცემლის ხატიდან სამხრეთით, სამების ველზე (ტაბ. 135, 136). ხატი ნაგებია ფიქალი ქვისაგან, მშრალად, ხუთ სვეტად, რომელშიაც შიგადაშიგ ჩატანებულია თეთრი ბროლის ქვები. ნაგებობის გრძივი ღერძი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მთავარი ფასადი აქვს ჩრდილოეთის მხარეს. ნაგებობის შუა, ცენტრალურ სვეტში, რომელიც უფრო ფართე და მაღალია. ვიდრე სხვა სვეტები, დატანებულია ოთხკუთხა ფორმის სასანთლე შუკუნა. შუკუნის თავზე ფიქალი ქვაა გადმოწეული. ამ ფიქალი ქვის ზემოთ კედელში ჩამაგრებულია შეწირული ჭიხვის რქები. რქებს შორის თეთრი ბროლის ქვები — ხინჭრიკები დევს⁶³. ცენტრალური სვეტის თავს ქმნის ორი ბრტყელი ფიქალის ქვა, რომლებიც კედლიდან არის გადმოწეული, ხოლო დანარჩენი სვეტის თავებზე გაწყობილია დიდი მთის ბროლის ქვები (25 ცალი ხინჭრიკვა). ხატის ნაგებობას წინ, მთავარი ფასადის მხარეს, აქვს დავაკება ჭვარისკარივით.

ს ა მ ე ბ ი ს ხ ა ტ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

სასაკლაო მდებარეობს ზღვის დონიდან 2280 მ სიმაღლეზე. სასაკლაო წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას. დასავლეთის მხარის კედელი კლდეშია ამოყვანილი და სიმაგრისათვის გაკეთებული აქვს კულა. კულას შუა ნაწილის ოდნავ ზემოთ დატანებული აქვს ფიქალი ქვა წარწერებით, სადაც გარკობილია ხე. ასევე ხეა გარკობილი კულის ჩრდილო-აღმოსავლეთის-მხარეს.

სასაკლაო ნაგებობის აღმოსავლეთის მხარის კედელი სანახევროდ ჩაქცეულია, ხოლო სამხრეთის მხარეს სულ არა აქვს კედელი.

შიგნითა მხრიდან ნაგებობას უხვდაა აქვს დატანებული სასანთლე შუკუნები: დასავლეთის მხარის კედელში — ერთი, ჩრდილოეთის მხარის კედელში — ორი და აგრეთვე დიდი ზომის შუკუნა — ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის კედელში.

სასაკლაო ნაგებობა ამჟამად სანახევროდ დანგრეულია, სახურავი არა აქვს, მაგრამ სავარაუდებელია, რომ გადახურული იქნებოდა ორფერდად⁶⁴.

გარეთა მხრიდან აღმოსავლეთის მხარის კედელში ნაგებობას დატანებული აქვს ასევე კედლის გასამაგრებლად კულა. აქვე გდია დიდი ზომის ბრტყელი სიბი, რომელიც სამ ადგილზე გაჩერებულია (ტაბ. 137).

ქ ა ლ ე ბ ი ს გ ა ს ა ჩ ე რ ე ბ ე ლ ი ა დ გ ი ლ ი (დიაცების საწარე) სიმაღლე ზღვის დონიდან 2275 მ. სანების კარზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით არის ყორის ნაგებობა, რომელიც მთხრობლის თქმით ქალების გასაჩერებელი ადგილი ყოფილა (ტაბ. 137).

⁶³ მთხრობელ ლეო ბაიხოძის გადმოცემით, „ხინჭრიკვა“ თუშურია, წოვურად მას ეწოდება „ყუი მანჭქერ“, რაც ნიშნავს: თეთრი ტალის ქვა.

⁶⁴ მთხრობელ ლეო ბაიხოძის გადმოცემითაც ადრე ნაგებობას ორფერდა სახურავი ჰქონია.

სადეკანოზო მდებარეობს ზღვის დონიდან 2280 მ სიმაღლეზე. სადეკანოზო ოთხკუთხა ფორმის ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები შენობაა. ყველაზე კარგად შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთის მხრის კედელი, რომელიც შუა ნაწილში, ცენტრისკენ აწვერილია; კედელში დატანებულია მეტად ვიწრო, მოგრძო ფორმის სარკმელი. ერთ-ერთი კედელი, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთის მხარისა, კლდეშია ამოშენებული. შედარებით ჩაშლილია და კარგად ვერ არის შემონახული სადეკანოზო ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარის კედლები. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში დატანებული ყოფილა კარი; ხოლო იქ, სადაც ყოფილა კარი, შექრილია ქვა ურდულისათვის (ტაბ. 138).

შიგნითა მხრიდან ნაგებობას, ჩრდილო დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლების გასწვრივ, ჰქონია ფიქალი ქვისაგანა გაკეთებული საჯდომი სკამები.

ამეამად შენობის სახურავი ჩაქცეულია, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთის კედლის მოყვანილობა გვაფიქრებინებს, რომ გადახურვა ორფერდა უნდა ჰქონოდა.

გარედან, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს მთის ფერდი მოსწორებულია და შემაგრებულია ფიქალი ქვებით (ტაბ. 139).

ბერი სამება ანუ სამების ხატი

მდებარეობს ზღვის დონიდან 2285 მ სიმაღლეზე. სამების ხატი ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, კოშკური ტიპის შენობაა (ტაბ. 140). მთავარი ფასადი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებულია ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი. მთავარი ფასადის კედელში, შესასვლელის სიმაღლეზე, მის აღმოსავლეთის მხარეს, დატანებულია ორი გაჩვრეტილი ფიქალი ქვა, დროშის ტარის გასამაგრებლად: ერთი უფრო ქვემოთ, მეორე კი მის თავზე. აქვეა სასანთლე შუკუნა, რომელშიაც დევს რქა. შენობის წინ ფიქალი ქვისაგან გაკეთებული ორი საფეხურია, რომელსაც შესასვლელისაკენ მიყვებართ. შენობა გადახურულია ცალფერდად, მაგრამ შესასვლელის მოპირდაპირე კედელი იმდენად სქელია, რომ მეორე, ვიწრო ფერდას ქმნის.

შიგნით, შესასვლელის პირდაპირ შენობას აქვს შუაბოძი, რომელზედაც თავხეა გადებული. თავხეზე გაწყობილია ყავარი, რომელიც ფიქალი ქვით არის დაფარებული. შენობის იატაკი მოფენილია ფიქალი ქვით.

შუაბოძზე შემოხვეულია თეთრი მიტკლის ნაჭერი და ჩამოკიდებულია დიდი ზომის თუჯის ზარი (ტაბ. 141).

სამხრეთ-დასავლეთის კედელში გამაგრებულია ორი ხე, აქედან ერთი — კედლის კუთხეში. ამავე კედელზე მიმაგრებულია ჯიხვის ორი თავ-რქა და ორიც რქა.

ჩრდილო-დასავლეთის მხარის კედელში დატანებულია სასანთლე შუკუნა, რომელშიაც აწყვია ექვსი ცალი პატარა ზომის ზარი. ამავე კედელში დატანებულ მეორე შუკუნაში დევს თიხის დოქი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარის კედელში გამაგრებულია დროშა. დროშა წარმოადგენს გათლილ ხეს, რომელზედაც თეთრი, ვარდისფერი, წითელი და ჳრელი ნაჭრებია დამაგრებული; აქედან სამი საკადრისია, დანარჩენი კი ვიწრო მიტკლის ნაჭრებია.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, კედლის კუთხიდან გამოწეულია სიბი,

რომელზედაც ყრია სანთლის ნამწვის ნარჩენები და ვერცხლის ფული, უფრო მეტად აბაზიანები, საბჭოთა ხანისა.

სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, კედლის კუთხეში ყრია ბოთლების უამრავი ნამტვრევი, მთელი ბოთლები და ქიქები.

გასასვლელთან, კედლის წყობაში ჩატანებულია საშუალო ზომის თეთრი ბროლის ქვა.

შენობის შიგნითა ნაწილი: შუაბოძი, თავვე და ყავრი ახალი შეკეთებულია. ნიხრობელ ლეო ბაიჩოძის გადმოცემით, დღეობის დღეს ახალგაზრდობის მიერ დაუდევრად ანთებული სანთლების ალი დროშას და თეთრი მიტკლის ნაჭრებს გადასდებია და შუაბოძი, თავვე და ყავრი მთლიანად დამწვარა. სამების ხატის ნაგებობის უკანა მხარეს ვიპოვეთ ასევე დამწვარი დროშის თავი — ხისგან გამოთლილი შუბის პირი.

წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი

წმინდა გიორგის ხატი მდებარეობს სანების მთის წვერზე (ტაბ. 143). ხატის ნაგებობა წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ მრგვალი ფორმის მილიონას, რომელიც ქვევიდან ზევით ვიწროვდება. მილიონას შიგადაშიგ წყობაში ჩატანებული აქვს ხინკრიკები, თავზე ადევს დიდი ბრტყელი ფიქალი ქვა, რომელზედაც დევს საშუალო ზომის ხინკრიკვა.

ს ო ფ. წ ა რ ო

სოფ. წაროში ცხოვრობდნენ გვარები: უჯირაული, ახარაული, სულხანაური. უჯირაულებში შედიან თახიშვილები და დათოიძეები. დათოიძე ხარით შეყრილია უჯირაულთან (ტაბ. 144).

სოფელი წარო მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, მალა-ლი მთის შუა წელზე. ამ მთის წვერზე მდებარეობს სამების ნიში, ხოლო სოფელსა და სამების ნიშს შორის განლაგებულია აკლდამები.

ა კ ლ დ ა მ ა № 1

ერთ-ერთი აკლდამა, რომელსაც ჩვენ პირობითად № 1 ვუწოდებთ, ნაგებია ფიქალი ქვისაგან მშრალად. აქვს შეიღსანაწვითანი სახურავი. აკლდამაში შესასვლელი ოთხკუთხა ფორმისა და ვიწროა. შიგნითა მხარეს ჩანს, რომ ნაგებობას აქვს შეისრული კერი, რომელიც მთავრდება ბრტყელი, მოგრძო ფიქალი ქვით. შესასვლელის მოპირდაპირე კედელზე მოჩანს ფიქალი ქვისაგან გაკეთებული საწოლი, რომელიც სანახევროდ ჩაშლილია. აკლდამაში ყრია ადამიანის უამრავი ძვალი; თვალნათლივ გავარჩიეთ წვივის ძვლები. (ტაბ. 145, 146, 147, 148, 149).

ა კ ლ დ ა მ ა № 2

აკლდამა № 2 ნაგებია ფიქალი ქვისაგან მშრალად (ტაბ. 150). გადახურულია ბანივით, მაგრამ ემჩნევა, რომ ადრე სახურავი სანაწვითანი უნდა ჰქონოდა.

აკლდამის უკანა, დასავლეთის კედელი კლდეშია ამოშენებული. ნაგებობას მთავარი ფასადი აქვს აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს

შეისრული ფორმის შესასვლელი. კარის ღიობის გვერდით კედლები შუაზე შეწყველია კარის დასამაგრებლად. შესასვლელის თავზე გადებულია ძელი, რომელსაც ვერტიკალურად ჩარკობილი აქვს სამი ღარი, შესაძლებელია კარის სამაგრადა. მთავარი ფასადის კედელში, შესასვლელის ორივე მხარეს, შეჭრილია სამკუთხა ფორმის ღრმულები: მარცხენა მხარეს — ერთი ღრმული, ხოლო მარჯვენა — სამი.

შიგნითა მხრიდან ნაგებობა უფრო ოთხკუთხა ფორმისაა, ვიდრე № 1 აკლდამა. ისევე როგორც № 1 აკლდამას, № 2 აკლდამასაც ჰერი შეისრული ფორმის აქვს და ვიწრო ფიქალი ქვით მთავრდება. დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარის კედლებიდან — სამივე მხრიდან — ორსართულად გამოდის ფიქალი ქვის საწოლი. ზემო სართულის საწოლი თათქმის მთლიანად არის შემორჩენილი. ხოლო ქვედა სართულის საწოლები სანახევროდ ჩაშლილია. დასავლეთის მხარის კედელში, საწოლებს ზემოთ, კვლავ ბრტყელი ფიქალი ქვაა დატანებული და გადმოწეულია კედლიდან. აღმოსავლეთის მხარის კედელში შემორჩენილია განაპირა ძელები და ორი ღრმული, ხოლო დასავლეთისაში კი 4 ძელი მოსჩანს; სავარაუდებელია, რომ აკლდამას ჰქონდა იატაკი, რომლითაც ერთიმეორისაგან იმიჯნებოდა პირველი და მეორე სართული; შესასვლელი კარი შედიოდა ზედა სართულში; შესასვლელთან შიგნითა მხარეს ფიქალი ქვაა გამოწეული კიბესავით; აქვე უნდა ყოფილიყო ხვრელი, რომლითაც ორივე სართული ერთიმეორეს უნდა დაკავშირებოდა.

აკლდამა № 3

№ 3 აკლდამა ნაგებია კლდეში ფიქალი ქვისაგან მშრალად (ტაბ. 151). გადახურულია ორფერდა ცხრასანაწვთიანი სახურავით. მთავარი ფასადი აქვს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, სადაც ამოჭრილია კარის ღიობი. შესასვლელის თავზე გადებულია თავვე, რომელსაც სამ ადგილას ოთხკუთხა ფორმის ნაჩრეტი აქვს კარის ენების მოსათავსებლად. შესასვლელის ორივე მხარეს კედელში დატანებულია საურდულე ხვრელები.

შიგნითა მხარეს ნაგებობა ოთხკუთხა ფორმისაა. ჰერი აყვანილია დარბაზის მსგავსად და შუაში ხურავს ბრტყელი ფიქალი ქვა.

შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, ვიწრო კედელში დატანებული აქვს ასევე ვიწრო, სამკუთხა ფორმის სარკმელი. სარკმელს ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ამოყვანილი აქვს ოთხკუთხა ფორმის სვეტი, რომელზეც ბრტყელი ოთხკუთხედისევე ფორმის ფიქალი ქვა ადევს, რაც ტრაპეზის შთაბეჭდილებას ტოვებს. აკლდამის იატაკზე ყრია ფიქალის ქვა და ადამიანის ძვლები (ტაბ. 152).

აკლდამა № 4

№ 4 აკლდამა მდებარეობს № 3 აკლდამის გვერდით და სრულიად ჩაქცეულია.

აკლდამა № 5

№ 5 აკლდამა მდებარეობს ზემოაღწერილი აკლდამისაგან მოშორებით, ზემოთ და თავისი სიდიდით ბევრად ჭარბობს მათ. მთავარი ფასადით ნაგებობა ნიშარტულია სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარისაკენ; აქ ოთხკუთხა ფორმის კარის

ლიობში მოთავსებულია კარის ხის ჩარჩოები. ქვედა კარის ჩარჩო მოწყობილია ერთმანეთზე დაგებულ ორ ფიქალის ქვაზე, რომლის ქვემოთ კვლავ ხის ჩარჩოა; ზედა კარის ლიობის ზღუდარი კედლის წყობაში ჩატანებული გრძელი ხეა. აღსანიშნავია, რომ ჩარჩოც და ყველა სხვა ხე გათლილია. კარის ლიობის ზემოთ, კედელი სამკუთხად არის გამოჭრილი. კარის ლიობსა და ამ გამოჭრილს შუა აქეთ-იქით ჩატანებულია თითო-თითო ფიქალი ქვა ნაჩერეთით, მსგავსად დროშის ტარის დასამაგრებელი ფიქალებისა.

აკლდამის ჩრდილო-დასავლეთის მხარის კედელი კლდეშია ამოყვანილი. სახურავი ჩაქცეულია. ნაგებობის შიგნით შესვლა არ მოხერხდა. ზემოდან, ჩაქცეული სახურავიდან შიგნით ვხედავთ ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მხარის კედლებს, რომლებშიაც ჩატანებულია და წინ გამოწეულია ფიქალი ქვის ნაჭრები, რაც ქვის მევის შთაბეჭდილებას ტოვებს. კარის მხარეს კედელი პირდაპირ ადის და მხოლოდ ოდნავ არის დახრილი: დანარჩენი კედლები ცერად ადის ზემოთ, რაც ალბათ შეისრული ქერის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ბერ-სამების ნიში

მდებარეობს ზღვის დონიდან 2335 მ სიმაღლეზე (ტაბ. 153, 154). ბერ-სამების ნიში მდებარეობს მთის წვერზე და წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას. მთავარი ფასადი უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ორი სასანთლე შუკუნა. ერთი მაღალი და ვიწრო, მეორე უფრო დიდი ზომისა, ოღონდ ჩამოშლილი. დასავლეთის კედელში ჩატანებულია და კედლიდან გამოწეულია ფიქალი ქვა, რომელზედაც დევს ირმის რქა. აქვე, კედლის ძირთან გამართულია საცეცხლური. ნაგებობის სამხრეთი კედელი უფრო დაბალია, ხოლო ჩრდილოეთისა უფრო მაღალი, გადახურვის შემორჩენილი ნაწილი და ამ კედლების სიმაღლე-სიდაბლე გვიჩვენებს, რომ ნაგებობას ცალფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა. შენობას არც ერთი მხრიდან არ უჩანს შესასვლელი. შიგნიდან აღმოსავლეთის კედელი მომრგვალებულია.

ბერ-სამების ნიშის ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით განლაგებულია სამი გვირაბი, რომლებიც ალბათ უკავშირდებოდნენ ამ ნაგებობას. ხატის ნაგებობისაგან ჩრდილოეთის მხარეს რაღაც გაურკვეველი შენობის ნაშალია. აკლდამებსა და ნიშს შორის დგას ორი ფიქალი ქვისაგან ნაგები მილიონა, რომლებსაც აქეთ სასანთლე შუკუნები. აქვეა ქვა-ყუთის ტიპის სამარხები.

ბერ-სამების ნიშის ჩრდილოეთის მხარეს, მაღალ მთაზე მდებარეობს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები დაბალი, ოთხკუთხა ფორმის მილიონა, რომელსაც სამხრეთის მხარეს დატანებული აქვს სასანთლე შუკუნა. მილიონასთან მისასვლელი გამხმარი, ეკლიანი ბუჩქითაა დაფარული. მთხრობელმა ლეო ბაიხოიძემ ვერ მოგვაწოდა ცნობები მილიონას შესახებ და ვერც სახელწოდება დაგვისახელა.

მეკოდეობა

„მეკოდეობა გაჩენილი იყო მტრიანობის დროს — ლეკების, ქისტებისა და თათრების თავდასხმის მიზეზით. ლეკებს, ქისტებს და თათრებს რომ ბრძოლის დროს რამდენიმე თუში მოეკლათ, მათ მოსატანად და დასამარხავად ხალხის

ძალა იყო საჭირო, რადგან ერთ კაცს ეს არ შეეძლო. ამიტომ მეკოდე სოფელი ისე ეხმარებოდა დაზარალებულ სოფელს, როგორც თავის თანასოფელს“⁶⁵.

„მეკოდეობა მეზობელი სოფლების ერთმანეთის დახმარება-მიხედვა იყო. ჩვენი სოფელი საჩილოლო, ვესტმო და ვესტომთა ვიყავით მეკოდეები. ათენგენობა ჯერ ვესტომში ვიცოდით და სამივე სოფელი იქ ვიკრიბებოდით სამშაბათს. ხუთშაბათს — სოფ. საჩილოლოში და სამივე სოფელი იქ ვიკრიბებოდით, შაბათს კი — ვესტომთაში და სამივე სოფლის მცხოვრებნი იქ ვიკრიბებოდით“⁶⁶. მეკოდეები მეზობელი სოფლები ხდებოდნენ შემდეგნაირად: „ლუდიანი კოდის ირგვლივ შეიკრიბებოდნენ ან ორი, ან რამდენიმე მეზობელი სოფლის მცხოვრებნი; ლუდიან კოდზე სანთელი დაანთიან, ერთმანეთს ძმობა შეჭფიციან და ამის შემდეგ ორივე სოფელი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო დახმარებას უწევდნენ“⁶⁷.

მეკოდე სოფლები თუშეთში:

- 1) ჩილო-დართლო,
- 2) ვესტმო-ვესტომთა-საჩილოლო,
- 3) ომალო-ქუმელაურთა და სხვ.

65 მთხრობელი ერასტი იოსების ძე ჯამრულიძე. დაბად. 1881 წ., ჩაწერილია 1957 წ.

66 მთხრობლები: მავდო ივანეს ასული თორღვაიძე, დაბად. 1877 წ., თეო მიხეილის ასული თავბერიძე, დაბად. 1897 წ., ჩაწერილია 1957 წ.

67 მთხრობლები: ივანე ვასილის ძე აბალოძე, დაბად. 1882 წ., ლაზარე ანდრიას ძე ქააძე, დაბად. 1875 წ., სანდრო ივანეს ძე ხელაიძე, დაბად. 1897 წ., ჩაწერილია 1957 წ.

РЕЗЮМЕ

Настоящая книга является второй частью второго тома многотомной работы В. В. Бардавелидзе: «Традиционные общественно-культурные памятники горной Восточной Грузии». Она представляет собой научную публикацию тех общественно-культурных памятников, которые обнаружены и зафиксированы профессором В. В. Бардавелидзе в результате продолжительной экспедиционной работы в Тушети в 1931, 1949, 1957, 1965, 1966 г. г.

Степень сохранности религиозных пережитков в Тушети ниже, чем в Пшави и Хевсурети. В Тушети комплексы сооружений «джвари и хати» (святилищ) в редких случаях сохранились полностью. Большею частью мы встречаем здесь только культовые башни (согласно тушинской терминологии — миллиона) или один-два и более камня, которое также упоминается как «хати» (святилище).

Иногда святилищами в Тушети считаются крепости, как мы видим это в Парсме и Хего.

Особое значение имеет то, что в некоторых случаях наряду с крепостями представлены и другие сооружения. Например, в Парсме святилище св. Георгия охватывает комплекс нескольких сооружений. То же можно сказать и о святилище Ашто-Микел Мтаварангелози в деревне Дано и о общино-племенном святилище Иване Натлисцемели в деревне Хего.

В отличие от комплексов сооружений святилищ Пшав-Хевсурети, в Тушети комплексы святилищ были представлены крепостями и другими культовыми сооружениями. В этом новом тушинском культовом центре расположена крепость. Она несколько выступает вперед, что в хевсурских пережитках отражено сравнительно слабо, а в Пшави и вовсе не засвидетельствовано.

Примечательно, что в Тушети ни в одном комплексе святилищ не встречается саквабе (помещение для пивоварных котлов), он возведен в деревне и служит святилищам. Вместе с тем привлекает внимание и своеобразие конструкции Тушинского саквабе: в отличие от пшав-хевсурского саквабе (|| Салуде — пивоварня), это сооружение имеет односкатное перекрытие и одна из стен его фасада почти совсем открыта.

Наряду с этим в Тушети встречаются и сходные с пшав-хевсурскими комплексы сооружений святилищ. Примером может служить тушинский Лашарис джвари.

С другой стороны, в тушинском культовом центре обнаруживаются главные «хати» (божества), св. Георгия, Богоматери и Иоанне

Крестителя, с которыми в святилище связаны материальные памятники — встроенные «миллионаэби» — и за которыми стоит триада астральных божеств Восточной Грузии — Мтваре, Мзекала, Квириа.

Наконец, добытый в Тушети ряд материалов пролил свет на интересный вопрос истории грузинской храмовой архитектуры. Сохранившиеся в деревнях Дартло и Царо гробницы по своему происхождению представляют собой не только вечные усыпальницы покойников, но одновременно являются и мемориальными храмами, о чем свидетельствуют пробитое в этих гробницах напротив входа окно определенной формы и возведенная под ним у края стены каменная трапеzia. Это позволяет объяснить целый ряд памятников оригинального архитектурного строения. Памятники связаны друг с другом, располагаются в исторической последовательности, и таким образом становится возможным проследить цепь развития, начиная с гробницы, или мемориального храма в Хевсурети и кончая сохранившимся в соседней с ним Ингушетии храмом-бегели, далее от храма-бегели до общественно-культовых дарбази, других хозяйственно-храмовых и жилищных сооружений и, наконец, до христианской молельни раннего периода.

PROF. V. BARDAVELIDZE

THE TRADITIONAL SOCIO-RELIGIOUS MEMORIALS IN
THE MOUNTAINOUS PART OF EASTERN GEORGIA

Summary

The second part of volume II of "The traditional socio-religious memorials in the mountainous part of Eastern Georgia" appears as a transaction of all socio-religious monuments, which had been discovered and fixed by prof. V. Bardavelidze as a result of his durative expeditions in Tusheti¹ in 1931, 1949, 1957, 1965 and 1966.

Somehow or other, the preservation of the religious survivals over Tusheti is rather lower in sort than those of Pshavi¹ and Khevsureti¹. The structural complexes of shrines (Jvari and Khati)², for example, are rarely preserved entirely. Thus, we have the opportunity to observe only the cultous towers here, the so called "milliona"³ (according to the Tushelian terminology) or no more than one or two relictous stones, which are also considered to be the shrines.

Sometimes, however, the "fortresses" are aimed to be sanctuaries too, as it may be clearly seen in Pharsma and Khego.

The fact than other than fortresses one can find here different edifices as well, - is of great importance. The St. George's sanctuary in Pharsma, for instance, embraces the whole complex of real specimens. The analogous features could be observed in Ashto-Mikel Mtavarangelozis shrine and in the communal sanctuary after Ivane Natlimtsemeli in the villages of Dano and Khego.

Nevertheless, on a level with religious sanctuaries of Pshav-Khevsureti, the aggregates of shrines in Tusheti were presented both together with fortresses and other relictous structures. As for the Tushetian religious centre, we can find here a fortress, having been brought a little forward; that fact is comparatively attenuated in Khevsuretian survivals; moreover, it isn't testified of Pshavian's at all.

Noteworthy, that there are building constructions for brewing pots (sakvabe)⁴ in none of the Tushetian shrines; this structure is usually situated in the village and mainly used as the shrine. We must say, that the

¹ Tusheti, Pshavi, Khevsureti — mountainous regions in Eastern Georgia.

² Jvari and khati the sort of shrines in Tusheti.

³ Milliona - a relictous tower in Tusheti.

⁴ Sakvabe - the house for brewing pots.

originality of the Tushetian "sakvabe" because of its construction, draws a great attention. As distinguished from the Pshav-Khevsuretian "sakvabe" ("salude"-brewing house) this erection has the single-sloped ceiling with a completely open façade wall.

Together with all these differences there are some analogues, however. And in this respect Lasharis-Ivari gives us some evidences.

On the other hand, there are the trends of the main divinities (khati) of St. George, St. Virgin and John the Baptist which are closely connected with the memorials (inbuilt "millionaebi") as well as with the triade of astral divinities of Eastern Georgia, such as Mtvare, Mzekala and Kviria.

And at last, the obtained material holds a distinguished position in the history of Georgian building art. The extant sarcophagi having been preserved in the villages of Dartlo and Tsaro, are not only the special places for burying the deads, but, per se, they are real specimens of temporal memorials; the windows of special form on the opposite side of the entrance together with the stone Meal at the edge of the wall ensure us in it. This conclusion, in some way or another; explains the existence of many original memorials in the architectural building. As all these monuments are deeply connected with each other and for the fact that they are properly situated in the definite historical succession, we have the real opportunity to follow the chain of their development, as if beginning from sarcophagi and temporal memorials of Khevsureti to the "begheli"-temple of neighbouring Ingusheti; from the "begheli"-temple to the socio cultous "darbazi" and other household and temporal constructions; finally it perfectly stands to reason that all these mentioned leads to the Christian prayer-house of the former period.

ტაბულების სია

1. ლაშარის ჯვარი, „სასაქალო“ (სამსხვერპლო), 1965 წ.
2. ლაშარის ჯვარი, დარბაზი, „ქორბელელა“, 1965 წ.
3. ლაშარის ჯვარის ინვენტარიდან — „მევი“, 1965 წ.
4. ლაშარის ჯვარი, საბერო, ქორბელელა, 1965 წ.
5. ლაშარის ჯვარი, ლაშარობა, სადოღე ცხენები, 1965 წ.
6. ლაშარის ჯვარი, სამწირველო, 1965 წ.
7. ლაშარის ჯვარის ინვენტარიდან — ხევისბრის სავარძელი, 1965 წ.
8. სოფ. დართლო, საქვაბე, 1965 წ.
9. სოფ. კვავლო, 1965 წ.
10. სოფ. დანო, წმ. გიორგი წყაროგორისა, 1965 წ.
11. სოფ. დანო, აშტო-მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, 1965 წ.
12. სოფ. დანო, კარატის ჯვარი, 1965 წ.
13. სოფ. ფარსმა, წმ. გიორგის ხატი, 1965 წ.
14. სოფ. ფარსმა, წმ. გიორგის ხატის ინვენტარი, 1965 წ.
15. სოფ. ფარსმა, წმ. გიორგის ხატის დროშები, 1965 წ.
16. სოფ. ფარსმა, საქვაბე, 1965 წ.
17. სოფ. ფარსმა, წმ. თევდორეს ხატი, 1965 წ.
18. სოფ. ჰელო, ივანე ნათლისმცემლის ხატი, 1965 წ.
19. სოფ. ჰელო, ივანე ნათლისმცემლის ხატი, 1965 წ.
20. სოფ. ხისო, ხახას წმ. გიორგის ხატი, 1966 წ.
21. სოფ. ხისო, ხახას წმ. გიორგის ხატის ინვენტარი, 1966 წ.
22. სოფ. ხისო, კარატეს ჯვარი, 1966 წ.
23. სოფ. ხისო, საქვაბე, 1966 წ.
24. სოფ. ხისო, ჰიხალეს ხატი, 1966 წ.
25. სოფ. ხისო, თურსიეხი, 1966 წ.
26. სოფ. შტროლთა, დავით მუხროვნის ჯვარი, 1966 წ.
27. სოფ. შტროლთა, საქვაბე, 1966 წ.
28. სოფ. ეველურთა, კაკმატის ჯვარი, 1966 წ.
29. სოფ. ეველურთა, ზეჭვართანას ხატი, 1966 წ.
30. სოფ. ჩივილაურთა, დროშათ საბრძანი, 1966 წ.
31. სოფ. ხახაბუ, სანების ნიში, დარბაზი, საზარე, სასანთლე, 1966 წ.
32. სოფ. ხახაბუ, სანების ნიში, საზარე და სასანთლე, 1966 წ.
33. სოფ. ბოქორნა, წმ. გიორგის ხატი, 1966 წ.
34. სოფ. ბოქორნა, წმ. გიორგის ხატის დროშები, 1966 წ.
35. სოფ. ბოქორნა, საქვაბე, 1966 წ.
36. სოფ. ბოქორნა, კვირაცხოვლის ნიში, 1966 წ.
37. სოფ. ბოქორნა, კვირაცხოვლის ნიში, ხურხვის ჯვარი, 1966 წ.
38. სოფ. ზემო ომალო, მიქელ-გაბრიელის, ანუ მთავარანგელოზის ხატი, 1965 წ.
39. სოფ. ზემო ომალო, საქვაბე, 1965 წ.
40. სოფ. ზემო ომალო, მარიამწმინდის ხატი, 1965 წ.
41. სოფ. დიკლო, ხანმატის ჯვარი, 1965 წ.
42. სოფ. ქუმელაურთა, 1965 წ.
43. სოფ. ქუმელაურთა, ციხე-სახლი, 1965 წ.
44. სოფ. ქუმელაურთა, კაკმატის ჯვარი, საზარე და სასაქალო, 1965 წ.
45. სოფ. ქუმელაურთა, კაკმატის ჯვარი, საზარე, 1965 წ.
46. სოფ. ქუმელაურთა, საქვაბე, 1965 წ.

47. სოფ. ალისგორი, კარატიონი და ბატონი იაცხრის ხატი, 1966 წ.
48. სოფ. ალისგორი, აკლამა, 1966 წ.
49. სოფ. ალისგორი, საფლავის ძეგლი, 1966 წ.
50. სოფ. დადიქურთა, საქვაბე, 1966 წ.
51. სოფ. დადიქურთა, ჭვართანას ხატი, 1966 წ.
52. სოფ. დადიქურთა, ჭვართანას ხატის (ბატონცვარიელის) კომპლექსი, 1966 წ.
53. სოფ. დადიქურთა, ჭვართანას ხატის დროშა, 1966 წ.
54. სოფ. დადიქურთა, ანგელოზთაი, 1966 წ.
55. სოფ. დადიქურთა. კოშკმცაი ანგელოზის ხატი, 1966 წ.
56. სოფ. დადიქურთა, კოშკმცაი ანგელოზის ჭვარი, 1966 წ.
57. სოფ. დადიქურთა, ჭვებანა, 1966 წ.
58. სოფ. ჭვარბოსელი, ციხე, 1966 წ.
59. სოფ. ჭვარბოსელი, ხითანას წმინდა გიორგის ხატის დროშა, 1966 წ.
60. სოფ. ჭვარბოსელი, ხითანას წმინდა გიორგის ხატის დროშა, 1966 წ.
61. სოფ. ჭვარბოსელი, ხითანას ხატი, 1966 წ.
62. სოფ. ჭვარბოსელი, ხითანას ხატი, 1966 წ.
